საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№15 (106)
4 - 10 მაისი, 2011

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## ერთობით მიღწეული დიდი გამარჯვება

5

მეუფე იობი:

## იმ სულიერი შესაძლებლობებით, რომლებიც დღეს გაგვაჩნია, საქართველოს ვერ გავაბრწყინებთ

16





გულბაათ რცხილაძე:

## სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არავის მოუნდება

4

ადგილობრივ ქართველებს შევხვდი და მითხრეს, რომ აგვისტოს ომის დროს მათთან სახლებში მოდიოდნენ რუსეთის უშიშროების — „ფეესბეს“ წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ, თუკი ვინმე ეცდებოდა მათ შევიწროებას, დაერეკათ. უშიშროების თანამშრომლები თავიანთ ტელეფონის ნომრებს უტოვებდნენ ქართველებს. მაგრამ მათი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა.



2

## 26 «ნაცმოელი» კომისარი, ანუ ვინ ამზადებს გადატრიალებას ბაქოში?

გურამ გირგვლიანი:

## ბრძოლა ახლა იწყება!

11



სტრასბურგის სასამართლო მკაფიოდ მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომლებიც ჩაიდინეს მაღალჩინოსნებმა, პირადად პრეზიდენტმა

## ვასილ სანოძე – მოწმე, რომელიც მოიშორეს, თუ „ნაცი“, რომელსაც გირგვლიანის ცოდვამ უწია?!

8

## გამქრალი 4 მილიარდი და ქართული ეკონომიკის ნანგრევები

9

## ჯავშნოსანი კვეზერელი,

ანუ რატომ არ აღმოჩნდა 6-მილიონიანი აფერისათვის დაკავებულთა შორის სოფლის მეურნეობის მინისტრი

8



ჯუმბერ პატიაშვილი:

დებატებში საჯაროდ უნდა გაირკვეს, ამ საკითხებში რა წილი აქვს შევარდნაძეს და რა — პატიაშვილს



14

## 1989 წლიდან გადატრიალების რეჟიმში ვართ!

## მსოფლიო სტაბილური დესტაბილიზაციის ვითარებაში ცხოვრობს

12



## ავტოკრატების, არისტოკრატებისა და ავაზაკების იმპერია რყევას იწყებს

6

## მერის ნათესავის, გუბერნატორის მამიდისა და პროკურორის ცოლის ძმის მიმართ საქართველოს ხელისუფლებამ შერჩევითი სამართალი განახორციელა







პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



„საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მომზადება და პასუხისმგებლობა ამ მომზადებაზე უშიშროების საბჭოს მდივანს — გიგა ბოკერიას დააკისრეს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საქართველოს საელჩოში, ამ საქმიანობის კურირების ცენტრი ფუნქციონირებს, მასზე პასუხისმგებელია ბაქოში ამ საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომელი, ამერიკელი ქალი, რომელმაც ქართული ენა მშვენივრად იცის. იგი „შტაბში“ იმყოფება და მის მოვალეობებში აზერბაიჯანში ოპოზიციასთან კონტაქტი შედის“.

## გაჟღერებული



**ედუარდ შევარდნაძე,** საქართველოს ექს-პრეზიდენტი:

საუბედუროდ, გახმაურებული, დღემდე გაუხსნელი მკვლელობების რიცხვი არც თუ ცოტაა და აჯობებს, სამართალი ჩვენვე აღვასრულოთ, ვიდრე კიდევ ერთხელ შევრცხვეთ ჩვენი არაობიექტური სასამართლო სისტემის გამო მთელი ევროპის წინაშე.

*„ასავალ-დასავალი“*



**ნინო ბურჯანაძე,** „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:

არც ერთ პოლიტიკოსს ჩემთვის ჭკუის დარიგებისა და მორალის კითხვის უფლება არ აქვს! მაგრამ, თუ ბევრს ილაპარაკებენ, როცა საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნება, ღია ეთერში დამიჯდეს ყველა ერთად! ნებავთ — ერთად და ნებავთ — ცალ-ცალკე და ვნახავთ, ვინ რას იტყვის!

*„ასავალ-დასავალი“*



**კახა კუკავა,** „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

დღეს საქართველოს ყველაზე საშიში დამპყრობელი ჰყავს — სააკაშვილი და, თუ „ქართულ პარტიასა“ და ნინო ბურჯანაძეს მართლაც უნდათ მისი მოშორება, აქამდე თუნდაც სულ გამოეფატრათ ერთმანეთი, ახლა უნდა შერიგდნენ, რადგან სასწორის მეორე პინაზე ბევრად მეტი ინტერესი ძევს.

*„კვირის პალიტრა“*



**ირაკლი ალასანია,** „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:

მე ვაფრთხილებ მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას, რომ სამართალს ვერასდროს ვერავინ გაექცევა და ყველას მოუწევს ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება.

*„საერთო გაზეთი“*



**ნუკრი ქანთარია,** „ქართული აკადემიის“ წევრი, რეჟისორი:

ნაციონალებს სხვა ენა არ ესმით, გარდა ქვის და მუშტის ენისა.

*„ახალი თაობა“*

# 26 «ნაცმოთელი» კომისარი, ანუ ვინ ამზადებს გადატრიალებას ბაქოში?



**გასულ კვირას პოლიტოლოგმა ჰეიდარ ჯემალმა აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო „Salam News“-თან საუბარში სკანდალური განცხადება გააკეთა, რომელმაც საქართველოსა და აზერბაიჯანში დიდი რეზონანსი გამოიწვია. მან თქვა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაშია ჩართული. თბილისში ამ ინტერვიუს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ბაქოში კომენტარები — ასევე ნეგატიური, თუმცა ნაკლებად ემოციური იყო. ამასთანავე, იქ განსხვავებული აზრიც დაფიქსირდა. მთელი ეს ისტორია საკმაოდ არაერთგვაროვან შთაბეჭდილებას ტოვებს და, ალბათ, აჯობებს, დეტალურად განვიხილოთ.**

## საკაშვილის ხელისუფლება მუდამ აქტიურად ერეოდა უცხო ქვეყნების საქმეებში და იქაურ ოპოზიციურ ძალებს ეხმარებოდა

### ამერიკელი ქალი და აზერბაიჯანელი მამაკაცი

ჰეიდარ ჯემალის ინტერვიუ მძიმე ბრალდებებს შეიცავს: **„საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალების მომზადება და პასუხისმგებლობა ამ მომზადებაზე უშიშროების საბჭოს მდივანს — გიგა ბოკერიას დააკისრეს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საქართველოს საელჩოში, ამ საქმიანობის კურირების ცენტრი ფუნქციონირებს, მასზე პასუხისმგებელია ბაქოში ამ საელჩოს ერთ-ერთი თანამშრომელი, ამერიკელი ქალი, რომელმაც ქართული ენა მშვენივრად იცის. იგი „შტაბში“ იმყოფება და მის მოვალეობებში აზერბაიჯანში ოპოზიციასთან კონტაქტი შედის“.** შემდეგ ჰეიდარ ჯემალმა განაცხადა, რომ საქართველოში ადგილობრივი აზერბაიჯანელი ახალგაზრდებისგან იქმნება რაზმი, რომელიც „მკვეთრი მოქმედებებისთვის“ ემზადება და ოპოზიციის სავარაუდო გეგმები აღწერა.

**„ამა წლის მარტში გიგა ბოკერია და რიგი სხვა პირები აზერბაიჯანს ეწვივნენ და აზერბაიჯანის ხელმძღვანელობას წაუყენეს მოთხოვნა, რომ ის საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნაზე დათანხმდეს, რომლის მიზანი რუსეთთან დაპირისპირება იქნება. მაგრამ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ამაზე არ წავიდა...“**, — თქვა ჰეიდარ ჯემალმა. **„საქართველო ამ შემთხვევაში პროექტის შემსრულებელია, რაშიც საქართველოს სახელმწიფო პირები არიან ჩართულნი, კერძოდ კი გიგა ბოკერია, რომელიც უშიშროების საბჭოს წარმოადგენს, ანუ ქართველები ამ შემთხვევაში სხვისი ნების გამტარებლებად გვევლინებიან“**, — განაცხადა მან და მიანიშნა, რომ დამკვეთი ვაშინგტონია.

ინტერვიუ არანაირ მტკიცებულებებს არ შეიცავს და, აქედან გამომდინარე, ის ფართო განხილვის საგნად, ალბათ, არც უნდა ქცეულიყო, თუმცა ჰეიდარ ჯემალის გზავნილი საკმაოდ ოსტატურადაა შეფუთული. გამორიცხული არაა, რომ მისი მთავარი ადრესატი აზერბაიჯანელი მკითხველი (და ზოგადად, იქაური საზოგადოება), ანალოგიის გამოყენებითა და ახლო წარსულთან პარალელების გავლებით, საკმაოდ მძიმე დასკვნებამდე მივიდეს და ჩათვალოს, რომ ამ განცხადებებში ჭეშმარიტების მარცვალი არის.

ფაქტია, აზერბაიჯანის ოპოზიცია მკვეთრად გააქტიურდა. ისიც ფაქტია, რომ ბოლო დროს ობამას ადმინისტრაცია აქტიურად უჭერს მხარს ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ნავთობმომპოვებელ ქვეყნებში (ტუნისი, ეგვიპტე, ლიბია) და 100%-ით ვერავინ იქნება დარწმუნებული, რომ აზერბაიჯანშიც იმავეს არ გააკეთებს.

ამასთანავე, არავინ დავობს იმაზე, რომ **სააკაშვილის ხელისუფლება მუდამ აქტიურად ერეოდა უცხო ქვეყნების საქმეებში (მაგ. უკრაინა, ბელარუსი) და იქაურ ოპოზიციურ ძალებს ეხმარებოდა. ამ პროცესში ის მჭიდროდ თანამშრომლობდა ამერიკელებთან („ნარინჯისფერი რევოლუცია“ — უკრაინაში, „ტიტების რევოლუცია“ — ყირგიზეთში, ბელარუსის 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენები). რაც შეეხება ოპოზიციის ახალგაზრდა აქტივისტების ტრენინგს საქართველოს ტერიტორიაზე, იმავე მინსკიდან ამასთან დაკავშირებით არაერთი ბრალდება გაისმა.**

კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი: **ჰეიდარ ჯემალის კონსპიროლოგიურ სქემაში სააკაშვილის ხელისუფლება შემსრულებლად გვევლინება, ხოლო დამკვეთად — ვაშინგტონი. მიხეილ სააკაშვილი პრინციპულ საკითხებში თეთრი სახლის სურვილის წინააღმდეგ არასოდეს წასულა. მეტიც, ცდილობდა, იმაზე მეტი გაეკეთებინა, ვიდრე მისგან მოელოდნენ; ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი ავღანეთში არაპროპორციულად დიდი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნაა. ძნელი წარმოსადგენია, რომ მან, გიგა ბოკერიამ და სხვებმა თავის ძველ პარტნიორს, ამჟამად აშშ-ის ელჩს აზერბაიჯანში, მეთიუ ბრაიზას დახმარებაზე უარი უთხრან იმ შემთხვევაში, თუ ამას დაჟინებით სთხოვს.**

მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელი მკითხველი ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს მხედველობაში მიიღებს, ის სავსებით ბუნებრივად შეიძლება მივიდეს დასკვნამდე, რომ ჰეიდარ ჯემალის მიერ გახმიანებულ ინფორმაციას რეალობასთან შეხების წერტილები აქვს. მან ინტერვიუდან შეიძლება დაახლოებით ისეთი აზრი გამოიტანოს, როგორიც — პროფესორმა პარვინ დარაბადიმ (ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა): **„ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხს ყურადღება უნდა მიაქციოს და დააწყნაროს ის ქართველი ვაიპოლიტიკოსები, რომლებიც ასეთი ავანტიურული გეგმების გზას დაადგნენ... აზერბაიჯანის სპეცსამსახურები ამ მასალას ყურადღებით უნდა მოეკიდონ. და თუ ისინი მოიპოვებენ მტკიცებულებებს აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოში მომუშავე ▶**

## კონსპიროლოგიურ სქემაში სააკაშვილის ხელისუფლება შემსრულებლად გვევლინება, ხოლო დამკვეთად — ვაშინგტონი

მოკლედ

## ფუკუსიმაზე უპრეცედენტო ოპერაციას ამზადებენ



**ფუკუსიმა-1-ის ავარიულ ატომურ ელექტროსადგურზე მსოფლიოს ატომურ ენერგეტიკაში უპრეცედენტო ოპერაცია განხორციელდება — პირველი, მეორე და მესამე ენერგობლოკების შიდა კამერებში, გაგრილების მიზნით, წყალი ჩაისხმება.** ოპერაციის შედეგად საწვავის სექტორის თავზე თითოეულ რეაქტორში წარმოიქმნება ერთგვარი წყლის ბალიში. პირველ რეაქტორზე სატესტო რეჟიმში სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

## სირიის მმართველი პარტია იშლება

**სირიის მმართველი „არაბული სოციალისტური აღორძინების პარტიის“ 50-მა წევრმა პარტიის რიგები დატოვა.** ამ გადაწყვეტილების მიზეზი სირიაში საპროტესტო აქციების სისხლიანი დარბევა გახდა. იმავე დღეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ სირიის ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენებას გმობს. სირიის უსართხოების ძალებსა და საპროტესტო აქციის მონაწილეებს შორის შეტაკებებს უკვე ასობით ადამიანი ემსხვერპლა. ერთი კვირის წინ მმართველი პარტია 230-მა ადამიანმა დატოვა.

**ალიევის ხელისუფლება აზერბაიჯანის სტაბილურობის გარანტია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს სტაბილურობა ყველას როდი სჭირდება. აზერბაიჯანული ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ძალზე სუსტია, თუმცა ოპოზიცია ტუნისში კიდევ უფრო უძლური იყო. პიროვნულად კი ილჰამ ალიევი, ალბათ, უფრო ტუნისის ყოფილ მმართველს — ბენ ალის ჰგავს, ვიდრე მუამარ კადაფის ან თუნდაც ისლამ კარიმოვს. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მოწინააღმდეგეთა სისხლის დაღვრა გახდება საჭირო (თუ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებენ), მან შეიძლება ეს არ (ვერ) გააკეთოს.**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ვინმე ამერიკელი ქალის ანტიაზერბაიჯანული საქმიანობის შესახებ, მას, რასაკვირველია, პერსონა ნონ-გრატად გამოაცხადებენ და 24 საათში ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას დაატოვებინებენ“** (Echo-az.com).

ცხადია, საქართველოს არც ერთი ხელისუფალი, თუ, რა თქმა უნდა, კლინიკური იდიოტი არ არის, საკუთარი ნებით არ ჩაებმება ავანტიურაში, რაც აზერბაიჯანთან ურთიერთობების მკვეთრ გაუარესებას მოასწავებს. მაგრამ ეყოფა ნებისყოფა სააკაშვილის ხელისუფლებას, უარი თქვას ამ პროცესებში ჩართვაზე, თუ ამ მიმართულებით ვაშინგტონი უბიძგებს?

## გამოღმით – სცილა, გაღმა – ქარიბდა...

რევოლუციის ჰიპოთეტური ექსპორტი დროებით გვერდზე გადავდოთ და ჰეიდარ ჯემალის ინტერვიუს ის მონაკვეთი განვიხილოთ, რომელიც გიგა ბოკერიას და „სხვა პირების“ ბაქოში ჩასვლას ეხება. ფაქტია, სააკაშვილის ხელისუფლება აზერბაიჯანთან მჭიდრო თანამშრომლობისკენ მიისწრაფვის, მეტიც, მისი წარმომადგენლები ხანდახან კონფედერაციაზეც კი საუბრობენ. ისიც ფაქტია, რომ ოფიციალური თბილისი ნებისმიერ ალიანსს თუ საერთაშორისო ორგანიზაციას (სუამი იქნება, ნატო თუ ეუთო), უპირველეს ყოვლისა, განიხილავს როგორც ინსტრუმენტს, რომელიც შეიძლება რუსეთთან დაპირისპირებაში გამოიყენოს.

**ასე რომ, შეთავაზების შინაარსი „მჭიდრო კავშირი რუსეთის წინააღმდეგ“ ეჭვს ნაკლებად იწვევს. თუმცა ფორმა ფრიად საეჭვოა; რას ნიშნავს „მოთხოვნა წაუყენეს“? ილჰამ ალიევი ის კაცი არ არის, რომელთანაც სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ შეიძლება ასეთ ტონალობაში ისაუბროს. ინტერვიუს ეს ნაწილი საკმაოდ არადამაჯერებლად გამოიყურება.**

მაგრამ ამ შემთხვევაშიც არის გარემოება, რომელიც ერთგვარი კონტრარგუმენტის როლს ასრულებს. სააკაშვილის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა (როგორც ფორმით, ისე შინაარსით) განსაკუთრებული მოქნილობით არასოდეს გამოირჩეოდა. მეტიც, **იმ ეპიზოდებში, როდესაც სააკაშვილი მიიჩნევდა, რომ ზურგს ვაშინგტონი უმაგრებს, ქართული დიპლომატია ადეკვატურობას სწრაფად კარგავდა (ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ მხრივ, ალბათ, აგვისტოს ომის წინარე პერიოდია). არის სხვა მაგალითებიც: გასული წლის ზაფხულში საქართველო-ბელარუსის ურთიერთობებში დათბობის ნიშნები გამოჩნდა, ზოგიერთი ქართველი პოლიტოლოგი (ალბათ, მაინც უსაფუძვლოდ) ორი ქვეყნის სტრატეგიული ალიანსის შესაძლებლობაზეც კი ალაპარაკდა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ამა წლის მარტში „Washington Post“-თან საუბარში ლუკაშენკომ სააკაშვილს ამერიკელების „ძაღლიშვილი“ უწოდა და მინსკში საქართველოსთან სავიზო რეჟიმის შემოღებაზე მსჯელობა დაიწყეს.** ჩვენ არ ვიცით, ჰქონდა თუ არა ამ პერიოდში ადგილი „მოთხოვნის წაყენების“ მსგავს ველურ გამოხდომებს, მაგრამ ფაქტი სახეზეა: ორი ქვეყნის ურთიერთობებს, ხილული მიზეზის გარეშე, ისევ მკვეთრი გაუარესების ნიშნები დაეტყო. ამავე კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ ისრაელთან ურთიერთობების ბოლოდროინდელი დაძაბვაც. **საბოლოო ჯამში, დასკვნა, ინტერვიუს ამ მონაკვეთთან დაკავშირებით, შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: იმის ალბათობა, რომ მარტში ქართულმა დელეგაციამ პრეზიდენტ ალიევს „მოთხოვნა წაუყენა“, საკმაოდ დაბალია, თუმცა ამის შესაძლებლობას მთლიანად ვერ გამოვრიცხავთ.**



# ახლო მომავალში აზერბაიჯანს არჩევანის გაკეთება და ჩრდილოეთით ან დასავლეთით «წასვლა» მართლაც მოუწევს

საერთოდ, ამ ინტერვიუს ამდენ ყურადღებას არ დავუთმობდით, რომ არა ერთი გარემოება: აზერბაიჯანში ვითარება მართლა შეიძლება დაიძაბოს და ეს ჩვენს ქვეყანას აუცილებლად შეეხება. **„ალბათ, მალე ამოიწურება დრო, როდესაც აზერბაიჯანს ბალანსის პოლიტიკის გატარება, „ორ სკამზე ჯდომა“ შეეძლება,“** — წერდა „საქართველო და მსოფლიო“ შარშან, 8 სექტემბერს. დრო, როგორც ჩანს, მართლა იწურება, „მცირე და საშუალო“ ნავთობმომპოვებელი ქვეყნების დამოუკიდებლობის ხარისხი „ახალი მსოფლიო წესრიგის“ (თუ ქაოსის?) პირობებში, სავარაუდოდ, შემცირდება, რადგან სწორედ ენერგომატარებლებია ის ბერკეტი, რომლის გამოყენებით აშშ-ს შეუძლია მისი გლობალური კონკურენტების — ჩინეთისა და ევროკავშირის წინსვლა შეაფერხოს. „დიდი აღმოსავლური არეულობა“ ახალი დაწყებულია, თუმცა ჩინეთს ნავთობის გაძვირების გამო პრობლემები უკვე შეექმნა, ხოლო ევროპის ქვეყნების პოზიციები დღეს ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, ვიდრე ლიბიის „აფეთქებამდე“ იყო.

როდესაც დღეს სუდანსა თუ ლიბიაში სისხლი იღვრება და სრულიად არაბეთში ოპოზიცია მთავრობებს უპირისპირდება, ალბათ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყოველივე ამის უკან გაძვირებული და ნაწილობრივ ბლოკირებული ნავთობი, ანუ „ეკონომიკის სისხლი“ დგას.

**ჰიპოთეტური გადატრიალება აზერბაიჯანში ფართო ოპერატიულ პერსპექტივას ხსნის: აზერბაიჯანის მეშვეობით შესაძლებელია ირანის დესტაბილიზაცია (ირანული აზერბაიჯანის ფაქტორი). აზერბაიჯანის დესტაბილიზაცია ევროკავშირის ქვეყნებისთვის ენერგომომარაგების „კასპიურ ალტერნატივას“ ეჭვქვეშ დააყენებს და მათ პოზიციებს დაასუსტებს, ირანის დესტაბილიზაცია კი (პერსპექტივაში კი მთელი სპარსეთის ყურის რეგიონის) ჩინეთის ენერგომომარაგებას სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. თუ ბაქოში ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის მსგავსი, ვაშინგტონის მორჩილი პოლიტიკოსები მოვლენ, აზერბაიჯანი და საქართველო შექმნიან ბარიერს (რა მნიშვნელობა აქვს, კონფედერაცია ერქმევა, ალიანსი თუ რაიმე სხვა), რომელიც რუსეთს სამხრეთით გზას გადაუღობავს; ეს „სამმაგი დარტყმა“ იქნება რუსეთის, სომხეთისა და ირანის წინააღმდეგ.**

## მწვადი დავწვათ თუ შამფური?

**ალიევის ხელისუფლება აზერბაიჯანის სტაბილურობის გარანტია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს სტაბილურობა ყველას როდი სჭირდება. აზერბაიჯანული ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ძალზე სუსტია, თუმცა ოპოზიცია ტუნისში კიდევ უფრო უძლური იყო. პიროვნულად კი ილჰამ ალიევი, ალბათ, უფრო ტუნისის ყოფილ მმართველს — ბენ ალის ჰგავს, ვიდრე მუამარ კადაფის ან თუნდაც ისლამ კარიმოვს. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების შენარჩუნებისთვის მოწინააღმდეგეთა სისხლის დაღვრა გახდება საჭირო (თუ გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენებენ), მან შეიძლება ეს არ (ვერ) გააკეთოს.**

ალიევი ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოების ინტერესებს, თუმცა ბოლომდე არც ერთ მხარეს არ იხრება და, უხეშად რომ ვთქვათ, აზერბაიჯანის „საკონტროლო პაკეტს“ არავის უთმობს. სავარაუდოდ, სწორედ ამაში უნდა ვეძებოთ მოსალოდნელი პრობლემების პირველწყარო და არა იმაში — „ცუდია“ ის თუ „კარგი“, „დემოკრატი თუ დიქტატორი“.

თუ დღეს შეერთებული შტატები „მესამე სამყაროს“ რომელიმე ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას გადაწყვეტს, საწადელს ძალიან დიდი ალბათობით მიაღწევს, თუ ეს ქვეყანა რუსეთის ან ჩინეთის „ქოლგის“ ქვეშ არ იმყოფება. ჰეიდარ ჯემალს არასოდეს დაუმალავს, რომ ის რუსეთის ინტერესების დაცვაზე ზრუნავს. ამასთანავე, წარმოშობით ის აზერბაიჯანელია და აზერბაიჯანულ აუდიტორიასთან საუბარი ასე თუ ისე უადვილდება. მისი გზავნილი, ალბათ, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: **„ამერიკელების მხრიდან საფრთხე გემუქრებათ. დროა, არჩევანი გააკეთოთ. ვაშინგტონის გეგმა ალიევისა და მისი გარემოცვის ინტერესებს არ ითვალისწინებს და აზერბაიჯანს სერიოზულ პრობლემებს მოუტანს“.**

დაუჯერებენ თუ არა ჰეიდარ ჯემალს, ძნელი სათქმელია, მაგრამ, სავარაუდოდ, ახლო მომავალში აზერბაიჯანს არჩევანის გაკეთება და ჩრდილოეთით ან დასავლეთით „წასვლა“ მართლაც მოუწევს. შესაძლოა, ალიევს რჩება შესაძლებლობა, „სცილასა და ქარიბდას“ შორის რთული მანევრი განახორციელოს, რომელშიც საყრდენ წერტილად გაზრდილი ამბიციების მქონე თურქეთს გამოიყენებს, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა.

„ფერადი რევოლუცია“ აზერბაიჯანში, ბაქოს მკვეთრად პროამერიკულ პოზიციებზე გადასვლა და ამის შედეგად შექმნილი ახალი რეალობა, სააკაშვილის ხელისუფლებისთვის უაღრესად ხელსაყრელი იქნებოდა. თეორიულად ამან შეიძლება მართლაც უბიძგოს ალიევის ხელისუფლებას, საწინააღმდეგო გეგმების განხორციელებაში ჩაერთოს, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამის გაკეთებას ამერიკელები ურჩევენ.

**დღეს ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ინფორმაცია, რასაც ჰეიდარ ჯემალი ავრცელებს, აბსოლუტურად მცდარია, მაგრამ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხვალ ვაშინგტონი ალიევის გადაყენებას მართლაც მიემხრობა? ალბათ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ამ სახიფათო თამაშში არ ჩავერთოთ, რადგან ეს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების საფრთხეს უკავშირდება.**

**ვაშინგტონის გეგმა ალიევისა და მისი გარემოცვის ინტერესებს არ ითვალისწინებს და აზერბაიჯანს სერიოზულ პრობლემებს მოუტანს**

**დიმიტრი მონიავა**

## გამოხმაურებანი

**შალვა ნათელაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:**



კეზერაშვილი არის ცნობილი ნარკომანი, წაგებული ომის თავდაცვის მინისტრი, ისრაელიდან იარაღის კონტრაბანდის მთავარი მოთავე, ქვეყანაში ლატარიის ბიზნესის მთავარი მაფია, მილიარდერი და ლას-ვეგასის კაზინოების ხშირი სტუმარი! ძვირფას „იზრუსს“ მოვუწოდებ, ებრაელები, პირველ რიგში, სააკაშვილისა და კეზერაშვილისგან დაიცვას!

*„ასავალ-დასავალი“*

**თემურ შაშიაშვილი, პარტია „თეთრების“ ლიდერი:**



ნახეთ, როგორ ცხოვრობს ჩოჩელი, გეგენავა, ბეჟუაშვილები, როგორ ცხოვრობენ კოდუეები, ნახევარი თბილისი იყიდეს. ასეთი ხელისუფლება მსოფლიოში არ ჰყავს არც ერთ ქვეყანას, ასეთ ხელისუფლებას კი ნებისმიერი ერი ეუბნება უარს.

*„ახალი თაობა“*

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**



თუ ლონდონში არის „დაუნინგ სტრიტი“, თბილისში უნდა გაკეთდეს მაგის სახელობის „დაუნი-სტრიტი“. მთელი ოჯახი ამოწყვიტა ამ ამოსაწყვეტმა და მარტო კაცი დატოვა — სანდრო გირგვლიანის მამა. გამოდიოდა ის ცხონებული ქალბატონი, ირინა ენუქიძე და გაჰყვიროდა, — თქვენც მოგადგებიან, ხალხოო! არ მოგვადგნენ?! რამდენი ბიჭის სიცოცხლეა ამ სისხლით გაუმაძღრის კისერზე? ცხონებულ ირინა ენუქიძეს რომ ეცოცხლა, დღეს სააკაშვილი პრეზიდენტი კი არა, მაგისი „დუხი“ არ იქნებოდა ქვეყანაში, ამიტომაც მოკლეს!

*„კვირის ქრონიკა“*

**დემურ გიორხელიძე, ეკონომიკის ექსპერტი:**



როდესაც ბიზნესი ხელისუფლების ხელშია მოქცეული, ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდგომ თავიდან იწყება გადანაწილება და ახალი ბიზნესჯგუფები ჩნდება. საქართველოში, ფაქტობრივად, ვერ ნახავთ დამოუკიდებლად განვითარებულ ბიზნესს.

*„კვირის პალიტრა“*

მოკლედ

## ირანი პრეზიდენტს იმპიჩმენტს უმზადებენ



**ირანის პარლამენტში პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის იმპიჩმენტის პროცედურებისთვის მზადება მიმდინარეობს.** ერთ-ერთი ვერსიით, ამის მიზეზი ირანის სულიერ ლიდერს — ალი ხამენეისა და ირანის პრეზიდენტს შორის არსებული უთანხმოება გახდა. პრეზიდენტისა და სულიერი ლიდერის უთანხმოების მიზეზი იყო აჰმადინეჟადის მიერ რამდენიმე სახელმწიფო მოხელის გათავისუფლება, რის შესახებაც აზრი ირანის სულიერი ლიდერისთვის არ უკითხავს.

## თურქეთი სტამბოლის არხს გაჭრის

**როგორც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, თურქეთი ბოსფორის სრუტის პარალელურ არხს გაჭრის და შავ ზღვას მარმარილოს ზღვასთან დააკავშირებს.** მისი თქმით, „სტამბულის არხი“ 150 მეტრი სიგანისა და 25 მეტრი სიღრმის იქნება. არხის საშუალებით ბოსფორის სრუტე განიტვირთება. როგორც მოსალოდნელია, არხს სტამბულის ჩრდილოეთით გაიყვანენ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მითხრა, თქვენი გამოსვლები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებსო. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ბატონი ალექსანდრეს გამოსვლა კრიტიკული იყო რუსეთის მიმართ, მაგრამ, როდესაც რუსებს მეგობრის პოზიციიდან ვაკრიტიკებთ, ამ კრიტიკას ისინი იღებენ და გვისმენენ.**

## გულბაათ რცხილაძე:

# სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არავის მოუნდება

**აპრილის ბოლოს ვლადიკავკაზში დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა, რომელსაც, კავკასიის რეგიონის წარმომადგენლებთან ერთად, აფხაზი და ოსი დელეგატებიც ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ქართველებიც იმყოფებოდნენ. რა იყო აღნიშნული შეხვედრის მიზანი და როგორია ეთნიკური ოსებისა და აფხაზების დამოკიდებულება ქართველებისადმი, საკუთარ შთაბეჭდილებებს „საქართველო და მსოფლიოს" ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორი, პოლიტოლოგი გულბაათ რცხილაძე უზიარებს.**



**— ბატონო გულბაათ, რა იყო ვლადიკავკაზში გამართული შეხვედრის მიზანი?**

— აღნიშნული ღონისძიება, პირობითი სახელწოდებით „დიდი სამამულო ომი და მისი მიმდინარეობა კავკასიაში, გამარჯვება, რომელიც მოპოვებულია ერთიანობით" შარშანაც გაიმართა ტუაფსეში, წელს კი უკვე მეორედ ჩატარდა და ამჯერად ჩვენი მასპინძელი ვლადიკავკაზი იყო. კონფერენციაში, რომლის ორგანიზატორიც რუსეთის ხელისუფლება იყო, მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვეტერანები. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაც აღნიშნული ღონისძიების უდავოდ მაღალი სტატუსის მანიშნებელია. **ქართველებთან და რუსებთან ერთად, შეხვედრაზე იმყოფებოდნენ აფხაზეთის, ოსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის წარმომადგენლები. საუბრის თემა და შეხვედრის მიზანი იყო სამამულო ომში კავკასიელი ხალხების წვლილი. თუმცა ეს ხალხები, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამწუხაროდ, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ და ვლადიკავკაზში შეხვედრის მიზანი სწორედ მოძმე კავკასიელი ხალხების დაახლოება იყო, რათა მათ კვლავ გამონახონ საერთო ენა. ვინაიდან იყო დრო, როდესაც ჩვენი მამები და პაპები საერთო მტრის წინააღმდეგ ერთად იბრძოდნენ.**

ეს შეხვედრა გამჭვირვალეა და მისი კარი ყველასთვის ღიაა. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი საზოგადოება შეშინებული, დაკომპლექსებული და გამოთაყვანებულია ანტირუსული პროპაგანდით და მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია, როგორიცაა, მაგალითად, „ისტორიული მემკვიდრეობა", თუ ბედავს ამგვარ შეხვედრებში მონაწილეობას.

**უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რომელიც, როგორც ტუაფსეში, ისე ვლადიკავკაზში შესანიშნავი სიტყვით წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე და ვფიქრობ, რომ ასეთი სიტყვებით გამოსვლა გაცილებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვიდრე გამუდმებით იმის ძახილი — რუსებო, თქვენ ოკუპანტები ხართო. თუ დიალოგი არ დაიწყე საკითხით, რომელიც ნაკლებ კონფლიქტს იწვევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერი მოლაპარაკება ჩიხში მოექცევა.**

ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ შეხვედრაზე რუსებს შეახსენა, რომ, როდესაც ომში გამარჯვების დღეს ზეიმობენ, არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სამხედრო ხელმძღვანელის გარეშე ომს ვერ მოიგებ, და ის ადამიანი, რომელმაც ხალხს გამარჯვება მოუტანა, იყო იოსებ სტალინი. **აღსანიშნავია, რომ, როდესაც ბატონი ალექსანდრე თავის გამოსვლას ამთავრებს, რიგი დგება ხოლმე — მიდიან და მის მიმართ საოცარ სიმპათიას გამოხატავენ. ასევე, სიმპათიით სარგებლობენ საქართველოს წარმომადგენლები, თავად რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მითხრა, თქვენი გამოსვლები ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესსა და ყურადღებას იმსახურებსო. აღსანიშნავია ისიც, რომ, მართალია, ბატონი ალექსანდრეს გამოსვლა კრიტიკული იყო რუსეთის მიმართ, მაგრამ, როდესაც რუსებს მეგობრის პოზიციიდან ვაკრიტიკებთ, ამ კრიტიკას ისინი იღებენ და გვისმენენ.**

კონფერენციის პარალელურად, ქართული დელეგაცია, ბატონი ალექსანდრეს ინიციატივით, ვლადიკავკაზში მოქმედ ქართულ სკოლასაც ესტუმრა, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. თავის დროზე ამ სკოლის დაარსებას დიმიტრი ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი ედგნენ სათავეში. იქ სწავლობენ ქართველი ბავშვები, რომლებმაც ლექსები წაგვიკითხეს. ეს ბავშვები შესანიშნავი ქართულით მეტყველებენ და მე ბედნიერი ვიქნებოდი, თბილისშიც ასეთი ქართულით რომ მეტყველებდნენ ქართველი ბავშვები. ძალიან თბილად დაგვხვდნენ... **რუსი ბავშვებიც ვნახე, რომლებიც ქართულ სკოლაში დადიოდნენ. იქ მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ. თუმცა არის ერთი პრობლემა: სკოლის შესასვლელში ადრე იყო სამლოცველო, რომელიც დროთა განმავლობაში დაინგრა და ამის აღდგენა დღემდე ვერ მოხერხდა. სავალალოა, რომ ქართულ მხარეს არ აინტერესებს ამ ეკლესიის აღდგენა, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მოინათლა.**

ჩვენ მიგვაჩნიეს აზრს, რომ რუსეთი მხოლოდ „დაყავი და იბატონეს" პრინციპით მოქმედებს, რათა წააჩხუბოს ერთმანეთს კავკასიის ხალხები და ამის ფონზე ის მედიატორად და მომრიგებლად გამოჩნდეს, მაგრამ თუნდაც აღნიშნული შეხვედრები ადასტურებს, რომ რუსეთის ხელისუფლება მზადაა, კავკასიის ხალხებს შორის მეგობრობასა და ურთიერთგაგებას შეუწყოს ხელი.

**— როდესაც „ერთიან კავკასიურ სახლზე" საუბრობენ, ბუნებრივია, გაერთიანება გამოიწვევს კავკასიის რეგიონის გაძლიერებას, რაც, მოგეხსენებათ, არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ აწყობს. როგორ ფიქრობთ, რა დაინტერესება აქვს რუსეთის ხელისფლებას, როდესაც კავკასიის ხალხების დაახლოებას ცდილობს?**

— მთავარია, როგორ განიხილავთ „ერთიანი კავკასიური სახლის იდეას". გვინდა თუ არა ჩვენ, რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფოა, მაგრამ კავკასიური ქვეყანაცაა. რუსეთს ძვირი უჯდება თუნდაც ამ ქვეყნების სისუსტე, ვინაიდან ის უზარმაზარ ფინანსებს ხარჯავს ამ ქვეყნებზე და, როდესაც ამგვარი გაერთიანება ხდება არა ანტირუსულ საწყისებზე, არამედ — რუსეთის მონაწილეობით, ეს რუსეთისთვისაც მისაღებია.

**— შეხვედრას ესწრებოდა დელეგაცია ე.წ. სამხრეთ ოსეთიდანაც, თქვენ ესაუბრეთ მათ, როგორ გესახებათ ქართულ-ოსური ურთიერთობების მოგვარება და თუნდაც აღნიშნულ შეხვედრაზე, თუ დაისახა რამე კონკრეტული სამოქმედო გეგმა?**

— შეხვედრის ფორმატი საკითხების პოლიტიკურ განხილვას არ ითვალისწინებდა. ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები და არ გვაქვს მანდატი, რათა მოლაპარაკებები ვაწარმოოთ ქართულ-ოსურ ურთიერთობებსა თუ პოლიტიკურ სტატუსზე. თუმცა, თუ დღევანდელ ვითარებას გადავხედავთ, აგვისტოს ომმა ბევრი რამ გააფუჭა და შორეული მომავლის პერსპექტივად აქცია. ახლა მთავარია ნდობის აღდგენა. სანამ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდები და სტატუსზე და პოლიტიკურ თემებზე დაიწყებ ლაპარაკს, უნდა არსებობდეს გარკვეული ნდობა ხალხებს შორის. შეხვედრის შემდეგ, საკუთარი ინიციატივით მოვიდა ჩვენთან „სამხრეთელი ოსების" დელეგაციის წარმომადგენელი, ცხინვალის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე კოკოევი და გაგვეცნო.

## ვლადიკავკაზში შეხვედრის მიზანი მოძმე კავკასიელი ხალხების დაახლოება იყო

მართალია, მათ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიაჩნიათ და რუსეთის აღიარებამ ფრთები შეასხათ, მაგრამ ჩვენ ამას არასდროს ვეთანხმებოდით და არც დავეთანხმებით, თუმცა ამაზე ჩხუბის გამართვა არ შეიძლება. ისინი აღგვიქვამენ მეზობლებად და არ სძულთ ქართველები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იციან, 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო.

**— თუმცა საქართველოს ხელისუფლება საპირისპიროს აცხადებს...**

— ხელისუფლება რას ამბობს, ერთია, მაგრამ ოსებმა ხომ იციან სიმართლე?! ამის მიუხედავად, მე ქართველი ხალხისადმი, ჩვენი დელეგაციისადმი მხოლოდ დადებითი განწყობა ვიგრძენი. **ერთი კია, პოლიტიკური დიალოგი შესაძლებელი რომ გახდეს ოსებთან და აფხაზებთან, ამისთვის ჯერ რუსეთთან დიალოგია საჭირო. გათვალისწინებული უნდა იყოს რუსეთის ფაქტორი.** პირველ რიგში, აგრესიულად არ უნდა ვიყოთ განწყობილი და რუსების ლანძღვა-გინებითა და იმის მტკიცებით, რომ მართლები ჩვენ ვართ, ვერაფერს მივაღწევთ. ასევე, არ არის საჭირო მოძველებული და პრიმიტიული რიტორიკა — რომ გვინდა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რადგან, ბუნებრივია, ეს არ ხიბლავს არც ოსს და არც აფხაზს, რადგან ეს მათთვის ომთან და ჩაგვრასთან ასოცირდება.

**— მაგრამ ნებისმიერი მოლაპარაკების დროს, ჩვენი მიზანი ხომ სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა იყოს?**

**— რას ნიშნავს ტერიტორიული მთლიანობა? ის, რომ თავისუფლად გადაადგილება შეგვეძლოს აღნიშნულ ტერიტორიაზე, თუ იქ რომ ჩავალთ, ოსი მოვიდეს და დაგვიჩოქოს? ჩვენს ხელისუფლებას ასე ესმის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, როგორც, მაგალითად, აჭარაშია. ჰამლეტ ჭიპაშვილმა თქვა ამას წინათ, აჭარაში თხების ფერმაში დირექტორს ვერ ნიშნავდნენ, თბილისმა უნდა გადაწყვიტოსო. ასეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არ მოუნდებათ და არც უნდა დაბრუნდნენ. სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება არავის მოუნდება. ჯერ ჩვენ ქვეყნის შიგნით უნდა გამოვასწოროთ სიტუაცია. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლებას „გოიმებად" მიაჩნია ოსები და აფხაზები, ჰგონია, რომ მათ შადრევნებითა და განათებული ქუჩებით მოხიბლავს.**

მინდა, ერთ მნიშვნელოვან მომენტზეც ვთქვა ორიოდე სიტყვა, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია. გზა გუდაურამდე ძალიან კარგია, რათა ბატონი მიხეილ სააკაშვილი იოლად ავიდეს და თხილამურებზე ისრიალოს, მაგრამ რა ხდება გუდაურს იქით, როგორც ჩანს, ჩვენს ხელისუფლებაში ეს არავის აინტერესებს. გუდაური-კობის მონაკვეთი საშინელ მდგომარეობაშია და სტეფანწმინდის რაიონი, ფაქტობრივად, მოწყვეტილია საქართველოს.

**— თქვენ ამბობთ, რომ ქართულ-ოსურ ან ქართულ-აფხაზურ ურთიერთობამდე უნდა მოგვარდეს ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ როგორ გესახებათ ამ ურთიერთობის მოგვარება იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ხელისუფლება აცხადებს — სანამ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი იქნება, მას არ დაელაპარაკება და, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებაც აცხადებს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებამდე რუსებთან საუბარს აზრი არ აქვს. როგორ წარმოგიდგენიათ ასეთ რთულ ვითარებაში ურთიერთობის მოგვარება?**

— ამ ეტაპზე ქართულ-რუსული ურთიერთობის აღდგენა არ მესახება შესაძლებლად. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა შესაძლებელი, რასაც ჩვენ და ჩვენი მსგავსი საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვაკეთებთ და რომლებსაც თავი გვაქვს გადადებული.

## ხელისუფლებას ნუ ჰგონია, რომ ოსებსა და აფხაზებს შადრევნებით ან განათებული ქუჩებით მოხიბლავს

**ადგილობრივ ქართველებს შევხვდი და მითხრეს, რომ აგვისტოს ომის დროს მათთან სახლებში მოდიოდნენ რუსეთის უშიშროების — „ფეესბეს“ წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ, თუკი ვინმე ეცდებოდა მათ შევიწროებას, დაერეკათ. უშიშროების თანამშრომლები თავიანთ ტელეფონის ნომრებს უტოვებდნენ ქართველებს. მაგრამ მათი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სამწუხაროდ, ჩვენმა ხელისუფლებამ იმის მაგივრად, რომ მადლობა გვითხრას, პირიქით, მოღალატეების იარლიყს გვაკერებენ. სიმართლე გითხრათ, სულ არ მეხალისება ისეთ ღონისძიებაში მონაწილეობა, სადაც ოსებთან და აფხაზებთან თანაბარი სტატუსით გვიწევს საუბარი და ამის შესახებ რუსებსაც ვუთხარი, მაგრამ შეხვედრაზე ვლადიკავკაზში მაინც წავედი და კიდევ წავალ, რადგან ვატყობ, რომ საქართველოს ეს სჭირდება. ეს ყველაფერი საქართველოს იმიჯს უკეთესობისკენ ცვლის და ამაში თავად რუსები გვეხმარებიან.**

აღსანიშნავია, რომ ჩვენი დელეგაცია ყოველთვის თვითკრიტიკულია. ჩვენ ყოველთვის ღიად ვაკრიტიკებთ საქართველოს ხელისუფლებას და ვამბობთ, რომ ხელისუფლებამ ბევრი რამ გააფუჭა, რასაც ერის ღალატად გვითვლიან. არადა, ეს ხელისუფლება რომ ნორმალურად აზროვნებდეს, მადლობას გვეტყოდა. ჩვენ საქართველოს თავიდან ვარიდებთ ყველანაირ ბრალდებას და შეცდომებს ვაწერთ მხოლოდ ხელისუფლებას. ამასთან, თვითკრიტიკულობის ფონზე, ჩვენი კრიტიკა რუსეთის მისამართით მწვავედ აღარ აღიქმება, ასეთ კრიტიკას ყურს უგდებენ და პატივს სცემენ.

**— მაგრამ ხელისუფლება ხომ ქვეყნის სახეა?**

— სამაგიეროდ, ხელისუფლება წარმავალია და არა — მუდმივი (თუმცა სააკაშვილი ცდილობს, პოლიტიკაში ამა თუ იმ ფორმით მუდმივად დარჩეს და კონსტიტუცია თავისი ხუშტურების მიხედვით ცვალოს). მუდმივი საქართველოს ინტერესებია. თუ ჩვენ მივაღწევთ საქართველოს ხელისუფლების დემოკრატიული მეთოდებით შეცვლას, მაშინ საქართველოს თუნდაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გაცილებით ადვილი იქნება.

მინდა ასევე აღვნიშნო, რომ ჩვენთანაც იყო გავრცელებული აზრი, თითქოს რუსეთი იშლება, რაც აბსურდია. თქვენ რომ გენახათ, როგორ ხვდებოდნენ ამ დელეგაციების წარმომადგენლები რუსებს, საბჭოთა კავშირი გაგახსენდებოდათ. მაგრამ, საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, გულწრფელობა ამ ემოციურ დახვედრაში გაცილებით მეტი იყო.

**— ისინი დელეგაციების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ რა განწყობაა ხალხში, მათაც იგივე სურვილი აქვთ და მოსწონთ რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა?**

— ამ დელეგაციების წევრები მხოლოდ ოფიციალური პირები არ არიან, იქ არიან ვეტერანები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისტორიკოსები და ა.შ. ბევრ ისეთ ადამიანსაც შევხვდი, ვინც კრიტიკულადაა რუსეთის ხელისუფლებისადმი განწყობილი, მაგრამ არც კი განიხილება, რომ რომელიმე რესპუბლიკა რუსეთის შემადგენლობიდან გავიდეს. ჯერ ერთი, რუსეთის დოტაციებზე არიან დამოკიდებული და რუსეთის გარეშე ვერ იარსებებენ. დამოუკიდებლად რა უნდა აკეთონ ჩერქეზებმა და ჩრდილო ოსებმა? დასავლეთის მოწყალებას ელოდონ? რომელიც ვნახეთ, რაც არის. ეს ხალხი არ არის უგუნური, მათ თვალწინ აქვთ ჩეჩნეთის მაგალითი, შეხედეს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ სისხლისღვრისა და გაჭირვების მეტი არაფერი მოუტანა ამ ქვეყნებს, თუნდაც საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს. ამიტომ მათ არ სურთ სხვისი შეცდომების გამეორება.

**— მაგრამ ამ ქვეყნებს მოუტანა ნანატრი თავისუფლება.**

— **ეს თავისუფლებაც ფილოსოფიური საკითხია. ადამიანი შეიძლება ციხეში უფრო თავისუფალი იყოს, ვიდრე — ოქროს სასახლეში. შენ გაერო წევრი ხარ თუ რუსეთის შემადგენლობაში იმყოფები, ამით შენი თავისუფლება არ განისაზღვრება. ეს უნდა გავაგებინოთ აფხაზებსაც და ოსებსაც. უნდა ავუხსნათ, რომ მათ თავისუფლებას არ ვეხებით იმით, რომ ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში იცხოვრონ, ოღონდ გარანტად რუსეთი თუ არ დაუდგა, არც აფხაზები და არც ოსები ჩვენთან ურთიერთობას არ მოისურვებენ.**

**— დაბოლოს, რას გვეტყვით ჩრდილოეთ ოსეთში ქართველების მდგომარეობის შესახებ, თქვენ თავად ახსენეთ ვლადიკავკაზის ქართული სკოლა, როგორ ცხოვრობენ ქართველები იქ? ხომ არ ავიწროებენ მათ?**

—მართალია, აგვისტოს ომის შემდეგ ბევრმა ქართველმა გვარი შეიცვალა და რუსული აიღო, მაგრამ ასევე ბევრი ადამიანი ინარჩუნებს თავის ქართველობას. მათ არავინ ავიწროებს. **ადგილობრივ ქართველებს შევხვდი და მითხრეს, რომ აგვისტოს ომის დროს მათთან სახლებში მოდიოდნენ რუსეთის უშიშროების — „ფეესბეს“ წარმომადგენლები და აფრთხილებდნენ, თუკი ვინმე ეცდებოდა მათ შევიწროებას, დაერეკათ. უშიშროების თანამშრომლები თავიანთ ტელეფონის ნომრებს უტოვებდნენ ქართველებს. მაგრამ მათი დახმარება საჭირო არ აღმოჩნდა.** ქართველები ოსეთში ნორმალურად ცხოვრობენ. ვლადიკავკაზში მანქანით ჩავედი, იქაურმა ქართველმა მძღოლმა ჩამიყვანა, რომელსაც სამუშაო აქვს და დამატებით შემოსავალს ასე, ტაქსით, იღებს. ეს კაცი საქართველოში დედას და ორ უმუშევარ ძმას არჩენს, პლუს ამას, შვილი გამოუშვა სასწავლებლად და ფიქრობს, თბილისში ბინა შეუძინოს. მას აქვს ახალი ავტომანქანა „ვოლგა“, რომელშიც ათი ათასი დოლარი გადაიხადა. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთში სამუშაო პირობები გაცილებით უკეთესია, ვიდრე ჩვენთან. ჩვენს თანამემამულეებს კი ჩვენი ხელისუფლების უპასუხისმგებლობამ და სისულელეებმა საარსებო წყარო არ უნდა მოუსპოს.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

# ერთობით მიღწეული დიადი გამარჯვება:
## კავკასია დიდი სამამულო ომის წლებში

**სამშობლოს შეწირული გმირების ხსოვნას მოფრთხილება სჭირდება, ვეტერანების მიმართ გამოჩენილი ყურადღება კი, უპირველესად, ჩვენს თაობას შესძენს ღირსებას — წარსულის გააზრება და მის მიმართ პატივისცემა მომავლის სწორად განსაზღვრაში დაგვეხმარება. სწორედ ეს მუხტი იგრძნობოდა საბრძოლო დიდების ქალაქ ვლადიკავკაზში 28-29 აპრილს გამართულ მეორე საერთაშორისო რეგიონულ კონფერენციაზე „ერთობით მიღწეული დიადი გამარჯვება: კავკასია დიდი სამამულო ომის წლებში“.**



კონფერენციის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო კავშირების განვითარების ხელშემწყობი არაკომერციული პარტნიორობა „კავკასიური თანამშრომლობა“ და მასში მონაწილეობდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, სახელმწიფო მოხელეები და საზოგადო მოღვაწეები, მაძიებელთა მოძრაობის მონაწილენი როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ კავკასიიდან. კონფერენციის 100-ზე მეტი მონაწილე ორი დღის მანძილზე განიხილავდა დიდი სამამულო ომის ისტორიის შესწავლის, ჩრდილოეთ კავკასიასა და ამიერკავკასიის ქვეყნებში დიადი გამარჯვების ხსოვნის შენარჩუნებისთვის აუცილებელი ღონისძიებების ფართო სპექტრს.

საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება დიდი სამამულო ომისა და ერთობით მიღწეული დიადი გამარჯვების მიმართ საყოველთაოდ ცნობილია და, შესაბამისად, თუკი სხვა ქვეყნები სახელისუფლო დონეზეც კი იყო წარმოდგენილი, საქართველოს მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოადგენდა. კონფერენციის მონაწილეებთან ქართული დელეგაციის წევრების საუბრებისას არაერთხელ დავრწმუნდით, რომ არც ჩრდილოეთ და არც სამხრეთ კავკასიაში საქართველოს და მის ამჟამინდელ ხელისუფლებას არავინ აიგივებს ერთმანეთთან. ეს გარემოება გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების მცდელობა, ჩრდილოკავკასიელი ხალხები საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს, უპერსპექტივოა.

**ქართული დელეგაციის წევრებს — საქართველოს ეროვნული და სოციალური ურთიერთობების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას (დელეგაციის ხელმძღვანელი), საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორს არნო ხიდირბეგიშვილს, არასამთავრობო ორგანიზაციის „ისტორიული მემკვიდრეობა“ თავმჯდომარეს ტარიელ გაგნიძეს, ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორს გულბაათ რცხილაძესა და ამ სტრიქონების ავტორს განსაკუთრებული სითბოთი და გულისხმიერებით გვესაუბრებოდნენ და საგანგებოდ აღნიშნავდნენ ქართველი ხალხის მიმართ დიდ პატივისცემასა და სიყვარულს, მის მნიშვნელობას კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საქმეში.**

კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე დელეგატებმა გვირგვინებით შევამკეთ ვლადიკავკაზის დიდების მემორიალი და პატივი მივაგეთ დიდების ხეივანში დაკრძალულ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეთა ხსოვნას. სხვადასხვა თაობის ადამიანებს — კონფერენციის მონაწილეებს, ვლადიკავკაზის სკოლის მოსწავლეებსა თუ ვეტერანებს, მსახიობებს, რომლების ფრონტის კადრებს აცოცხლებდნენ, ამ დღეს დიადი გამარჯვების მორიგი თარიღის ღირსეულად აღნიშვნა გვაერთიანებდა.

საზეიმო გამწყობა მომენტალურად შეგვეცვალა, როდესაც ბესლანის პირველ საშუალო სკოლას ვეწვიეთ. დამთრგუნველი სანახავი იყო სპორტული დარბაზი. აქ 2004 წლის 1-3 სექტემბერს ჯერარნახული ტრაგედია დატრიალდა — ასეულობით ადამიანი, უპირველესად, სკოლის მოსწავლეები და მათი პატარა დაძმები, ტერორისტების თავდასხმას ემსხვერპლნენ. ყველგან სათამაშოები და წყალი, წყალი, წყალი... იმის გასახსენებლად, რომ მწყურვალ ბავშვებს სამი დღის მანძილზე წყალსაც არ აძლევდნენ სულის მოსათქმელად... თვალცრემლიანები ვათვალიერებდით დაცხრილულ კედლებზე გამოფენილ დაღუპულთა ფოტოსურათებს. ძნელია ამ დროს ემოციების მოთოკვა. ამიტომაც იყო, რომ ბევრს ემოციამ გვძლია და ცრემლს მალულად ვიმშრალებდით. შემდეგ კი „ანგელოზთა ქალაქის“ — არაადამიანების მიერ უმოწყალოდ დახოცილთა მემორიალურ სასაფლაოზე, სადაც ყველა ერთად დაკრძალეს, პირგამეხებულები უხმოდ ვათვალირებდით მათ უკანასკნელ განსასვენებელს და ვფიქრობდი: **მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრეზიდენტი, ფიცის დადების შემდეგ აქ, სწორედ აქ, ბესლანის სკოლის სპორტულ დარბაზში, ამ „ანგელოზთა ქალაქში“ უნდა მოვიდეს, რათა სიღრმისეულად გაიაზროს თავისი პასუხისმგებლობა მომავალი თაობებისა და ისტორიის წინაშე** (ამ თემაზე მომავალ პუბლიკაციაში ვრცლად ვისაუბრებ).



ასეთი ემოციებით დატვირთულები დავბრუნდით ვლადიკავკაზის მერიის შენობაში, სადაც ფოიეში გამოფენილი საბრძოლო დიდების ამსახველი სტენდებიდან შემოგვყურებდნენ გმირები, რომლებმაც ერთიანი სამშობლოსთვის თავდადებისა და თავგანწირვის უბადლო მაგალითები გვიჩვენეს და ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი.

კონფერენციას უძღვებოდა „კავკასიური თანამშრომლობის“ დირექტორი ნიკოლაი სილაევი, რომელიც კავკასიის პრობლემატიკას სიღრმისეულად იცნობს და კავკასიის საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი ღონისძიების სულისჩამდგმელია.

**ქართული დელეგაციიდან მოხსენებებით გამოვიდნენ ბატონები ალექსანდრე ჭაჭია, არნო ხიდირბეგიშვილი და გულბაათ რცხილაძე. ამ და სხვა გამოსვლების შესახებ მომდევნო წერილში გიამბობთ და კონფერენციის შესახებ ამომწურავ პუბლიკაციას შემოგთავაზებთ.**

ასევე საგანგებოდ ვისაუბრებთ ვლადიკავკაზის №19 ქართულ სკოლის შესახებ, რომელიც 120-წლიან ისტორიას ითვლის და ჩრდილოეთ ოსეთში ჩაუმქრალი ქართული კერაა. იმ სასწრაფოდ მისახედი ეკლესიის შესახებაც გიამბობთ, სადაც სამი თვის ასაკში მონათლეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

**განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ქართული დელეგაციის მიმართ გამოჩენილი ყურადღება ოსი მასპინძლების მხრიდან, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში, როგორც კავკასიური ტრადიციების ერთგულების ნიშანი იმ რწმენის განსამტკიცებლად, რომ ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობაში პოლიტიკოსთა უპასუხისმგებლობით გაჩენილი ბზარი არც ისე ღრმაა და მომავალში აუცილებლად დაიძლევა. ასევე აღდგება კავკასიის ხალხებს შორის კეთილმეზობლობა და მეგობრობა, რადგან ჩვენ საერთო უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე განმასხვავებელი. უპირველესად კი, საერთო წარსული გვაკავშირებს და დიადი გამარჯვება — ერთობით მიღწეული.**

**ბონდო მძინარაშვილი**

## ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**უგულავას ნათესავთან სარფიან საპროცესო გარიგებაზე შეთანხმება, ალბათ, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ქალაქის მერის ნათესავს ფული რატომ უნდა გადაეხადა, როცა გარანტია ჰქონდა, რომ შეწყალებით მისი გამოყვანა და მსჯავრისგან გათავისუფლება დაკავებიდან 7 თვეში მოხდებოდა?!**

# შერჩევითი სამართალი

## თბილისის მერის ნათესავის, კახეთის გუბერნატორის მამიდისა და საოლქო პროკურორის ცოლის ძმის მიმართ საქართველოს ხელისუფლებამ შერჩევითი სამართალი განახორციელა

**საალდგომოდ შეწყალებას ათასობით პატიმარი ელოდა, მაგრამ გაათავისუფლეს მხოლოდ ის ადამიანები, ვისაც სასჯელის მოხდამდე რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი. შეწყალების უფლება, მოგეხსენებათ, პრეზიდენტს ერთპიროვნულად აქვს, ისიც ცხადია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტთა ნათესავ-მეგობრებს მეტად სწყალობს. ამიტომაც მოხდა, რომ შეწყალებულთა სიაში აღმოჩნდა თბილისის მერის — გიგი უგულავას ნათესავი, ვინმე გოდერძიშვილი, რომელსაც 11 წელი ჰქონდა მისჯილი და აქედან მოხდილი — მხოლოდ 7 თვე.**

გიგი უგულავა



გიორგი ღვინიაშვილი



ვაჟა მაღრაძე



**იმ ადამიანის ვინაობა, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ცნობილია, მაგრამ მისი პასუხისგებაში მიცემა არ ხდება, რადგან კახეთის ენერგოდისტრიბუციის ლაგოდეხის სერვისცენტრის მენეჯერი ბესიკ კობერიძე საოლქო პროკურორის პირველი მოადგილის — ვაჟა მაღრაძის ცოლის ძმაა**

ბევრი თქვენგანი შენიშნავს, უგულავას ნათესავი საერთოდ რომ დაიჭირეს, ესეც საოცარიაო, მაგრამ, სასჯელის ზომას თუ გავითვალისწინებთ, ძნელი მისახვერდი არ უნდა იყოს, რომ უგულავას ნათესავს საკმაოდ მძიმე მსჯავრი ჰქონდა წაყენებული. ბოლო დროს საქართველოში საპროცესო გარიგებით სრული თავისუფლება აღარ იყიდება.

**პროკურორები ცდილობენ, მსჯავრდებულს თანხაც გადაახდევინონ და თავისუფლების აღკვეთაც შეუფარდონ რამდენიმე წლით. უგულავას ნათესავთან სარფიან საპროცესო გარიგებაზე შეთანხმება, ალბათ, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ ქალაქის მერის ნათესავს ფული რატომ უნდა გადაეხადა, როცა გარანტია ჰქონდა, რომ შეწყალებით მისი გამოყვანა და მსჯავრისგან გათავისუფლება დაკავებიდან 7 თვეში მოხდებოდა?!**

საქართველოში შერჩევითი სამართლის არსებობა უცხო არავისთვისაა, ზოგს ერთი ბოთლი ლუდის მოპარვისთვის უმაღლეს სასჯელს უსჯიან; ზოგს კი არათუ სხვისი ქონების, სახელმწიფო სახსრების მითვისებისთვისაც არ სთხოვენ პასუხს. მეტიც, ჩვენს ქვეყანაში პერიოდულად ხდება რომელიმე დანაშაულის სახეობის წამოწევა, რასაც, კლასიფიკაციის მიხედვით, ამ პროფესიის ადამიანთა დაკავების მთელი კასკადი მოჰყვება ხოლმე.

ახლა მანდატურების მნიშვნელობის ხაზგასასმელად ძალიან პოპულარულია პედაგოგებისა და ბავშვების ურთიერთობა. სასტიკი მასწავლებლებისა და დაჩაგრული ბავშვების არაერთი ამბავი მოხვდა საინფორმაციო საშუალებებში. ყველა შემთხვევაში მკაცრი ზომები იქნა გატარებული. კანონს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო პოლიტიკაა ასეთი, რომ მანდატურებმა „ულირსი“ პედაგოგები უნდა გამოავლინონ, მაგრამ ესეც, ცხადია, ყველა პედაგოგს არ ეხება. ადამიანის უფლებათა ცენტრი ვაზისუბნის საჯარო სკოლიდან მათემატიკის მასწავლებლის — ნუნუ ირემაშვილის გათავისუფლებას მოითხოვს. უფლებადაცვითი ორგანიზაციის კახეთის ოფისის ინფორმაციით, მასწავლებელმა მეხუთე კლასის მოსწავლეს — ლუკა იაგანაშვილს თავი კედელსა და მერხზე არტყმევინა. აღნიშნულთან დაკავშირებით ტელეკომპანიებმა სიუჟეტი კი მოამზადეს, მაგრამ ეთერში არ გაუშვიათ. არადა, ასეთ შემთხვევებს ტელევიზიები, როგორც წესი, ხელიდან არ უშვებენ. გახსოვთ, ალბათ, მასწავლებლის მიერ ფანდურით მოსწავლის ცემის ფაქტი ლამის ორი კვირის განმავლობაში ტრიალებდა საინფორმაციო გამოშვებებში. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინფორმაციით, 18 აპრილს ვაზისუბნის სკოლაში მეხუთე კლასის ხელმძღვანელი ნუნუ ირემაშვილი სადამრიგებლო კლასში ბუნების გაკვეთილზე შევიდა და მოსწავლე ბუნების მასწავლებლისა და თანაკლასელების თანდასწრებით სასტიკად სცემა.

ბავშვს, რომელსაც თავი კედელზე არტყმევინა და თავსა და სახეში ბეჭდიანი ხელით ურტყა, ნუნუ მასწავლებელი თან ემუქრებოდა თურმე, „ახლა უარესად არ გამაბრაზო, თორემ, ტუფლი თუ გავიხადე, ქუსლით თავს გაგიხვრეტო“. ადამიანის უფლებათა ცენტრმა, ამ საკითხის შესწავლისა და შესაბამისი ზომების მიღების მიზნით, ადგილობრივ პროკურატურას მიმართა. **ნუნუ არავის დაუსჯია, რადგან ის თურმე კახეთის გუბერნატორის — გიორგი ღვინიაშვილის მამიდა გახლავთ, ამიტომაც, სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით, უფლება აქვს, არასრულწლოვანს სცემოს, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანის ცემა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, დასჯადი ქმედებაა.**

საბედნიეროდ, ლუკას სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებია, მაგრამ უფრო ტრაგიკულად განვითარდა მოვლენები ლაგოდეხის რაიონის სოფელ კართუბანში მცხოვრები არევაძეების ოჯახში. **კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, 20 თებერვალს სოფელ ვარდისუბანში თოვლის სიმძიმის შედეგად გაწყვეტილი ელექტროგადამცემი ხაზების გაბმის დროს მოულოდნელად ელექტროენერგია ჩაირთო, რასაც ორი ადამიანის — 40 წლის ნიკოლოზ არევაძისა და 29 წლის ავთანდილ ყოჩიაშვილის სიცოცხლე შეეწირა.** ფაქტზე გამოძიება კი დაიწყო, მაგრამ დამნაშავეები არავის დაუსჯია. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, იმ ადამიანის ვინაობა, რომელმაც ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ცნობილია, მაგრამ მისი პასუხისგებაში მიცემა არ ხდება, რადგან კახეთის ენერგოდისტრიბუციის ლაგოდეხის სერვისცენტრის მენეჯერი ბესიკ კობერიძე საოლქო პროკურორის პირველი მოადგილის — ვაჟა მაღრაძის ცოლის ძმაა და საქმის გამოძიების გაჭიანურებაც ამას უკავშირდება. სიცოცხლის მოსპობის ფაქტებზეც კი თბილისში საქმის ჩაფარცხვის არაერთი ფაქტის გახსენება შეიძლება. ამის ნათელი მაგალითია სანდრო გირგვლიანი, ბუთა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი და ა.შ. დაუსჯელობისა და შერჩევითი სამართლის პრეცენდენტი ხელისუფლებამ ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციის“ პროცესში დაუშვა, როცა ორი ადამიანი — დავით საყვარელიძე და ეთერ წულიაშვილი, თბილისში, გორგასლის ქუჩაზე, ჯავშანტრანსპორტიორთან შეჯახების შედეგად გარდაიცვალა, ამავე ავტომანქანაში ისხდნენ მათი მცირეწლოვანი შვილებიც, რომლებიც სიკვდილს კი გადაურჩნენ, მაგრამ ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს. დავით საყვარელიძის და დიდხანს ჩიოდა და შს მინისტრის მოადგილის — შალვა ჯანაშვილის (მაშინდელი სპეცოპერაციების ცენტრის უფროსის) დასჯას ითხოვდა, ვინაიდან ჯავშანტრანსპორტიორების გადაადგილების ბრძანება სწორედ მან გასცა, თუმცა ჯანაშვილი ამისთვის არათუ დასაჯეს, დღეს ვანო მერაბიშვილის მოადგილედაა დაწინაურებული. შერჩევითი სამართლის ნათელი მაგალითია ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანის ძმის და კრიმინალური პოლიციის უფროსის, ერეკლე კოდუას ცოლისძმის, მიხეილ ჟორჟოლიანის გათავისუფლებაც, რომელიც ვაკეში, ერთ-ერთ ბარში, ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს რამდენიმე ადამიანთან ერთად. დაკავებისას პოლიციელიც დაშავდა. პოლიციელის შეურაცხყოფას კი, მოგეხსენებათ, მერაბიშვილი არავის პატიობს. მსგავსი ქმედება კანონითაც უმკაცრესად ისჯება, მაგრამ ის, რაც არ ეპატიება სხვას, ეპატიება „ნაცგუნდის“ წარმომადგენლებს. ჰოდა, ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ, მიხეილ ჟორჟოლიანსაც თავისუფლება აჩუქეს.

რეგიონებში ასეთი საქმეები კიდევ უფრო ადვილად და წყნარად გვარდება. ძალა აღმართს ხნავს. ხელისუფლებაში მოკალათებულ ჩინოვნიკებსა თუ მათ ნათესავებს ადვილად შეუძლიათ მიიღონ ის, რაც სურთ, იქნება ეს ადამიანის სიცოცხლე თუ ქონება. ქონების წართმევის კლასიკურ მაგალითზე „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე თვის წინათ მოგითხროთ, როდესაც ვანო მერაბიშვილის მეუღლის, თაკო სალაყაიას ბიძამ ცოლის ობოლ ძმისშვილებს მთელი ქონება წაართვა და უსახლკაროდ დატოვა. მერაბიშვილის გამინისტრებამდე მისი ნათესავები საქუაშვილების სახლს სიდუხჭირის გამო შეეფარნენ. როგორც აწ გარდაცვლილი ბიზნესმენის — ნოდარ საქუაშვილის მეუღლე, ლია ელიზბარაშვილი აცხადებს, საქუაშვილის დის, ქეთევან ჯინჭველაძის მეუღლე, თაკო სალაყაიას ბიძა გახლავთ. რამდენიმე წლის წინათ, როცა მერაბიშვილის აღზევების ხანა ჯერ კიდევ შორს იყო, ჯინჭველაძეებს თურმე ძალიან უჭირდათ და სალაყაიას ბიძა ოჯახით ცოლის ძმასთან გადასულა საცხოვრებლად. ახლა კი სწორედ ამ სახლიდან მისი კანონიერი მემკვიდრეები გაყარა და ქონებას თვითონ დაეპატრონა. მეტიც არათუ სახლი, საქუაშვილებს მან მამის მთელი ქონება წაართვა.

კითხვა მეტისმეტად რიტორიკულია, მაგრამ არსებობს თუ არა შერჩევითი სამართალი საქართველოში, მაინც გადავამოწმეთ ადამიანის უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძესთან, ვისაც მსგავს ფაქტებთან შეხება ხშირად აქვს.

**— ქალბატონო ნანა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეწყალებით გაათავისუფლეს გიგი უგულავას ნათესავი, რომელსაც 11 წელი ჰქონდა მისჯილი და აქედან მოხდილი — მხოლოდ 7 თვე, არსებობს თუ არა საქართველოში შერჩევითი სამართლის ტენდენცია?**

— რაც შეეხება შერჩევით სამართალს, უკვე საერთაშორისო ორგანიზაციებიც წერენ და სახელმწიფო დეპარტამენტმა პირდაპირ თქვა იმის შესახებ, რომ საქართველოში შერჩევითი სამართალი არსებობს. **მაშინ, როდესაც მაღალჩინოსნები აშავებენ, ყველაფერი შეიძლება მოგვარდეს ისე, როგორც ხელისუფლებას სურს, მაგრამ როდესაც რიგითი მოქალაქეა დამნაშავე, ისჯება უმკაცრესად.** რაც შეეხება გიგი უგულავას ნათესავს, ამ ინფორმაციაზე კომენტარი შეწყალების კომისიის წევრმა ელენე თევდორაძემაც გააკეთა. ფაქტია, პრეზიდენტს კანონით აქვს ნებისმიერი პატიმრის შეწყალების უფლება და შეიწყალა კიდეც. პრეზიდენტმა კანონი კი არა, სამართლიანობა დაარღვია, რადგან კანონი არ უკრძალავს მას ასეთ შემთხვევაშიც კი შეწყალებას და მან ეს უფლება გამოიყენა“.

**სოფო გელაშვილი**

მსოფლიო

## ევროკავშირი ლიბიაში სახმელეთო ოპერაციას ამზადებს

**თუ გაერო საერთაშორისო კოალიციას ლიბიაში მოქმედებების გაფართოებისათვის მანდატს გადასცემს, ევროკავშირი ლიბიაში მასშტაბურ სამხედრო ოპერაციას დაიწყებს.** ამის შესახებ საუბარია 60-გვერდიან მასალაში, რომელიც გერმანული გამოცემა „ბილდის“ ჟურნალისტებმა მოიპოვეს. გამოცემის ინფორმაციით, სამხედროები მზად არიან, ჩაატარონ სამხედრო ოპერაცია ლიბიის მთელ ტერიტორიაზე სუდანის სამხრეთ საზღვრის ჩათვლით. ოპერაციაში ყველა სახის სამხედრო დანაყოფი მიიღებს მონაწილეობას.



## ნატოს პირობა კადაფის

**ნატო დაზავების შესახებ ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის წინადადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ პოლკოვნიკის შეიარაღებული ძალები მშვიდობიანი ლიბიელების დახოცვას შეწყვეტენ.** „ნატოში არა სიტყვების, არამედ საქმის სჯერათ... საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ კადაფიმ განცხადება რამდენიმეჯერ გააკეთა, თუმცა ქალაქებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმას მაინც განაგრძობს“, — განაცხადა ნატოს წარმომადგენელმა.

ის, რომ კვეზერელმა დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა, უბრალოდ, აბსურდია, ვინაიდან სახელმწიფო თუ სხვა პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი თუ განხორციელებული სამუშაოების გასაკონტროლებლად მონიტორინგის ან ინსპექტირების ჯგუფები იქმნება, რომელთაც მინისტრი ან მისი რომელიმე მოადგილე ხელმძღვანელობს.

ნაც-ელიტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ჯავშნოსანი კვეზერელი,
## ანუ რატომ არ აღმოჩნდა 6-მილიონიანი აფერისათვის დაკავებულთა შორის სოფლის მეურნეობის მინისტრი

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახალ სკანდალში გაეხვა. აღმოჩნდა, რომ მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც 6 500 000 ლარი დაიხარჯა და რომლის მიზნობრივად გამოყენების შემთხვევაში ქვეყანას მარცვლეულის დეფიციტი არ უნდა ჰქონოდა, გამქრალია. მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციულმა დეპარტამენტმა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კრედიტების უკანონოდ განკარგვის ფაქტი გამოავლინა. ამ ეტაპზე დასრულდა მრავალეპიზოდიანი საქმის გამოძიება, რომელიც შეეხება სოფლის მეურნეობისთვის, კერძოდ მეთესლეობის პროგრამის განვითარებისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ 2006 წელს ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი 6 500 000 ლარის ხარჯვას. შედეგად მხილებულია 19 პირისგან შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი.**



გამოძიებით დადგენილია, რომ კასპის სპირტის ქარხნის (სს „საქართველოს ნაციონალური პროდუქტების კომპანია“) დირექტორმა ვალტერ აბაშიძემ, გურჯაანის სპირტის ქარხნის (შპს „ტრიადა ჯგუფი“) დირექტორებმა — მერაბ ჯიბუტმა და კარლო ჩაკვეტაძემ, დამფუძნებლებმა — ამირან გოგიძემ და დავით ფანჯაკიძემ, შპს „აგროგრუპის“ დირექტორმა ლევან ვადაქარიამ და დანაშაულში მონაწილე სხვა პირებმა **მეთესლეობის პროგრამის განვითარებისთვის გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში მიღებული თანხები, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ნაცვლად, მთლიანად დააბანდეს სპირტის არალეგალურ, შავ ბიზნესში და ბოლო წლების მანძილზე უკანონოდ აწარმოეს და გაყიდეს 2 500 ტონა სპირტი. ამ საქმიანობის შედეგად დანაშაულებრივმა ჯგუფმა მიიღო 9 500 000 ლარის ოდენობის უკანონო შემოსავალი.** ვალტერ აბაშიძე, მერაბ ჯიბუტი, კარლო ჩაკვეტაძე, ამირან გოგიძე, დავით ფანჯიკიძე და ლევან ვადაქარია პატიმრობაში იმყოფებიან. მათ ბრალად ედებათ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, აგრეთვე, საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენება. დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებითა და 210-ე მუხლით. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს 8-იდან 12 წლამდე პატიმრობა ელით“, — ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში. სატელევიზიო კომენტარებში პროკურატურის წარმომადგენელმა ზაზა ქაჩიბაიამ განაცხადა, რომ **სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებული იყო, მონიტორინგი განეხორციელებია აღნიშნული პროგრამის მიმდინარეობის პროცესისთვის, შესაბამისად იყო მოლოდინი, რომ პასუხისმგებელი პირები ამ სამინისტროდანაც გამოვლინდებოდნენ, თუმცა, როგორც ჩანს, ისინი იმდენად მაღალი თანამდებობის პირები აღმოჩნდნენ, რომ პროკურატურას მათი დაკავების საშუალება არ მიეცა.** პროგრამა, რომელიც მიხეილ სვიმონიშვილის მინისტრობის დროს დაიწყო (ანუ 2006 წელს), 2011 წლამდე რომ არ ხორციელდებოდა, ეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უნდა სცოდნოდა მაინც, რადგან კვეზერელს, იმედია, არ ჰგონია, რომ თესლის გამოყვანას, რაშიც სახელმწიფომ 6 მილიონი გადაიხადა, 6 წელი არ სჭირდება. ის, რომ კვეზერელმა დანაშაულის შესახებ არაფერი იცოდა, უბრალოდ, აბსურდია, ვინაიდან სახელმწიფო თუ სხვა პროგრამების ფარგლებში განსახორციელებელი თუ განხორციელებული სამუშაოების გასაკონტროლებლად მონიტორინგის ან ინსპექტირების ჯგუფები იქმნება, რომელთაც მინისტრი ან მისი რომელიმე მოადგილე ხელმძღვანელობს. პროგრამას აქვს ვადები. სპეციალისტებითა და იურისტებით დაკომპლექტებული ჯგუფი დადგენილი პერიოდულობით შესრულებულ სამუშაოებს ამოწმებს და მიღება-ჩაბარების აქტებით იბარებს. ინსპექტირების ჯგუფი წერილობით აბარებს ანგარიშს ჯგუფის ხელმძღვანელს, შემდგომ კი ინფორმაცია, ასევე წერილობით, ეცნობება მინისტრს, პროგრამაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ კი — სამართალდამცავ სტრუქტურებს. 6-მილიონიანი პროგრამა კერძო პირების გამდიდრებას რომ მოხმარდა და ქვეყანამ არამარტო ფინანსური ზარალი განიცადა, არამედ თესლის გარეშეც დარჩა, ამის შესახებ რომ სამინისტროს წლების განმავლობაში შესაბამისი უწყებებისთვის არ უცნობებია, ზაზა ქაჩიბაიას განცხადებიდან კარგად ჩანს. ამავე განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, პროკურატურამ სამინისტროს მაღალჩინოსნების დანაშაულიც გამოკვეთა, თუმცა ამას მსვლელობა არ მისცემია.

კვეზერელის კანტორაში ასეთ პროექტებს ის ადამიანები იგებენ, ვისაც მფარველები ხელისუფლების ზედა ეშელონებში ჰყავს. მართალია, სახელმწიფოს მხრიდან მეთესლეობის განვითარების ფარგლებში დაკრედიტება მიხეილ სვიმონიშვილის მინისტრობის დროს მოხდა, მაგრამ მაშინ ისიც სააკაშვილის გუნდის წარმომადგენელი იყო და ცხადია, მინიმალურ პროცენტად მილიონებს გრძელვადიანი კრედიტით მხოლოდ ხელისუფლებისთვის სასურველ ბიზნესმენებს თუ მისცემდა. მაშინ მათ რიცხვში მოხვდა, სხვათა შორის, ირაკლი ოქრუაშვილის ახლო ნათესავი, სოსო ოქრუაშვილიც. სვიმონიშვილი წავიდა, მაგრამ ბაკურმაც მაგრად დახუჭა თვალი, რომ დანაშაულებრივი ქმედებები, რომელთაც აღნიშნული ბიზნესმენები ახორციელებდნენ, არ დაენახა. ბოლო დროს ხშირად ხდება, რომ ხელისუფლება თავისივე ბიზნესმენებს დაერევა ხოლმე. ჰოდა, მათაც თუ 9 მილიონი იშოვეს სახელმწიფოს მიერ მიცემული 6 მილიონიდან, თანხები იქ უნდა მიიტანონ, სადაც საჭიროა. ამიტომაც მოიკითხეს, ეტყობა, ეს საქმე 5 წლის შემდეგ. არ არის გამორიცხული, კვეზერელს ცხვირში ამოადინონ, აქამდე რომ არ მისცა ეს მსუყე ლუკმა ფულსმოწყურებულ უმაღლეს ხელისუფალთ.

სხვათა შორის, პროკურატურა სოფლის მეურნეობის სამინისტროთი ადრეც დაინტერესდა, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად. მათ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნები და რამდენიმე სამელიორაციო ასოციაციის ხელმძღვანელი პირი დააკავეს. მაშინაც ანტიკორუფციული საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სამელიორაციო სისტემის განვითარებისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესწავლა, შედეგად დააკავეს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის სამმართველოს უფროსი ზურაბ ქაჯაია და ამავე სამმართველოს თანამშრომელი პაატა ტუღუში, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სამელიორაციო სახელმწიფო საწარმოს დირექტორი დავით მუჯირიშვილი. მათ ბრალად ედებოდათ თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით მეწარმეებისთვის ქრთამის გამოძალვის არაერთი ფაქტი. გამოძიებით დადგინდა, რომ **რეგისტრაციის პროცედურების, სამსახურებრივი მფარველობისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელების სანაცვლოდ, სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლების მიერ ქრთამის სახით აღებულმა თანხამ მთლიანობაში შეადგინა 310 000 ლარი.** მოკლედ, ყველაფერი იდეალურად იქნებოდა, რომ არა ერთი დეტალი: ქაჯაია, რომელიც სამმართველოს უფროსად გაასაღეს, ორი წლის განმავლობაში უფროსი აღარ გახლდათ და მას ამ ხნის განმავლობაში ორი უფროსი გამოუცვალეს. ძნელი გასარკვევია, რატომ დასჭირდათ მისი სამმართველოს უფროსად გასაღება, — იმის გამო, რომ რეალური უფროსისთვის დანაშაული ჩამოერეცხათ? იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ, მხოლოდ რიგით თანამშრომლებს კი არა, მაღალჩინოსნებსაც ვიჭერთო თუ კიდევ სხვა მოტივით? მოკლედ, **კვეზერელის სამინისტროში დიდი არეულობაა, მაგრამ მისი მინისტრობის ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მაინც ის ფაქტი რჩება, როცა სამინისტროს დაქვემდებარებული სამსახურიდან ბარიგები აიყვანეს, რომლებიც წამალს პირდაპირ სამსახურიდან ყიდდნენ. მის მიერ ამ სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნულმა დავით დგებუაძემ კი თავის კაბინეტზე განცხადება გამოაკრა: კლიმაქსიანები და კრიტიკული დღეების პერიოდში მყოფები ნუ შემაწუხებთო.** ეს განცხადება ათასობით ადამიანმა წაიკითხა. დიდხანს დააფრიალებდნენ პარლამენტში ამ სამარცხვინო განცხადების სურათებს, თუმცა კვეზერელისთვის ჩრდილი არც ამას მიუყენებია. ასეთი ფაქტების შემდეგ მინისტრი არათუ თანამდებობაზე უნდა იყოს, არამედ — პასუხისგებაში მიეცეს. მაგრამ საქართველოში ამ საკითხებს ერთპიროვნულად პრეზიდენტი წყვეტს, მას კი კვეზერელზე სიბრაზეს ვილაც ძალიან სწრაფად უქარვებს, რაც ყვარელში გამართული სამთავრობო სხდომის შემდეგაც გამოვლინდა. **გახსოვთ, ალბათ, როგორ გამოლანძღა პრეზიდენტმა სოფლის მეურნეობის მინისტრი. „თანამდებობეზე ხართ ხალხი, ვისთვისაც საუკეთესო პოზაა არაფრის კეთება, ნაცრის ქექვა და მახათის ერთ ადგილზე გაყრა. გეგონება მაძღარი ქვეყნის მთავრობას წარმოვადგენდეთ. მე ამის მოთმენას აღარ ვაპირებ... ჩვენ არ ვართ ხორცკომბინატი, რომ მინისტრებისა და თანამდებობის პირების ნაცვლად ხორცის ნაჭრები შევინახოთ,“ — მრისხანებდა სააკაშვილი.** მაშინ სააკაშვილმა სხდომაზე ევროპაში ქართული ნაძვის მოშენების ფაქტიც გაიხსენა. საქართველოდან გატანილი თესლებით ევროპაში ქართული ნაძვი მოუშენებიათ, იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული ნაძვის თესლებით დაინტერესებულან, უამრავი მცდელობის მიუხედავად, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ვერ შეუღწევიათ. „არის ასეთი პროექტი, რომელიც ევროპაში ქართული ნაძვის ხეების მოშენებას ეხება. მთელი ევროპის ნაძვის ხეების მეტი ნაწილი ქართული ნაძვის ხეებია უკვე და ეს ნაძვები ქართული თესლებისგან კეთდება. ამ პროექტს რეკლამას ქეთი მელუა უწევს. როგორ არ უარეს ამ ადამიანებმა რჩევისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მაგრამ ვერანაირი რჩევა ვერ მიიღეს. **თუ ასეა, მაშინ რაღაში მჭირდებით? მოდი ხვალ დაგხურავთ და იმ სახსრებს, რომლებიც თქვენს სამინისტროზე იხარჯება, უფრო პრიორიტეტული მიმართულებით გამოვიყენებთ,“ — განაცხადა სააკაშვილმა და კვეზერელს დაჰპირდა, რომ პირობას შეასრულებდა. ამის შემდეგ კი კვეზერელი ჯერ რეზიდენციაში დაიბარა, შემდეგ სამინისტროში იახლა. მაშინ ყველას ეგონა, რომ პრეზიდენტი, ზურაბ ანთელიძის მსგავსად, კვეზერელს პირდაპირ ეთერში, მისსავე სამინისტროში მოხსნიდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.** მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროში მისულმა პრეზიდენტმა კიდევ ერთი პრობლემა აღმოაჩინა, როცა ქართული ზეთის წარმოების ამბავი მოიკითხა: მზესუმზირის მწარმოებლებს კახური მზესუმზირა ბათუმში უნდა ჩაებარებინათ, სადაც მისი გადამუშავება და ზეთის წარმოება უნდა მომხდარიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საწარმოს მზესუმზირის დიდი ნაწილი უკრაინიდან შემოუტანია. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ უკიდურესად აფექტურმა პრეზიდენტმა თუ მაშინ თავი შეიკავა კვეზერელის გათავისუფლებისგან, ახლა 6-მილიონიანი ზარალი რომ აპატიოს და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სამთავრობო ხორცკომბინატში ხორცის ნაჭრები კიდევ დიდი ხნით შეინახოს, სანამ პირველ პირს თავად არ მოშივდება?!

**სოფო გელაშვილი**

მსოფლიო

## ამერიკა სირიის წინააღმდეგ

**სირიის ხელისუფლების მიერ მასობრივი საპროტესტო აქციების ძალისმიერი მეთოდებით დარბევის გამო ამერიკის ხელისუფლება სირიის წინააღმდეგ სანქციებს აწესებს.** ამის თაობაზე ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს პრესმდივანმა ტომ ვიეტორიმ განაცხადა. დასავლური მედიის ცნობით, აშშ-მ დამასკოში მდებარე საკუთარი საელჩოდან დიპლომატების ნაწილი უკვე გაიწვია. ამ დრომდე ხელისუფლებასა და დემონსტრანტებს შორის შეტაკებების შედეგად 350-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.



## ლიბიაში 16 ჟურნალისტი დაიკარგა

**ლიბიაში მიმდინარე კონფლიქტის გაშუქების მიზნით იქ მომუშავე ჟურნალისტებიდან 16 უზლო-უკვლოდ დაიკარგა ან ქვეყნის ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ არის დაკავებული.** დაკავებულ ჟურნალისტებს შორის სამი ამერიკელია. სამივე მათგანი ამჟამად ტრიპოლის ციხეებში იმყოფება. რაც შეეხებათ თავად ლიბიელ ჟურნალისტებს, მათგან 6 უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. 2011 წლის პირველი 4 თვის განმავლობაში მსოფლიოში უკვე 11 ჟურნალისტი დაიღუპა.

საზოგადოება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**სანოძე თავის არეშია დაჭრილი, მისი მდგომარეობა მძიმეა. ერთ-ერთი ვერსიით, სანოძე ღუდუშაურის კლინიკაში დილის 7 საათზე კი არა, სადღაც ოთხის ნახევარზე მიიყვანეს (ღუდუშაურის კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ფორუმელმა ფორუმზე დაადასტურა ამ დროისათვის კლინიკასთან ხალხმრავლობა და სპეცნაზისა და პატრულის მობილიზება). რაკი ვასილ სანოძის სახელი გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს, ჩნდება ეჭვი, რომ ის ან თავიდან მოშორებული ცოცხალი მოწმეა, ან „ნაცი“, რომელსაც გირგვლიანის ცოდვამ უწია.**

**9 მაისს, დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს, არაერთ სახელმწიფოში აღნიშნავენ. მეორე მსოფლიო ომში 72 ქვეყანა მონაწილეობდა, ბრძოლები მიმდინარეობდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეიარაღებულ ძალებში მობილიზებულ იქნა 110 მლნ კაცი. დაიღუპა 62 მილიონი. „საქართველო და მსოფლიო“ 9 მაისთან დაკავშირებით სასაუბროდ „ქართული აკადემიის“ წარმომადგენელს — ნუკრი ქანთარიას, გაზეთ „ილორის“ მთავარ რედაქტორს — როლანდ ჯალაღანიასა და ჟურნალისტს, ყოფილ სახალხო დამცველს — ნანა დევდარიანს დაუკავშირდა.**

**— იზიარებთ თუ არა ხელისუფლების გულგრილ დამოკიდებულებას დიდი სამამულო ომისა და ამ ომის ვეტერანების მიმართ?**

## ნანა დევდარიანი: ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შედარება პოლიტიკური მარაზმია



**ნუკრი ქანთარია:** — როგორ შეიძლება ეს გავიზიარო, მითუმეტეს — ვეტერანების მიმართ, რომლებიც ომში იბრძოდნენ. მამაჩემიც ამ ომის მონაწილე იყო. ბუნებრივია, ჩემი დამოკიდებულება ბევრად განსხვავდება ხელისუფლების დამოკიდებულებისაგან. თითო-ოროლა ადამიანი დარჩა იმ ომის მონაწილეთაგან, ამიტომ განსაკუთრებული პატივი და მოპყრობა სჭირდება მათ.



**როლანდ ჯალაღანია:** — როგორ შეიძლება გავიზიარო ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება ვეტერანებისა და დიდი სამამულო ომის მიმართ, მაშინ, როცა მამაჩემი ამ ომში მონაწილეობდა და მე ამით ვამაყობ. ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, იცით, ვისი შვილები არიან? — ხალხისა, ომის დროს საპონს რომ ჭამდა, დიზენტერია რომ აეკიდათ და ომში არ წასულიყვნენ. მაშინ, როცა 16 წლის ბიჭები დაბადების მოწმობას აყალბებდნენ, ასაკს იმატებდნენ, ფრონტზე რომ წასულიყვნენ. მამაჩემი მეცნიერებათა კანდიდატი იყო და მოხალისედ წავიდა. ბუნებრივია, ჩემი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ სულ სხვაა, ვიდრე ამ ხელისუფლების წარმომადგენლებისა.



**ნანა დევდარიანი:** — ნორმალურმა ადამიანმა როგორ შეიძლება ვეტერანების მიმართ ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება გაიზიაროს! თუმცა, როცა არჩევნებისთვის სჭირდებათ, თვითონ სააკაშვილი ეწვევა ხოლმე და ცეკვავს კიდეც მათთან.

**— მიიჩნევთ თუ არა 1945 წლის 9 მაისს საერთო სახალხო გამარჯვებად, რომელშიც ქართველებმა მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ?**

**ნუკრი ქანთარია:** — ამ ომში საქართველო სერიოზულად დაზარალდა და, რა თქმა უნდა, ის დიადი გამარჯვება ჩვენიცაა.

**როლანდ ჯალაღანია:** — ყველაზე მეტი მსხვერპლი პროცენტულად საქართველომ გაიღო. მაშინ საქართველოს მოსახლეობა 4 მილიონი იყო და 700 ათასი კაცი წავიდა ფრონტზე, ნახევარი იქ დარჩა. მსოფლიოში საქართველო პირველია ერთ სულ მოსახლეზე ამ ომში დანაკარგით. გარდა ამისა, ჩვენ გვყავს 147 საბჭოთა კავშირის გმირი. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ქართველმა კაცმა აიტანა დროშა რაიხსტაგზე და დააგვირგვინა ეს გამარჯვება. ზოგიერთ მშიშარა და გიჟ ადამიანს დღეს, რა თქმა უნდა, ეს გმირები არ მოსწონს.

## როლანდ ჯალაღანია: მამაჩემი სამამულო ომის მონაწილე იყო და მე ამით ვამაყობ!

**ნანა დევდარიანი:** — 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების გარდა, არის ევროპის დღე და ევროკავშირი ამ დღეს საგანგებოდ აღნიშნავს. თანაც ამ ომში უზარმაზარი წვლილი შეიტანა საქართველომ. დღეს ავღანეთსა და ერაყში რომ უხარიათ ჩვენი ჯარისკაცების ბრძოლა, კაცმა არ იცის, სხვის ომში რატომ ომობენ. ფაშიზმის დამარცხების უგულებელყოფა შეიძლება?!

## ნუკრი ქანთარია: ის დიადი გამარჯვება ჩვენიცაა!

**როლანდ ჯალაღანია:** — ჩვენს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, ვინც სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე მოკლა. მაშინ, საბჭოთა კავშირის დროს, ამას არავის აპატიებდნენ, პოლიტბიუროს წევრის შვილსაც კი. როგორ შეიძლება ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ერთმანეთთან შედარება? ვინც ამას აკეთებს (უჯიშო ხელისუფლებას ვგულისხმობ) დღემდე სოციალიზმის დროს შექმნილ ქონებას ყიდიან და მილიარდები იშოვეს.

**— თუ ეთანხმებით მოსაზრებას, რომელიც სახელისუფლო პროპაგანდამაც აიტაცა და რომელიც ფაშისტურ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს თანაბარ ბოროტებად განიხილავს?**

**ნუკრი ქანთარია:** — საბჭოთა კავშირში, მართალია, ბოროტების ნიშნები იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ფაშისტურ გერმანიასთან შედარება ჩვენი ხელისუფლების უვიცობა და სისუსტეა.

**ნანა დევდარიანი:** — ფაშისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შედარება პოლიტიკური მარაზმია. ბოლოს და ბოლოს საბჭოთა კავშირმა დაამარცხა ფაშიზმი და სწორედ ამის მერე გაერთიანდა ევროპა, სულ სხვა პრინციპებზე გადავიდა. სხვათა შორის ბევრი რამ ევროპამ საბჭოთა კავშირიდან აიღო. დღევანდელი ევროპის მოწყობა დიდწილად საბჭოთა კავშირის სისტემიდანაა აღებული.

**ლილი მიროტაძე**

# ვასილ სანოძე — მოწმე, რომელიც მოიშორეს, თუ «ნაცი», რომელსაც გირგვლიანის ცოდვამ უწია?!

**ცნობილი გახდა, რომ შსს-ს გენინსპექციის უფროსმა ვასილ სანოძემ თვითმკვლელობა სცადა. შს სამინისტრომ ვასილ სანოძის დაჭრის ფაქტი უკვე დაადასტურა. სამინისტროს ინფორმაციით, სანოძეს საკუთარ ბინაში ტაბელური იარაღი გაუვარდა. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, შსს-ს გენინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე წუხელ რესტორან „პურის სახლში“ იმყოფებოდა. სუფრასთან, სხვა პირებთან ერთად, რამდენიმე ფრანგი სტუმარიც ყოფილა. მათ რესტორანი დაახლოებით დილის 04:00 საათზე ნასვამ მდგომარეობაში დაუტოვებიათ, თუმცა რესტორან „პურის სახლში“ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელის, ვასილ სანოძის ყოფნის ფაქტს რესტორანში არ ადასტურებენ.**

ვასილ სანოძე



სანდრო გირგვლიანი





**სანოძე თავის არეშია დაჭრილი, მისი მდგომარეობა მძიმეა. ერთ-ერთი ვერსიით, სანოძე ღუდუშაურის კლინიკაში დილის 7 საათზე კი არა, სადღაც ოთხის ნახევარზე მიიყვანეს (ღუდუშაურის კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა ფორუმელმა ფორუმზე დაადასტურა ამ დროისათვის კლინიკასთან ხალხმრავლობა და სპეცნაზისა და პატრულის მობილიზება). რაკი ვასილ სანოძის სახელი გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს, ჩნდება ეჭვი, რომ ის ან თავიდან მოშორებული ცოცხალი მოწმეა, ან „ნაცი“, რომელსაც გირგვლიანის ცოდვამ უწია.**



**პაატა ზაქარეიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:** — არა მგონია, ვასილ სანოძე ხელისუფლებას მოეშორებინა, თუმცა ყველაფერი დასაშვებია. თვითმკვლელობის ვერსია უფრო მისაღებია ჩემთვის. ყველამ ნახა, როგორ ყურადღებას აქცევენ საავადმყოფოში სანოძეს და რა ამბავია ატეხილი მის გარშემო. შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ხელისუფლებამ სანოძე მაგალითად გამოიყენა — აი, რა მოუვა ნებისმიერ „ნაცს“, თუ ხელისუფლების საწინააღმდეგო ნაბიჯს გადადგამს. მე მგონი, გამოძიებას უნდა დაველოდოთ და შემდგომ უფრო გაადვილდება ამ საკითხის გარშემო მსჯელობა.



**გელა ნიკოლაიშვილი, ადვოკატი:** — ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციითაც, სანოძე საავადმყოფოში დაახლოებით სამისკენ მიიყვანეს. რაც შეეხება იარაღის გავარდნას, ვინც მაგ ინფორმაციას ავრცელებს, ბებიამისს მოუყვეს, მაგას არავინ დაიჯერებს. იმასაც ამბობენ, რომ თვითმკვლელობის მცდელობა იყოო. თუნდაც მოეშორებინათ, მომაკვდავ ადამიანზე ცუდის თქმა ცოტა უხერხულია, მაგრამ ყველას უწევს ცოდვა, ადრე თუ გვიან.



**ლაშა ჩხარტიშვილი, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:** — შეიძლება მერაბიშვილი და სააკაშვილი დაკავებული იყვნენ ცოცხალი მოწმეების მოშორებით. ეს ვერსია უფრო რეალურად მიმაჩნია სანოძესთან დაკავშირებით. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენს ხელისუფლებას საკუთარ დაჯგუფებაშიც კი არ უყვარს ცოცხალი მოწმეები. როგორც იცით, სანოძე, სულ მცირე, გირგვლიანის მკვლელობის მოწმე იყო, თანამონაწილეობასთან ერთად.



**ჯაბა ჯიშკარიანი, საზოგადოებრივი გაერთიანება „სამოქალაქო ფრონტის“ ლიდერი:** — თვითმკვლელობის ვერსიას, მგონი, არც არავინ დაიჯერებს. ვფიქრობ, ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს კონფლიქტური გაუგებრობა აქვთ, რომელიც ამ შემთხვევაში ფატალური შედეგით დამთავრდა. არა მგონია, ვასილ სანოძეს თვითმკვლელობის სურვილი გასჩენოდა, რაღაცაშია საქმე და ეს აუცილებლად გამოაშკარავდება. მე პირადად დავინტერესდი, რა ხდება გენერალურ ინსპექციაში, რატომ აქვს მის ხელმძღვანელს საქმე თავისმოსაკლავად. რაც უნდა მომხდარიყო, მე ყველაფერს მაინც სააკაშვილის რეჟიმს ვაბრალებ, რადგან ამ რეჟიმის პირობებში ადამიანები ისეთ მდგომარეობამდე მიჰყავთ, რომ ისინი იძულებული ხდებიან, თავი მოიკლან.

ვნახოთ, რას იტყვის გამოძიება, თუმცა დარწმუნებული ვარ, „დამუშავებულ“ ვერსიას შემოგვთავაზებს. მაგრამ, თუკი ყველაფერი ძველებურად მიჩქმალეს, ჩვენი გაერთიანება მას აუცილებლად გააპროტესტებს.

**ლილი მიროტაძე**

**ზოგადად არალეგალური თანხების გატანის კომფორტული საშუალება არ არსებობს, თუმცა, როგორც ვხედავთ, ამან ხელი ვერ შეუშალა გარკვეულ პირებს, ასე გაეტანათ ქვეყნიდან 4 მილიარდი. ცივილიზებულ ქვეყნებში არადეკლარირებული თანხის გამოყენება პრობლემაა, მაგრამ ეს თანხა როგორღაც ხომ უნდა გამოიყენონ? ამიტომ სხვადასხვა გზებით ახერხებენ ამ ფულის გათეთრებას.**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გამქრალი 4 მილიარდი და ქართული ეკონომიკის ნანგრევები

**გასულ კვირას ორგანიზაციამ „გლობალური ფინანსური ერთიანობა" (GFI) გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით საქართველოდან ბოლო 10 წლის განმავლობაში არალეგალურად ოთხი მილიარდი დოლარის გადინება მოხდა. ანგარიშში „განვითარებადი ქვეყნებიდან უკანონო ფინანსური ნაკადების გადინების შესახებ" ნათქვამია, რომ საქართველოდან ფინანსური რესურსების გადინება ყოველწლიურად დაახლოებით 456-474 მილიონი დოლარის მოცულობით ხდებოდა. ეს თანხა კი ისეთი პატარა ქვეყნის ეკონომიკისთვის, როგორიც საქართველოა, დამანგრეველია და ნანაგრევებიც სახეზე გვაქვს.**

## გია ხუხაშვილი: ხელისუფლება, ერთის მხრივ, გვიმტკიცებს, რომ კორუფცია დაამარცხა, მეორეს მხრივ კი — თვითონვე შიფრავს ბიუჯეტიდან თანხების მოპარვის ახალ სქემებს



GFI-ის კვლევაში ასევე ნათქვამია, რომ, ოფიციალური სტატისტიკის გარდა, არსებობს თანხები, რომლებიც ქვეყნიდან ოფიციალური არხების გვერდის ავლით გაედინება.

ექსპერტი გია ხუხაშვილი თვლის, რომ ქვეყნიდან ფულის გადინების არალეგალურ მაჩვენებელში ქართველი ჩინოსნების მიერ ქვეყნის გარეთ გატანილი თანხებიც აისახა.

**— ბატონო გია, 4 მილიარდი საქართველოსთვის საკმაოდ დიდი თანხაა, თქვენი, როგორც ექსპერტის, აზრით, რამ გამოიწვია ეს?**

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით გვახსენებს, ქვეყანაში კორუფცია დავამარცხეთო, ამგვარი განცხადებები ნაადრევია. სწორედ ამას მოწმობს ეს კვლევებიც. ეს თანხა ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება, რომელთაც თავისი ქვენაწილები აქვს. **პირველი** — ეს არის წინა ხელისუფლების ჩინოვნიკების მიერ მოპოვებული შემოსავლები, რაღაც გზებით რომ დატოვა ქვეყანა ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად და **მეორე** — ეს არის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა კორუფციული გზებით მოპოვებული შემოსავლები. დღევანდელი ჩინოვნიკებიც ნაკლებად ენდობიან თავიანთი მეცადინეობით „აყვავაებულ" ქვეყანას და ცდილობენ, გარკვეული ფინანსური გარანტიები შეიქმნან მის ფარგლებს გარეთ. ხელისუფლება, ერთის მხრივ, გვიმტკიცებს, რომ კორუფცია დაამარცხა, და, მეორეს მხრივ, ყოველდღე თვითონვე შიფრავს ბიუჯეტიდან თანხების მოპარვის ახალ-ახალ კორუფციულ სქემებს. სამწუხაროდ, ეს არ არის ერთეული შემთხვევები, კორუფციულია მთლიანად სისტემა.

**— რამდენად შესაძლებელია ქვეყნიდან თანხის უკვალოდ, ფარულად გატანა და რა საშუალებები არსებობს იმისა, რომ ეს თანხა ოფიციალურად არსად არ დაფიქსირდეს?**

— თანხის გატანა ისე, რომ არსად არ დაფიქსირდეს, ძალიან რთულია, მაგრამ ამის ერთადერთი და, ასე ვთქვათ, უებარი საშუალება არის ჩემოდნებით ფულის ტარება. თუმცა ესეც თავისთავად გარკვეულ რისკს უკავშირდება. ზოგადად არალეგალური თანხების გატანის კომფორტული საშუალება არ არსებობს, თუმცა, როგორც ვხედავთ, ამან ხელი ვერ შეუშალა გარკვეულ პირებს, ასე გაეტანათ ქვეყნიდან 4 მილიარდი. ცივილიზებულ ქვეყნებში არადეკლარირებული თანხის გამოყენება პრობლემაა, მაგრამ ეს თანხა როგორღაც ხომ უნდა გამოიყენონ? ამიტომ სხვადასხვა გზებით ახერხებენ ამ ფულის გათეთრებას.

**— ხომ არ უკავშირდება ეს ფული ხელისუფლების მხრიდან ბოლო დროს აფრიკულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების აქტიურ მცდელობას?**

— გარკვეულწილად აფრიკულ და არაბულ ქვეყნებში გახშირებული ვიზიტები სწორედ ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს არის ბოლო 10 წლის განმავლობაში გადინებული თანხა, ანუ აქ შედის წინა ხელისუფლების მიერ გატანილი თანხაც, პროცენტულად როდის რამდენი იყო, სამწუხაროდ, კვლევებში ეს არ ჩანს.

**— მსოფლი პრაქტიკას თუ გავიხსენებთ, ხელისუფლების ცვლილების დროს პირველ პირებს ანგარიშებს უყინავენ ან სხვა ხერხით ცდილობენ არალეგალურად მიტაცებული თანხის ქვეყნისთვის დაბრუნებას.**

— ყველამ უნდა იცოდეს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ეს არალეგალური თანხები მოძრაობს, სისტემური ცვლილების შემთხვევაში, საბედნიეროდ, ქვეყანას აქვს შანსი, ამ თანხების გარკვეული ნაწილი მაინც უკან დაიბრუნოს. ამის უამრავი საერთაშორისო სამართლებრივი და ლეგალური მექანიზმი არსებობს.

**თეო ტაბატაძე**

# მამათმავლობას კონსტიტუცია აკრძალავს

**უნგრეთის პარლამენტმა 18 აპრილს ქვეყნის ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელიც 2012 წლის 1 იანვარს ძალაში უნდა შევიდეს. ქვეყნის მთავარ კანონში ხაზგასმულია, რომ უნგრელ ხალხს აერთიანებს „ღმერთი და მართლმადიდებლობა". სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას სიცოცხლე, რომელიც ჩასახვიდან იწყება. ქორწინება, კონსტიტუციის მიხედვით, არის ქალისა და კაცის კავშირი. აყვირდნენ გეები, ანუ მამათმავლები და ლესბოსელები — ეს ჩვენი დისკრიმინაციააო... იყვირონ.**

ჩვენ სახარება გადავფურცლოთ, კერძოდ, პავლე მოციქულის ეპისტოლე რომაელთა მიმართ და ვნახავთ, რომ მამათმავლობა მოხსენიებულია ისეთ მანკიერებათა გვერდით, როგორიცაა სიძვა, ანგარება, უკეთურება, შური, მკვლელობა, ღმერთისმოძულეობა, ცუდმედიდობა და ასე შემდეგ.

ამ მანკიერებათა მატარებელი ადამიანები, ამნაირ საქმეთა ჩამდენნი სიკვდილის ღირსნი არიან, მაგრამ „არა მარტო ამას აკეთებენ, არამედ გამკეთებლებსაც უწონებენ" (რომ. 1,29-32).

იციან, მაინც ჩადიან უკეთურებას და სხვათაც უწონებენ.

უნგრეთმა, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყანაა, საჭიროდ ჩათვალა, კონსტიტუციის სიმაღლემდე აეყვანა ეს პრობლემა, რადგან „ღმერთი და მართლმადიდებლობა" არის ხალხის გამაერთიანებელი.

**სჭირდება თუ არა საქართველოს იგივე დეფინიცია კონსტიტუციაში, ქვეყანას, რომელიც ევროკავშირის წევრობას ესწრაფვის?**

ამ შეკითხვით მივმართეთ ჩვენი საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წევრებს:



**ნოდარ ჯავახიშვილი, ექსპერტი:**

— ვინ გითხრათ, რომ საქართველო ევროკავშირისკენ ისწრაფვის? რომელი ნაბიჯით მიდის სააკაშვილი ევროპის მიმართულებით? არა, არა! ერთხელ თუ ევროკავშირს ახსენებს, ორმოცდაერთჯერ — სინგაპურს, და მაინც ევროკავშირისკენ მიდის?!

კონსტიტუციაში შეტანის თაობაზე კი გეტყვით: ვერ ვხედავ, რომ მმაჩის ბიუროებთან მაინც და მაინც დიდი რიგები იდგეს ერთსქესიანთა ქორწინებაზე. მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან მალე ასეც იქნეს. პრევენციის თვალსაზრისით, კონსტიტუციაში დაფიქსირება შესანიშნავი იქნება.



**სერგო ვარდოსანიძე, სასულიერო აკადემიის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე:**

— ვფიქრობ, ჩვენთან არასოდეს დამდგარა ეს პრობლემა. ვგულისხმობ ერთსქესიანთა ქორწინების გაოფიციალურებას. ჩვენთან კონსტიტუციაში ამის ჩაწერა ნიშნავს, რომ პრობლემა ძალიან სერიოზულია. ვთვლი, რომ ამ ეტაპზე საქართველოში ეს საკითხი არ არის იმდენად აქტუალური, რომ ასე მკვეთრად გახდეს აუცილებელი ხაზგასმა იმისა, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა და ამ ურთიერთობის ოფიციალური დაკანონება ოჯახის შექმნის მიზნით. ეს თავისთავად იგულისხმება. მაგრამ, თუ ამის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში, ეს ძალიან სამწუხარო იქნება.

ქალისა და მამაკაცის დაქორწინება მარტო იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს არის ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის. ეს არის შთამომავლობა, ეს არის მემკვიდრეობა, ეს არის მომავალი.

მართლმადიდებლური ტრადიციის თანახმად, მიუღებელია ქორწინების სხვაგვარი განმარტება, სრულიად მიუღებელი.



**რეზო ამაშუკელი, პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი:**

— დაგვიანებულია! ღმერთო, შეგცოდე და, ტელეეკრანებზე სულ პედერასტები და ლესბოსელები ჩანან... თუ ამას საქართველოში კონსტიტუცია დასჭირდა, ჩათვალეთ, რომ საქართველო არ არსებობს. აი, ამ ცრუ და მავნე ღირებულებების გავრცელების გამო იღუპება ქვეყანა. მსოფლიო გაპედერასტებულია! ამას მთელი სერიოზულობით ვამბობ. გლობალიზაცია არის ის ქვაბი, რომელშიც ყველა უნდა მოხარშონ.

რატომ კუნტრუშობენ „ნაციონალური არხები"? იმიტომ, რომ ამაში დიდი ფულია ჩაყრილი. ღმერთმა ჩემს სამშობლოს აღირსოს ისეთი პრეზიდენტი, რომელიც სულით, სისხლით, ხორცით, წარმომავლობითა და აზროვნებით იქნება ქართველი.

რატომ ებრძვიან მართლმადიდებლობას გამგელებით? იმიტომ, რომ ზნეობრივი ფასეულობების მოსპობა სურთ. რომი რომ გაირყვნა, უფალმა ქრისტიანობა მოუვლინა და ნელ-ნელა გაწმინდა სამყარო ამ უბედურებისგან.

ახლა მეტყვიან — ლეონარდო დავინჩი და მიქელ ანჯელოო. გახდი შენ ლეონარდო დავინჩი და მიქელ ანჯელო, მერე გინდა წაკუზული ყოფილხარ მთელი ცხოვრება!

ყველამ თავის უკანალს მიხედოს, ძმაო, ეს საქართველოა! ხალხის გადასაწყვეტია — შეიტანონ თუ არა ეს დეფინიცია კონსტიტუციაში. პარლამენტი ამის გამკეთებელი არ არის. ამათ კონსტიტუცია უკვე თავიანთ უკანალზე მოირგეს!



**თემო გოცაძე, სახალხო მხატვარი:**

— ვთვლი, რომ ამის გაკეთება საქართველოში აუცილებელია. ძალიან უნდათ, რომ მამრთა შეუღლება დასაშვები და შესაძლებელი იყოს. როგორ შეიძლება ნორმალური ადამიანი ამას შეეგუოს და წინააღმდეგი არ გამოვიდეს?! საქართველოში არის ის სიტუაცია, როცა საჭიროა, კონსტიტუციით, კანონით აიკრძალოს ეს უბედურება, თორემ ხომ ხედავთ, როგორ გვაწვებიან, როგორ სურთ, გარყვნან ახალგაზრდობა, ერს გამოაცალონ ჭეშმარიტი ღირებულებები.



**ანზორ მაისურაძე, სახელმწიფო უშიშროების გენერალ-მაიორი:**

— საჭიროა, როგორ არ არის საჭირო, თორემ დაქორწინდა კაცი კაცზე! მალე შეიძლება აღარ იცოდე, რომელი ხარ — ქალი თუ კაცი.

მამათმავლობაში ადამიანის შემჩნევა, რითაც თავის დროზე შეიძლებოდა „საინტერესო ობიექტის" გადაბირება, ერთ-ერთი საშუალება იყო. მამათმავლობა დიდ სირცხვილად და თავის მოჭრად ითვლებოდა, გახმაურებას ერიდებოდნენ.

ახლა ქორწინდებიან და სახელმწიფოთა მეთაურებისგან მილოცვებსაც იღებენ. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თავის ერთ-ერთ დიდჩინოსან მამაკაცს მამაკაცზე დაქორწინება მიულოცა.

ელტონ ჯონს თავის ქმართან ერთად დიდი ბრიტანეთის სამეფო ქორწილში მიწვევის პატივი ხვდა.

ანომალიაა. დასავლეთმა მიიღო ეს ანომალია. პარიზის მერი თვითონ აცხადებს, რომ ეგეთია. ავსტრალიის ელჩი ახლახან ერთ-ერთი ქვეყნის მეთაურისთვის რწმუნებათა სიგელის გადაცემის ცერემონიაზე კაცთან ერთად გამოცხადდა. ეს ვინ არისო, რომ ჰკითხეს, ჩემი ქმარიაო (!).

ავადმყოფობაა!

ახლა ლეგალიზაციას ითხოვენ და, ლამის არის, გეების აღლუმი მოაწყონ საქართველოში.

თუ კონსტიტუციაში შესაბამისი დეფინიციის შეტანა უშველის, შეიტანონ. მაგრამ მე მეჩვენება, რომ ჩვენი ბრძოლა ქარის წისქვილებთან ბრძოლაა. ესენი ისე მომრავლდნენ, რომ სახელმწიფო სტრუქტურებშიც აქვთ ფესვი გადგმული.

ამასწინათ ნინო ანანიაშვილმა ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, რომ ჩვენს მოცეკვავე ბიჭებს ტყუილად აბრალებენ ორიენტაციის შეცვლასო. ასეთები ყველაზე ნაკლებად ჩვენთან არიან და, თუ გინდათ, სახელმწიფო სტრუქტურებში მოიკითხეთო.

**მორალი:**

**პრობლემა, როგორც ჩანს, არა მარტო აქტუალურია, არამედ — მწვავედ აქტუალურიც! შეიტანს საქართველოს პარლამენტი, უნგრეთის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მსგავსად, მაღალზნეობრივ დეფინიციას კონსტიტუციაში ნორმალური ოჯახის, ქორწინების შესახებ, გვაჩვენებს, რომ ჯერ კიდევ შერჩენია პასუხისმგებლობის გრძნობა ერისა და მართლმადიდებლობის წინაშე. არ შეიტანს და საბოლოოდ დაადასტურებს, რომ უზნეობასაა მიყიდული და მამათმავლების დაკრულზე ცუნდრუკობს.**

**ან — ჰო, ან — არა! ამ ტესტს მესამე ვარიანტი არ აქვს.**

**არმაზ სანებლიძე**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

თუ ნინო ბურჯანაძე აღიარებს საკუთარ შეცდომებს, თუნდაც 7 ნოემბერთან ან საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და იტყვის, რომ ის შეცდა, მერე შეიძლება ვისაუბროთ გაერთიანებაზე. თუმცა მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ყველაზე სუფთა პოლიტიკოსი ვარო, რაღაზე უნდა ველაპარაკოთ? თუ შეცდომას დაუშვებ, შეცდომის აღიარება და ბოდიშის მოხდაც უნდა შეგეძლოს.

საავტორო სვეტი

# გამოცხადებული ჯანყის ქრონიკა, ანუ რა მოხდება 21 მაისს?

**21 მაისს „წარმომადგენლობითი სახალხო კრება“ ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებს იწყებს. წილი ნაყარია (როგორც იულიუს კეისარი იტყოდა), თუმცა, მისივე თქმისა არ იყოს, რუბიკონი გადალახული ჯერაც არ არის. ხოლო გზად რუბიკონამდე, ანუ დროის მონაკვეთში 21 მაისამდე, ბევრი საინტერესო და მოულოდნელი რამ შეიძლება მოხდეს.**

რას გვიქადის 21 მაისი? უკვე დღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში შეიძლება ცრუ მოლოდინი გაჩნდეს, ისევე, როგორც გასული წლის 25 ნოემბერს. მაშინ ქუჩაში გამოსული ადამიანთა საკმაოდ დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ რადიკალური მოქმედება სწორედ იმ დღეს დაიწყებოდა. არადა, „სახალხო კრების“ წარმომადგენლების განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 21 მაისი მხოლოდ დასაწყისია. მაგალითად, ირაკლი ბათიაშვილმა ტელეკომპანია „მაესტროსთან“ საუბარში განაცხადა, რომ 21 მაისის თავყრილობა „ერთჯერადი ნამდვილად არ იქნება, ეს იქნება დასაწყისი ძალიან სერიოზული აქციების“. „ახლა ვადებზე ლაპარაკი მიჭირს,“ — დასძინა მან.

**თუ აქციები ისეთივე მონოტონური და სტატიკური იქნება, როგორც 2009 წლის გაზაფხულზე, ქუჩაში გასული დემონსტრანტების რაოდენობა, ალბათ, ძალიან მალე შემცირდება, მაგრამ ნინო ბურჯანაძის ადრინდელი განცხადებებიდან კარგად ჩანს, რომ ის არ აპირებს აქციების უსასრულოდ გაგრძელებას.**

შესაბამისად, უნდა ვივარაუდოდ, რომ პროცესი შედარებით დინამიურად წარიმართება და კულმინაციას ახლო პერსპექტივაში მიაღწევს. ნებისმიერ შემთხვევაში, „სახალხო კრების“ ლიდერებს ცრუ იმედების განეიტრალებაზე ზრუნვა მოუწევთ, რომელთა გაღვივებას ხელისუფლება აუცილებლად შეეცდება, როგორც ეს 25 ნოემბერთან (და, სხვათა შორის, 2 მაისთან) დაკავშირებით გააკეთა. სახელისუფლო პროპაგანდა 21 მაისამდე დარჩენილ დღეებში, სავარაუდოდ, ისევე ინტენსიურად იმუშავებს, როგორც დედაქალაქის კანალიზაციის მთავარი კოლექტორი.

**საერთოდ, აქციების ტაქტიკურ შემადგენელზე ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ არსებობს. უცნობია არა მხოლოდ გრაფიკი, არამედ პროტესტის ფორმებიც. რა იქნება ეს: მუდმივი მიტინგი თავისუფლების მოედანზე? ადმინისტრაციული შენობების პიკეტირება? შიმშილობა? მაგისტრალების გადაკეტვა თუ რაიმე სხვა, ჯერ არნახული? მაკედონელი ვეტრანები რომ იტყოდნენ ინდოეთის საზღვრებთან: „სადღა მიგყავართ, ალექსანდრე?“, ის კი გოროზად პასუხობდა: „იქ...“. და ისინი მიდიოდნენ სადღაც „იქ“, იდუმალების ბურუსით მოცულ ამოუცნობში; დისციპლინირებული ადამიანები იყვნენ, ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ ბოლოს ეს ბოდიალი მათაც ყელში ამოუვიდა.**

ასეა თუ ისე, ეს, ალბათ, სწორედ ის „უკანასკნელი ბრძოლაა“. თუ „სახალხო კრება“ მას წააგებს, რადიკალური მეთოდებით ხელისუფლების შეცვლაზე საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აღარავინ იფიქრებს. ბურთი, მოედანი და სტადიონი „ნაციონალურ მოძრაობას“ დარჩება, ხოლო ბურთის მიმტანი ბიჭუნების როლს, ალბათ, კონსტრუქციული ოპოზიციის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეასრულებენ.

**შემდეგ იქნება 2013 წლის არჩევნები, 2023 წლის არჩევნები, 2033 წლის არჩევნები... ძნელი სათქმელია, რა მოხდება 2043-ში, შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილი ღვთაებრივ ფარაონად გამოაცხადონ და მთელი ეს საარჩევნო კორდებალეტი ერთპარტიული მმართველობის პირობებში წარსულს ჩაბარდეს. ოპოზიციური საზოგადოების რადიკალური ნაწილის განწყობა „ან ახლა, ან არასდროს“, საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეთილი, თუმცა რამდენად ადეკვატურად იმოქმედებენ „სახალხო კრების“ ლიდერები ამ სიტუაციაში, კვლავინდებურად ძნელი სათქმელია.**

ჩვენ აქ ვსხედვართ და ვხუმრობთ, არადა, ოციოდე დღეში ქვეყანაში შეიძლება ძალზე სერიოზულმა, შეუქცევადმა პროცესებმა იფეთქოს. იმის ალბათობა, რომ ქუჩაში დაპირისპირება და შეტაკებები დაიწყება, არც ისე დაბალია. ხელისუფლებას და „სახალხო კრებას“ სივრცე მანევრისთვის პრაქტიკულად აღარ დარჩა, როგორც ორ მატარებელს, რომლებიც ერთი ლიანდაგით სხვადასხვა მიმართულებით მიდის. ლიანდაგზე კი, ეგნატე ნინოშვილის თქმისა არ იყოს, კაცია მუნჯაძეს, უკაცრავად, ქართულ საზოგადოებას ძინავს, რომელიც გადაიღალა და გაღვიძება არ ძალუძს. მოკლედ, იმავე ვითარებაში ანა კარენინა რომ იტყოდა, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და 21 მაისს.

**დიმიტრი მონიავა**

სოფო ხორგუანი:

# ხელისუფლების სათავეში სააკაშვილის ყოფნის ყოველი დღე ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს

**ოპოზიციის დაპირებული გაზაფხული მალე გაილევა, თუმცა ჯერჯერობით არც საპროტესტო აქციები გამართულა და საქართველოს ხელისუფლებაც, როგორც ჩანს, თავს არათუ „დასრულებულად“, არამედ საკმაოდ მყარადაც გრძნობს. რას აპირებს ახლახან დაარსებული, მაგრამ უკვე ე.წ. რადიკალურ ოპოზიციურ ძალად ცნობილი, „ქართული პარტია“ და როდიდან გეგმავენ პარტიის მესვეურები საკუთარი სამოქმედო გეგმის განხორციელებას, „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული პარტიის“ წევრი სოფო ხორგუანი ესაუბრა.**



**— მართალია, „ქართული პარტია“ ე.წ. რადიკალურ ოპოზიციურ პარტიად მოიაზრება, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ განცხადებებით შემოიფარგლებით. როდის აპირებთ აქტიური მოქმედებების დაწყებას?**

— ჩვენ აქტიური მოქმედება უკვე დავიწყეთ. რეგიონებში დავდივართ, ვაფუძნებთ რაიონულ ორგანიზაციებს... სააკაშვილის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ყოველი დღე ქვეყნისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, თუმცა იმისთვის, რომ შეცვალო ხელისუფლება, ძლიერი უნდა იყო. სწორედ ამიტომ მთელი ეს პერიოდი ჩვენ ვაშენებდით პარტიულ სტრუქტურას, რომელიც მთელი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას შეძლებს.

**— რატომ არ შეუერთდა „ქართული პარტია“ ე.წ. ოპოზიციურ რვიანს, რომელიც მოლაპარაკების გზით ცდილობს შეთანხმების მიღწევას?**

— რამდენიმე დღის წინათ მოვისმინე დათო ბაქრაძისა და პარლამენტის წევრების განცხადებები — ვადა, რომ გაზაფხულზე ოპოზიციასთან რაიმე შეთანხმებას მივაღწევთ, არ ყოფილა განსაზღვრული და რომ მოლაპარაკება ჩაიშალა, ოპოზიციის ბრალიაო. ამ ტყუილის შემდეგ რაზე უნდა ველაპარაკო დავით ბაქრაძეს?

**როდესაც მოსახლეობაში ისედაც დიდი ნიჰილიზმია გამეფებული, ხალხი ფიქრობს, რომ ქვეყანაში მაინც არაფერი შეიცვლება, ასეთ დროს პოლიტიკოსები თავიანთი ქმედებებით ხალხში ნიჰილიზმს კიდევ უფრო არ უნდა აღრმავებდნენ.** როდესაც ოპოზიციური „რვიანი“ აცხადებს, რომ მიდის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებაზე და ამბობს, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას მიაღწევს, მან უნდა იცოდეს, რომ პასუხისმგებლობა იმ წარუმატებლობაზე, რაც ამ ყველაფერს მოჰყვება, მასზეა.

ერთ-ერთ შეხვედრაზე, ვკითხე „რვიანის“ წარმომადგენელს „თავისუფალი დემოკრატებიდან“, თეა წულუკიანს: მართლა ასეთი გულუბრყვილოები ხართ, რომ გჯერათ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკების გზით რაიმეს მიაღწევთ-მეთქი? — არ გვაქვს იმედი, მაგრამ გვინდა, მსოფლიოს დავანახოთ, რამდენად არაადეკვატურია საქართველოს ხელისუფლებაო, — მიპასუხა. დამატებითი მტკიცებულებები იმისა, რომ ეს ხელისუფლება კრიმინალურია, მე არ მჭირდება.

**— როგორც ბრძანეთ, საზოგადოებაში გამეფებულია ნიჰილიზმი, დღესდღეობით არ არსებობს საპროტესტო მუხტიც, თუნდაც „ქართული პარტიის“ პოლიტიკური ლიდერების წარსულიდან გამომდინარე, შეძლებს თქვენი პარტია ამ მუხტის გაღვივებას და საზოგადოების ნდობის დამსახურებას?**

— იმისათვის, რომ ხელისუფლება შეიცვალოს, არ მჭირდება მუხტი, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხალხს იმედი დავუბრუნოთ. გაერთიანებისკენ პოლიტიკურ პარტიებსა თუ საზოგადოებას, ჯერ კიდევ თებერვალში მოუწოდა ჩვენი პარტიის თავმჯდომარემ სოზარ სუბარმა. ავტოკრატიული რეჟიმის დასრულებისთვის საზოგადოების თანხმობა და კონსოლიდაცია მნიშვნელოვანია.

**— თქვენი მოწოდება გაერთიანებისკენ ეხება თუ არა ნინო ბურჯანაძეს? თქვენ და ბურჯანაძის „სახალხო კრება“ რადიკალურ ოპოზიციონერებს შორის მოიაზრებით, თუმცა საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა გაქვთ და სწორედ მაშინ დაუპირისპირდით ერთმანეთს, როდესაც ერთიანობა, ალბათ, ყველაზე მეტად გაწყობდათ.**

— ყველაფერი ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას მოჰყვა, რომელმაც თქვა, რომ ცრუ მოლოდინის შექმნა საზოგადოებაში ნიჰილიზმს იწვევს. ამის გამო, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მხრიდან უამრავი დაუსაბუთებელი, პროვოკაციული და შეურაცხმყოფელი ბრალდება მოვისმინეთ.

ჩვენი პარტიის თავმჯდომარეებმაც განაცხადეს, რომ, თუ ნინო ბურჯანაძე აღიარებს საკუთარ შეცდომებს, თუნდაც 7 ნოემბერთან ან საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით და იტყვის, რომ ის შეცდა, მერე შეიძლება ვისაუბროთ გაერთიანებაზე. თუმცა მას შემდეგ, რაც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ყველაზე სუფთა პოლიტიკოსი ვარო, რაღაზე უნდა ველაპარაკოთ? თუ შეცდომას დაუშვებ, შეცდომის აღიარება და ბოდიშის მოხდაც უნდა შეგეძლოს.

**— თქვენი პარტიის ლიდერები, თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილი ან ეროსი კიწმარიშვილი, აღიარებენ შეცდომებს და შეძლებენ ბოდიშის მოხდას?**

**— ჩვენ არასდროს გვითქვამს, ნუ ილაპარაკებთ ჩვენს წარსულზე-თქო. ჩვენ ვიცით, ვინც ვართ და საიდანაც მოვდივართ. შეცდომაც ბევრი დაგვიშვია და კარგიც ბევრი გაგვიკეთებია. ჩვენ არ გავურბივართ საკუთარ წარსულს და არ გვაქვს ყველაზე სუფთა პოლიტიკოსობის პრეტენზია.**

**— თუმცა, დაპირისპირების მიუხედავად, ლევან გაჩეჩილაძემ ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ „სახალხო კრებასა“ და „ქართულ პარტიას“ გასაყოფი არაფერი აქვთ და „სახალხო კრებასთან“ ერთად კარგი სოლიდური პოლიტიკური ძალა შეიძლება ჩამოყალიბდეს. შესაძლებელია თუ არა უახლოეს მომავალში ნინო ბურჯანაძე და „ქართული პარტია“ კვლავ ერთად ვიხილოთ?**

— რა თქმა უნდა, შეიძლება ერთ დღეს ჩვენ, ყველანი ქუჩაში აქციაზე ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოვჩნდეთ. ქუჩის აქციები თუ იქნება, მეც გავალ და დავდგები, სადაც ჩემი მოქალაქეები არიან, და სხვასაც ვერ ავუკრძალავ.

**— საუბრობენ თქვენი პარტიის დაფინანსების საკითხებზეც. ვინ აფინანსებს „ქართულ პარტიას“?**

— საქართველოში, მოგეხსენებათ, ოპოზიციაში ყოფნა ადვილი არაა. გამადიდებელი შუშით გვიყურებენ, ოღონდაც სადმე რამე შეგვეშალოს. გვყავს მხარდამჭერები, რომლებიც გვეხმარებიან. პარტიის ფინანსები გამჭვირვალე იქნება. თუმცა უნდა ითქვას, რომ პარტიის დამფუძნებლებიც საკმაოდ მდიდრები არიან: ლევან გაჩეჩილაძე, მახსოვს, საქართველოში რამდენიმეჯერ საუკეთესო ბიზნესმენებს შორისაც დაასახელეს.

**— თუმცა მის ვალებზეც ბევრს საუბრობენ...**

— გასაგებია, მაგრამ მან მთელი თავისი ფინანსური რესურსი ხელისუფლების შესაცვლელად მიმართა და კანონი მას ამის უფლებას აძლევს.

**— თუ მოჰყვება მის მოხსენებას რაიმე რეალური შედეგი? გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახალხო დამცველის ანგარიშს, შესაძლოა, რამდენიმე მინისტრი შეეწიროს. მაგრამ შედეგი ჯერჯერობით არ ჩანს.**

— იმედი არ მაქვს, რომ რაიმე რეაგირება მოჰყვება. ჩვენც ვაკეთებდით ასეთ მოხსენებებს, მაგრამ ხელისუფლება არ ითვალისწინებდა.

**— მაგრამ, თუ შედეგს ვერ მივიღებთ, მხოლოდ განცხადებები და მოხსენებები რას მოიტანს? არ შეუძლია სახალხო დამცველის აპარატს უფრო ქმედითი მექანიზმების ამოქმედება?**

— სახალხო დამცველმა უნდა იმოქმედოს კანონის ფარგლებში. ჩვენი კანონმდებლობა კი არ იძლევა მეტის საშუალებას. ჩვენთან სახალხო დამცველის რეკომენდაცია მაქსიმუმია, რაც მას შეუძლია გააკეთოს, და პარლამენტი რომ მართლა პარლამენტი იყოს, სახალხო დამცველის რეკომენდაციების საფუძველზე რეალურ გადაწყვეტილებებს უნდა იღებდეს მთავრობა. იმდენად გახრწნილია ხელისუფლება, რომ დემოკრატიულ იმიჯს ფასადურადაც ვეღარ ვინარჩუნებთ.

**— გირგვლიანის საკითხზე ევროსასამართლომ განაჩენი გამოიტანა, დაიწყება თუ არა ხელახალი გამოძიება?**

— საოცარი პასუხი მოვისმინეთ ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან, როდესაც იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბურჯალიანმა განაცხადა, რომ არაფერია განსაკუთრებული, 300 ათასი ევროს გადახდას ითხოვდნენ და მხოლოდ 50 ათასი დაგვაკისრესო. ამ ხელისუფლების პირობებში გამოძიების დაწყებას გამოვრიცხავ, რადგან შემკვეთიც, შემსრულებელიც და საქმის ჩამფარცხველიც — ყველანი მაღალჩინოსნები არიან. ვანო მერაბიშვილი ისევ შს მინისტრია, თაკო სალაყაია ისევ მისი მეუღლეა, დათა ახალაია ისევ კუდის უფროსია, ალანია ისევ კუდშია. მათ უნდა გამოიძიონ საკუთარი დანაშაულობები?!

მაგრამ ყველა ავტოკრატიულ რეჟიმს აქვს საერთო — ის ყოველთვის სრულდება.

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**



**გადაწყვეტილების მეორე და ოცდამეთორმეტე მუხლებში ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული ყველაფერი და პირდაპირი ბრალდებაა როგორც სახელმწიფოს, ისე გარკვეული სტრუქტურების წინააღმდეგ. საუბარია სასამართლოზე, პროკურატურაზე, შს სამინისტროსა და პირადად პრეზიდენტზე.**

სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# გურამ გირგვლიანი: ბრძოლა ახლა იწყება!

## სტრასბურგის სასამართლო მკაფიოდ მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომლებიც ჩაიდინეს მაღალჩინოსნებმა, პირადად პრეზიდენტმა

**2006 წლის დასაწყისში, 28 წლის სანდრო გირგვლიანის გარდაცვალების შემზარავი ფაქტი გახმაურდა. 28 იანვარს ნაწამები სანდრო გირგვლიანის ცხედარი ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვეს. სანდროს ოჯახის დიდი ძალისხმევით გახმაურდა ვერსია, რომ იგი შს სამინისტროს მაღალჩინოსნებმა 27 იანვარს „შარდენზე" მომხდარი მცირე ინციდენტის გამო მოკლეს; კერძოდ, — როცა შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი — ვასილ სანოძე დაბადების დღეს აღნიშნავდა. მასთან ერთად სუფრასთან ისხდნენ: კუდის უფროსი დათა ახალია, შს სამინისტროს პრესცენტრის უფროსი გურამ დონაძე, ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაია და მისი მეგობარი თამარ მაისურაძე. სანდრო გირგვლიანმა თამარ მაისურაძეს მეგობართან, ლევან ბუხაიძესთან, ერთად მიაკითხა. იმ დღეს მაისურაძესთან პირად საუბარში, სანდროს მიერ სანოძის ერთ-ერთი თანამესუფრის უწმაწურად მოხსენიების გამო, სუფრის წევრებმა სადამსჯელო ბრიგადა გამოიძახეს, რომელმაც, ოლეგ მელნიკოვის ხელმძღვანელობით, სანდრო და მისი მეგობარი „მერსედესის" მარკის ავტომანქანით ოქროყანაში გაიტაცა. ბუხაიძემ გაქცევა მოასწრო, სანდრო კი სხეულის მრავალჯერადი დაზიანებებით მეორე დღეს ტყეში გარდაცვლილი იპოვეს.**



6 მარტს მერაბიშვილმა ამაყად განაცხადა, რომ გახსნილია სანდრო გირგვლიანის მკვლელობა და დაკავებულია სამინისტროს ოთხი თანამშრომელი: გია ალანია, ავთანდილ აფციაური, ალექსანდრე ღაჭავა და მიხეილ ბიბილური. 7 მარტს გურამ დონაძე თანამდებობიდან გათავისუფლდა, ოღონდ ამის მიზეზად ჟურნალისტებთან გართულებული ურთიერთობა დასახელდა და არა — სანდრო გირგვლიანის მკვლელობა. თანამდებობები დროებით (გამოძიების დასრულებამდე) დატოვეს დათა ახალაიამ და ვასილ სანოძემ. თუმცა მოკლე დროში ორივე მათგანი შეუდგა საკუთარი მოვალეობის შესრულებას. გურამ დონაძეს კი გადაცემა „პატრული" ჩააბარეს. მოკლედ, მერაბიშვილმა ამ ფორმალობით გირგვლიანის მკვლელობის საქმის ჩაფარცხვა ვერ მოახერხა. გარდაცვლილის დედა, ირინა ენუქიძე აქციებისა თუ სხვა საშუალებებით მუდმივად ახსენებდა ხელისუფლებასაც და საზოგადოებასაც ამ სასტიკ მკვლელობას და მკვლელობის დამკვეთების დასჯას ითხოვდა. სწორედ მან შეიტანა სარჩელი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სახელმწიფოს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ირინა ენუქიძე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ მოესწრო. თუმცა ქართულმა საზოგადოებამ ცოტა ხნის წინათ იხილა ეს გადაწყვეტილება. სახელმწიფომ გირგვლიანის საქმეზე პროცესი წააგო, ხელისუფლებას ზიანის ასანაზღაურებლად 50 000 ევროს გადახდა დააკისრა და გამოძიების ხელახალი ჩატარებისკენ მიუთითა. სასამართლოს გადაწყვეტილებასა და მომავალ სტრატეგიაზე „საქართველო და მსოფლიოს" სანდრო გირგვლიანის მამა, **გურამ გირგვლიანი** ესაუბრა:

**— ბატონო გურამ, რას ელოდით და რა მიიღეთ ევროპის სასამართლოსგან?**

— ჭეშმარიტების დადგენას. დარწმუნებული ვიყავით, რომ ამ პროცესს მოვიგებდით და, მგონი, ყველამ დაინახა, მთელმა საქართველომ გაიგო, ბოლოს და ბოლოს, სიმართლე. ხელისუფლებამ კვლავ სცადა ხალხის მოტყუება, ცრუ ინფორმაცია გაავრცელა იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა ბურჯალიანმა, მაგრამ არ გამოუვიდათ. ხალხი მიხვდა სიმართლეს, დაინახა, რა მოხდა სინამდვილეში და ამით ძალიან კმაყოფილი ვართ.

**— საზოგადოებისთვის თქვენი ოჯახის აქტიურობის შედეგად მანამდეც ცნობილი იყო, რა მოხდა რეალურად. რას ცვლიდა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება? ეს, ალბათ, ხელისუფლებასთან ბრძოლაში გამარჯვება უფრო იყო, ვიდრე საზოგადოებისთვის რამის დამტკიცება...**

— მართალი ხართ. პირველ რიგში, ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა იყო და სარჩელიც ასე შევიტანეთ ევროპის სასამართლოში: **ენუქიძე-გირგვლიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ**, რაც ძალიან არ მოსწონდა ჩვენს ხელისუფლებას. დიახ, ჩვენ ხელისუფლებას მოვუგეთ ეს პროცესი და ამავე დროს რეალობა დავანახეთ საზოგადოების იმ ნაწილსაც, რომელიც დღესაც უჭერს მხარს ამ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს. ჩვენ, ჩემი ოჯახი (ოჯახს პირობითად ვგულისხმობ) და საზოგადოება ვართ გამარჯვებული!

**— ცოტა ხნის წინათ ჩვენთან საუბარში განაცხადეთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად სტუმრობდნენ სტრასბურგს და პირადი კონტაქტებით ცდილობდნენ საქმეების მოგვარებას. იქონია თუ არა გავლენა მათმა მოქმედებებმა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე? სამოტივაციო ნაწილში მართლაც მწვავედ არის ასახული ყველაფერი, მაგრამ გადაწყვეტილებაზე რას იტყვით?**

— მაშინაც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ისინი ცდილობდნენ და იბრძოდნენ იმისთვის, რომ განაჩენი რაც შეიძლება მსუბუქი ყოფილიყო. გახსოვთ, როგორ გამოვიდა ბურჯალიანი და განაცხადა, სახელმწიფოს ბრალეულობა არაფერ შუაშია და ჩვენ დიდი სიამოვნებით გადავიხდით 50 000 ევროს დაზარალებულის სასარგებლოდო. შეიძლება ადამიანი იმდენად გახარებული იყოს იმით, რომ სახელმწიფო არ დაადანაშაულა სტრასბურგის სასამართლომ, რომ დიდი სიამოვნებით გადაუხადოს დაზარალებულ ოჯახს თანხა? მაშინ გამოდის, რომ ის იმაში იხდის ფულს, რომ სტრასბურგის სასამართლომ სახელმწიფო არ დაადანაშაულა. გადაწყვეტილების მეორე და ოცდამეთორმეტე მუხლებში ძალიან კარგად არის ჩამოყალიბებული ყველაფერი და პირდაპირი ბრალდებაა როგორც სახელმწიფოს, ისე გარკვეული სტრუქტურების წინააღმდეგ. საუბარია სასამართლოზე, პროკურატურაზე, შს სამინისტროსა და პირადად პრეზიდენტზე. აქედან გამომდინარე, მგონი, დასკვნა გასაგებია. თუ ასეთი მადლობელი ხარ და ისე გიხარია ეს ამბავი, რომ სიამოვნებით გადაიხდი 50 000-ს, რაში იხდი ამ თანხას, თუ სახელმწიფო დამნაშავე არ არის?

**— ანუ ბურჯალიანი მანიპულირებდა იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო არ არის დადანაშაულებული. თქვენ ფიქრობთ, რომ ევროპის სასამართლომ განაჩენში სწორად ჩამოაყალიბა თავისი პოზიცია?**

— სწორად ჩამოაყალიბა იმდენად, რამდენადაც ეს ამბავი მოხდა არასამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ანუ იმ მაღალჩინოსნებმა ეს ჩაიდინეს ვითომ პირადი შეურაცხყოფის გამო და არა სახელმწიფოს მიერ სპეციალურად გატარებული ღონისძიებების დროს. აქედან გამომდინარე ეს მოხდა არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. სტრასბურგის სასამართლო სახელმწიფოს გამოძიების თავიდან ჩატარებას არასდროს ავალდებულებს. სტრასბურგის სასამართლო მკაფიოდ მიუთითებს იმ დარღვევებზე, რომლებიც ჩაიდინეს მაღალჩინოსნებმა, პირადად პრეზიდენტმა. აქედან გამომდინარე, თუ შენ დემოკრატიული ქვეყანა ხარ, თვითონვე უნდა დაიწყო ეს გამოძიება, მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ, ისინი საკუთარი თავის წინააღმდეგ არ წავლენ და თავისიანებს არ ჩააგდებენ ციხეში, იმ ტოტს არ მოჭრიან, რომელზეც სხედან. რა თქმა უნდა, ყველანაირად დადანაშაულებული არიან, თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, წაიკითხოს ეს გადაწყვეტილება და დარწმუნდება. უკვე ენა ჩაუვარდა ხელისუფლებასაც. ეს იმას ჰგავდა, ჰააგის პროცესი მოვიგეთო, რომ თქვეს, მაგრამ ერთ დღეში ყველა გაჩუმდა, როდესაც ხალხმა სიმართლე გაიგო. იგივე ვარიანტია, ომი რომ ვითომ მოვიგეთ 2008 წელს და ა.შ.

**— ბატონო გურამ, ევროპის სასამართლოში საქმის მოგება თქვენი მთავარი მიზანი იყო, ამით ამოიწურა თქვენი გეგმები?**

— არა, პირიქით, პროცესი გაგრძელდება და ამას სასამართლოც უთითებს. ისინი მიიჩნევენ, რომ ამას სჭირდება გაგრძელება და გაგრძელდება კიდეც, საქმე ბოლომდე იქნება მიყვანილი, ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. როგორც მაშინ დარწმუნებით გითხარით, რომ საქმეს მოვიგებდით, ასევე ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ ამ საქმეს. ამ ხელისუფლების პირობებში შეიძლება ცოტა გაჭირდეს, რადგან ესენი ყველაფერს გააკეთებენ ჩვენს საწინააღმდეგოდ, მაგრამ სტრასბურგს აქვს გარკვეული მექანიზმები, რითაც აიძულებენ ხელისუფლებას, დაიწყონ გამოძიება. ამასთან, ეჭვი არ მეპარება ქართული საზოგადოების თანადგომაში.

**— არსებობს ინფორმაცია, რომ სასამართლოზე გაკეთდა მწვავე შეფასებები: მსგავსი აბსურდი არ უნახავს ევროპის სასამართლოს და ა.შ.**

— სასამართლომ მოისმინა მხოლოდ ადვოკატების გამოსვლები და შეფასებები, სახელმწიფოს მხარეს კი იცავდა ბურჯალიანი, ის ამართლებდა, რა თქმა უნდა, თავის ხელისუფლებას და ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ოთხეულის დასაჭერად და საკადრისადაც დასაჯა, რაც იქვე ჩანდა, რომ ტყუილი იყო. ჩვენი მხარის ადვოკატმა — დავით ჯანდიერმა თავის გამოსვლაში ყველაფერი კარგად ჩამოაყალიბა, ამის შეჯერების შედეგად დადგა სწორედ მკაცრი და სწორი განაჩენი. სასამართლოს საქმის გამოძიების თავიდან დაწყების მხოლოდ მითითება შეუძლია, ხოლო სტრასბურგის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ავალებს სახელმწიფოს, დაიწყოს ხელახალი გამოძიება და უშუალოდ აკონტროლებს კიდეც ამ საქმეს. კომიტეტში შედიან 47 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ საქმის მიმდინარეობას. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ სამი თვის შემდეგ, რადგან ეს დრო საჭიროა იმისთვის, რომ ან ჩვენ შევიტანოთ საჩივარი, ან სახელმწიფომ.

**— აპირებთ საჩივრის შეტანას?**

— ამაზე ვიფიქრებთ, ადვოკატებთან ერთად ვიმსჯელებთ და გადავწყვეტთ. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ვუთხრა როგორც ჩემს ადვოკატებს, ასევე თქვენ, ჟურნალისტებს, ყველას, ვინც მცირე წვლილი მაინც შეიტანა ამ საქმეში და გვერდით ედგა ირინა ენუქიძის ოჯახს. სისულელეა ამის თქმა, როგორ უნდა იზეიმოს ადამიანმა, როდესაც ამხელა ტრაგედია მოხდა, მაგრამ ამ გამარჯვებით გული მაინც მოვიფხანეთ და დავანახეთ ყველას ამ ხელისუფლების უსუსურობა.

**სოფო გელაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**ექსპერტები ფიქრობენ, რომ სწორედ მაჰმადიანური ექსტრემიზმის გაღვივებით ცდილობენ ანგლოსაქსები, გადაულახავი პრობლემები შეუქმნან ამ სივრცეში მოთამაშე ძალებს — ჩინეთს, რუსეთს, ევროპას.**

# მსოფლიო სტაბილური დესტაბილიზაციის ვითარებაში ცხოვრობს

**ის ერთი კვირა, რაც „საქართველო და მსოფლიოს“ მორიგი ნომერი არ გამოსულა, ისე ჩამოიხია, როგორც კედლის კალენდრის არაფრისმთქმელი ფურცელი: როგორიც იყო, ისეთივე „სტაბილური დესტაბილიზაციის“ პირობებში ცხოვრობს მსოფლიო. ასეთ დროს დიდი გასავალი აქვს შეთქმულების თეორიას, რისი ნაკლებობაც არც ახლა შეიმჩნევა. კონსპიროლოგიური მოსაზრებები უმეტესად საინტერესო წასაკითხია, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მხოლოდ ლოგიკური მსჯელობის ნაყოფია, ტენდენციურია, მხოლოდ ვარაუდია: ფაქტოლოგიური აპარატის სიუხვის მიუხედავად, მოვლენათა განვითარების ვარიანტებია. მაგრამ ზოგჯერ განხორციელება უწერია. ამდენადაა საინტერესო და ყურადღებამისაქცევი.**


ლიბიელი ამბოხებულები

ბჟეზინსკის მიაწერენ ასეთ მაქსიმას: ამერიკას ორი მტერი ჰყავს — საბჭოთა კავშირი და მართლმადიდებლობა.

სსრ კავშირი დაიშალა და მართლმადიდებლობის ჯერი დადგაო. მართლაც, პირველი ნაბიჯი, რომელიც ამ მიმართულებით აშშ-მა გადადგა, მართლმადიდებელი სერბეთის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაცია იყო.

ამის თაობაზე წერდა თავის დროზე „საქართველო და მსოფლიო“.

არა მარტო ამ ერთი მაგალითით, არამედ ბევრი სხვა ფაქტის მოშველიებით ასკვნიან, რომ ხელაღებით უარყოფა ასეთი რიგის მოსაზრებებისა ისევე მცდარი იქნება, როგორც — მათი უტყუარობის აღიარება.

სავარაუდო შესაძლებლობაა.

ჩვენც ამ პოზიციაზე ვდგავართ.

## საით დაუბერავს სამუმი?

სამუმი — უდაბნოს ქარს ეწოდება არაბულად, ჩრდილოეთ აფრიკის უდაბნოსთვის დამახასიათებელი ცხელი და მშრალი ქარია, რომელსაც ხშირად თან სდევს ქვიშის გრიგალი.

ამერიკელებმა „უდაბნოს ქარიშხალი“ შეარქვეს თავის დროზე კუვეიტში ერაყის შეჭრის საწინააღმდეგო სამხედრო ოპერაციას.

ჩრდილოეთ აფრიკის „რევოლუციური სამუმი“ ეგვიპტეში დაიწყო და ახლო აღმოსავლეთს გადაუარა.

საით აიღებს გეზს?

თავდაჯერებული ანალიტიკოსები ცდილობენ უპასუხონ ამ შეკითხვას და დაეჭვებული სინოპტიკოსებივით აცხადებენ — მოსალოდნელია, აღმოსავლეთით გავრცელდესო.

**ლიბიაში კადაფის წინააღმდეგ მიმდინარე ომში წარმატების მიღწევა სახმელეთო ოპერაციის გარეშე შეუძლებელი გახდა.** ანგლოსაქსები — აშშ და დიდი ბრიტანეთი ცდილობენ წასაგებად განწირული (ამ ეტაპზე მაინც) თამაშიდან „ღირსეულად“ გამოსვლას და ემიჯნებიან პარტნიორებს — საფრანგეთსა და იტალიას.

ამერიკა უპილოტო თვითმფრინავების გამოყენებით ცდილობს, შემოიფარგლოს, დაბომბოს „სტრატეგიული“ ობიექტები და დაიბანოს ხელი. ამ შემთხვევაში ცხელი წერტილის ჩაქრობა მხოლოდ კადაფისთან მოლაპარაკებითღა თუ იქნება შესაძლებელი. მაგრამ დიქტატორთან ერთ მაგიდასთან დასხდომა მარცხის აღიარებას ნიშნავს. ანგლოსაქსებს არავითარი სურვილი არ აქვთ, წაგებულის პოზიციაში აღმოჩნდნენ და, როგორც ყოველთვის, ყველა დამხრჩვალ კატას ნატოში თავიანთ პარტნიორებს აჰკიდებენ. თავის მართლების ლოგიკა ასეთია: ვინ აღიარა ლიბიელი ამბოხებულები? სარკოზიმ, ბერლუსკონიმ, ყატარმა. ხოლო ანგლოსაქსები იძულებული გახდნენ, მათ მხარეს დამდგარიყვნენ, რადგან საქმე „დემოკრატიის დაცვას“ ეხებოდა — „იმდენად — რამდენადაც“, ამიტომ, ვინც ძაღლი მოკლა, იმან გადაათრიოსო. სანამ აყროლებულა. შეატოვებენ ახლო აღმოსავლეთის ავგიას თავლებს სარკოზის და ბერლუსკონის.

**ანალიტიკოსების აზრით, თუ კადაფი კიდევ ორიოდ თვეს გაუძლებს, დასავლეთი საერთოდ დაივიწყებს ლიბიას. კადაფი კი იბრძოლებს ბოლომდე, რადგან შეგნებული აქვს, რომ „მშვიდობიანი“ წასვლის შემდეგ მას იგივე ბედი ეწევა, როგორიც მეზობელი ეგვიპტის „თავისი ნებით“ გადამდგარ პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქს, რომლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია.**

როგორც ჩანს, ჩიხია. აი, ამ ჩიხში შესვლა არ მოინდომეს რუსეთმა და ჩინეთმა, როცა თავი შეიკავეს ლიბიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციის სანქცირებაზე კენჭისყრის დროს უშიშროების საბჭოში.

ნიშნავს თუ არა ეს ყველაფერი, რომ „ლიბიის ჩიხი“ ავტომატურად გამოიწვევს რევოლუციური ტალღის დაცხრომას?

ექსპერტები მოვლენათა განვითარების ასეთ სქემას გვთავაზობენ:

„დემოკრატიული რევოლუციის“ ექსპორტს ანგლოსაქსები ირანში ვერ განახორციელებენ, რადგან იქ პირველსავე საპროტესტო დემონსტრაციას „აიღებენ და დახვრეტენ“.

უფრო სავარაუდოა, რომ რევოლუციის ბილიკი იემენისკენ, იორდანიასა და სირიისკენ გაიკვალება, სადაც არეულობა ყოველდღიურად უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. შემდეგ საუდის არაბეთის რიგი მოვა და (მიაქციეთ ყურადღება!) **„ივნისში აუცილებლად შეეცდებიან თურქეთის აფეთქებას, სადაც იმ დროს არჩევნები უნდა ჩატარდეს“.**

შემდეგი პაკისტანია. აქაური რევოლუცია საშიშროების თუ არა, სერიოზული დისკომფორტის შემცველი იქნება ჩინეთისთვის, რადგან პაკისტანი მისი მოკავშირეა.

ამასობაში „აშშ გადის ავღანეთიდან, ფულითა და იარაღით ამარაგებს თალიბებს(!), რომლებიც შევლენ ტაჯიკეთში და შეეცდებიან უზბეკეთში შეჭრას. ცენტრალური აზიის რევოლუციები შობს მილიონობით ლტოლვილს, სად წავლენ ისინი? — რუსეთში“.

აირევა რუსეთი, აფეთქდება მსოფლიო პოლიტიკური სისტემა. რისთვის სჭირდებათ ანგლოსაქსებს ასეთი დესტაბილიზაცია? მათი მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაში არიონ ვითარება, რათა ამ პირობებში მსოფლიო მასშტაბით სტაბილური აღმოჩნდეს მხოლოდ აშშ დოლარი. რადგან ჩინური იუანის აჩრდილი, შეიძლება ითქვას, „ემუქრება“ მსოფლიო ეკონომიკას.

ექსპერტები ფიქრობენ, რომ სწორედ მაჰმადიანური ექსტრემიზმის გაღვივებით ცდილობენ ანგლოსაქსები, გადაულახავი პრობლემები შეუქმნან ამ სივრცეში მოთამაშე ძალებს — ჩინეთს, რუსეთს, ევროპას.

გარკვეულწილად კიდეც შეძლეს ამის მიღწევა. მაგალითად, მონოლითურად შეკრულ ევროპას ლიბიის ომის შემდეგ ბზარი გაუჩნდა. სარკოზისა და ბერლუსკონის გაემიჯნა გერმანია, რომელიც ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკის განხორციელებას.

**ლიბია კი ჯერჯერობით არ დაშლილა და არც ალ ქაიდა და მისი კლონები მოსულან სახელმწიფოს მმართველობაში. უსამა ბენ ლადენი ორი დღის წინათ მოკლეს. რა მოჰყვება ამას, არავინ იცის.**

ვნახოთ, რა იქნება ხვალ.

დაველოდოთ. სხვა რა გზა გვაქვს, ან ვინ რას გვეკითხება?! საქართველო დღეს, როგორც არასდროს, ჰგავს მორევში ჩასათრევად განწირულ ნაფოტს, რომელიც, რაღაც სასწაულით, ჯერ კიდევ ტივტივებს, მაგრამ ფსკერზე აღმოჩენის პერსპექტივა გარდაუვალია, ვინაიდან საერთაშორისო გაუცხოების გამო ის ხავსიც არსად ჩანს, რომელსაც შეიძლება ჩავეჭიდოთ.

## დემოკრატია და ჰუმანიტარული მისია? არა – ნავთობი!

სანამ ანალიტიკოსების ერთი ნაწილი მოვლენათა შესაძლო განვითარების მოდელირებითაა გატაცებული, ექსპერტების მეორე ნაწილი ფაქტების ანალიზით არის დაკავებული და ასკვნის, რომ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკის მიმართ განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან „განსაკუთრებული ყურადღების“ გამოჩენის საფუძველთა-საფუძველი არის, არც მეტი, არც ნაკლები, — ნავთობი. უფრო მეტიც, ომი ლიბიაში ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ენერგორესურსებით სამომავლოდ მომარაგებისთვის მსოფლიოში გაჩაღებული შეჯიბრის — ვინ ვის? მსოფლიოს მომავალი ნახშირწყალბადებზეა დამოკიდებული, საწვავზე. განმსაზღვრელია საზოგადოებრივი მოღვაწეობის პრაქტიკულად ყველა სფეროს წარმატების თუ ჩავარდნის.

**„ნავთობის პიკის“ თეორიის მიხედვით, ნავთობის მსოფლიო მოპოვებამ პიკს მიაღწია და დღეის ამას იქით იწყება ვარდნა, კლება.** ამიტომ მწვავდება ბრძოლა საწვავით მომარაგებაში უპირატესობის მოსაპოვებლად, გნებავთ, საკუთარი თავის უზრუნველსაყოფად.

ამ პრობლემას განიხილავს **„Thr Trumpet“-ი (აშშ) ახლახან გამოქვეყნებულ რობერტ მორლის სტატიაში „მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლის გამოც ევროპა ბომბავს ლიბიას“.**

„არც ერთ ქვეყანას მსოფლიოში, — წერს ავტორი, — ნავთობის დასაზვერად და მოსაპოვებლად აშშ-ზე მეტი ფული არ დაუხარჯავს. შავი ოქროს მოსაპოვებლად არც ერთ ქვეყანას არ გაუბურღავს ამერიკაზე მეტი ნახვრეტი. მაგრამ რეკორდული დანახარჯებისა და საუკეთესო და მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილობის მიუხედავად, ნავთობის მოპოვება აშშ-ში განუხრელად კლებულობს. ეს კლება, უკვე 40 წელიწადია, მიმდინარეობს, მიუხედავად ახალი საბადოების აღმოჩენისა მექსიკის ყურეში, კლდოვან მთებში, ზღვაში, ალიასკაზე და სულ ახლახან — ბუკენის ფიქალების ფორმაციაში“.

**აშშ 1970 წელს 10 მილიონ ბარელს მოიპოვებდა ყოველდღიურად. ამჟამად ამის ნახევარსღა მოიპოვებს. 2012 წელს კი, ყველა ოფიციალური მონაცემით, დაიწყება ნავთობის მოპოვების ნელი, მაგრამ განუხრელი კლება.** ეს დასკვნა ფაქტებს ეყრდნობა, ფაქტები კი ღაღადებს, რომ 500 უმსხვილეს ნავთობსაბადოზე ბუნებრივი ნავთობის მხოლოდ 60 პროცენტს მოიპოვებენ. პირველი ოცეულის ბევრი საბადოს წლოვანება 50 წელიწადზე მეტია. ფაქტია ისიც, რომ ბოლო წლებში ძალიან ცოტა გიგანტური საბადო ჩადგა მწყობრში.

ამერიკელების ვარაუდი, რომ ალიასკაზე და სხვა ადგილებში მიწისქვეშ ნავთობის უდიდესი ტბებია დამალული, ფანტაზიის ნაყოფია. ასეც რომ იყოს, სპეციალისტების თქმით, აქედან უმნიშვნელო რეალური შედეგის მისაღებად მინიმუმ ათი წელიწადია საჭირო.

ნავთობის მოპოვების გაზრდის შანსი ამერიკას მიზერული აქვს. ევროპა უარეს დღეშია. ჩრდილოეთის ზღვის საბადოები სწრაფად იფიტება. **მალე მთელი ნავთობი ძველ კონტინენტზე იმპორტირებული იქნება. „და თუ ბებერ ევროპას არ სურს, უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული იყოს რუსეთზე, მზერა აფრიკისკენ და ახლო აღმოსავლეთისკენ უნდა მიმართოს,** — წერს რობერტ მორლი და განაგრძობს, — **მსოფლიო ბაზარზე გასატანი ჭარბი ნავთობი მხოლოდ რუსეთსა და ოპეკის ქვეყნებს აქვს. მაგრამ, რადგან რუსეთს ბირთვული იარაღიც გააჩნია, რჩება ოპეკი.**

ამიტომაა, რომ დღეს ევროპა ნატოს მხარდაჭერით ბომბავს ლიბიას...

## ჩერნობილის ჯოჯოხეთის კარი შეიძლება გაიღოს

25 წლის წინათ ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარია პლანეტა- ▶

მოკლედ

## კატასტროფიდან 25 წლის შემდეგ

**ჩერნობილის კატასტროფიდან 25 წელი შესრულდა და სადგურის მეოთხე რეაქტორის აფეთქების შემდეგ აგებული სარკოფაგი ნელ-ნელა ინგრევა.** სარკოფაგის უსაფრთხოების გარანტია 30 წელია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაახლოებით 5 წლის შემდეგ რეაქტორიდან რადიოაქტიური ნივთიერებების გაჟონვის პროცესს ველარ შეაჩერებს. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებს, რომლებიც ჩერნობილის ატომური სადგურის დახურვას მოითხოვდნენ და სარკოფაგის მშენებლობისთვის თანხის გამოყოფის პირობას დებდნენ, დაპირება დღემდე არ შეუსრულებიათ.



## ლავროვის ულტიმატუმი

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების მიზნით აფხაზეთში ჩავიდა და იქ გამართულ პრესკონფერენციაზე კვლავ გამოხატა რუსეთის პოზიცია ლიბიის კონფლიქტთან დაკავშირებით.** მინისტრმა ფაქტიურად ულტიმატუმი წაუყენა კოალიციას, რომელიც მზადაა, ლიბიაში თავისი ქმედებები გააფართოვოს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერს გაეროს უშიშროების საბჭოს ახალ რეზოლუციას, თუ ის ქვეყანაში სამოქალაქო ომის შემდგომი ესკალაციისაკენ იქნება მიმართული.

საზოგადოება
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ფუკუსიმადან, ძირითადად, ჟონავს იოდი-131, რომლის ნახევრადდაშლის პერიოდი 8-9 დღე-ღამეა. ჩერნობილში კი პლუტონიუმი, ცეზიუმი, სტრონციუმი და ურანი მძვინვარებს. სხვადასხვა იზოტოპების დაშლის პერიოდები სხვადასხვაა. საერთო წარმოდგენისთვის — ერთი მაგალითი: ურან 238-ის ნახევრადდაშლის პერიოდი უდრის 4,998 X 10 მეცხრე ხარისხში.**

ქართველი ჩერნობილელები და უკრაინის საელჩოს თანამშრომლები სიონის ტაძრის ეზოში. 2011 წლის 26 აპრილი. მეორე რიგის ცენტრში — უკრაინის ელჩი ვასილ ციბენკო



რულ კატასტროფად იქნა აღქმული: **„მესამე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და ციდან ჩამოვარდა დიდი ვარსკვლავი, გახურებული ჩირაღდანივით იწვოდა, და ჩავარდა მდინარეთა მესამედ ნაწილზე და წყალთა წყაროებზე.**

**ამ ვარსკვლავის სახელი იყო აბზინდა; და წყლების მესამედი ნაწილი აბზინდად იქცა და დიდძალი ხალხი დაიხოცა წყლებისგან, ვინაიდან დამწარდნენ ისინი“** (*მოციქულ იოანეს გამოცხადება, 8,10-11*).

ჩერნობილის თემას საერთო არაფერი აქვს კონსპიროლოგიასთან. პირიქით, მეცნიერთა, პრაქტიკოს სპეციალისტთა დაკვირვებითა და მტკიცებით, რადიაციული საშიშროება, რომელიც კაცობრიობას ემუქრება ჩერნობილის გამო, ლოგიკური მსჯელობით დახატული პერსპექტივა კი არ არის, არამედ რეალური პრობლემაა.

აბზინდისგან მოწამლული წყლები შორეულ შესაძლებლობად მიაჩნდათ ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ: სახარების სჯეროდათ, მაგრამ ზეციდან ჩამოვარდნილი ვარსკვლავის რეალობას მომავალში ხედავდნენ, ჩვენ დროს ასეთი რამ შეუძლებელიაო, — აღნიშნავდნენ ბიბლიის კომენტატორები 1913 წელს გამოცემულ კომენტარების სამტომეულში.

ჩვენ გვერგო წილად ეს უბედურება, რომელიც გვეგონა, რომ გადავიტანეთ.

ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მეოთხე (აფეთქებული) ენერგობლოკი სარკოფაგითაა გადახურული (1986 წელს 6 თვეში ააგეს ეს დამცავი საშუალება. ამ სტრიქონების ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა კვალდაკვალ მიჰყოლოდა ამ უნიკალური მშენებლობის პროცესს, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიით გადაცემულ რეპორტაჟებში აისახა), სხვა სამი რეაქტორი განტვირთულია, ანუ არ მუშაობს.

რისი უნდა გვეშინოდეს?

უპირველესად, — იმის, რომ **სარკოფაგის ეფექტიანი მდგრადობის პერიოდი (25-30 წელიწადი), ე.ი. მისი დაცვითი ფუნქცია, იწურება. რა ხდება სარკოფაგს შიგნით, დანამდვილებით არავინ უწყის. არადა, შეიძლება ერთ შავ დღეს ისე იფეთქოს, რომ ჩერნობილის ავარია მასთან შედარებით არაფერი იქნება.**

შესაძლო მასშტაბზე წარმოდგენის შესაქმნელად გავიხსენოთ, რომ ჩერნობილის ავარიის შედეგად რადიაციულად დაბინძურდა 160 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი, დაახლოებით 190-200 ტონა ურანი და პლუტონიუმი (რადიაქტიული საწვავი) აფეთქდა, აორთქლდა და გაიფანტა უკრაინის, ბელორუსიის, ჩრდილოეთ ევროპის თავზე.

ხოლო გაჩერებული ენერგობლოკების ბირთვული საწვავი განტვირთულია „დროებითი შენახვის“ სქემით, რაც, აგრეთვე, დიდი რადიაციური საშიშროების შემცველია.

მსოფლიო ელექტრონული მედიის ყოველდღიურ ცნობებში ფუკუშიმადან გაჟონილი რადიაციის შესახებ ყოველდღიურად ქვეყნდება ინფორმაცია.

მსოფლიო შოკშია.

მაგრამ, სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, იაპონური რადიაცია არაფერია ჩერნობილთან შედარებით. **ფუკუსიმადან, ძირითადად, ჟონავს იოდი-131, რომლის ნახევრადდაშლის პერიოდი 8-9 დღე-ღამეა. ჩერნობილში კი პლუტონიუმი, ცეზიუმი, სტრონციუმი და ურანი მძვინვარებს. სხვადასხვა იზოტოპების დაშლის პერიოდები სხვადასხვაა. საერთო წარმოდგენისთვის — ერთი მაგალითი: ურან 238-ის ნახევრადდაშლის პერიოდი უდრის 4,998 X 10 მეცხრე ხარისხში.**

მოკლედ — მილიარდობით წელიწადია, და სად — ფუკუსიმა, სად — ჩერნობილი!

ჩერნობილში ე. წ. წითელი ტყე, რადიაციული გამოსხივებით დამწვარ ტყის მასივებში მოჭრილი ხეები ავარიის შედეგების ლიკვიდაციის პროცესში მიწაში ჩამარხეს. ასეთ „ძმათა საფლავებს“ არავითარი დაცვა არ აქვს. ნიადაგში რადიონუკლიდების გაჟონვა წელიწადში ორი მეტრია, ამიტომ გრუნტის წყლების მასშტაბური დაბინძურება უსაშინელესი, ამასთან, სავსებით რეალური პერსპექტივაა.

**ათკილომეტრიან ზონაში რადიაქტიური ნარჩენების 800 სამაროვანია — არანორმირებული, სახელდახელო — მიწაში ჩამარხული რადიაცია, რომელსაც ოთხკუთხივ გზა აქვს ხსნილი.**

ჩამარხეს და დაივიწყეს.

სპეციალისტების ერთი ნაწილი დარწმუნებულია, რომ IV ბლოკის ხელახალი აფეთქება შეუძლებელია, მაგრამ მაღალი რადიაციის ველების ზემოქმედებით ამჟამად ვითარდება დესტრუქციული პროცესები, რომლებიც მტკიცე მონოლითის საფარს სუბმიკრონულ მტვრად აქცევს, რომლის მიგრაციის მონიტორინგი შეუძლებელია. იშლება სამშენებლო მასალა და კონსტრუქციები. მეოთხე ენერგობლოკის მწყობრიდან გამოსვლა გარდაუვალი ხდება.

სარკოფაგი სასიკვდილო ობიექტადაა მიჩნეული, სადაც მსოფლიოსთვის საშიში მუხტია კონცენტრირებული რადიაციული მტვრის სახით, რომელიც, ღმერთმა არ ქნას, სარკოფაგიდან თუ გამოიფრქვა, ყველგან, სადაც მას ქარი წაიღებს, რადიაციულ უდაბნოს წარმოქმნის. ეს — სამომავლო ვარაუდი. მანამდე კი, წარსული თავს გვახსენებს იმით, რომ უკვე დაფიქსირებულია 6 ათასი შემთხვევა ფარისებრი ჯირკვლების კიბოსი. 25 წელიწადი ის პერიოდია, რომელიც დასხივებით გამოწვეული ჩიყვის კიბოდ ტრანსფორმაციისთვისაა საჭირო.

ამასთან ერთად, საოცარია, მაგრამ ჩერნობილის გასხვისებული ზონა კოლოსალური ბიზნესის კლონდაიკია: ტურიზმი, რადიაციული საწვავის ნარჩენები, რადიაქტიული ჯართი და ა.შ. მაგრამ ეს სხვა ოპერიდანაა.

უკრაინის ელჩი მემორიალის შემკობისას ქუთაისში



* * *

**26 აპრილი უკრაინაში აღნიშნეს, პატივი მიაგეს ჩერნობილის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში დაღუპულთა ხსოვნას.**

**ქართველმა ჩერნობილელებმა, კავშირის თავმჯდომარის — ვაჟა ჩადუნელის მეთაურობით, სიონის საკათედრო ტაძარში სანთლები დაუნთეს გარდაცვლილ კოლეგებს. მათთან ერთად იყვნენ საქართველოში უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვასილ ციბენკო, საელჩოს თანამშრომლები. ქუთაისში აღადგინეს ჩერნობილელთა მემორიალი.**

**სხვა არაფერი. ქართველი ჩერნობილელები ხელისუფლებას არ ახსოვს, არადა, ატომური ელექტროსადგურის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში 2000-ზე მეტი საქართველოდან წარგზავნილი მონაწილეობდა. ავარიის შედეგები უფრო საშინელი რომ არ აღმოჩნდა, მათი თავგანწირვის შედეგიცაა.**

**არმაზ სანებლიძე**

## კონსტანტინე სივკოვი:

# მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეჭრისთვის ემზადება

**რუსი ექსპერტის — კონსტანტინე სივკოვის მტკიცებით, „საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეჭრისთვის ემზადება“. მას „ეჭვი არ ეპარება, რომ ქართული არმიის გადაიარაღება სრული სვლით მიმდინარეობს“.**



„საქართველოს შეიარაღებული ძალები საკმაოდ თანამედროვე იარაღითაა აღჭურვილი, უპირველესად, – აშშ-ისა და ისრაელის დახმარებით. თბილისს მიაწოდეს საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, მათ შორის ისეთი ცნობილი, როგორიცაა „პატრიოტი“. დასავლეთი ასევე დაეხმარა საქართველოს მმართველობისა და დაზვერვის სფეროში სხვადასხვა ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსებითა და ვერტმფრენებით, რომლებიც, სხვათა შორის, შესაძლებლობას იძლევა, მოწინააღმდეგის ტექნიკას მნიშვნელოვან მანძილზე სერიოზული დარტყმა მიაყენოს“, — აცხადებს ექსპერტი.

ამასთან, მისი აზრით, **„სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ ახალი აგრესია მხოლოდ ორი პირობის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი – ოფიციალური თბილისის სრული რწმენის, რომ დასავლეთი მას სრულ მხარდაჭერას აღმოუჩენს, და რუსეთის სისუსტის“.**

რაც შეეხება ომის მიზეზს, მისი აზრით, **„საამისოდ შეიძლება ნებისმიერი მიზეზი მოიძებნოს – რაღაც ინციდენტი საზღვარზე ან რაიმე პროვოკაცია, მაგრამ ყველაზე მთავარი პირობებია“.**

„რა თქმა უნდა, რუსეთთან ომის შემთხვევაში, არავის გამოუვა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოს გამარჯვება უზრუნველყოს. ამიტომ აუცილებელია, რუსეთის შიგნით არასტაბილური სიტუაციის შექმნა, რაც შესაძლებელია საპრეზიდენტო არჩევნების პირობებში; მით უფრო, რომ **დასავლეთი რუსეთის ერთ-ერთ შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატთან, პრემიერ ვლადიმერ პუტინთან დაკავშირებით ძალიან მკაცრ პოზიციას იკავებს. ეს გამარჯვება დასავლეთისთვის კატასტროფა იქნება. სწორედ ამიტომ რიგი ამერიკელი და ევროპელი პოლიტიკოსებისთვის რუსეთში ქაოსი მომგებიანი სიტუაცია იქნება, რომლის ორგანიზება შესაძლებელია, მათ შორის ეკონომიკური ომის მეთოდების გამოყენებით.** მსგავსი პრობლემების ფონზე საქართველო სიტუაციის გამოყენებას შეძლებს და აფხაზეთის საკუთარ კონტროლქვეშ დაბრუნებას შეეცდება,“ — აცხადებს სივკოვი.

**მაკა ბრეგვაძე**
**pirveli.com.ge**

# გაერო სირიის წინააღმდეგ ვერ შეთანხმდა

**გაეროს უშიშროების საბჭომ სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ ერთობლივი დოკუმენტი ვერ მიიღო. სამმა ქვეყანამ — რუსეთმა, ჩინეთმა და ლიბანმა აღნიშნულ ინიციატივას მხარი არ დაუჭირა.** გაეროში რუსეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სირიაში არსებული მდგომარეობა ამ ეტაპზე საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ხუთმა ქვეყანამ — საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, იტალიამ და ესპანეთმა სირიიდან ელჩები გაიწვია. სირიის ხელისუფლება გააკრიტიკა გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმაც.

# სააკაშვილის გვერდის ავლით

**მოსკოვმა, როგორც ჩანს, მონახა გზა მსო-სთან საქართველოს თანხმობის გარეშე მიერთებისთვის.** რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა აფხაზეთში ვიზიტისას გამართულ პრესკონფერენციაზე კიდევ ერთხელ განაცხადა ის, რასაც მანამდეც ამბობდა, რომ რუსეთს შეუძლია საქართველოს მხრიდან თანხმობის გარეშეც მიუერთდეს მსო-ს. მინისტრის თქმით, ამის საშუალებები არის და ისინი თავად მსო-ს მოქმედების პრინციპებს ეფუძნება.



# ობამა ამბოხებულებს 25 მილიონს აძლევს

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ლიბიელი ამბოხებულებისთვის 25 მილიონი დოლარის გამოყოფის განკარგულება გასცა.** ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ ამერიკამ ამბოხებულებს ღია მხარდაჭერა გამოუცხადა. ობამას განცხადებით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა და პენტაგონმა უახლოეს პერიოდში უნდა გამოყონ თანხა, რომელიც ლიბიაში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას მოხმარდება.

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

ექსკლუზივი

მომიტინგეები დაიშალნენ ზუსტად დეპეშის წაკითხვისთანავე, მაგრამ ფაქტია, რომ ის დეპეშა გორბაჩოვს არ გამოუგზავნია, არამედ შევარდნაძის კარნახით დაფიქსირდა თბილისში.

ჯუმბერ პატიაშვილი:

# 1989 წლიდან გადატრიალების რეჟიმში ვართ!

## დებატებში საჯაროდ უნდა გაირკვეს, ამ საკითხებში რა წილი აქვს შევარდნაძეს და რა — პატიაშვილს

**„საქართველო და მსოფლიოს" მეცამეტე ნომერში (13-19 აპრილი) გამოქვეყნდა 1989 წლის 8 აპრილს შემდგარი თავდაცვის საბჭოს დახურული სხდომის საიდუმლო ოქმი. დოკუმენტმა ბევრ საკითხს მოჰფინა ნათელი, კერძოდ, გაირკვა, რომ არაერთი ადამიანი, რომლებიც მოგვიანებით პათეტურ კომენტარებს აკეთებდნენ, ხსენებულ სხდომაზე განსხვავებული პოზიციით გამოირჩეოდნენ და გაცილებით რადიკალური ზომების მიღების მომხრე იყვნენ, ვიდრე იქ დამსწრე საკავშირო თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილე თუ გენერალი როდიონოვი. დოკუმენტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს.**

**— ბატონო ჯუმბერ, რას იტყვით თავდაცვის საბჭოს 1989 წლის 8 აპრილს დახურული სხდომის საიდუმლო ოქმზე?**

— ეს ოქმი „გრიფით საიდუმლო" კი იყო, მაგრამ ჩემთვის ახალი არ ყოფილა, ვინაიდან იმ სხდომაზე გაცილებით მეტი ითქვა, გაცილებით დიდხანს მსჯელობდნენ და, ბუნებრივია, ყველაფერი ოქმში არ ასახულა. აქვე უნდა გითხრათ, რომ 8 აპრილამდე შედგა რამდენიმე შეხვედრა, რომელიც წინ უსწრებდა ამ ოქმის მიღებას... თუ მიაქციეთ ყურადღება, როდესაც მსჯელობენ 9 აპრილთან დაკავშირებით, აქცენტს ყოველთვის მხოლოდ საქართველოს ცეკას პირველ მდივანზე აკეთებენ, მაშინ, როდესაც ეს პროცესები არ იყო დამოკიდებული მხოლოდ ერთ ადამიანზე. ვერც წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე დატრიალდებოდა... სამწუხაროა, რომ მაშინ არ გაკეთდა ყველა სხდომის, შეხვედრის ვიდეოჩანაწერი, სადაც შემონახული იქნებოდა ჩემი, ბიუროს წევრებისა და სხვა პირთა მსჯელობა, მოსაზრებები. საზოგადოებამ რომ დეტალურად იცოდეს, რა პროექტები არსებობდა, რა წინადადებები იყო, როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებათა მიღება, ამდენი შეკითხვა არც კი გაუჩნდებოდა... დარბაზში მსხდომ ოთხას კაცს რომ გააცნობ მთლიან პროგრამას, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ვითარება განიმუხტოს და ყველა უშუალოდ მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, მერე კი ყველა ერთხმად გაეთიშება და „გაემიჯნება" ამ პროცესებს, იმიტომ, რომ ასე უბრძანებს ერთი კონკრეტული პიროვნება, ეს, მსუბუქად რომ ვთქვათ, უზნეო საქციელია...

**— ხშირად საუბრობდნენ იმაზე, რომ ჯუმბერ პატიაშვილი ხალხთან არ გავიდა... თქვენ მაშინ ახალი ჩამოსული იყავით აფხაზეთიდან, სადაც ადლეიბას პასუხი აგებინეთ ლიხნის კრების მოთხოვნებზე ხელის მოწერის გამო. ამდენად, ხალხთან გასვლის კარგი მიზეზი გქონდათ, აქციების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხომ ეს საკითხიც იყო...**

— ლიხნის შეკრება იყო აქციების ერთ-ერთი დეტონატორი. მიუხედავად ამისა, ადლეიბასთვის მოულოდნელი იყო 6 აპრილს მისი გადაყენების გადაწყვეტილება, რასაც (როგორც ქართველებმა, ისე არაქართველებმაც) ერთხმად დაუჭირეს მხარი. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ჩვენ მხარი დაგვიჭირა ბაგრატ შინკუბამაც, მან ბიუროს სხდომაზე განაცხადა: ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება ის არის, რომელსაც ჯუმბერ ილიჩი გვთავაზობსო. იმ სხდომის სტენოგრამაც იქნება, ალბათ, აფხაზეთში. ასეთი მხარდაჭერა კი უკვე გვაძლევდა გარანტიას, რომ დადებითი ნაბიჯები გადაიდგა აფხაზებთან დაკავშირებით. 6 აპრილს, ეს პლენუმი რომ დამთავრდა, უამინდობის გამო ჩვენ ვერ გამოვფრინდით სოხუმიდან, დავრეკე იქიდან და ადლეიბას გადაყენების გადაწყვეტილება გამოცხადდა როგორც ტელევიზიით, ისე რადიოთი. გამოაცხადეს, რომ პლენუმი ჩატარდა, განთავისუფლდნენ ესა და ეს ადამიანები. ეს ყველაფერი ხალხმა კარგად მიიღო, მაგრამ მომენტალურად შეიცვალა მომიტინგეთა ლოზუნგები და საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის მოთხოვნაში გადაიზარდა ყველაფერი. 6 აპრილს, ჩემი თხოვნით, ოთარ ჩერქეზია გამოვიდა ტელევიზიით (ეს ჩანაწერი აუცილებლად იქნება ტელევიზიაში) მაგრამ ამას, პრაქტიკულად, არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. მე რომ თბილისში ჩამოვფრინდი, უკვე 7 აპრილი თენდებოდა. აეროპორტში დამხვდა მეორე მდივანი და მითხრა, რომ არაფერი არ შეცვლილა, კარგიც არაფერია და 7 აპრილს, 12 საათზე, დავნიშნეთ აქტივის პირველი კრებაო. დაახლოებით ოცი წუთით ადრე დამირეკა საკავშირო თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა და მითხრა: თქვენთან ახლა მოვა კოჩეტოვიო...

**— გამოდის, საკავშირო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე იმ დროისთვის უკვე თბილისში იყო?**

— დიახ, კოჩეტოვი უკვე თბილისშია... მართლაც, დაახლოებით ათი წუთის შემდეგ ჩემთან შემოვიდნენ კოჩეტოვი და როდიონოვი. მათ მითხრეს, რომ იცოდნენ, რა სიტუაციაც იყო, რომ თავად ნახეს, საღამოობით ხალხი ცოტა რჩებოდა, ამიტომ მაშინ უნდა დაეშალათ აქცია...



**შევედი გორბაჩოვთან და ვკითხე, თუ რატომ არ იყო სიაში შევარდნაძე, ეს ძალიან ცუდად ჩანს-მეთქი. იცით, რა მიპასუხა გორბაჩოვმა? — НИЧЕГО, ПЕРЕЖИВЕТ!**

**— როდიონოვისა და კოჩეტოვის თბილისში ყოფნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქმე სამხედრო ოპერაციასთან გქონდათ?**

— დიახ, ეს იყო სამხედრო ოპერაცია... მე ვუთხარი მათ, რომ აქტივის სხდომაზე მივდიოდი. ჩვენც დავესწრებითო. ბუნებრივია, ვერ ავუკრძალავდი, რადგან ერთი ბიუროს წევრი იყო, ხოლო მეორე — ცეკასი. რომ შევედით დარბაზში, ტაშით დაინგრა იქაურობა, კოჩეტოვისა და როდიონოვის მოსვლას მოჰყვა ეს რეაქცია, ჩემსას კი არა. იგრძნეს ძალა, რადგან ეშინოდათ მუქარის, რაზეც ხმები ვრცელდებოდა...

**— რა ხმებს გულისხმობთ?**

— მოგვიანებით გაირკვა, უფრო სწორად, გუმბარიძემ დაადასტურა, როგორც უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ, რომ ვრცელდებოდა ხმები 14 აპრილს კომუნისტებისთვის ბართლომეს ღამის მოწყობისა და მათი დახოცვის თაობაზე. ბუნებრივია, ხალხი შეშინდა... მართალია, ახლა სხვანაირად ლაპარაკობს ამაზე ზოგიერთი პოლიტიკოსი, მაგრამ...

**— აპრილის მოვლენებში გუმბარიძის როლზე რას იტყვით?**

**— რა უნდა გითხრათ იმაზე მეტი, რაც მოხდა — ის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე (რომელმაც საკუთარი თანამშრომლები რვაში საღამოს შინ გაუშვა, აქციის მიმდებარე ტერიტორიას მოაშორა და თვით კრიუჩკოვიც კი წერს, რომ საკავშირო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ მხოლოდ 15 წუთით ადრე გაიგო, რომ აქცია ტარდებოდაო) კი არ მოხსნეს თანამდებობიდან, არამედ ცეკას პირველ მდივნად დანიშნეს...**

**— არაერთხელ ითქვა იმაზეც, რომ მაშინ აქციების ორგანიზებაში კომპარტიაც იღებდა მონაწილეობას...**

— სხვათა შორის, ნოემბრის აქციებთან დაკავშირებით მოსკოვში მითხრეს კიდეც — თუ თქვენ არ გაწყობთ, მთავრობის სახლის წინ რატომ ატარებინებთ აქციებსო. თითქოს ჩვენ ამით ვცდილობდით ყურადღების მიქცევას. 1988 წლის ნოემბრის მოვლენებისას, მაშინ, როცა თბილისში ასევე მიტინგები იმართებოდა, მოსკოვში გახლდით, სიტყვით უნდა გამოვსულიყავი. წინა ღამით, დაახლოებით 12 საათზე რეკავს ვეჩე, ვიფიქრე, თბილისი უნდა ყოფილიყო, რადგან მოსკოვთან ვეჩეთი არ ვსარგებლობდით. ქალის ხმამ მითხრა, მიხაილ სერგეევიჩს უნდა თქვენთან საუბარიო... მითხრა, ახლა აგარაკზე მივდივარ და მანქანიდან გირეკავო, რას იტყვი, მომიტინგეებს თბილისში დეპეშა რომ გავუგზავნოო? გენერალური მდივანია, რა მეთქვა, არ გააგზავნომეთქი? იმის გათვალისწინებით, რომ მისი დეპეშები წაიკითხეს ბაქოშიც და ერევანშიც და იქ სულ დაინგრა ყველაფერი, უარს ხომ ვერ ვეტყოდი? ცოტა ხნის შემდეგ შევარდნაძემ დამირეკა, რას ფიქრობ ამ საკითხზეო? უკვე მივხვდი, რომ მათ შორის კავშირი იყო და მომიტინგეებისათვის დეპეშის გამოგზავნის იდეა გორბაჩოვს შევარდნაძემ შესთავაზა. მეორე დღეს, 10 საათზე, იწყება სხდომა, სადაც უნდა გამოვიდე სიტყვით. პირველ სხდომაზე არ მომეცა სიტყვა, თბილისში დავრეკე, რადგან წინა საღამოს მაცნობეს, რომ ქალაქში ტანკები გამოჩნდაო. დავიწყე ვითარების გარკვევა, მოვიკითხე როდიონოვი, რომელიც, ასევე, მოსკოვში იმყოფებოდა. როდიონოვმა უარყო ტანკების არსებობა. გავიდა ნახევარი საათი, როდიონოვმა გენშტაბში დარეკა და... მოკლედ, ოფიციალური განმარტება იყო ასეთი, რომ ტანკები შემთხვევით აღმოჩნდა ქალაქში, რადგან წვრთნიდან დაბრუნებულებს გზა აერიათ და ბაზის ნაცვლად ქალაქში შემთხვევით გამოჩნდნენო. ცოტა ხანში ისევ თბილისში დავრეკე, მითხრეს, ახლა გორბაჩოვის დეპეშას წაიკითხავენ მიტინგზე და დაიშლება ხალხიო. დაიწყო სხდომა, გამომაცხადეს მეორე თუ მესამე, ამ დროს ჩემთან მოვიდა შევარდნაძის ახლობელი ქალბატონი და მითხრა, დეპეშასთან დაკავშირებით ერთი-ორი სამადლობელი სიტყვა თქვიო. იჯდა ჩემ გვერდით, ინაურმაც მოისმინა ეს და თეიმურაზ მოსაშვილმაც. იქ გამოსვლა ერთია და როგორ თქვა მადლობა — ეს კიდევ სხვა საკითხი. ჩემი გამოსვლა 15-წუთიანი იყო და ყველაფერი გათვლილი, ამასთან, მე არ ვიცოდი შედეგი — ამ დეპეშას თბილისში როგორ შეხვდნენ — მოეწონათ თუ ყირაზე დადგნენ. მიუხედავად ამისა, სიტყვით გამოსვლისას მივმართე პირდაპირ მიხაილ სერგეევიჩს, დიდი მადლობა იმ დეპეშისთვის, რომელიც თქვენ გამოაგზავნეთ და მომიტინგეები დაიშალნენ-მეთქი. დარბაზს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა მიტინგი ტარდებოდა თბილისში. მე ვისაუბრე იმაზეც, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება არასწორია, ჩვენს ქვეყანასაც უნდა ვიცნობდეთ, რომ ჩვენ გვაინტერესებს, აფრიკაში რა ხდება, რა პრობლემები აწუხებს გვადელუპას, მაგრამ ქვეყნის შიგნით რა პრობლემებია, ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ-მეთქი.

მართლაც, დამთავრდა ეს ყველაფერი: მომიტინგეები დაიშალნენ ზუსტად დეპეშის წაკითხვისთანავე, მაგრამ ფაქტია, რომ ის დეპეშა გორბაჩოვს არ გამოუგზავნია, არამედ შევარდნაძის კარნახით დაფიქსირდა თბილისში. ეს და სხვა მსგავსი გარემოებები აფიქრებინებდა ხალხს როგორც თბილისში, ასევე მოსკოვში, რომ მიტინგები ყურადღების მისაქცევად მოეწყო. ასევე, ცხადია, ▶

**აეროპორტის თანამშრომლებისგან ცნობილი გახდა, რომ „ლიტერული ბორტი“ მართლა დაეშვა, მასში ავიდა უშიშროების ხელმძღვანელი გუმბარიძე, დაჰყო ორმოცი წუთი და ამის შემდეგ ბორტი უკან გაფრინდა. გუმბარიძესაც ჰკითხეს, თუ ვინ ჩამოფრინდა, მაგრამ მან ეს არ განაცხადა. ამ საკითხით შავგულიძის კომისიაც არ დაინტერესებულა, არც მიკვირს, რადგან მაშინ იყო ასეთი ტენდენცია — ყველაფერი წაეყვანათ ჯუმბერ პატიაშვილის წინააღმდეგ, რის გამოც რიგი ადამიანებისა ძალიან უსინდისოდ იქცეოდა.**

ექსკლუზივი

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

◀ რომ ხმები ტანკების შემოსვლასთან დაკავშირებით და ამით მომიტინგეების გაღიზიანება, მერე კი ამ მიტინგის შევარდნაძის მიერ ნაკარნახევი დეპეშით დაშლა დამთხვევა არ იყო...

**— გინდათ, თქვათ, რომ შევარდნაძე გორბაჩოვის თვალში ქულებს იწერდა? ის ხომ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რაში დასჭირდებოდა ასეთი მასკარადი?**

— ვერ გეტყვით, ვინ რას იწერდა, მაგრამ ფაქტია და საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ იმ პერიოდში შევარდნაძეს უკვე წყალი ჰქონდა შეყენებული და მზადდებოდა მისი უხმაუროდ გაშვება თანამდებობიდან... რაც შეეხება ხალხთან გასვლა-არგასვლის საკითხს, 7 აპრილს აქტივის სხდომაზე გამოვთქვი მოსაზრება, რომ გავალ მომიტინგეებთან-მეთქი. ყველა წინააღმდეგი იყო, ომარ ვარძელაშვილის გარდა, მხოლოდ მან დამიჭირა მხარი, ჯუმბერ ილიჩ, უნდა გამოხვიდეთო. გადის რაღაც პერიოდი და რეზო ჩხეიძე ამბობს, შევქმნათ ჯგუფი ინტელიგენციის და შევხვდეთ არაფორმალების ლიდერებსო. მივესალმეთ ამ ინიციატივას, მერე ტელევიზიითაც გამოვიდა რეზო ჩხეიძე. საღამოს დამირეკა და მითხრა, უარს ამბობენ შეხვედრაზეო. უარს ლიდერები ამბობენ შეხვედრაზე. მერე გავთვალე, რომ ჩემი გასვლა პროვოკაცია იქნებოდა დ იმ როლს ვერ შევასრულებდი, შედეგად ხალხი უფრო რომ დასჯილიყო, ვინაიდან მე მომიტინგეების ძალით დაშლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მეტრო „რუსთაველთან“ ორი სახანძრო მანქანა იდგა, მაგრამ მათი გამოყენების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. რაც შეეხება რეზო ჩხეიძის ინიციატივას, მეორე დღეს სხდომაზე, როცა წაიკითხეს პუნქტი — დავიჭიროთ ლიდერებიო, ტაშით დაინგრა დარბაზი. იქ დამსწრეთაგან ზოგი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ვინც ცოცხალია, ხომ ახსოვთ, როგორ ვითარდებოდა მოვლენები?! ერთადერთი კაცი იყო ჯანსულ ჩარკვიანი, რომელიც ადგა და თქვა, თქვენ აქ ტაშს უკრავთ და ბოლოს პასუხს ამათ მოსთხოვენო. მაგრამ, როგორც კი ეს ითქვა, 5 წუთში ლიდერები მოედნიდან წავიდნენ. ამის შემდეგ ტარდება საბჭოს სხდომა, მაგრამ რეზოს წინადადებაზე რომ უარი თქვეს, გადაწყდა, ტელემიმართვა გაგვეკეთებინა. ყურადღებით მოისმინეს მიმართვა, მაგრამ შედეგი არ იყო. 8 აპრილს რომ შევიკრიბეთ და გადაწყვეტილება მივიღეთ, ამიტომ ჩატარდა მერე თავდაცვის საბჭოს სხდომა. საქართველოს მილიციის როლი დადებითად რომ არის შეფასებული, ეს ბუნებრივია, მაგრამ როდიონოვმა ერთ ქართველ მაღალჩინოსანს პანღური იმიტომ ამოარტყა, რომ მილიცია იქ უნდა ყოფილიყო და არ იყო. როდიონოვმა ეს დაწერა, თუმცა რაც მოსკოვში იწერება, იმას აქ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და ისიც დაადასტურა, რომ მე მას ოთხის ნახევარზე დავუკავშირდი, ვთხოვე კიდეც, რომ გადაგვეტანა ეს აქცია, რადგან უამრავი ხალხი შეგროვდა. მან ისიც განმარტა, რომ ბრძანება მიღებული ჰქონდა და, როგორც ჯარისკაცს, არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო. არადა, ოთხი საათისთვის და შემდეგ სხვა დროსაც იქ მხოლოდ 250-300 კაცი იყო ხოლმე. ჯანდაცვის მინისტრი მაშინ მენაღარიშვილი იყო. იმასაც დავუძახეთ და მოვამზადეთ საავადმყოფოები, მაგრამ არა მოკლული და დასახიჩრებული ხალხისთვის, როგორც ახლა იძახიან ზოგიერთები, არამედ მოშიმშილეებისთვის, რომელთა რაოდენობაც დაახლოებით ასს შეადგენდა... 8 აპრილს სხდომის მიმდინარეობის დროს დავუძახე გუმბარიძეს და მახარაშვილს, რომელიც ქალაქკომის მდივანი იყო და გავგზავნე ვითარებაში გასარკვევად, თან მოხდა ისე, რომ რომელიღაც მანქანას დაარტყა ჯავშანმანქანამ. კოჩატოვმა თქვა, ეს გამოცდილი მექანიზმია, ბაქოში ჩავატარეთ ასეთი ოპერაცია და 100 ათასი ადამიანი ისე დაიშალა, როგორც არაფერიო. ეს ინფორმაცია გავიგეთ ჩვენ აქტივის სხდომაზე.

6 აპრილს ჩერქეზიამ მიმართა ხალხს და არ დაიშალნენ, 7 აპრილს მე მივმართე და არაფერი შეიცვალა, 8 აპრილს უწმინდესმა მიმართა მომიტინგეებს და არც მისი მოწოდება იღეს ყურად, მე დამიჯერებდნენ?! ახლა შევარდნაძე რომ იძახის, პატიაშვილი ხალხთან რომ გასულიყო, მსხვერპლი არ იქნებოდაო, ხალხს, რომ ჩემზე იერიში მოეტანა, მე ცეკას მდივანი ვიყავი და ეს შეიძლება გამხდარიყო ისეთი პროვოკაციის საფუძველი, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. 5-ის ნახევარზე შევიტყვე, რომ სამი კაცი იყო დაღუპული, შევკრიბე ბიუროს წევრები და გადავდექი. დამიწყეს შეგონება — ახლა ამ ნაბიჯის გადადგმა როგორ შეიძლება, ხომ გახსოვთ, 1956 წლის მარტი, მაშინ მჟავანაძე იყო და მერე 18 წელი კიდევ იყო ხელმძღვანელი პირიო. მაგრამ მე გადაწყვეტილება არ შემიცვლია, სამი კი არა, ერთი კაციც ტრაგედიაა, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას სად გავექცეოდი. შევარდნაძე რომ ჩამობრძანდა, შეხვედრებზე მე დავყავდი. საავიაციო ქარხანაში რომ მივედით, იქ ძალიან თბილად შემხვდნენ. მაგრამ უნდა გენახათ ჩემი გამოსვლა აკადემიაში, იქ თავისი ხალხი ჰყავდა, ერთ-ორმა მომაძახა კიდეც — წაგებული ომის მთავარსარდალი თავს იკლავსო... მერე კი მოიხადეს ბოდიში, მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. იქ მე განვაცხადე, რომ ცეკას მდივნის რანგში ჩემი უკანასკნელი გამოსვლა იყო, გადამდგარი ვარ, მაგრამ ეს ოფიციალურად არ იყო დადასტურებული. 1998 წლის ინტერვიუ ნახონ, ჯუმბერი რა შუაშიაო, რომ იძახის შევარდნაძე. მას, როგორც ჩანს, ჰგონია, რომ, თუ ჩემს სასარგებლოდ ილაპარაკებს, მე ამისთვის მადლიერი ვიქნები მისი, თუმცა ყოველწლიურად ცვლის მოსაზრებებს...

**— რას იტყვით „ლიტერულ ბორტზე“, ჩამოფრინდა თუ არა შევარდნაძე საიდუმლოდ 7 აპრილს თბილისში?**

— 8 აპრილს ჩამოფრინდა, მაგრამ თვითმფრინავიდან არ ჩამოსულა და ამას აღნიშნავს



**«ფაქტია, რომ შევარდნაძეს მაშინ უკვე სჭირდებოდა ნავსაყუდელი, ხომ უნდა წამოსულიყო იქიდან და საქართველოში მის დაბრუნებაზე მუშაობა, ფაქტობრივად, 1988 წელს დაიწყო»**

როგორც ლებედი, ისე ლიგაჩოვი. ასევე ცნობილია, რომ ამ ბორტზე ავიდა და 40 წუთი იმყოფებოდა გივი გუმბარიძე. შეკითხვა, თუ ვის შეხვდა იქ და რა ინსტრუქციები მიიღო, პირველ რიგში, მას უნდა დაუსვათ. მე შემიძლია გითხრათ, რომ, როდესაც 8 აპრილის მასალა მოიკითხეს აეროპორტში, გაირკვა, რომ ამოხეულია ეს ფურცელი ჟურნალიდან, არ არსებობს... საქმე ისაა, რომ შევარდნაძე და გორბაჩოვი არ იყვნენ ისეთი მეგობრები, როგორიც ხალხს წარმოუდგენია, ბოლოს აღარ იყვნენ. არის ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტებიც...

**— კერძოდ?**

— კერძოდ, შეგახსენებთ შევარდნაძის გადადგომას თანამდებობიდან — მე წავედი, დიქტატურა მოდისო... მაშინ უკვე დაპირისპირება იყო მათ შორის, ამის შემდეგ თქვენ უნდა მოისმინოთ ყურადღებით, რას ამბობს გორბაჩოვი — კითხულობს საიდან აქვს საგარეო საქმეთა მინისტრს ეს ინფორმაციაო და ბოლოს დასძენს, რომ მას ვიცეპრეზიდენტად უნდოდა შევარდნაძის დანიშვნა, რომ არ გადამდგარიყო, ანუ უკვე იცოდა შევარდნაძემ, რასაც უპირებდნენ, და გადადგა. მან იცოდა, რომ მის გარშემო ღრუბლები შეიყარა... ფაქტია, რომ იმ პერიოდისთვის, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, ის აღარ ასრულებდა თავის ფუნქციას, აღარ მუშაობდა, მე ამიტომ ვამახვილებ ყურადღებას მის გადადგომაზე. გორბაჩოვიც არ არის მართალი, ბოლომდე რომ არ თქვა სიმართლე, მაგრამ წარმოიდგინეთ, გენერალური მდივანი აცხადებს, მე ეს კაცი ვიცეპრეზიდენტად მინდოდაო, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან მისი გადაყენება უკვე გადაწყვეტილი იყო, ვიცეპრეზიდენტი კი ფორმალური თანამდებობა იყო. მას არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა. ამას ემატება ერთიც: 1989 წლის 16 მარტს პლენუმი ტარდება, სადაც განიხილება დეპუტატობის კანდიდატების სია (მრავალმანდატიანი არჩევნები იყო, მაგრამ სია მაინც გააკეთეს ცეკადან), ასკაციანი სია, რომ ყველა რესპუბლიკას შეძლებოდა თავისი კაცი ამ სიით წარედგინა. ჩვენგან იყო თენგიზ აბულაძე, სია მტკიცდებოდა და იგი უკვე დეპუტატი ხდებოდა. სიაში პოლიტბიუროს ყველა წევრი იყო ჩაწერილი, გარდა შევარდნაძისა. ერთადერთი გამონაკლისი პოლიტბიუროს წევრებიდან, ვინც არ შეუყვანიათ სახალხო დეპუტატთა სიაში, იყო შევარდნაძე, მიზეზად დასახელდა მისი თანამდებობა (რომ მინისტრი არ შეიძლება სიაში იყოსო). ამ დროს კი რიჟკოვი, რომელიც პრემიერი იყო და ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელი და ამ ლოგიკით დეპუტატი არ უნდა ყოფილიყო, სიაში მაინც შეიყვანეს. ამას პირველად ვამბობ და მინდა, სწორად გამიგოთ. ამის შემდეგ მე შევედი გორბაჩოვთან და ვკითხე, თუ რატომ არ იყო სიაში შევარდნაძე, ეს ძალიან ცუდად ჩანს-მეთქი. იცით, რა მიპასუხა გორბაჩოვმა? — Ничего, переживет!

მათ შორის, უკვე იყო ბზარი...

**—გინდათ, თქვათ, რომ საქართველოს ხელისუფლების სათავეში დასაბრუნებელ გზებს შევარდნაძე არა მარტო გამსახურდიას პერიოდში, არამედ 1989 წლის 9 აპრილამდეც ეძებდა?!**

— ფაქტია, რომ შევარდნაძეს მაშინ უკვე სჭირდებოდა ნავსაყუდელი, ხომ უნდა წამოსულიყო იქიდან და საქართველოში მის დაბრუნებაზე მუშაობა, ფაქტობრივად, 1988 წელს დაიწყო.

ოლიმპიადასთან დაკავშირებით გეტყვით: 3 აპრილს რეკავს გრამოვი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე. მას უნდოდა, საქართველოში ჩამოსვლა, რათა პირადად გაცნობოდა აქ ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების საკითხს. რა მეთქვა, ჩვენთან არეულობაა და არ ჩამოხვიდეთ-მეთქი? ჩამოვიდა გრამოვი, მას დახვდა ჩერქეზია, იცნობდა კიდეც. მე ვერ დავხვდი, რადგან სწორედ ამ დროს ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და ნიკო ჭავჭავაძეს შევხვდი, ვუხსნიდი, რომ ვცდილობთ, ოლიმპიადა საქართველოში ჩატარდეს და ახლა მიტინგების დრო არ არის-მეთქი. ადგა ზვიად გამსახურდია, მართალს ამბობს ჯუმბერი და ზაფხულისთვის გადავიტანოთ მიტინგები, ახლა ნუ ჩავატარებთო, თქვა. 4 აპრილს წავედით ბაკურიანში, ავედით მთაზე, დავათვალიერეთ ობიექტები, მიტო დანგაძის „ხიჟინაში“ სუფრაა გაშლილი... თითქმის მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ბაკურიანში ჩატარდებოდა ოლიმპიური თამაშები. ამ დროს რეკავენ, მიტინგი დაიწყოო, რა უნდა მექნა?! ერთი სიტყვით, დღეს ბევრი რამ, რაც მაშინ ბუნდოვანი იყო, გასაგები გახდა. ჩვენი ქვეყანა ამ დღეში იმიტომ აღმოჩნდა, რომ 1989 წლიდან გადატრიალების რეჟიმში ვართ, გადატრიალების რეჟიმი იყო მაშინაც, მერე — ისიც, რაც გამსახურდიას გარშემო მოხდა...

**— ვარაუდობთ, რომ 1989 წლის 9 აპრილს თქვენს წინააღმდეგ ისეთივე გადატრიალებას ამზადებდნენ, როგორიც მოგვიანებით გამსახურდიას მოუწყვეს და რასაც მერე ქვეყნის ხელისუფლებაში შევარდნაძის მოსვლა მოჰყვა? შევარდნაძეს ადებთ ხელს?!**

— მე არაფერს ვვარაუდობ, მაგრამ ფაქტი ჯიუტი რამეა. რაც შეეხება შევარდნაძეს, მე მას რამდენიმეჯერ შევთავაზე დებატები ამ საკითხებზე — მაშინაც, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში ვიღებდი მონაწილეობას, მერე — პარლამენტის ტრიბუნიდანაც, მაგრამ მან ეს არ ისურვა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ინტერვიუში აგრძელებს ჩემს დისკრედიტაციას, ამიტომ საჯაროდ, თქვენი გაზეთის მეშვეობით, კიდევ ერთხელ ვთავაზობ მას დებატებს, სადაც გაირკვევა ყველაფერი, ერთია ის აბდაუბდა, რაც მის ინტერვიუებშია, და სხვაა ფაქტები, რასაც ვერავინ გაექცევა...

**— ანუ ადასტურებთ, რომ 1989 წლის 9 აპრილი ისევე ემსახურებოდა შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნებას, როგორც გამსახურდიას წინააღმდეგ მოწყობილი პუტჩი?**

— მე მას დებატებში ვიწვევ. საზოგადოების თვალწინ გაირკვეს ამ საკითხებში რა წილი აქვს შევარდნაძეს და რა — პატიაშვილს, მისი უსაფუძვლო განცხადებებისა თუ მოსაზრებების სხვაგვარად კომენტირებას არ ვაპირებ!

**1989 წლის 8 აპრილს იდუმალი „ლიტერული ბორტის“ თბილისის აეროპორტში დაშვებასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ჯუმბერ პატიაშვილის მისაღების პასუხისმგებელ მორიგეს, გელა წიკლაურსაც დაუკავშირდა.**

**— ბატონო გელა, რა შეგიძლიათ თქვათ 8 აპრილს თბილისის აეროპორტში სპეცრეისის დაშვებასთან დაკავშირებით?**

— სამსახურეობრივად მევალებოდა და მქონდა პირდაპირი კავშირი როგორც შინაგან საქმეთა, ასევე უშიშროების სამინისტროების პასუხისმგებელ მორიგეებთან. 8 აპრილს დამიკავშირდა უშიშროების მორიგე და მაცნობა, რომ მოსკოვიდან გამოფრინდა სპეცრეისით ლაინერი, ე.წ. ლიტერული ბორტი. მან ეს ინფორმაცია იმიტომ მომაწოდა, რომ ასეთი ბორტით, პროტოკოლის თანახმად, მაღალი თანამდებობის პირები დაფრინავდნენ, და გამაფრთხილა, იქნებ, ისეთი პირი მოფრინავს, რომ უშუალოდ ბატონი ჯუმბერი უნდა დახვდესო. როდესაც ვკითხე, ვინ მოფრინავს-მეთქი, მიპასუხა, ჯერ ჩვენც არ ვიცით, მაგრამ, სანამ დაფრინდება, გავიგებთ და შეგატყობინებთო. მოხდა ისე, რომ დაძაბული გრაფიკის გამო ბატონი ჯუმბერი ვერ ვნახე, რაღაც პერიოდის შემდეგ, ხელახლა რომ აღარ დამირეკა უშიშროების მორიგემ, შევშფოთდი, სტუმრის ჩამოსვლა არ გამოგვეპაროს-მეთქი და თვითონ დავუკავშირდი. მორიგემ მითხრა, რომ რეისი შეცდომით შესრულდა თბილისის მიმართულებით და მალევე გაფრინდა უკანო, მაშინ ამას არ მივაქციე ყურადღება, მაგრამ შემდეგ...

**— და ვინ სარგებლობდა, როგორც წესი, თანამდებობრივად ასეთი რეისებით?**

— ასეთი სპეცრეისით შეეძლო ესარგებლა მხოლოდ პოლიტბიუროს წევრს ან, სულ მცირე, წევრობის კანდიდატს. მოგვიანებით, როცა ეს ამბები მოხდა, აეროპორტის თანამშრომლებისგან ცნობილი გახდა, რომ „ლიტერული ბორტი“ მართლა დაეშვა, მასში ავიდა უშიშროების ხელმძღვანელი გუმბარიძე, დაჰყო ორმოცი წუთი და ამის შემდეგ ბორტი უკან გაფრინდა. გუმბარიძესაც ჰკითხეს, თუ ვინ ჩამოფრინდა, მაგრამ მან ეს არ განაცხადა. ამ საკითხით შავგულიძის კომისიაც არ დაინტერესებულა, არც მიკვირს, რადგან მაშინ იყო ასეთი ტენდენცია — ყველაფერი წაეყვანათ ჯუმბერ პატიაშვილის წინააღმდეგ, რის გამოც რიგი ადამიანებისა ძალიან უსინდისოდ იქცეოდა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მოგვიანებით აეროპორტის ჟურნალიდან იმდღევანდელი ჩანაწერები გაქრა. მე არ ვიცი, ვინ იჯდა იმ თვითმფრინავში, მაგრამ ვიცი, უფრო ზუსტად, **8 აპრილის უშიშროების მორიგემ მითხრა, რომ ასეთი ბორტი თბილისის აეროპორტში „შეცდომით“ დაეშვა და მერე უკან გაფრინდაო. ვერც იმას გეტყვით, რატომ არ მიექცა ამას ყურადღება, მაგრამ ეს, როგორც გითხარით, არ მიკვირს, რადგან ბატონი ჯუმბერის მიმართ მაშინ ბევრი არაკეთილსინდისიერი და უსამართლო ნაბიჯი გადაიდგა. ეს ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა.**

**«8 აპრილს დამიკავშირდა უშიშროების მორიგე და მაცნობა, რომ მოსკოვიდან გამოფრინდა სპეცრეისით ლაინერი, ე.წ. ლიტერული ბორტი»**

საქართველო და მსოფლიო
ჩელიბია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

მოძღვარი მხსნელია, მაგრამ მე მოძღვარში ჭეშმარიტ მოძღვარს ვგულისხმობ, რადგან არიან ცხვრის ტყავში გახვეული მგლებიც, „სასყიდლით დადგინებულნი“, რომელნიც მხოლოდ ფულისთვის და კეთილდღეობისთვის მოვიდნენ ეკლესიაში; მაგრამ, საბედნიეროდ, არიან „მწყემსნი კეთილნი“, რომელთაც თავი თვისი დადეს ცხოვართათვის, უფალს შესწირეს სიცოცხლე. თუ ასეთ „მწყემსს კეთილს“ დავემორჩილებით და მისი კურთხევით ვიცხოვრებთ, აგვცდება განსაცდელები და ჩვენი ცხოვრება სათნო იქნება ღვთისათვის.

# მეუფე იობი: იმ სულიერი შესაძლებლობებით, რომლებიც დღეს გაგვაჩნია, საქართველოს ვერ გავაბრწყინებთ

**„საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტ იობთან საუბრების ციკლის გამოქვეყნებას, რომელსაც უძღვება გაზეთის „მახვილი მესიისა“ მთავარი რედაქტორი შორენა სიხარულიძე.**

**— მეუფეო, დღეს ეკუმენურმა აზროვნებამ ჩვენს რეალობაში ფართოდ მოიკიდა ფეხი და ყველაზე მტკივნეული კი ის არის, რომ სასულიერო პირებიც ხან დაფარულად, ხანაც დაუფარავად გამოხატავენ ზედმეტად ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვა რელიგიების მიმართ. მახსოვს, მუსლიმანებმა მოითხოვეს თავიანთი რელიგიური დღესასწაულის უქმე დღედ გამოცხადება. რა პოზიცია უნდა დავიკავოთ მართლმადიდებლებმა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი არ შევლახოთ, მაგრამ მუსლიმანებს და სხვა რელიგიის მიმდევრებსაც არ ვაწყენინოთ? როცა ეს საკითხი დგება, მუდმივად შეგვახსენებენ, რომ ჩვენი წმინდანი მეფე – დავით აღმაშენებელი მეჩეთშიც დადიოდა და სინაგოგაშიცო... იგი არ შეურაცხყოფდა სხვა ადამიანთა რწმენას, მაგრამ არა მართლმადიდებლობის დაკნინების ხარჯზე... ქრისტეს ეკლესია ხომ არასოდეს ყოფილა ისეთი ძლიერი, როგორც დავითის დროს? დღეს კი... დღეს რა ხდება?**

— მუსლიმანების, ისევე, როგორც სხვა რელიგიის მიმდევართა მიმართ ჩვეულებრივი, ადამიანური დამოკიდებულება უნდა გვქონდეს; მათ, როგორც ღვთის ქმნილებებს ისე უნდა ვუყურებდეთ, მაგრამ ადამიანის სიყვარული სულ არ ნიშნავს იმას, რომ ეშმაკის მოძღვრება გვიყვარდეს და პატივს ვცემდეთ. შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს, მაგრამ მაინც ვიტყვი: უფალი ბრძანებს – შემდგომად ჩემსა მოვლენ ცრუ წინასწარმეტყველნი და მრავალს აცდუნებენო. მუჰამედი ქრისტეს შემდგომ მოსული ცრუ წინასწარმეტყველია, რომელმაც ანგარების მიზნით შეირთო მდიდარი ქვრივი ქალი ცოლად, იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს – ვინც იესო ქრისტე არ ირწმუნოს და ძე ღვთისად არ ჩათვალოს, ანტიქრისტეაო. მთელი ყურანი ხაზგასმით ამტკიცებს, რომ უფალს ძე არ ჰყოლია და არც სჭირდებოდაო. სახარების მიხედვით, მუჰამედი ანტიქრისტეა. სახარებას არ დავუჯეროთ? მის ჭეშმარიტებაში ეჭვი შევიტანოთ? გამორიცხულია!

თუკი მუსლიმანები მოითხოვენ, მათი ძირითადი რელიგიური დღესასწაული უქმე დღედ გამოცხადდეს, ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. კი, ბატონო, იყოს უქმე მათთვის და არა ჩვენთვის – მართლმადიდებელთათვის.

რაც შეეხება ეკუმენურ აზროვნებას, რომელიც ჩვენს რეალობაში ასე ძალუმად იკიდებს ფეხს, ეს ჩვენი მცირედმორწმუნეობის ბრალია; ეს არის შედეგი იმისა, რომ სიღრმისეულად ვერ სწვდებიან სახარებისეულ სწავლებას. **სამწუხაროდ, დღეს ისეც ხდება, რომ ზოგიერთ სასულიერო პირთ ანგარება ამოძრავებთ, ხანაც პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიან. პოლიტიკოსთა უმრავლესობა დღეს არაეკლესიურია, არა ღვთიურია და არც თუ იშვიათად სასულიერო პირები მათ საამებლად გუნდრუკს უკმევენ...**

**— მეუფეო, როგორ უნდა ვიცხოვროთ უბრალო ადამიანებმა, რომ ჩვენი ცხოვრება უფლისთვის სათნო იყოს, უფლის გზას არ ავცდეთ?**

— ჩვენ ძალიან რთულ დროში გვიწევს ცხოვრება. ეს ის დროა, როცა საცდური იმდენად დიდია, რომ, როგორც სახარება გვამცნობს და წმინდა მამებიც გვმოძღვრავენ, რჩეულნიც კი შეცდებიან. ასეთ რთულ ვითარებაში ძალიან ძნელია ადამიანისთვის, განსაზღვროს, სად არის ხსნა და სად — დაღუპვა. ამიტომაც დიდი ყურადღება უნდა გადავიტანოთ სულიერ მოძღვარზე. **მოძღვარი მხსნელია, მაგრამ მე მოძღვარში ჭეშმარიტ მოძღვარს ვგულისხმობ, რადგან არიან ცხვრის ტყავში გახვეული მგლებიც, „სასყიდლით დადგინებულნი“, რომელნიც მხოლოდ ფულისთვის და კეთილდღეობისთვის მოვიდნენ ეკლესიაში; მაგრამ, საბედნიეროდ, არიან „მწყემსნი კეთილნი“, რომელთაც თავი თვისი დადეს ცხოვართათვის, უფალს შესწირეს სიცოცხლე. თუ ასეთ „მწყემსს კეთილს“ დავემორჩილებით და მისი კურთხევით ვიცხოვრებთ, აგვცდება განსაცდელები და ჩვენი ცხოვრება სათნო იქნება ღვთისათვის.**

... ჩვენს ეპარქიაში გარდაიცვალა სქიმმონაზონი სიდონია. მახსოვს, ხეობაში ვიყავი, როცა შემატყობინეს, რომ იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ითვლიდა. მამებმა მითხრეს, რომ მას მე ცოცხალს ველარ ჩავუსწრებდი. გზაში მონასტერთან სატელეფონო კავშირი არ გამიწყვეტია; ქარელში რომ ჩამოვედი, მაცნობეს, რომ უკვე უგონოდ იყო. მაინც



**თუკი მუსლიმანები მოითხოვენ, მათი ძირითადი რელიგიური დღესასწაული უქმე დღედ გამოცხადდეს, ამის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. კი, ბატონო, იყოს უქმე მათთვის და არა ჩვენთვის – მართლმადიდებელთათვის**

შევიარე მონასტერში, მინდოდა, სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ მენახა; რომ მივედი, მამა სტეფანეს ვაჩვენე ადგილი, თუ სად უნდა დაეკრძალათ სქიმმონაზონი სიდონია. მამაომ მკითხა – უკვე გარდაიცვალაო? ჯერ არა, მაგრამ მალე დატოვებს ამ ქვეყანას-მეთქი, ვუპასუხე. მღვდელმთავარს უფლისაგან აქვს მიცემული ხედვა, განჭვრიტოს ადამიანის მდგომარეობა. მე ვიცოდი, რომ იგი ველარ იცოცხლებდა... ოთახში რომ შევედი, მომაკვდავი მონაზონი სარეცელზე იწვა მშვიდი სახით. ვისაუბრეთ, ვკითხე — გაწუხებს რამე-მეთქი? აღარაფერი მაწუხებს, ძალიან კარგად ვარო. მადლობდე უფალს-მეთქი, ვუთხარი, ყველაფრისთვის მადლობელი ვარ უფლისო, — მიპასუხა. არასოდეს წაიშლება ჩემი მეხსიერებიდან მისი გულწრფელი სიტყვები და მადლიერების გრძნობით სავსე თვალები. იმხელა სიყვარულით მადლობდა უფალს! „გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვისო,“ — ბოლო წუთამდე იმეორებდა... რომ წავედი, ნახევარ საათში გარდაიცვალა... გავიდა ამ ქვეყნიდან უფლისადმი უზომო მადლიერების გრძნობით... ასე გვაჩვენებს უფალი, რომ მოკვდავნი ვართ, გველოდება საიქიო ცხოვრება. ნურავინ იტყვის, დავბერდები და მერე გარდავიცვლებიო. **ჩვენ არ ვიცით, ვინ როდის გავალთ ამ ქვეყნიდან და აქედან გამომდინარე, ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ უფალთან შესახვედრად. მუდამ უნდა ვიმეორებდეთ იოანე ოქროპირის სიტყვებს: „გმადლობ, უფალო, ყველაფრისთვის!“. დიახ, ყველაფრისთვის მადლობა უნდა შევწიროთ უფალს — გვიჭირს თუ გვილხინს, განსაცდელი გვაქვს თუ ბედნიერება. ჩვენს ხვედრს უნდა შევურიგდეთ, ის განსაცდელები, რაც ღვთით დაიშვა ჩვენზე, ჩვენი სულისთვის საჭიროა. ჩვენი საზიდი ჯვარია, ჩვენი ტვირთია, რაც მოთმინებით უნდა ვზიდოთ. თუ მოთმინებას დაინახავს უფალი, რომ მას არ ვყვედრით და არ ვწუწუნებთ, მაშინ იგი ჩვენს გულს ჩასწვდება და მოწყალედ მოგვხედავს ჩვენც და ჩვენს ოჯახსაც;** იმ პრობლემებსაც მოგვიხსნის, რაზეც დამწუხრებულნი ვართ და მისი წყალობით ჩვენი ცხოვრება ღვთით წარიმართება, ხოლო თუ ეს ასე არ იქნება, თანდათანობით დავშორდებით უფალს და დამძიმდება ჩვენი ცხოვრება, უფალმა უკეთესად უწყის, რა არის ჩვენი სულისთვის სათნო. ჩვენ იმ ურჩ ბავშვებს ვგავართ, რომელთაც ყველაფერი უნდათ, მაგრამ მშობელმა ხომ უკეთ უწყის, რა არის მისი შვილისთვის საჭირო? ასევე იცის უფალმა, რა გვჭირდება ჩვენ ყოველწუთიერად. არ გეგონოთ, რომ უფალმა მიგატოვათ, იგი ყოველთვის ჩვენ გვერდითაა, ჩვენი მოთმინების ატანა უხარია, ჩვენი ლოცვა, მარხვა... ჩვენი მოწყალების გაცემა უხარია... რაც უფრო მეტს დავითმენთ, მით მეტი წყალობა გვექნება უფლისაგან, მით უფრო სათნო იქნება ჩვენი ცხოვრება ღვთისთვის.

**— მეუფე, თქვენ ხშირად ბრძანებთ, რომ დღეს სათანადოდ არ ვლოცულობთ, ან ვამოკლებთ ლოცვას, ლოცვა კი უდიდესი მადლია. გულმხურვალე ლოცვით უამრავი სასწაული აღესრულება. მე მუხილეთის მონასტერში – ძამის ხეობაში, ვნახე დანგრეული ტაძრის შუაგულში ამოსული უზარმაზარი ხე, რომლის გამოც ტაძრის აღდგენა შეუძლებელი იყო, მისი ფესვიანად ამოგლეჯა კი – წარმოუდგენელი... თუმცა თქვენი ლოცვა-კურთხევით ხე „თავისით“ ისე წამოიქცა, რომ ერთი აგურიც კი არ დაუზიანებია. სასწაულებრივად, თითქოს ვიღაცამ ამოგლიჯა და ჩახსნილ სარკმელს დაუმიზნა...**

— მე არანაირი სასწაული მომიხდენია, უბრალოდ, მამებს ვაჩვენე, მოჭრის შემდეგ როგორ უნდა წაქცეულიყო ხე — ზუსტად ჩახსნილი სარკმლისკენ. ერთი სანტიმეტრი ან მარჯვნივ, ან მარცხნივ რომ გადასულიყო, ტაძარს დაანგრევდა. ჩვენ ტაძრის გაწმენდა გვინდოდა (ტაძარში კამარა ჩამონგრეული იყო), რადგან გულით გვსურდა, რომ ღვთისმშობლის შობის სახელობის ეს ტაძარი აღდგენილიყო, ვერანაირად მოახერხეს მამებმა ამ ხის წამოქცევა. მონასტრის საძმოს ტიპიკონი დავუწესე – ყოველ დღე ღვთისმშობლის დაუჯდომელი ლოცვა აღევლინათ. **ერთ დღესაც, როცა ლოცვას კითხულობდნენ, ხმაური შემოესმათ, რომ მივიდნენ ნახეს, რომ ის ხე ზუსტად ისე წაქცეულიყო, როგორც ითქვა – ჩახსნილ სარკმელში გაჭედილიყო. ერთი ქვაც კი არ იყო დაზიანებული. უფალმა შეისმინა ჩვენი სურვილი, რომ ტაძრის აღდგენა, მონასტრის აშენება გვინდოდა... ამ სასწაულით უფალმა ნიშანი მოგვცა, რომ ჩვენი სურვილი მისთვის სათნო იყო...**

**— ერთხელ თქვენმა დამ, დედა შუშანიკმა მითხრა, მეუფე ჩემთვის, უპირველეს ყოვლისა, ბერია და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მას ყოველთვის წარმოვიდგენ რომელიმე მყუდრო მონასტერში მლოცველს თავის პატარა ბერულ კელიაშიო... ბევრი ბერისთვის დამისვამს ეს კითხვა და თქვენც მინდა გკითხოთ — რა არის ბერობა მეუფე იობისთვის?**

— ბერობა ძალიან ბევრისმომცველი ცნებაა ჩემთვის. ბერს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეს სიყვარულის უდიდესი ნიჭი, ერთგულების, თავგანწირვის უნარი. უკან არასოდეს უნდა დაიხიოს. მღვდელმთავრობა უბრალო ჭეშმარიტ ბერობაზეა დაფუძნებული; თუ ჭეშმარიტი, სიღრმისეული ბერული სული არ გაქვს, მღვდელმთავრულ ღვაწლს ვერ გასწევ. ჭეშმარიტი ბერობაა ის კლდე, რომელსაც „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან“. ბერობა ჩემთვის ანგელოზებრივი ცხოვრებაა ამ ქვეყანაზე, მარადიული სვლაა უფლისაკენ. ვინც უფლის მადლსა და სითბოს შეიგრძნობს, ის სარწმუნოებისთვის, ქრისტესთვის ყველაფერზე – თვით სიკვდილზეც წამსვლელია. ბერობა ჩემთვის ის უდიდესი ბედნიერებაა, ის სანუკვარი ტვირთია, რომელიც მიწიერი საზომებით არ განისაზღვრება. ჩემს დას სწორად უთქვამს — ჩემი მოწოდებაა, განვმარტოვდე ყველაზე უფრო მყუდრო მონასტრის ყველაზე უბრალო კელიაში და უფალს, როგორც ჩვეულებრივი ბერი, ისე ვესაუბრებოდე. მე ერთი უბრალო ბერი ვარ, უფალს მინდობილი... ჩემი ბედნიერება უბრალო ბერობაშია...

**— მეუფე იობის ყველაზე დიდი ნატვრა რა არის? ყველაზე მეტად რას უსურვებთ საკუთარ თავს?**

— საკუთარ თავს პირველ ყოვლისა, ვუსურვებდი ჩემი სულისთვის ყველაზე აუცილებელს — ჭეშმარიტ თავმდაბლობას და მორჩილებას.

**— მეუფეო, არის ამქვეყნად რამე, რაც გაოცებთ?**

— ამქვეყნად აღარაფერი მაოცებს, ცოდვაც ▶

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! დღეს მართალი სიტყვის თქმას დიდი ვაჟკაცობა, გამბედაობა სჭირდება და ჰაერივით აუცილებელია ჩვენი ხალხისთვის ამ განსაცდელებით, ეშმაკის მახეებით დაქსაქსულ ქვეყანაზე. ყველა მორწმუნეს, ეკლესიის წიაღში მყოფ ადამიანს „კიდობნის ხალხს“ ვუწოდებ და მინდა, ამ ღვთის კიდობანში მთელი ერი მოექცეს.**

ჩელიბია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



## სწავლა სულიერებით აღმშენებელია და სრულყოფილი, სწავლა უღმერთოდ — დამანგრეველი!

კი. გამაოცებს ჭეშმარიტად თავმდაბალი, მორჩილი, ღვთისმოშიში ადამიანი. თუ ოდესმე ასეთ ადამიანს შევხვდი, ეს ჩემთვის ნამდვილად დიდი აღმოჩენა იქნება, გამიკვირდება.

**— მახსოვს, არჩევნების დროს მრევლს მიმართეთ, მოსულიყვნენ და გამოეხატათ თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია, ოღონდ მარკირების გარეშე. რატომ? მარკირებაში ისეთი რამ დაინახეთ, რაც მართლმადიდებელი ადამიანისთვის მიუღებელი იყო? ნუთუ ეს ეშმაკის დამღაა?**

**— მე ზუსტად ვიცი, რომ ნივთიერება, რომლითაც ადამიანთა მარკირება ხდება, გაურკვეველი შემადგენლობისაა. მისთვის სასურველი ინფორმაცია მტერს ჩვენში სითხის სახითაც შეუძლია შემოიტანოს. ჩვენი კანი ხომ იწოვს ამ სითხეს? მე დაბეჯითებით არ ვამბობ, რომ ეს ეშმაკის დამღაა, თუმცა ეს უდავო წინაპირობაა, რომ ერთ დღეს მარჯვენა ხელზე, რომლითაც პირჯვარს ვიწერთ, ეშმაკის დამღით დატვიფრაც დაგვიპირონ. ამიტომ დღეს, როცა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მთელს მსოფლიოში ბრძოლაა გაჩაღებული, ფრთხილად უნდა ვიყოთ და მსგავსი მარკირებისაგან თავი შორს დავიჭიროთ.**

**— ნუთუ ბოლო ჟამი ახლოვდება? ნუთუ „მოახლოებულ არს სასუფეველი ცათა?“**

— მოციქულები ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ამბობენ: „მოახლოებულ არს სასუფეველი ცათაო“. პავლე მოციქული ცოლიან მამაკაცებს მოუწოდებდა, ისე ეცხოვრათ, როგორც უქორწინებელთ; თვითონ უცოლო იყო და მე მომბაძეთო, ამბობდა. სახარება გვამცნობს, ბოლო ჟამს ისე განქარდება სიყვარული, დარჩება კიდევ ვინმე, სიყვარული რომ შერჩესო? **ეზდრა წინასწარმეტყველი მესამე წიგნში უფალს ეუბნება, მაჩვენე როგორი იქნება ადამიანი მეორედ მოსვლის წინა პერიოდშიო. უფალი კი პასუხობს – მეორედ მოსვლის წინ ადამიანებს გონება წაერთმევათ, აზროვნების უნარი დაეკარგებათ; დაიბადებიან 3-4-5 თვის ბავშვები, მაგრამ მაინც გადარჩებიანო. მართლაც ასე არ ხდება დღეს? სინჯარაში „გამოჰყავთ“ ბავშვები, სპეციალურ ინკუბატორებში ზრდიან. უფალი ბრძანებს — თუ ჩემს წინააღმდეგ წამოვა კაცობრიობა, მათ დასასჯელად ბევრი საშუალება მაქვს: მიწისძვრა, ქარიშხალი, ხანძარიო. დღეს ტელევიზიით ამ საშინელებათა გარდა ისმის კიდევ რამე?ეს სასჯელია უფლისა; უფლისაგან ისჯებიან ქვეყნები, სადაც უღმერთობაა, სადაც უფალს არ განადიდებენ...** ანტონი დიდის ხილვა მახსენდება: მთელი ქვეყანა ეშმაკის მახეებით სავსე რომ იყო. ნეტა ვინ განერიდება ამ მახეებსო, იკითხა წმინდა მამამ. — მორჩილნი და თავმდაბალნიო, — იყო უფლისგან პასუხი. მხოლოდ მორჩილება, თავმდაბლობა გადაგვარჩენს. დღეს ადამიანები ეტიკეტების მიხედვით ცხოვრობენ და წინასწარ გეგმავენ, როდის გაიცინონ და როდის იტირონ, როდის რა თქვან – ეს უბრალოების დაკარგვაა, მოჩვენებითობაა. უფალს უბრალო, ერთგული ადამიანები უყვარს. მოციქულები უბრალო, უსწავლელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ მთელი ქვეყანა მოაქციეს, შეიქმნენ ადამიანთა გულთამპყრობელნი...

**აქვე მინდა სწორად განვსაზღვრო სიტყვა – განათლება. დღეს განათლებულად იმ ადამიანს მიიჩნევენ, ვისაც ბევრი უმაღლესი სასწავლებელი აქვს დამთავრებული და ბევრი წიგნი აქვს წაკითხული. ეს არასწორი მიდგომაა, რადგან ასეთი ადამიანები მწიგნობრები არიან და არა განათლებული. სახარებაში უფალი მწიგნობრებს მიმართავს: „ჰეი, თქვენ მწიგნობარნო და ფარისეველნო! არც თქვენ შედიხართ სასუფეველში და არც სხვას უშვებთო!“, „შვილნო იქედნეთანო“ — გველის შვილები უწოდა მათ. ნათელი არა უმაღლესი სასწავლებლიდან და წიგნებიდან, არამედ უფლისაგან მოდის — „ნათელი ქრისტესი განანათლებს ყოველთა!“. სწავლა სულიერებით აღმშენებელია და სრულყოფილი, სწავლა უღმერთოდ — დამანგრეველი!**

**— მეუფეო, ივერია გაბრწყინდება?**

— ივერია აუცილებლად გაბრწყინდება, მაგრამ არა ისე, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ჩვენი ხელისუფლება ხშირად წარმოთქვამს — საქართველო გაბრწყინდებაო; მე არ ვიცი, რას გულისხმობენ ისინი, სიმართლე კი ერთია — საქართველოს გაბრწყინება არის ქართველი ერის სულიერი და არა მიწიერი მხარე. იმ სულიერი შესაძლებლობებით, რომლებიც დღეს გაგვაჩნია, საქართველოს ვერ გავაბრწყინებთ. ჩვენს სამშობლოზე, დედა ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე, ისევ თვითონ იზრუნებს დედა ღვთისა. მეორედ მოსვლამდე საქართველო სულიერად გაბრწყინდება! მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, დიდი სულიერი შრომა სჭირდება. დღეს საქართველოს ყველა მხრიდან უტევენ – რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, დასავლეთიდან. ეს ეშმაკის ხრიკებია, რადგან არ აწყობს ეშმაკს საქართველოს სულიერი გაძლიერება. საქართველო ისე აღდგება, როგორც ოთხი დღის მკვდარი ლაზარე აღდგა! დღეს საქართველო აღდგომის პროცესშია და ამ პროცესში ბევრი გამოაშკარავდება, ბევრი წარმოჩინდება — „ბნელსა შინა მსხდომნი“ გარეთ გამოვლენ. სანამ იესო ქრისტე ძე ღვთისა და ძე კაცისა მოვიდოდა, ადამიანები თავიანთ ცოდვებს ვერ ხედავდენ, მისი მოსვლის შემდეგ გაცხადდა მათი ცოდვები, ამიტომაც გალიზიანდნენ ცოდვილნი და ჯვარს აცვეს მაცხოვარი. ასევე მოხდება საქართველოს გაბრწყინებისას — ჩვენი ქვეყნის ყველა მტერი წარმოჩინდება თავისი ბნელი საქმეებით; ისინი ქვეშეცნეულად გრძნობენ, რომ საქართველო სულიერად ძლიერდება და მოსვენება დაკარგეს...

გავიხსენოთ საქართველოს ისტორია – ერთმორწმუნე ბიზანტიის იმპერია ვითომ დახმარებას გვპირდებოდა, თუმცა ბერძნები გრძნობდნენ, რომ ის, რაც თვითონ შრომითა და ღვაწლით უნდა მოეპოვებინათ, უმთავრესი და უპირველესი ადამიანებისთვის, სიყვარული — ეს ქართველებს ბუნებრივად გვქონდა, ღვთისგან ბოძებული. გაიხსენეთ, როგორ ცდილობენ იერუსალიმში — წმინდა მიწაზე ქართული კვალის წაშლას; ისე გადაშალეს, გააავერანეს შოთა რუსთაველის ფრესკა, რომ ხელი არ აუკანკალდათ; რუსეთი? გვეგონა ერთმორწმუნე ქვეყანასთან გავერთიანდით, მაგრამ შურს და სიძულვილს მაინც ვერ მალავდნენ – თეთრად ღებავდნენ ჩვენს უნიკალურ ფრესკებს, ჩვენს სიწმინდეებს იტაცებდნენ და გაჰქონდათ საქართველოდან. ესეც ნიშანი იმისა, რომ რუსებიც გრძნობდნენ ღვთის ჯილდოს — სიყვარულს ქართველ ერზე. მაგრამ ვინც არ უნდა ეცადოს, ქართველის სულში სიყვარულს ხომ ვერ წაშლის! ღვთის რჩეული ერი ვართ ქართველები და ღვთივკურთხეულია ქართული მიწა. უფალს ვევედრები, მთელი საქართველო, ყველა ქართველი „ერთ სულ და ერთ ხორც“ გაერთიანდეს მართლმადიდებლური დროშის ქვეშ უფლის სადიდებლად.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ბევრს ეჭვი უჩნდება — რომელ გაბრწყინებაზეა ლაპარაკიო, მაგრამ ყველაზე მეტად დედა ღვთისმშობლის იმედი მაქვს. მისი მეოხებით, მისი შეწევნითა და უფლის კურთხევით საქართველო გადარჩება და გაბრწყინდება — ერთი პირითა და ერთი გულით განადიდებს ყოვლადწმინდა სამებას.

**— ახლა რომ გითხრან, რამდენიმე წინადადებით მიმართეთ ერსო, რას ეტყოდით?**

**— ჩვენი კათალიკოს-პატრიარქის სიტყვებით: „ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!“ ამ მიმართვას იმდენჯერ გავიმეორებდი, რამდენის თქმის უფლებაც მექნებოდა. მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ქართველში მხოლოდ ქართველს არ ვგულისხმობ, ჩვენს წინაპრებს მართლმადიდებლობა ქართველობასთან ჰქონდათ გაიგივებული. იოანე საბანისძე აბო თფილელზე წერს — „ისმაიტელყოფილი და აწ ქართველიო“. ტომით ისმაიტელი იყო, მაგრამ, რადგან მართლმადიდებლად მოინათლა, უკვე ქართველად იწოდა.**

რამდენიმე წლის წინათ, იმ საშინელ დღეებში, როცა რუსეთში ქართველებს ქართველობისთვის სასტიკად უსწორდებოდნენ და სასიკვდილოდაც კი იმეტებდნენ. არასოდეს დამავიწყდება რუსი მართლმადიდებლების საქართველოს სიყვარულით ანთებული გამოსვლები გულზე გაკრული წარწერებით — „მე ქართველი ვარ!“, „მე მიყვარს საქართველო!“. ამით ისინი საქართველოს — დედა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის მართლმადიდებლობის, ქრისტეს სიყვარულს გამოხატავდნენ. ჩვენთვის ისინიც ქართველები, ჩვენი სხეულის ნაწილები არიან. ქართველობას საზღვარი არ აქვს! მართლმადიდებელი ყველა ქართველია, რუსი იქნება, ოსი, აფხაზი თუ სომეხი, ეს ქართველი ერის სულიერი მისიაა და ამას ქვეშეცნეულად ყველა მართლმადიდებელი გრძნობს. ასეთი მიდგომით გაერთიანდება და გაბრწყინდება საქართველო. ჩვენი ერი ამ სარწმუნოებით თავის მისიას შეასრულებს კაცობრიობის წინაშე და ღვთივკურთხეული საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნება აღმოსავლეთის დიადი სულიერი იმპერია!

**— ცხოვრების თავიდან დაწყება რომ შეიძლებოდეს, დარწმუნებული ვარ, ისევ იმავე გზას აირჩევდით, მაგრამ, თუ იყო ისეთი რამ თქვენს განვლილ გზაზე, რასაც შეცვლიდით, სხვაგვარად მოიქცეოდით?**

— ჩემს განვლილ ცხოვრებაში უდავოდ იყო ისეთი რამ, რასაც შევცვლიდი, სხვაგვარად გავივლიდი. პირველ რიგში, სხვანაირად წავრმართავდი ჩემს ურთიერთობებს ზოგიერთ ცნობილ და მდიდარ არაეკლესიურ პიროვნებასთან... როცა საშუალება არ გაქვს და დაბლდები გაჭირვების გამო, ესე იგი ანგარებით – ეს ჩემთვის მიუღებელია! მაგრამ ხანდახან იძულებული ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი, ოღონდ ეკლესია-მონასტრისთვის რაღაც გამეკეთებინა, შემემატებინა... იმავე გზის თავიდან გავლის საშუალება რომ მქონოდა, ბოლომდე უფალს მივენდობოდი და, რასაც უფალი მომცემდა, როგორც ჩემი სულიერი ხედვა მიკარნახებდა, ისე წარვმართავდი ჩემს მღვდელმთავრულ ცხოვრებას. რაც ოდესმე მქონია და რაც ახლა მაქვს, ყველაფერი ეკლესია-მონასტრებისთვის მინდა და კიდევ იმ უამრავი გაჭირვებული ადამიანისთვის, რომლებიც ასე ხშირად მოდიან ტაძრის კართან, რომ „პური არსობისა“ მიიღონ... იმ მრავალშვილიანი ოჯახებისთვის მინდა, რომელნიც სიდუხჭირეს არ შეუშინდნენ და ბევრი შვილი გაუზარდეს სამშობლოს, დედა ეკლესიას და ხშირად მოდიან ჩემთან დახმარებისთვის... იმ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის მინდა, რომელთა თვალებშიც განუზომელ სევდას ვკითხულობ... უპატრონო ბავშვები ხომ ჩვენი ცხოვრების განსაცდელია?!

... „უღრან ტყეში“ უფლის შეწევნით გავიკვალე გზა და შემოჭრილ ნათელ სხივს მივყვებოდი... თუმცა იყო ტკივილი, ცრემლიც კი... დაცემა და წამოდგომა — ყველაფერი, რაც ადამიანში ხდება, მაგრამ ჩემი ბედნიერება ის არის, რომ ორიენტირი უფალთან მიმართებაში არ დამიკარგავს მას შემდეგ, რაც მომეცა მადლი უფლის შეგრძნებისა... მთელი სულით, გულით, მთელი არსებით გავეხვიე უფლის მადლში, თუმცა დაცემისას არ მომცილებია მადლი და დღემდე ასე ვარ — უფალს მინდობილი და ღვთის წყალობის მსასოებელი...

**— ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ და ხანდახან ბავშვობიდან მოგვყვება რაღაც სხივი, რომელიც ნათელ ზოლად გაჰყვება მთელ ჩვენს ცხოვრებას, სხვათაგან განგვასხვავებს, სულში ღრმად რჩება... მეუფეიობი აქამდე უბრალოდ ვერ მოვიდოდა, ამას ბავშვობაში აქვს, ალბათ, გადგმული ღრმად ფესვები. რა გამოგყვათ ყველაზე მეტად თქვენი ბავშვობიდან?**

— მე უბრალო მორწმუნე ოჯახში გავიზარდე, დედამ მასწავლა პატიოსნება, სიმართლე, მაგრამ ეს თვისებები ადამიანში მხოლოდ სწავლებით არ მოდის. ღვთით უნდა იყო ასეთი; ბავშვობიდან ძალიან მოწესრიგებული ვიყავი, სიმყუდროვე მიყვარდა; ყურადღების ცენტრში ყოფნა მტანჯავდა, სცენაზე გაყვანა ჩემთვის სასჯელი იყო. ვცდილობდი, ყოველთვის ჩემს სიმაღლეზე ვყოფილიყავი. იცით, რა მოხდა? ჩემი თანატოლები მოკრძალებით მეპყრობოდნენ, ალბათ, ქვეცნობიერად გრძნობდნენ, რომ მომავალი მღვდელმთავარი ვიყავი. მასწავლებლებსაც რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემ მიმართ – რაც უნდა დამეშავებინა, მაინც არ დამსჯიდნენ. ყოფილა შემთხვევა, გაკვეთილი მეც არ მცოდნია და არც სხვას, მაგრამ ის სხვა დაუსჯიათ, მე კი – არა. ჯარში განსაკუთრებული მოკრძალებით მეპყრობოდნენ ჯარისკაცებიც და ოფიცრებიც, მიუხედავად იმისა, რომ რიგითი ჯარისკაცი ვიყავი, ჩემი თანდასწრებით არავინ იგინებოდა...

არც ცელქი ვიყავი, მიდრეკილება არც სასმელისკენ მქონია და არც სიგარეტისკენ; შეყვარებული მყავდა სკოლაში, მაგრამ ბებიამ მითხრა, ნათესავად გვერგება და არ შეიძლება მისი სიყვარულიო. ასე დამთავრდა ჩემი პირველი სიყვარული. შემდეგ ახალგაზრდობაში, სანამ ჯარში წავიდოდი, გოგონა შემიყვარდა, ჩვენ ერთი მოძღვარი გვყავდა... ჯარში წასულს კი, გიამბეთ, რაც შემემთხვა, და **უფალს შევფიცე, რომ ჩემს სიცოცხლეს ღმერთს შევწირავდი... ჯარიდან რომ დავბრუნდი, მას შევხვდი და ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილების შესახებ – ბერად უნდა აღვიკვეცო-მეთქი; ჩაფიქრდა და იცით, რა მიპასუხა? მაშინ მე მონაზვნად წავალო... გამიხარდა, ასე რომ მოიქცა და დღეს, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც თუ მოვხვდი იმ დედათა მონასტერში, სადაც ის არის, არ გამოდის, არ მენახება... ჩვენ არ ვხვდებით ერთმანეთს... აღარასოდეს...**

**— დაგვლოცე მეუფეო.**

— ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ! დღეს მართალი სიტყვის თქმას დიდი ვაჟკაცობა, გამბედაობა სჭირდება და ჰაერივით აუცილებელია ჩვენი ხალხისთვის ამ განსაცდელებით, ეშმაკის მახეებით დაქსაქსულ ქვეყანაზე. ყველა მორწმუნეს, ეკლესიის წიაღში მყოფ ადამიანს „კიდობნის ხალხს“ ვუწოდებ და მინდა, ამ ღვთის კიდობანში მთელი ერი მოექცეს, გადარჩეს დედა ღვთისმშობლის ლოცვითა და მადლით გაბრწყინებული საქართველოს შესაგებებლად. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ლოცვა „სურნელოვან საკმევლად აღიწიოს ღვთის ტახტის წინაშე“. ურბნისისა და რუისის ეპარქიის ყველა მონასტერში აღვლენილი ლოცვა მადლად მოგეფინოთ თქვენ, ამ გაზეთის მკითხველს, სრულიად საქართველოს და ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს! ამინ!

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**ყველაზე მძიმე შემთხვევები, რომლებიც ყველაზე ძლიერ ემოციებს იწვევს, ის შემთხვევებია, რომლებიც არმიის იძულებით გამოყენებას იწვევს. რატომ ხორციელდება დარტყმა ლიბიაზე და არა დარფურზე ან იემენზე, ბაჰრეინზე ან სირიაზე? თუკი ლიბიასა და კოტ-დიუვარში ძალის გამოყენება სწორი გადაწყვეტილებაა, მაშინ რატომ არ ითვლება სწორად ასეთივე სამხედრო ჩარევა ერაყში 2003 წელს, თუკი გავითვალისწინებთ სადამის მიერ ჩადენილ ურიცხვ დანაშაულს? რა ნდობით უნდა სარგებლობდეს „დაცვის ვალდებულება“.**

# ომი და ფარისევლობა

**ომი და მშვიდობა, ორმაგი სტანდარტები, დემოკრატიის დროშით საკუთარი მერკანტილური ინტერესების განხორციელება, მოკლედ, ფარისევლობა საერთაშორისო არენაზე არის ის საკითხები, რომლებსაც გარეტ ევანსი, ავსტრალიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის საპატიო პრეზიდენტი და ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის რექტორი, განიხილავს სტატიაში „ომი და ფარისევლობა“, რომელსაც უმნიშვნელო შემცირებით გთავაზობთ. ეს პუბლიკაცია განსაკუთრებით საინტერესოა ძალის გამოყენების კანონიერების დასადგენად ავტორის მიერ მოწოდებული ხუთი ტესტით, რომლებიც ჯერ კიდევ 2005 წელს ჩამოაყალიბა როგორც რეკომენდაციები უსაფრთხოების გლობალური სისტემის რეფორმირებისთვის. ტესტების მისადაგება 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომისთვის და ამ გზით მიღებული პასუხები ნათელს მოჰფენს ბევრ საკითხს, რომლებიც შეიძლება დღეს დავის საგანი იყოს. ამ პუბლიკაციის ლაიტმოტივი მაინც ის არის, რომ, როგორც ევანსი აღიარებს, „დემოკრატიის მხარდაჭერა აშშ-ისა და ევროპის მხრიდან სასაცილო ხდება“.**

გარეტ ევანსი





## არის თუ არა ზიანის საფრთხე იმდენად სერიოზული და მასშტაბური, რომ, არსებული მონაცემების მიხედვით, ძალის გამოყენება გამართლებულია?

ყველაზე მძიმე შემთხვევები, რომლებიც ყველაზე ძლიერ ემოციებს იწვევს, ის შემთხვევებია, რომლებიც არმიის იძულებით გამოყენებას იწვევს. რატომ ხორციელდება დარტყმა ლიბიაზე და არა დარფურზე ან იემენზე, ბაჰრეინზე ან სირიაზე? თუკი ლიბიასა და კოტ-დიუვარში ძალის გამოყენება სწორი გადაწყვეტილებაა, მაშინ რატომ არ ითვლება სწორად ასეთივე სამხედრო ჩარევა ერაყში 2003 წელს, თუკი გავითვალისწინებთ სადამის მიერ ჩადენილ ურიცხვ დანაშაულს? რა ნდობით უნდა სარგებლობდეს „დაცვის ვალდებულება“, თუკი ჩვენ ზუსტად ვიცით, რომ როგორ სერიოზულ მოვლენებსაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი ტიბეტში ან სინძიანში სამხედრო ქმედებები ჩინეთის წინააღდეგ აბსოლუტურად დაუშვებელია?

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში არ „აქცევდა ყურადღებას ნიუანსებს“, ამას არ აკეთებს მსოფლიოში საგარეო პოლიტიკის გავლენიან მიმომხილველთა უმრავლესობა. არადა, სწორედ ნიუანსები თამაშობს მნიშვნელოვან როლს. მათი აღრიცხვისთვის არსებობს ინსტრუმენტები, რაც **ძალის გამოყენების კანონიერებაზე ხუთი ტესტის ჩატარებით ხდება** (ნებისმიერი თანმდევი ფაქტორის პირობებში და არა მხოლოდ მასობრივ სისხლისღვრასთან დაკავშირებული დანაშაულებების დროს)...

აღნიშნული რეკომენდაციები ოფიციალურად დღემდე არ დაუმტკიცებია გაეროს გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს და დღევანდელ საერთაშორისო დავებში მხოლოდ „ფონად არსებულ ხმაურად“ რჩება.

**პირველი ტესტია რისკის სერიოზულობა**: არის თუ არა ზიანის საფრთხე იმდენად სერიოზული და მასშტაბური, რომ, არსებული მონაცემების მიხედვით, ძალის გამოყენება გამართლებულია? გასულ თვეში მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მკვლელობების საფრთხე ბენგაზისა და აბიჯანში ისეთივე გარდაუვალი იყო, როგორც 1994 წელს — რუანდაში, თუმცა ამის საპირისპიროდ ასეთი რისკი არ არსებობდა ერაყში 2003 წელს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ათწლეულების განმავლობაში და უფრო ადრეც ჩრდილოეთის ქურთები და სამხრეთის შიიტები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ.

დღეს შექმნილი სიტუაცია ბაჰრეინში, იემენსა და სირიაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ეს არის სასტიკი, მაგრამ ნაკლები მასშტაბის და, როგორც ჩანს, ისეთი სიტუაცია, რომლის გამოსწორებაც სამხედრო ძალის მინიმალური ზეწოლით შეიძლება.

**მეორე ტესტი** იმის გარკვევაა, არის თუ არა სავარაუდო სამხედრო მოქმედებების პირველადი ამოცანა იმ საფრთხის შეჩერება ან პრევენცია, რომელზეც საუბარია. ლიბია ამ ტესტს გადის: იმის მიუხედავად, იყო თუ არა მთავარი მოტივი ნავთობი ან რეჟიმის შეცვლა, არაბული სახელმწიფოების ლიგა და უშიშროების საბჭო არასოდეს დასთანხმდებოდნენ სამხედრო ინტერვენციას.

**მესამე ტესტი:** იყო თუ არა განხილული ყველა სხვა არასამხედრო ვარიანტი და მიჩნეულ იქნა თუ არა ისინი არასაკმარისად. ლიბია კვლავ ქრესტომათიული მაგალითია: 1970 წლის რეზოლუცია ითვალისწინებდა მიზნობრივ სანქციებს ემბარგოს შეიარაღების მიწოდებაზე, ასევე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ დასჯის საფრთხეს იმისთვის, რომ პოლკოვნიკ მუამარ კადაფის მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვაზე მოეხდინა კონცენტრაცია. მხოლოდ ამ ზომების მარცხის შემდეგ 1973 წლის რეზოლუცია ითვალისწინებდა სამხედრო ვარიანტს. 2003 წელს ერაყში ნაკლები ვარიანტი იქნა აპრობირებული, რისი მტკიცებაც შეიძლება დღეს ბაჰრეინთან, იემენთან და სირიასთან დაკავშირებით.

**მეოთხე ტესტი:** ეს არის ტესტი პროპორციულობაზე. არის თუ არა სამხედრო ქმედებების მასშტაბები, ხანგრძლივობა და ინტენსივობა საფრთხის პრევენციისთვის მინიმალური? თუკი ლიბიაში სამხედრო მოქმედება ჩიხში შევა, გაჩნდება იმის მზარდი სურვილი, რომ გაეროს უფლებამოსილება უკიდურეს ზღვრამდე გაფართოვდეს, ასევე, მისი თანმდევი მორალური და პოლიტიკური მხარდაჭერა. ნატო ამ ზღვარს უკვე მიუახლოვდა, რომელიც არ უნდა გადალახოს, თუ სურს, შეინარჩუნოს ნდობა და ანალოგიურ შემთხვევებში სამხედრო ჩარევის მსოფლიო თანამეგობრობის შესაძლებლობა.

**დაბოლოს, ჩვეულებრივ ყველაზე რთული ტესტია** ტესტი კანონიერებასთან, წესებთან და პრინციპებთან შესაბამისობაზე, რომელიც შედეგების შეფასებისკენაა მიმართული: ისინი, ვისაც საფრთხე ემუქრება, უკეთ იგრძნობენ თავს თუ უარესად?

ეს ტესტი ხსნის ჩინეთისა და რუსეთის ან ნებისმიერი სხვა დიდი ზესახელმწიფოს წარმატებულ დაუსჯელობას. როგორ ცუდადაც უნდა იქცეოდეს იგი ქვეყნის შიგნით, ნებისმიერი სამხედრო ჩარევის მცდელობა გამოიწვევს კიდევ უფრო მასშტაბურ ძალადობას. ლიბიაში სიტუაციის მოსაგვარებლად მხოლოდ სამხედრო ჩარევა საკმარისი არ იქნება, მაგრამ, რაც შეეხება კოტ-დივუარს, რთულია იმაზე დავა, რომ ძალის გამოყენებას იმაზე მეტი სიცოცხლე შეეწირება, ვიდრე გადარჩება.

რთულია ლავირება მიკიბმოკიბულ საუბარსა და არჩევანის გაკეთების აუცილებლობას შორის, მაგრამ, თუკი ანალიზს სწორი კრიტერიუმების საფუძველზე ჩავატარებთ, მაშინ შემთხვევები, რომლებიც თავიდან ანალოგიური გვეჩვენება, აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეც რომ არ იყოს, თამაშში უფრო მაღალი პრინციპები შემოდის. როდესაც ზოგად ადამიანურობას საფრთხე ემუქრება, თუ ჩვენ არ შეგვიძლია შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფრის გაკეთება, ის მაინც ხომ უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია?

**გარეტ ევანსი**

# დასავლეთს აღარ სურს, თავი მოგვაჩვენოს, თითქოს აღფრთოვანებულია სააკაშვილის მოღვაწეობით

იმათაც ყელში ამოუვიდათ მიხეილი და კაი ქართველი ოპოზიციონერებივით დაიწყეს ლაპარაკი.

ამ ბოლო პერიოდში მიხეილ სააკაშვილის გახშირებული, პრაქტიკულად, ყოველდღიური გამოჩენა „ნაციონალური ტელეარხების“ საინფორმაციო პროგრამებსა და სპეციალურ გამოშვებებში აშკარა მცდელობაა, გადაფაროს უცხოურ პრესაში მის საწინააღმდეგოდ გამოქვეყნებული მასალების სიმძაფრე: „იქ“ დაკარგული ავტორიტეტი „აქ“ შეძენილი ავტორიტეტით ჩაანაცვლოს, ქვეყნის, ხალხის სიკეთეზე თავგადაკლული ხელმძღვანელის „იმიჯი“ შეიქმნას და გაიმყაროს.

თუ აქამდე წვრილ-წვრილი ობიექტებისა და გზების მონაკვეთების მრავალჯერად გახსნით იყო დაკავებული, ახლა ამერიკული სიმინდის მოსავლის უხვმოსავლიანობას გაზაფხულიდან უყრის საფუძველს. ეკონომიკის გაძლიერებაზე ზრუნავს აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი! აბა, რა ქნას, როცა მისი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ვერონიკა მინისტრმა თანხმობის ნიშნად თავის ქნევის მეტი ვერაფერი შეისწავლა და კანადაში ათვისებული პურის ცხობის ხელობა, ალბათ, დაივიწყა კიდეც.

აქ წერტილით შევაჩეროთ სუბიექტური აზრის დინება და „საქართველო და მსოფლიოს“ ეს გვერდი სხვისი თვალით დანახულ სინამდვილეს დავუთმოთ.

საქართველოს ეკონომიკა სააკაშვილის დროს კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა. ქვეყანა, რომლის მეორე სინგაპურად გარდაქმნას მიშიკო გვპირდებოდა, ევრაზიის მივარდნილ ადგილად იქცა. საქართველოს ქალაქების ქუჩების ღამის ილუმინაცია მათ ტურისტულ ცენტრებად მხოლოდ ღია ბარათებზე თუ წარმოაჩენს — ახალ ფლორიდად საქართველო ვერა და ვერ ჩამოყალიბდა. ქართული ექსპორტის ყველაზე თვალსაჩინო ექსპორტი ჯართის გაყიდვაა მეზობელ თურქეთში. მაგრამ ესეც დროებითი მოვლენაა, რადგან საბჭოთა კავშირის დროს აგებული ქარხნები ისე გაიძარცვა, რომ სულ მალე დასაჭრელი და გასაზიდი აღარაფერი დარჩება. ეს იციან დასავლეთში, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობენ, რადგან საერთაშორისო სტრუქტურები, რომლებიც გლობალური დემოკრატიზაციით არიან დაკავებული, განაგრძობენ ქართული „ეკონომიკური“ სასწაულის ქება-დიდებას.

მაგრამ, ეს ერთი ხანია, საქართველოს, როგორც „დემოკრატიის ეტალონის“, წარდგინება მის დასავლელ პარტნიორებსაც აღიზიანებს. **ერიკ ფურნიე**, საფრანგეთის ელჩი საქართველოში, მკაცრად აკრიტიკებს ოფიციალური თბილისის პოლიტიკას სიტყვის თავისუფლების თვალსაზრისით. იგი გაეცნო არასამთავრობო ორგანიზაცია „ღია საზოგადოების“ მოხსენებას და თავზარი დაეცა ადამიანის უფლებათა სფეროში საქართველოში არსებული მდგომარეობის გამო. ელჩის თქმით, ხელისუფლების უპრეცედენტო ზემოქმედება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, ბიზნესსა და ოპოზიციაზე აღმაშფოთებელია და საქართველოში „აბსოლუტურად არავითარი პროგრესი არ არის“.

ევროპელები საკმაოდ დიდხანს ითმენდნენ სააკაშვილის ქმედებებს. ორგანიზებული არეულობების ტალღაზე, რასაც შემდეგ „ვარდების რევოლუცია“ უწოდეს, ხელისუფლების სათავეში მოსული სააკაშვილი დაუნდობლად უსწორდება არა მარტო ოპოზიციას, არამედ თავის შესაძლო კონკურენტებს. განსხვავებულად მოაზროვნეთა შეუწყნარებლობის პირველი თვალსაჩინო მაგალითი გამჟღავნდა 2007 წლის ნოემბერში, როცა ოპოზიციამ რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნით ჩაატარა მიტინგი და მთავარმა ქართველმა „დემოკრატმა“ ოპონენტებთან დებატები სპეცრაზმების ძალებით, ცრემლსადენი გაზის ყუმბარებითა და წყლის ჭავლით დაიწყო. ევროპამ ჩუმად ამოიოხრა, მაგრამ ყველაფერი მიშიკოს ახალგაზრდობასა და სიფიცხეს მიაწერა და ადეკვატური რეაგირება არ მოახდინა.

ხმაურიანი და ხანგრძლივი საქმის გარჩევა ირაკლი ოქრუაშვილთან ჰგავდა „ობობების ბრძოლას ქილაში“, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დაპირისპირების მიზეზი სააკაშვილისადმი ოპოზიციურად განწყო- ▶

აშშ-ის ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმა სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების იმ ნაწილის კომენტირებისას, რომელიც საქართველოს ეხებოდა, მოუწოდა აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსან წარმომადგენლებს, მათ შორის, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენს, რამენაირად გავლენა მოახდინონ თავიანთ სამეურვეო ახალგაზრდებზე და „მოცემულ საკითხებზე კვლავ განაგრძონ საუბარი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან“.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გაგდებული მოქალაქეების რაოდენობა დღითიდღე იზრდება

**საქართველოში, რომლის „დემოკრატიულობაზე“ უკვე ლეგენდები დადის, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან თანამშრომლების გაგდება ახალი ხილი რომ არაა, ცნობილი ფაქტია. ადამიანების უმრავლესობას ეშინია, საკუთარი სკამი და ადგილი არ დაკარგოს სამსახურში, ამიტომ ცდილობს, თავჩაღუნული აკეთოს საკუთარი საქმე. ეგ კი არა, იმასაც შიშობენ, ძილში არ წამოსცდეთ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები — რა იცი, რა ხდება! როგორც ამბობენ, ჩვენს ქვეყანაში კედლებსაც ყურები აქვს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა შეიძლება დაერქვას იმას, როდესაც ოთხი მცირეწლოვანი ბავშვის მამას, რომლის ერთადერთი შემოსავალი დაცვის სამსახურის ხელფასი, 220 ლარია, სამსახურიდან იმის გამო აგდებ, რომ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წევრია: დემოკრატია? სიტყვის თავისუფლება? მოსახლეობაზე ზრუნვაში დღისა და ღამის გასწორება თუ მხარში დგომა? ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხომ ყველაზე ხშირად სწორედ ამ პრიორიტეტებზე განცხადებების მოსმენა გვიწევს. მაგრამ შეუძლებელია, იპოვო საერთო რეალობასა და ამ განცხადებებს შორის. რეზო სოზაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ერთადერთი მარჩენალი იყო (რაღაც სასწაულითა და 220 ლარით 4 შვილისა და მეუღლის რჩენას ახერხებდა), სამსახურიდან გაათავისუფლეს.**

## რეზო სოზაშვილი: ხელისუფლება, რაც გვაქვს, იმასაც გვართმევს, თორემ ახლისა და უკეთესის შოვნას ვინღა დაეძებს



**— ბატონო რეზო, სად მუშაობდით და აგიხსნეს თუ არა თქვენი დათხოვნის მიზეზი?**

— ავეჯის სახლ „საბაში“ დაცვის სამსახურში ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, იმთავითვე ვცადე, გამერკვია, რის გამო მიშვებდნენ 4 მცირეწლოვანი შვილის მამას სამსახურიდან. თავდაპირველად არ მეუბნებოდნენ მიზეზს, მაგრამ მერე ჩემმა ერთ-ერთმა უფროსმა, რომელთანაც მეგობრულ დამოკიდებულებაში ვიყავი, მითხრა, ნამდვილი მიზეზი. თურმე იმიტომ გამომიშვეს, რომ ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ წევრი ვარ. მასში იმიტომ გავწევრიანდი, რომ ოჯახში ორი ემიგრანტი მყავს, და საკუთარი სურვილით ჩემი ორი თანამშრომელიც მივიყვანე ამ ორგანიზაციაში, რადგან მათაც ოჯახის წევრები ემიგრაციაში ჰყავთ. ამის შემდეგ ჯერ ამ ადამიანებს შეუქმნეს პრობლემები, დაუპირისპირდნენ უფროსები, დაემუქრნენ, რომ, თუ ამ ორგანიზაციაში სიარულს გააგრძელებდნენ, სამსახურს დაატოვებინებდნენ. ამ ყველაფერმა მიაღწია ადმინისტრაციის ყურამდე. მერე უკვე მე დამიბარეს და, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, გამათავისუფლეს. უკვე ერთი თვეა, უშედეგოდ ვეძებ ახალ სამუშაოს.

**— თუ თხოვეთ უფროსებს, სამსახურიდან არ გაეშვით?**

— დიახ. ვთხოვე ჩვენს უფროსს — პაატა კაჭარავას, რომ შესულიყო ჩემი ოჯახის მდგომარეობაში და დავეტოვებინე სამსახურში, მაგრამ ჩემმა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო. როგორც გავიგე, ზემოდან ჰქონდათ დავალებული.

**არ ვიცი, რა ვუწოდო ამ ფაქტს. იმის გამო, რომ რამდენიმე აქციაზე ჩემი აზრი დავაფიქსირე და ვცდილობდი, ემიგრანტებს მხარში დგომით მაინც დავხმარებოდი, სამსახურიდან გამომაგდეს.** 220 ლარი მქონდა ხელფასი — ეს იყო ჩვენი ოჯახის მთელი შემოსავალი. რით ვარჩინო ახლა ჩემი შვილები? არ ვიცი, რა მეშველება, სამსახური თუ ვერ ვიშოვე. ან სად უნდა ვიშოვო? ჩვენი ხელისუფლება, რაც გვაქვს, იმასაც გვართმევს, თორემ ახლისა და უკეთესის შოვნას ვინღა დაეძებს. **ამათ რომ ჰკითხო, დემოკარატიული სახელმწიფოა საქართველო. რომელ დემოკრატიაზეა საუბარი, როდესაც ასეთი ფაქტები ხდება?! 31 წლის კაცი ვარ, ფიზიკური სამუშაოც ვერ ვიშოვე, ოჯახი რომ ვარჩინო. პატიოსნად ვმუშაობდი, არც ერთი წესი არ დამირღვევია, არც ერთი თანამშრომელი არ იყო უკმაყოფილო ჩემით, მაგრამ არაფერი გაითვალისწინეს. სად ვეძებო ახლა სამართალი?!** მიუხედავად ამ ყველაფრისა, არ ვაპირებ ორგანიზაციიდან წასვლას. ისევ მათ გვერდით დავდგები და მათთან ერთად ვეცდები სამართლისა და უკეთესი მომავლის პოვნას.

**ამ ფაქტთან დაკავშირებით, „ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელს — ზვიად ყუშიტაშვილს დავუკავშირდით:**

— როგორც კი გავიგე, რომ რეზო სამსახურიდან ჩვენი ორგანიზაცის წევრობის გამო გამოუშვეს, მაშინვე ვცადე, მის უფროსთან გამერკვია საქმის ვითარება. ადამიანურად დაველაპარაკე: 4 შვილის მამას, რომელსაც ერთადერთი შემოსავალი ამ სამსახურიდან აქვს, რა მიზეზით ათავისუფლებთ, სინდისი არ გაქვთ-მეთქი? იმიტომ ვუშვებთ, რომ შენი ორგანიზაციის წევრიაო, პირდაპირ მითხრეს.

ეს არ არის პირველი შემთხვევა. უკვე ჩვენი ორგანიზაციის 5 წევრი გაათავისუფლეს ამავე მიზეზით სამსახურიდან. ეს არის პირდაპირი ზეწოლა ჩვენს ორგანიზაციაზე და ამასთან შეგუებას არ ვაპირებთ. უახლოეს დღეებში ვგეგმავთ აქციას, სადაც მოვითხოვთ, შეწყდეს ჩვენი ორგანიზაციის წევრებზე ზეწოლა. ის, რომ ეს ადამიანები ცდილობენ, ემიგრაციაში მყოფი ოჯახის წევრების დახმარებას, დანაშაულია?! **შეშინებულია ხალხი, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ, დავარწმუნოთ ისინი, რომ პირში წყლის ჩაგუბებით არაფერი გამოვა. ბოლოს და ბოლოს, სამართალი უნდა იპოვოს ხალხმა.** ეს ქვეყანა ხელისუფლების არაა, ის თითოეული ქართველისაა და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავაგებინოთ ეს ხელისუფლებას.

**თეო ტაბატაძე**

◀ ბილი პარტიის შექმნა იყო. საპრეზიდენტო არჩევნების წინ ძალაუფლებისთვის ბრძოლა რომ არ დაეწყო, შეიძლება, არც ყოფილიყო ბრალდებები კორუფციის გამო, რაც თითქოს დამარცხებული იყო საქართველოში. დასავლეთმა ეს ყველაფერი პოლიტიკურ ბრძოლას მიაწერა, რაც კოლორიტული ადგილობრივი ჩვეულების გავლენით ხასიათდებოდა.

მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილება ქუჩაში გადმოიღვარა, დაიწყო დაპატიმრებები, უფლებადამცველთა ჩივილი ციხეებში პატიმრების დაუნდობელი ცემის, მთელი პენიტენციური სისტემის უსაშინელესი მდგომარეობის გამო. სააკაშვილი იძულებული გახდა, სასწრაფო რეაგირება მოეხდინა და გაეხსნა ახალი, საჩვენებელი ციხე, რომელსაც მან დიდის ამბით „თავისებური სოციალური პროექტი“ უწოდა, წარმოადგინა, როგორც ცხოვრების დონის ამაღლების თავისი წინასაარჩევნო დაპირებების რეალიზაციის ფაქტი.

მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ცემა გრძელდება. სტატისტიკის მშრალმა ციფრებმა გვაცნობა, რომ **ციხეებში 2010 წელს დაიღუპა 142 პატიმარი, მათ შორის, უწყალოდ ცემის მიზეზითაც.** 2009 წელს კი 100 გარდაცვლილი იყო.

და აი, ყოფილი რევოლუციონერი, სააკაშვილის თანამებრძოლი ნინო ბურჯანაძე მიმართავს დასავლეთს: „...ქვეყნის მოსახლეობა აღარ მოითმენს ამგვარ მდგომარეობას... დასავლეთი ქართველ ხალხს უყურადღებოდ არ მიატოვებს, თუ მიხეილ სააკაშვილი მშვიდობიან მოსახლეობას ზონდერბრიგადებს მიუსევს“. **ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს პირველი ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროპის სასამართლოში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობით. თუ ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის წელიწადს 2003 წელს 35 ასეთი საჩივარი იყო გაგზავნილი, 2009 წელს მათმა რაოდენობამ 2122-ს მიაღწია.** განა სამოთხე არ არის მოსახლეობისთვის?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტსაც მოუწია, თავის ყოველწლიურ ანგარიშში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ელაპარაკა არა მარტო რუსეთსა და ბელარუსზე, არამედ თავიანთი „პროტეჟეს“ მამულზეც. მოხსენებაში ლაპარაკია ხელისუფლების ზემოქმედებაზე სასამართლო სისტემის მიმართ, პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებებსა და სხვა დარღვევებზე: **„...2010 წლის განმავლობაში მთავარ პრობლემად საქართველოში კვლავ რჩებოდა პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა, თვითნებური დაპატიმრებები, კანონის არჩევითი გამოყენება და ბიზნესმენებზე ზემოქმედება“.** საინტერესოა შენიშვნა კორუფციაზე, კერძოდ, აღნიშნულია, რომ უმდაბლეს დონეზე არის დადებითი შედეგები, მაგრამ **უმაღლეს დონეზე კორუფცია კვლავ აყვავებულია.** უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, **მთელი ბრძოლა ამოიწურა იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ქრთამის აღების უზურპირება მოახდინა.** აშშ-ის ელჩმა საქართველოში **ჯონ ბასმა** სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენების იმ ნაწილის კომენტირებისას, რომელიც საქართველოს ეხებოდა, მოუწოდა აშშ-ის ხელისუფლების მაღალჩინოსან წარმომადგენლებს, მათ შორის, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენს, რამენაირად გავლენა მოახდინონ თავიანთ სამეურვეო ახალგაზრდებზე და „მოცემულ საკითხებზე კვლავ განაგრძონ საუბარი საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან“.

გრძელდება ზემოქმედება ბიზნესზე. ისრაელელი ბიზნესმენების ამასწინანდელი დაპატიმრების შემდეგ გამწვავდა ურთიერთობა ისრაელსა და საქართველოს შორის. თბილისის სასამართლომ დაადასტურა ორი ბიზნესმენის ბრალი მაღალჩინოსნისთვის ქრთამის მიცემის მცდელობაში და მიუსაჯა თითოეულს 6,5 წლით პატიმრობა. თუმცა ავი ენები ამბობენ, რომ ასეთი მკაცრი განაჩენის მიზეზი ქრთამის მიცემა კი არა, სულ სხვა რამაა. საერთაშორისო სასამართლომ დაავალდებულა საქართველოს მთავრობა, გადაეხადა ისრაელელებისთვის 100 მილიონი დოლარი პირგასამტეხლო. მაგრამ იმის გამო, რომ საქართველო, უკვე დიდი ხანია, დასავლეთის ქვეყნების კრედიტების ხარჯზე ცხოვრობს და ვალის გასტუმრების არავითარი საშუალება არ აქვს, ისრაელელი ბიზნესმენები საკითხების მოსაგვარებლად ჯერ მიიწვიეს ქვეყანაში, შემდეგ კი ბრალი დასდეს მოქრთამვაში.

უფრო და უფრო აშკარავდება, რომ სააკაშვილი ნაკლებად ინტერესდება საქართველოს იმიჯის დაცემით და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით. სულ ახლახან **The New Yorker**-მა დაწვრილებით აღწერა პრეზიდენტის „დასვენება“ ნიუ იორკის ერთ-ერთ ბარში, სადაც ის თავის ამალასთან ერთად დროს ატარებდა დონალდ ტრამპთან ერთად გამართული პრესკონფერენციის შემდეგ (**იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №14, „ტრამპი და ალტი ფუფუნებას მოწყურებული ქვეყნის ტანჯვას გვიმსუბუქებენ“). ჟურნალისტები კარგად გაერთნენ სცენით, რომლის დროსაც აღგზნებული პრეზიდენტი არწმუნებდა დამსწრეთ, რომ ბათუმი ერთდროულად ჰგავს ლას-ვეგასსაც და მონტე-კარლოსაც, საქართველო კი საფრანგეთისა და იტალიის ნაზავია. ბოლოს კი, ეშხში შესულმა, შესთავაზა ამერიკის მოქალაქეს დონალდ ტრამპს, რომელიც მისი ხარჯით მოწყობილ მიღებას არ ესწრებოდა, საქართველოს პრეზიდენტობაზე კენჭი ეყარა.**

**ამ აშკარად კომიკურ პერსონაჟს, მართალია, პატარა, მაგრამ სახელმწიფოს პრეზიდენტის როლში რომ ხედავ, გაკვირვებს დასავლეთის ზედაპირულობა, რომელიც ასე წინდაუხედავად ირჩევს საკუთარი გავლენის მისნაირ აგენტებს.**

**ტატიანა ტალეროვა**
WIN.RU

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**2005 წელს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ასე შეაჯამა ამ პოლიტიკის შედეგები: „60 წლის განმავლობაში შეერთებული შტატები დემოკრატიის ხარჯზე ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობას იცავდა... და ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწიეთ“.**

# ავტოკრატების, არისტოკრატებისა და ერთგვაროვანი ავაზაკების იმპერია რყევას იწყებს

**ისტორიის ერთი იღბლიანი შემთხვევის გამო, ორი ექსტრაორდინალური მოვლენის თანხვედრამ ამერიკის გლობალური ძალაუფლების არქიტექტურა ყველას დასანახად გააშიშვლა. გასულ ნოემბერს „ვიკილიქსმა“ მსოფლიოს გაზეთების პირველ გვერდებზე აშშ-ის საელჩოს ის დოკუმენტები მიმოაბნია, რომლებიც სავსე იყო სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებზე დამამცირებელი კომენტარებით, დაწყებული არგენტინიდან და ზიმბაბვეთი დამთავრებული. შემდეგ კი, სულ რამდენიმე კვირაში, ახლო აღმოსავლეთში იფეთქა დემოკრატიულმა პროტესტმა იმ ავტოკრატული ლიდერების წინააღმდეგ, რომელთაგან ბევრი აშშ-ის ახლო მოკავშირე იყო და რომელთა ნაკლოვანებები ასე კოხტად იყო დეტალიზებული ზემოთ ნახსენებ დიპლომატიურ დოკუმენტებში.**

უეცრად ხილული გახდა აშშ-ის მსოფლიო წესრიგის არსი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ვაშინგტონისადმი ლოიალურ და მისდამი „დაქვემდებარებული ელიტის“ სამსახურს ეფუძნებოდა. რეალურად კი ეს ელიტა ავტოკრატების, არისტოკრატებისა და ერთგვაროვანი ავაზაკების ჭრელ კოლექციას წარმოადგენს. თვალსაჩინო გახდა, აგრეთვე, ბოლო 50 წლის განმავლობაში აშშ-ის საგარეოპოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ლოგიკა, ის, რაც სხვა შემთხვევაში აუხსნელი დარჩებოდა.

**რატომ წავიდა CIA უთანხმოების რისკზე 1965 წელს, ცივი ომის პიკზე, როდესაც ინდონეზიაში აღიარებული ლიდერი სუკარნო დაამხო, და რატომ წააქეზა კათოლიკე ავტოკრატის ნგო დინ ზიემის მკვლელობა საიგონში 1963 წელს? „ვიკილიქსისა“ და „არაბული გაზაფხულის“ წყალობით, პასუხები ახლა ბევრად უფრო ცხადია, იმიტომ, რომ ორივე ვაშინგტონის მიერ არჩეული ხელქვეითი იყო მანამ, სანამ ურჩ და უსარგებლო ფიგურად არ გადაიქცა.**

რატომ მოხდა ის, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ, ვაშინგტონმა ჯერ თავის დეკლარირებულ დემოკრატიულ პრინციპებს უღალატა და, მილიონობით დემონსტრანტის მიუხედავად, მხარი ეგვიპტის პრეზიდენტს — ჰოსნი მუბარაქს დაუჭირა? მაგრამ მერე, როდესაც მუბარაქს ფეხი დაუცდა, მის ხელთარსებული ბერკეტები მოიშველია, რათა მუბარაქი საწყის ეტაპზე მაინც ომარ სულეიმანით, ეგვიპტის უსაფრთხოების შეფით, შეეცვალა, იმ კაცით, რომელიც უფრო იმითაა ცნობილი, რომ ქაიროში წამების საკნებს (საკნებს, რომელსაც ვაშინგტონიც იყენებდა) ხელმძღვანელობდა. პასუხი უცვლელია: იმიტომ, რომ ორივე სანდო ხელქვეითი იყო და ორივე ამ საკვანძო არაბულ ქვეყანაში ვაშინგტონის ინტერესებს პირნათლად ემსახურა.

მთელს ახლო აღმოსავლეთში, დაწყებული ტუნისიდან და ეგვიპტიდან, ბაჰრეინითა და იემენით დამთავრებული, დემოკრატიული პროტესტი ამერიკული ძალაუფლებისთვის უმნიშვნელოვანეს „ხელქვეით ელიტას“ განადგურებით ემუქრება. რა თქმა უნდა, ყველა თანამედროვე იმპერია მისდამი დაქვემდებარებულ სუროგატებზე იყო დამოკიდებული — ისინი ანიჭებდნენ იმპერიების გლობალურ ძალაუფლებას ადგილობრივი კონტროლის სახეს და მათი უმეტესობისთვის მომენტი, როდესაც ელიტა შფოთვას იწყებდა (თავხედობდნენ და საკუთარი მიზნები უჩნდებოდათ), იმ მომენტად იქცეოდა, რომელიც იმპერიულ კოლაფსს ცხადად აყენებდა დღის წესრიგში.

**თუ „ხავერდოვანმა რევოლუციებმა“, რომლებმაც 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპა მოიცვა, საბჭოთა იმპერიის გლოვის ზარი დარეკა, მაშინ ახლო აღმოსავლეთში დღეს გავრცელებული „ჟასმინის რევოლუციები“, ალბათ, ამერიკის გლობალური ძალაუფლების დასასრულის დასაწყისზე მიანიშნებს.**

## ძალაუფლება სამხედროებს

ადგილობრივი ელიტის მნიშვნელობის გასაგებად, ცივი ომის ადრეულ ეტაპებს გადავხედოთ. იმ დროს სასოწარკვეთილი თეთრი სახლი რაიმეს ისეთს ეძებდა, რაც იმ ტალღას შეაჩერებდა, რომელსაც ვაშინგტონი ანტიამერიკული და პროკომუნისტური განწყობების გავრცელებად მიიჩნევდა. 1954 წელს თეთრ სახლში ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხვედრა (NSC) შედგა. საბჭოს უნდა გამოემუშავებინა სტრატეგია, რომელიც მოახერხებდა იმ დროს მთელ მსოფლიოს მოდებული ცვლილებათა ძლევამოსილი ეროვნული ძალების მოშინაურებას.

მთელ აზიასა და აფრიკაში რამდენიმე ევროპულმა იმპერიამ, რომლებიც საუკუნეზე დიდი ხნის განმავლობაში უზრუნველყოფდნენ მსოფლიო წესრიგს, გზა დაუთმო 100 ახალ ქვეყანას. ვაშინგტონი ეჭვობდა, რომ ისინი მგრძნობიარენი იყვნენ კომუნისტური იდეალებისადმი. ლათინურ ამერიკაში ქალაქების მზარდ სიღარიბისა და უმიწო სასოფლო რაიონებში მემარცხენე ოპოზიცია გამოჩნდა.

**მას შემდეგ, რაც ლათინურ ამერიკაში ამერიკის შეერთებული შტატების საფრთხეები განიხილეს, გავლენიანმა ფინანსთა მინისტრმა ჯორჯ ჰამფრიმ თავის კოლეგებს უშიშროების საბჭოდან განუცხადა, რომ მათ უნდა „შეწყვიტონ ამდენი ლაპარაკი დემოკრატიაზე“ და სანაცვლოდ „მხარი დაუჭირონ დიქტატურებს, თუ მათი პოლიტიკა პროამერიკულია“. იმ მომენტში დუაით ეიზენჰაუერმა, შინაგანი სტრატეგიული ხედვით გასხივოსნებულმა, ჰამფრის ლაპარაკი შეაწყვეტინა, რათა აღენიშნა, რომ ჰამფრის ნათქვამი რეალურად შემდეგს ნიშნავდა: „ყველაფერი კარგადაა, თუ ისინი ჩვენი ძაღლისშვილები არიან“.**

ეს მომენტი დასამახსოვრებელია, რადგან შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კრისტალური სიცხადით აღწერა გლობალური დომინირების სისტემა, რომელსაც მომავალი 50 წლის განმავლობაში ვაშინგტონი განახორციელებს — გადავდოთ დემოკრატიული პრინციპები გვერდზე ხისტი „რეალპოლიტიკის“ სასარგებლოდ და მხარი დავუჭიროთ იმ ნებისმიერ სანდო ლიდერს, რომელსაც აშშ-ის დახმარების სურვილი აქვს. **ამისთვის კი შესაქმნელია მსოფლიო ქსელი ნაციონალური (და ხშირად ნაციონალისტი) ლიდერებისა, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ვაშინგტონის ინტერესებს ადგილობრივ ინტერესებზე მაღლა დააყენებენ.**

ცივი ომის მიმდინარეობისას აშშ უპირატესობას ანიჭებდა სამხედრო ავტოკრატებს ლათინურ ამერიკაში, არისტოკრატებს – ახლო აღმოსავლეთში და დემოკრატებისა და დიქტატორების ნაზავს – აზიაში. 1958 წელს სამხედრო გადატრიალებებმა ტაილანდსა და ერაყში უეცრად ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სამხედროები მესამე სამყაროში ანგარიშგასაწევი ძალაა. სწორედ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა უცხოელი სამხედრო ლიდერების აშშ-ში ჩამოყვანა შემდგომი „წვრთნისთვის“, რათა ხელი შეეწყო ახლადშექმნილი ქვეყნების განვითარების პროცესში დაბადებული ამ ძალების „მენეჯმენტისთვის“.

**აი, ამის შემდეგ ამერიკა მთელ მსოფლიოში დაიწყებს სამხედრო დახმარებას მოკავშირეთა და პოტენციურ მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების კულტივირებისთვის, ხოლო საწვრთნელი მისიები „შექმნიან საკვანძო“ კავშირებს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებსა და სხვადასხვა ქვეყნის ოფიცერთა კორპუსს შორის ან იქ, სადაც ხელქვეითი ელიტა არ ჩანდა საკმარისად დამორჩილებული და სადაც ალტერნატიული ლიდერის მოძიება იყო საჭირო.**

როდესაც სამოქალაქო პრეზიდენტები უმართავი ხდებოდნენ, ცენტრალური სადაზვერვო სამსახური მუშაობას იწყებდა, პოპულარიზებას უწევდა გადატრიალებებს, რომელთაც სათავეში უნდა მოეყვანა სანდო სამხედრო შემცვლელი. აი, სულ სამიოდე მაგალითი, რომლებიც მსგავს სიტუაციებს აღწერს: **1953 წელს ირანის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ მუსადექი, რომელიც ცდილობდა ქვეყნის ნავთობის ნაციონალიზაციას, გენერალ ფაზოლლა ზაჰედით (შემდეგ კი ახალგაზრდა შაჰით) შეცვალეს. იმავე ათწლეულში პრეზიდენტი სუკარნო ინდონეზიაში გენერალმა სუჰარტომ შეცვალა და, რაღა თქმა უნდა, ჩილე, სადაც 1973 წელს პრეზიდენტი სალვადორე ალიენდე აუგუსტო პინოჩეტიმ შეცვალა.**

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ვაშინგტონის ნდობა მისი კლიენტი ქვეყნების შეიარაღებული ძალებისადმი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, აშშ ეგვიპტის შეიარაღებულ ძალებს ყოველწლიურად გულუხვ დახმარებას უწევდა (1.3 მილიარდი დოლარი), ხოლო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის წელიწადში მხოლოდ 250 მილიონ დოლარს ხარჯავდა. შედეგად კი, როდესაც გასულ იანვარს დემონსტრაციებმა ქაიროში რეჟიმი შეარყია, New York Times-ი წერდა: **„30-წლიანმა ინვესტიციებმა თავისი გააკეთა: ამერიკელმა გენერლებმა... და სადაზვერვო სამსახურის ოფიცრებმა, რომლებსაც ჩუმად წვრთნებში შეძენილ მეგობრებს უწოდებდნენ“, წარმატებით მოუწოდეს არმიას, მხარი დაეჭირათ „ხელისუფლების**



**მშვიდობიანი გადაცემისთვის“, ანუ სამხედრო მმართველობისთვის.**

1950 წლიდან ახლო აღმოსავლეთში ვაშინგტონი ბრიტანული იმპერიული მაგალითის მიბაძვით მოკავშირეთა შერჩევას არისტოკრატებს შორის არჩევდა, მათ შორის იყვნენ შაჰი (ირანში), სულთნები (აბუ-დაბიში, ომანში), ემირები (ბაჰრეინში, კუვეიტში, კატარში, დუბაიში) და მეფეები (საუდის არაბეთში, იორდანიაში, მაროკოში). ამ დიდ და არასტაბილურ რეგიონში, დაწყებული მაროკოდან ირანით დამთავრებული, ვაშინგტონი თავს ევლება როიალისტურ რეჟიმებს — მათ სამსახურშია სამხედრო ალიანსები, აშშ-ის სამხედრო სისტემები, CIA ადგილობრივი უსაფრთხოების სამსახურების მხარდასაჭერად, დაცული თავშესაფარი მათი კაპიტალისთვის ამერიკაში, განსაკუთრებული შეღავათები იქაური ელიტისთვის, მაგალითად აშშ-ის საგანმანათლებლო ინსტიტუტები და თავდაცვის დეპარტამენტის სკოლები მათი შვილებისთვის.

**2005 წელს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ასე შეაჯამა ამ პოლიტიკის შედეგები: „60 წლის განმავლობაში შეერთებული შტატები დემოკრატიის ხარჯზე ახლო აღმოსავლეთში სტაბილურობას იცავდა... და ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწიეთ“.**

ამერიკა ნამდვილად არ არის პირველი ჰეგემონი, რომელმაც თავისი მსოფლიო ძალაუფლება ადგილობრივ ლიდერებთან აბლაბუდის კავშირებზე დაამყარა. XVIII-XIX საუკუნეებში ბრიტანეთი, როგორც ამბობდნენ, ტალღებს მართავდა ისევე, როგორც მოგვიანებით ამერიკა — ზეცას. მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მიდგებოდა, მას, როგორც იმპერიას, სჭირდებოდა ადგილობრივი მოკავშირეები, რომელთა შუამავლობითაც ის აკონტროლებდა რთულ და არასტაბილურ საზოგადოებებს. ეს რომ არა, განა მოახერხებდა 1900 წელს პატარა ქვეყანა, რომლის მოსახლეობა მხოლოდ 40 მილიონს შეადგენდა, ხოლო ჯარი — 99 ათასს, გლობალური იმპერიის, დაახლოებით 400 მილიონი ადამიანის, ანუ კაცობრიობის თითქმის მეოთხედის მართვას?

**1850 წლიდან 1950 წლამდე ბრიტანეთი თავის ოფიციალურ კოლონიებს ადგილობრივი მოკავშირეების ექსტრაორდინალური ნაკრებით მართავდა. ესენი იყვნენ ბელადები ფიჯიზე, მალაიელი სულთნები, ინდოელი მაჰარაჯები და აფრიკელი ემირები. ამავე დროს, ხელქვეითი ელიტის მეშვეობით, ბრიტანეთი კიდევ უფრო დიდ „არაფორმალურ“ იმპერიებს მართავდა. ესენი იყვნენ იმპერატორები (პეკინიდან დაწყებული და სტამბოლით დამთავრებული), მეფეები (ბანგკოკსა და ქაიროში), პრეზიდენტები (ბუენოს აირესიდან — კარაკასამდე). ზენიტში, 1880 წელს ბრიტანეთის არაოფიციალური იმპერიები ლათინურ ამერიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და ჩინეთში მოსახლეობით უფრო დიდი იყო, ვიდრე მისი ოფიციალური კოლონიალური მიწები ინდოეთსა და აფრიკაში. მისი მსოფლიო იმპერია მთლიანობაში მოიცავდა დაახლოებით კაცობრიობის ნახევარზე მეტს და ადგილობრივ ლოიალურ ელიტასთან თანამშრომლობის მყიფე კავშირებს ეფუძნებოდა.**

ოთხი საუკუნის სასტიკი იმპერიული ექსპანსიის შემდეგ, ევროპის ხუთი იმპერია უეცრად, დეკოლონიზაციის შედეგად, სულ რაღაც 25 წელიწადში დედამიწიდან გაქრა. 1947 და 1974 წ.წ. შორის, ბელგიურმა, ბრიტანულმა, ჰოლანდიურმა, ფრანგულმა და პორტუგალიურმა იმპერიებმა აზიასა და აფრიკაში გზა დაუთმეს ას ახალ ქვეყანას, ანუ დღეს არსებული სუვერენული ქვეყნების ნახევარზე მეტს. როდესაც ამ უეცარი, სწრაფი ცვლილებისთვის ახსნას ეძებენ, მეცნიერთა უმეტესობა ბრიტანელ იმპერიულ ისტორიკოსს — რონალდ რობინსონს ეთანხმება, რომელიც, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ამტკიცებდა, რომ, **„როდესაც კოლონიალურ მმართველებს ხელიდან ეცლებათ ადგილობრივი კოლაბორაციონისტები“**, მათი ძალაუფლებაც ქრება.

ცივი ომის პერიოდში, რომელიც დაემთხვა სწრაფი დეკოლონიზაციის ერას, მსოფლიოს ორი სუპერსახელმწიფო ძველ მეთოდებს მიმართავდა და ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ლიდერებით მანიპულირებისთვის რეგულარულად იყენებდა ჯაშუშურ ინსტიტუტებს. საბჭოთა კავშირის „სუკი“ და მისი სუროგატები, ისეთები, ▶

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**იმის გამო, რომ აშშ-ის ძალაუფლებამ და გავლენამ იკლო, ვაშინგტონის მიერ თავისივე ელიტის გაკონტროლების მცდელობამ დამარცხება იწყო, ხშირად ძალიან შთამბეჭდავადაც: საძულველი ჰუგო ჩავესის დამხობის ძალისხმევა 2002 წლის ცუდად შეთითხნილ შეთქმულებაში; საქართველოში მოკავშირე მიხეილ სააკაშვილის რუსეთის ორბიტიდან ჩამოცილების მცდელობა 2008 წელს.**

როგორებიც იყვნენ „შტაზი“ აღმოსავლეთ გერმანიაში და „სეკურიტატე“ — რუმინეთში, საბჭოთა კავშირის 14 სატელიტ ქვეყანაში პოლიტიკურ კონფორმიზმს აკანონებდნენ და აშშ-ს, მესამე სამყაროში ლოიალური მოკავშირეების გამო, კონკურენციას უწევდნენ. პარალელურად CIA ოთხ კონტინენტზე პრეზიდენტების, ავტოკრატებისა და დიქტატორების ლოიალობას სცდიდა და შეთქმულებების, ქრთამის, ფარული ინტერვენციების მეშვეობით აკონტროლებდა ქვეყნებს; საჭიროების შემთხვევაში კი არასასურველ ლიდერებსაც თავიდან იცილებდა.

**მაგრამ ნაციონალისტური გრძნობების ეპოქაში ადგილობრივი ელიტის ლოიალობა მართლაც რთულად მოსაპოვებელი რამ აღმოჩნდა. ბევრ მათგანს წინააღმდეგობრივი ლოიალობა და ღრმა ნაციონალისტური გრძნობები ამოძრავებდა და შესაბამისად, ყურადღებიან დაკვირვებას საჭიროებდა. იმდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ხელქვეითი ელიტის ლოიალობა და იმდენად აუტანელი — მათი დაუმორჩილებლობა, რომ CIA-მ მათ მოსარჯულებლად რამდენიმეჯერ წამოიწყო სარისკო ფარული ოპერაციები, რომლებიც ცივი ომის პერიოდში უდიდესი კრიზისების მიზეზი გახდა.**

გლობალური კონტროლის მისეული სისტემის აღმავლობისას და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დამოუკიდებლობათა ეპოქაში ვაშინგტონს სხვა არჩევანი არ ჰქონდა, მას უნდა ემუშავა არა უბრალოდ სუროგატებთან ან მარიონეტებთან, არამედ — მოკავშირეებთან, რომლებიც, ცხადია, უფრო სუსტი პოზიციებიდან, მაგრამ მაინც ცდილობდნენ იმის მაქსიმალიზაციას, რასაც საკუთარ ეროვნულ ინტერესებად მიიჩნევდნენ. 1950 წელსაც კი, როდესაც ამერიკის გლობალური ძალაუფლება ზენიტში იმყოფებოდა და როდესაც მისი დომინანტურობა თითქმის უდავო იყო, ვაშინგტონი იძულებული იყო, რთული ვაჭრობა გაემართა ფილიპინელ რაიმონდ მაგსეისეის, სამხრეთ-კორეელი ავტოკრატ სინგმან რის და სამხრეთვიეტნამელ ნგო დინ ზიემის მსგავს ტიპებთან.

**სამხრეთ-კორეაში, მაგალითად 1960 წელს, გენერალმა პარკ ჩანგ ჰიმ, იმჟამინდელმა პრეზიდენტმა ვიეტნამში, ჯარების განთავსება აშშ-ს მილიარდობით დოლარში გაუცვალა, რამაც შექმნა ქვეყნის ეკონომიკური „სასწაული“. ამ შემთხვევაში ვაშინგტონმა ზედმეტი გადაიხადა, მაგრამ მიიღო ის, რაც ყველაზე მეტად სურდა: 50 000 კუნთმაგარი კორეელი სამხედრო, როგორც დაქირავებული მაშველი ძალა მის არაპოპულარულ ომში ვიეტნამთან.**

## ცივი ომის შემდგომი სამყარო

როდესაც 1989 წელს ბერლინის კედელი დაეცა და ცივი ომიც დასრულდა, მოსკოვმა სწრაფად დაკარგა მისი სატელიტი ქვეყნები, დაწყებული ესტონეთიდან, აზერბაიჯანით დამთავრებული, რადგან ერთ დროს ლოიალური საბჭოთა სუროგატები ან დაამხეს, ან მათ თავადვე მიატოვეს ფსკერისკენ მიმავალი იმპერიის ხომალდი. ვაშინგტონისთვის კი უნდა დაწყებულიყო „გამარჯვებისა“ და მალე პლანეტა დედამიწაზე „ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ“ დამკვიდრების პროცესი, მაგრამ მოვლენები უფრო ნელა წარიმართა.

ეგვიპტის პრეზიდენტი ხოსნი მუბარაქი, ტუნისის ყოფილი პრეზიდენტი ზინ ელ-აბიდინ ბენ ალი, ავღანეთის პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი



**შემდგომი ორი ათწლეულის განმავლობაში, ზუსტად მაშინ, როდესაც კორპორაციული ძალაუფლების დენაციონალიზაციამ შეამცირა განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება ერთ რომელიმე, თუნდაც ძალიან იმპერიულ სახელმწიფოზე, გლობალიზაციამ პეკინში, ახალ დელიში, მოსკოვში, ანკარასა და ბრაზილიაში, აღმავალი ქვეყნების მულტიპოლარული სისტემა შექმნა. ელიტის კონტროლის მისეულმა შესაძლებლობამ იკლო და ვაშინგტონი ისლამური ფუნდამენტალიზმის, ევროპის რეგულატორული სისტემების, ჩინეთის სახელმწიფო კაპიტალიზმისა და ლათინური ამერიკის ეკონომიკური ნაციონალიზმის მზარდი ნაკადის იდეოლოგიური კონკურენციის პირისპირ აღმოჩნდა.**

იმის გამო, რომ აშშ-ის ძალაუფლებამ და გავლენამ იკლო, ვაშინგტონის მიერ თავისივე ელიტის გაკონტროლების მცდელობამ დამარცხება იწყო, ხშირად ძალიან შთამბეჭდავადაც: საძულველი ჰუგო ჩავესის დამხობის ძალისხმევა 2002 წლის ცუდად შეთითხნილ შეთქმულებაში; **საქართველოში მოკავშირე მიხეილ სააკაშვილის რუსეთის ორბიტიდან ჩამოცილების მცდელობა 2008 წელს და საზარელი მტრის, ირანელი მაჰმუდ აჰმადინეჯადის დამხობის მცდელობა ირანის 2009 წლის არჩევნებში. მაშინ, როდესაც ოდესღაც CIA-ის ანტაგონისტების დასამარცხებლად გადატრიალება ან ქრთამი ჰყოფნიდა, ბუშის ადმინისტრაციას ერთი პრობლემური დიქტატორის სადამ ჰუსეინის ჩამოსაგდებად, მასობრივი ინტერვენცია დასჭირდა და მაშინაც კი მან აღმოაჩინა, რომ მისი შემდგომი გეგმა, რომლის თანახმადაც სირიასა და ირანში რეჟიმები უნდა შეცვლილიყო დაიბლოკა და სანაცვლოდ ამ ქვეყნებმა ერაყში აშშ-ის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ**

**უეცრად ხილული გახდა აშშ-ის მსოფლიო წესრიგის არსი, რომელიც მნიშვნელოვანწილად ვაშინგტონისადმი ლოიალური და მისდამი «დაქვემდებარებული ელიტის» სამსახურს ეფუძნებოდა. რეალურად კი ეს ელიტა ავტოკრატების, არისტოკრატებისა და ერთგვაროვანი ავაზაკების ჭრელ კოლექციას წარმოადგენს**

**გამანადგურებელ ამბოხს დახმარება აღმოუჩინეს.**

მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონმა უცხოური დახმარების სახით ავღანეთში მილიარდობით დოლარი დახარჯა, მან ერთი რამ აღმოაჩინა – მისთვის თითქმის შეუძლებელი გახდა ავღანეთში ძალაუფლებაში მის მიერვე მოყვანილი პრეზიდენტის, ჰამიდ კარზაის კონტროლი, კარზაისა, რომელმაც ასეთი დაუვიწყარი ფორმით შეაჯამა მისი მოუსვენარი ურთიერთობები ვაშინგტონთან ამერიკელი ელჩების წინაშე: **„თუ თქვენ მარიონეტს ეძებთ და პარტნიორს მარიონეტს უწოდებთ, მაშინ – არა. თუ პარტნიორს ეძებთ, მაშინ – კი“.**

შემდეგ, 2010 წლის ბოლოს, „ვიკილიქსმა“ ათასობით ამერიკული დიპლომატიური დოკუმენტის გამოქვეყნება დაიწყო, მათში ცენზურის გარეშე ნაჩვენები იყო, თუ როგორ სუსტდება შიგნიდან ვაშინგტონის კონტროლი სუროგატული ხელისუფლებების 50-წლიან სისტემაზე. ამ დოკუმენტების კითხვისას, ებრაელმა ჟურნალისტმა ალუფ ბენმა შემდეგი რამ დაინახა: **„ამერიკული იმპერიის დაცემა, იმ სუპერსახელმწიფოს დაცემა, რომელიც მსოფლიოს საკუთარი შეიარაღებული ძალებისა და ეკონომიკური უპირატესობის მეშვეობით მართავდა“. „აღარასოდეს, – დასძინა მან, — აღარ მიიღებენ ამერიკელ ელჩებს... მსოფლიოს დედაქალაქებში, როგორც „უზენაეს კომისრებს“...** ამის ნაცვლად ისინი დაქანცული ბიუროკრატები არიან, რომლებიც დღეებს მათი მასპინძლების საუბრების მოსაწყენ მიყურადებაში ატარებენ და არასდროს ახსენებენ, თუ ვინ არის სუპერსახელმწიფო და ვინ — კლიენტი ქვეყანა“.

და მართლაც, „ვიკილიქსის“ დოკუმენტებმა აჩვენა, თუ როგორ იბრძვის ყველა შესაძლო ხერხით სახელმწიფო დეპარტამენტი სულ უფრო ურჩი, თავგასული ელიტის გლობალური სისტემის მართვისთვის. ის ხან ინტრიგებს მიმართავს და საჭირო ინფორმაციასა და სადაზვერვო მასალას აგროვებს, ხან მეგობრულად მოქმედებს, რათა დაამშვიდოს უთანხმოება, იმუქრება, რათა აიძულოს თანამშრომლობა და ამაოდ ხარჯავს მილიარდობით დოლარს დახმარებისთვის, რათა გავლენა შეინარჩუნოს.

**2009 წლის დასაწყისში, მაგალითად სახელმწიფო დეპარტამენტმა, მთელ მსოფლიოში თავის საელჩოებს იმპერიული პოლიციის როლის შესრულება დაავალა – მათ უნდა შეაგროვონ ყოვლისმომცველი საინფორმაციო ბაზა ადგილობრივ ლიდერებზე, მათ შორის „ელექტრონული ფოსტის მისამართები ტელეფონებისა და ფაქსების ნომრები, ფოტოსურათები, „დეენემი“, თითებისა და თვალის ფერადი გარსის ანაბეჭდები“.**

გამოააშკარავა რა თავისი ეს საჭიროება, რომელიმე კოლონიალური მმართველის მსგავსად, რომელიც ადგილობრივებზე ინკრიმინაციულ ინფორმაციას აგროვებს, სახელმწიფო დეპარტამენტმა ამავე დროს თავის საელჩოს ბაჰრეინში სამეფოს გვირგვინოსანი პრინცების შესახებ ისლამური საზოგადოებისთვის შეურაცხმყოფელი, ბინძური დეტალები მოითხოვა: „არსებობს თუ არა რაიმე სახის დამამცირებელი ინფორმაცია რომელიმე პრინცზე? ეტანება რომელიმე მათგანი ალკოჰოლს? იღებს რომელიმე მათგანი ნარკოტიკებს?“.

აშშ-ის დიპლომატებმა იმპერიული ელჩების ქედმაღლობით თავიანთი დომინანტური როლის განმტკიცება ასე გადაწყვიტეს — მაგალითად, არაფრად აგდებენ „თურქი ნეოოტომანების პოზიციას ახლო აღმოსავლეთსა და ბალკანეთში“ და ცდილობენ, ყველაფერი შეიტყონ საკუთარი ხელქვეითი ელიტის სუსტი მხარეების შესახებ. ეს განსაკუთრებით ეხება პოლკოვნიკ მუამარ კადაფის „ვნებიან ქერა“ მედდას, პაკისტანის პრეზიდენტის — ასიფ ალი ზარდარის მომაკვდინებელ შიშს სამხედრო გადატრიალებებისადმი, ავღანეთის ვიცე-პრეზიდენტის — აჰმად ზია მასუდის მიერ მოპარულ 52 მილიონ დოლარს.

**იმის გამო, რომ მისი გავლენა ეცემა, ვაშინგტონი ბევრ თავის რჩეულ მოკავშირეში სიურჩესა და ირელევანტურობას აწყდება, განსაკუთრებით კი — სტრატეგიულად მნიშვნელოვან ახლო აღმოსავლეთში.** მაგალითად, 2009 წელს, აშშ-ის ელჩმა ტუნისში განაცხადა, რომ პრეზიდენტმა ბენ ალიმ... და მისმა რეჟიმმა დაკარგა კავშირი ტუნისელ ხალხთან“, კონტროლისთვის მას სჭირდება „პოლიცია, ხოლო კორუფცია მის ახლო გარემოცვაში მძაფრდება“ და „რისკი, რომელიც შეიძლება შეექმნას რეჟიმის სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში, მატულობს“.

**მიუხედავად ამისა, აშშ-ის ელჩმა ვაშინგტონისთვის მხოლოდ ერთი რეკომენდაციის მიცემა შეძლო — „შეცვალოს საჯარო კრიტიკა“ და ამის ნაცვლად აქცენტი „ხშირი და მაღალი რანგის პრივატულ გულწრფელობაზე“ გააკეთოს. ამ პოლიტიკამ შედეგად ვერ გამოიღო ვერანაირი სახის რეფორმა, ხოლო 18 თვის შემდეგ რეჟიმი დემონსტრაციებმა დაამხო.**

2008 წლის ბოლოს ამერიკის საელჩო კაიროში ასევე შიშობდა, რომ „დემოკრატიული და უფლებადაცვითი ძალისხმევა კაიროში... იხშობა“, მაგრამ, როგორც საელჩო აცხადებდა, „ჩვენ არ ვისურვებდით აშშ-ის რეგიონალური ინტერესებისთვის შექმნილი პრობლემების განხილვას, რომლებიც შეიძლება შეიქმნას, თუ აშშ-ეგვიპტის კავშირები შესუსტდება“. როდესაც მუბარაქი რამდენიმე თვის შემდეგ ვაშინგტონს ეწვია, საელჩომ თეთრ სახლს მოუწოდა, „განაახლოს ის თბილი ატმოსფერო, რომელიც ტრადიციულად ახასიათებს აშშ-ეგვიპტის თანამშრომლობას“ და ასე 2009 წლის ივნისში, 18 თვით ადრე ეგვიპტის პრეზიდენტის დაცემამდე, პრეზიდენტი ობამა ამ გამოსადეგ დიქტატორს მიესალმა, როგორც „მედგარ მოკავშირეს, ... რეგიონის სტაბილურობისა და სიკეთის ძალას“.

**როდესაც ტაჰრირის მოედანზე კრიზისი დაიწყო, ოპოზიციის ლიდერმა, პატივცემულმა ელ ბარადეიმ, მწარედ დაიჩივლა იმის გამო, რომ ვაშინგტონმა, თავისი სულელური პოლიტიკითა და რეპრესიების მხარდაჭერით, მთელ არაბულ სამყაროს რადიკალიზაციისკენ უბიძგა. ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის 40 წლის დომინირების შემდეგ რეგიონი, მისი თქმით, „შეუმდგარი სახელმწიფოების ისეთ კოლექციად“ გადაიქცა, რომელიც „არაფერს მატებს ჰუმანიზმსა და მეცნიერებას“, რადგან „ადამიანებს არ ასწავლიან იმას, რომ არ უნდა იფიქრონ და იმოქმედონ და მუდმივად არასახარბიელო განათლებას აძლევენ“.**

იმის გამო, რომ მსოფლიო ომი, რომელიც აღგვიდა იმპერიას, დღეს შეუძლებელია, დიდი იმპერიის დაცემა ხშირად კონვულსიური, მტკივნეული, ხანგრძლივი პროცესია. გარდა ორი ამერიკული ომისა ერაყსა და ავღანეთში, რომლებიც თითქმის დამარცხებამდეა მისული, ქვეყნის დედაქალაქი ახლა ფინანსური კრიზისის გამო იტანჯება, მისი ოფიციალური ვალუტა კარგავს გადახდისუნარიანობას და ძველი მოკავშირეები კონკურენტ ჩინეთთან არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სამხედრო თანამშრომლობასაც ავითარებენ. ამას ყველაფერს ახლა ახლო აღმოსავლეთში ლოიალური სუროგატების შესაძლო დაკარგვაც ემატება.

**50 წელზე მეტია, ვაშინგტონს გლობალური ძალაუფლების ის სისტემა, რომელიც ხელქვეით ელიტას ეყრდნობოდა, კარგად ემსახურა. ამ სისტემამ ოდესღაც გასაოცარი ეფექტურობით შეუწყო ხელი მთელ მსოფლიოში ამერიკის გავლენის გავრცელებას. ახლა კი ყოფილი ლოიალური მოკავშირეები სულ უფრო მეტად ემსგავსებიან შეუმდგარი ან ურჩი სახელმწიფოების იმპერიას. არ შეგვეშალოს: ასეთი ნახევარსაუკუნოვანი კავშირების დეგრადაცია ან დასასრული ვაშინგტონს, ალბათ, გასაჭირში დატოვებს.**

**ალფრედ მაკკოი,**
**ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორი**

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

კომპანია „OTOKAR“-ის კონსტრუქტორების წინაშე ძალიან საინტერესო ამოცანა დგას. მათ „XK-2 BLACK PANTHER“-ს უნდა „მოაჭრან“ ყველაფერი, რაც „ზედმეტი“ და ძვირადღირებულია და, ამავე დროს, შეინარჩუნონ ტანკის უპირატესობა სხვა ნიმუშებზე (თუნდაც იმავე „LEOPARD-2“-ზე). წინააღმდეგ შემთხვევაში, ტანკის ღირებულება ასტრონომიულად გაიზრდება.




## მოკლედ

### რუსეთი ფლოტს აძლიერებს



ვლადიმერ პუტინის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება სამჯერ გაზარდოს ხარჯები სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოდერნიზაციაზე; ისინი 2011-20 წლებში 19 ტრილიონ რუბლს შეადგენენ. 2020 წლამდე იგეგმება 100-მდე ახალი ხომალდის, მათ შორის 8 სტრატეგიული ატომური და 20 სხვა ტიპის წყალქვეშა ნავის (პროექტები 636, 885 და 955), 15 ფრეგატისა და 35 კორვეტის შეძენა.

### ავღანეთში ახალი შაშხანა გამოჩნდა



ამერიკელმა სნაიპერებმა ავღანეთში „Remington“-ის ახალი შაშხანების — „XM2010“-ის პირველი პარტია მიიღეს. ის „M24-ის ღრმა მოდერნიზაციას წარმოადგენს. „300 Winchester Magnum“ (7,62x67)-ის ვაზნების გამოყენებამ დამიზნებით სროლის დისტანცია 800-დან 1200 მეტრამდე გაზარდა. მაყუჩი „Titan-QD გასროლის ხმას 32 დეციბელით ამცირებს. შაშხანაში გამოიყენება სამიზნე „Leupold Mark 4“ (6,5-20x50 მმ.), თუმცა შესაძლებელია ღამის სამიზნის — „A/N PVS 29“-ის გამოყენებაც. მჭიდში 5 ვაზნაა; შაშხანა პიკატინის სამაგრებით აღიჭურვა.

### ობამას ვერტმფრენები ჩამოართვეს



აშშ-ის პრეზიდენტის ავიარაზმის („Squadron 1“) ექვსი „CH-53E Super Stallion“-ის ტიპის ვერტმფრენი ავღანეთში მოქმედ ძალებს გადაეცემა, — იტყობინება „Marines.mil“-ი. ვერტმფრენების მწვავე ნაკლებობის გამო პრეზიდენტს და მის ამალას „CH-46 Sea Knight“-ებით დაკმაყოფილება მოუწევთ. 2013-ში პრეზიდენტის ავიარაზმმა „Osprey“-ის ტიპის კონვერტოპლანები უნდა მიიღოს.

### ისრაელში უსაფრთხო ხელყუმბარა შექმნეს



კონცერნ „TACC“-მა შექმნა სისტემა, რომელიც ხელყუმბარებს დეტონაციისგან იცავს იმ შემთხვევაში, თუ მათ ტყვია მოხვდება. სისტემაზე მუშაობა შარშან, მარტში, დაიწყო, მას შემდეგ, რაც ღაზას სექტორში გამართული ბრძოლის დროს ერთ-ერთი ოფიცრის ხელყუმბარას ტყვია მოხვდა, ის აფეთქდა და ორი სამხედროს სიცოცხლე შეიწირა. „TACC“-ის ინჟინრების თქმით, მათ დეტონაციის სისტემისა და ასაფეთქებელი ნივთიერების ერთმანეთისგან იზოლირება მოახერხეს.

# როგორი იქნება ახალი თურქული ტანკი?

**თურქეთში პირველი ეროვნული ძირითადი საბრძოლო ტანკის მაკეტის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტზე 500 მილიონი დოლარი გამოიყო. ტანკის პროტოტიპი 2015 წლისთვის შეიქმნება. პირველ ეტაპზე 250 ტანკს ააწყობენ; დეტალების ნაწილი თურქეთში, ნაწილი კი სამხრეთ კორეაში დამზადდება.**




ახალი ტანკის შესახებ ჯერ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, სავარაუდო მახასიათებლები ასეთია: წონა 55-65 ტონა, სიგრძე — 7735 მმ., სიგანე — 3972 მმ., სიმაღლე — 2620 მმ., ძრავა — 1500 ცხ.ძ., სიჩქარე — 70 კმ/სთ (მაქს.), სვლის მარაგი — 500 კილომეტრი, შეიარაღება — 120 მმ. ქვემეხი და 12,7 მმ. ტყვიამფრქვევი (X2), საბრძოლო კომპლექტი — 57+10 ჭურვი.

**„ALTAY“ ტანკს გენერალ ფაჰრედინ ალტაის (1880-1974) საპატივცემულოდ უწოდეს, რომელიც დამოუკიდებლობისთვის ომის წლებში კავალერიის მე-5 კორპუსს სარდლობდა და იზმირის (მაშინ სმირნა) აღებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.**

თურქეთის სატანკო ჯარებს მდიდარი ისტორია აქვთ, პირველად თურქებმა რამდენიმე ტანკი, კერძოდ კი მსუბუქი ფრანგული „Renault FT“ 1928 წელს იყიდეს. 1930-34 წლებში შეიძინეს 30-მდე ბრიტანული „Vickers Carden Loyd“-ი და მცურავი „Vickers Carden Loyd M1931“, აგრეთვე, 10 „Vickers 6ton Mk E“ და 13 „Vickers Mk VI b“. 1935-ში თურქეთმა შეიძინა 67 საბჭოთა მსუბუქი ტანკი „T-26“ და „БА სერიის 60 ჯავშანავტომობილი. ამ ტექნიკის ბაზაზე შეიქმნა პირველი თურქული ჯავშანსატანკო შენაერთი (1 სატანკო ბატალიონი — ლილებურგაზეში). შემდეგ თურქებმა ტექნიკის ყიდვა მესამე რაიხისგან დაიწყეს. მაგალითად, 1943 წელს მათ შეიძინეს 53 „Pz. III“ და 15 „Pz. IV G“.

**ცივი ომის წლებში თურქები ყოველთვის ცდილობდნენ, გერმანული ტექნიკა, კერძოდ კი „LEOPARD“-ები შეეძინათ, თუმცა ყიდულობდნენ ამერიკულ „M48“-ისა და „M60“-ის სხვადასხვა ვარიანტებსაც. დღეისთვის მწყობრში 287 „M48A5T1/T2“ რჩება. პარადოქსულია, მაგრამ ეს ძველი ტანკები პოტენციურად ერთ-ერთ ყველაზე ცხელ წერტილში — ჩრდილოეთ კვიპროსზეა განლაგებული.**

XXI საუკუნეში თურქეთმა დიდი, მაგრამ მეტ-წილად ძველი ნიმუშებისგან შემდგარი სატანკო პარკით შეაბიჯა. მართალია, დღეს ის აქტიურად ახორციელებს „Leopard 1“-ისა და „M60“-ის მოდერნიზაციას და, აგრეთვე, უიმედოდ მოძველებული ტანკების უტილიზაციას, თუმცა უკვე საუკუნის დასაწყისში ცხადი გახდა, რომ თურქეთის არმიას ახალი ძირითადი საბრძოლო ტანკი სჭირდება. თურქებმა რამდენიმე ნიმუში გამოსცადეს, მათ შორის „T-80-ის დიზელური ვერსიის ბაზაზე შექნილი უკრაინული „Ятаган“-ი, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გერმანული „Leopard 2“ აირჩიეს. იგეგმებოდა, რომ თურქეთი უცხოური ტანკების




### «XK-2 Black Panther»-ი მთიანი რელიეფის პირობებში მოქმედებისთვის შეიქმნა და თურქეთის პირობებისთვის, პრაქტიკულად, იდეალური ჩანს.

შეძენას მომავალში გააგრძელებდა, თუმცა 2004 წელს თურქი სამხედროები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეროვნული ტანკის შექმნა ქვეყანას გაცილებით იაფი დაუჯდება. 2005 წელს გამოცხადდა ტენდერი, რომელიც 2007-ში კომპანია „Otokar“-მა მოიგო.

საბაზო ნიმუშად ახალი თურქული ტანკისთვის სამხრეთკორეული „XK-2 Black Panther“-ი შეირჩა. ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კარგი, მაგრამ ამავე დროს, ყველაზე ძვირადღირებული ტანკია. ის 8,5 მილიონი დოლარი ღირს. მართალია, თურქი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელი გახდება „Altay“-ის ღირებულების 5.5 მილიონ დოლარამდე შემცირება (არც ესაა ცოტა), თუმცა ბუნებრივად იბადება კითხვა: რის ხარჯზე მოხერხდება ეს?

**„XK-2 BLACK PANTHER“-ი მთიანი რელიეფის პირობებში მოქმედებისთვის შეიქმნა და თურქეთის პირობებისთვის, პრაქტიკულად, იდეალური ჩანს. „შავი პანტერა“ აღჭურვილია დაკიდების აქტიური სისტემით, რომელიც შესაძლებლობას აძლევს, კლირენსი ლანდშაფტის თავისებურებებიდან გამომდინარე შეცვალოს. სპეციალური მოწყობილობა 50 მეტრის რადიუსში ლანდშაფტის ლაზერულ სკანირებას ახდენს.**




ამ ინფორმაციიდან გამომდინარე ტანკის კომპიუტერული სისტემა ოპტიმალურ მარშრუტს ირჩევს. ტანკს შნორკელით შეუძლია გადალახოს 4,1 მეტრი სიღრმის მდინარეები და ცეცხლი წყლიდან ამოსვლისთანავე გახსნას.

სავარაუდოდ, ეკონომია ელექტრონიკისა და ავტომატიკის ხარჯზე გაკეთდება, სხვაგვარად 3-მილიონიანი „სეკვესტრის“ მიღწევა წარმოუდგენელია. მაგრამ აუცილებლად უნდა აღიშნოს, რომ „XK-2“ იმთავითვე იქმნებოდა როგორც მაღალტექნოლოგიური, ინტელექტუალური ტანკი, რომელსაც თავისი „ხარისხით“ უპირატესობა უნდა მოეპოვებინა ჩრდილოკორეელთა მრავალრიცხოვანი სატანკო შენაერთების „რაოდენობაზე“. მისი კოზირი არა იმდენად ჯავშანი და აქტიური და დინამიური დაცვის სისტემებია (ამ მხრივ დღემდე პრობლემები აქვს, რომელთა აღმოფხვრას სამხრეთკორეელები ცდილობენ), არამედ — მისი ელექტრონული „შიგნეულობა“, დამიზნებისა და დაკვირვების უნიკალური აპარატურა. „კასტრირებული პანტერა“ კი შეიძლება გაცილებით საეჭვო ტანკი აღმოჩნდეს, ვიდრე — ნაკლებად ტექნოლოგიური, თუმცა, დაცვის სისტემების თვალსაზრისით, სავსებით დამაკმაყოფილებელი ძველი თაობის ტანკები.

კომპანია „Otokar“-ის კონსტრუქტორების წინაშე ძალიან საინტერესო ამოცანა დგას. მათ „XK-2 Black Panther“-ს უნდა „მოაჭრან“ ყველაფერი, რაც „ზედმეტი“ და ძვირადღირებულია და, ამავე დროს, შეინარჩუნონ ტანკის უპირატესობა სხვა ნიმუშებზე (თუნდაც იმავე „Leopard-2“-ზე). წინააღმდეგ შემთხვევაში, ტანკის ღირებულება ასტრონომიულად გაიზრდება.

გამოუვა თუ არა ეს თურქებს, ძნელი სათქმელია. მათ ხომ შესაბამისი სკოლა არ გააჩნიათ და ტანკების შექმნას მხოლოდ ახლა სწავლობენ, ამოცანა კი მეტის-მეტად რთული და ამბიციური ჩანს. ალბათ, მხოლოდ ის დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ და დაველოდოთ ახალ ინფორმაციას „Altay“-ს შესახებ.



მეორე მითი, რომელიც კავალერიას უკავშირდება, ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ომის წინ აქცენტს თითქოსდა კავალერიაზე და არა ტანკებზე აკეთებდა. ეს ზღაპარია — 1938 წელს წითელ არმიაში კავალერიის 32 დივიზია იყო, 1941 წლის დასაწყისში კი — მხოლოდ 13 დარჩა

არსენალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# კავალერია მეორე მსოფლიო ომში: ლეგენდები და რეალობა

**განვაგრძობთ გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების სერიას და დღეს ჯარის იმ სახეობაზე ვისაუბრებთ, რომელსაც ისტორიკოსები, ალბათ, ყველაზე უსამართლოდ მოეპყრნენ. II მსოფლიო ომის კავალერია ხშირად ტექნიკური ჩამორჩენილობის სიმბოლოდ აღიქმება, თუმცა ფაქტების დაკვირვება ამ ფართოდ გავრცელებულ აზრს მნიშვნელოვანწილად აბათილებს.**





ყველაზე გავრცელებული მითი კავალერიის შესახებ ომის პირველსავე დღეს, 1939 წლის 1 სექტემბერს, დაიბადა, როდესაც პოლონელმა ცხენოსნებმა თითქოსდა გერმანულ ტანკებს შეუტიეს. ეს მითი ორივე მხარეს აწყობდა. ის, ერთის მხრივ, ხაზს უსვამდა გერმანელების ტექნიკურ უპირატესობას; მეორეს მხრივ კი, — პოლონელების ჰეროიზმს; მის გავრცელებას ხელი ჰაინც გუდერიანის მემუარებმა შეუწყო. რა მოხდა სინამდვილეში?

**დავიწყოთ იმით, რომ პოლონური (ისევე, როგორც საბჭოთა და ბევრი სხვა) არმიის წესდებები და ინსტრუქციები (კერძოდ კი, 1930 წლის „საერთო ინსტრუქცია ბრძოლის წარმოების შესახებ") ცხენოსანთა შეტევის რეგლამენტაციას საერთოდ არ ახდენდა. კავალერისტები ცხენებით უნდა გადაადგილებულიყვნენ, მაგრამ ბრძოლაში ისინი, როგორც ჩვეულებრივი ქვეითები, ერთვებოდნენ. ცხენოსანთა შეტევა, გამონაკლისის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიშვებოდა, თუ კავალერისტები მოწინააღმდეგეს მოულოდნელად წააწყდებოდნენ, ან როდესაც ის დემორალიზებულია და გარბის.**

1 სექტემბერს, დღის პირველ ნახევარში პომორიეს ულანთა მე-18 პოლკის კავალერისტები საზღვარზე იმყოფებოდნენ და, როგორც ჩვეულებრივი ქვეითები, ტრადიციულ თავდაცვით ბრძოლას აწარმოებდნენ. დღის მეორე ნახევარში მათ მიიღეს ბრძანება, განეხორციელებინათ კონტრდარტყმა; ესარგებლათ იმით, რომ ამის შემდეგ მოწინააღმდეგე თავდაცვაზე გადავიდოდა და უკან დაეხიათ. ამ ამოცანის შესრულებისთვის შეიქმნა მანევრული რაზმი (2 ესკადრონი და 2 ოცეული), რომლებიც 19:00 საათისთვის გერმანელების ზურგში უნდა გასულიყო.

ეს მანევრი ორივე მხარისთვის მოულოდნელად დასრულდა. პოლონელების მოწინავე რაზმმა აღმოაჩინა, რომ ტყის პირას დაბანაკებული იყო ვერმახტის ქვეითთა ბატალიონი; გერმანელი ჯარისკაცები ისვენებდნენ. პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკმა მასტალეჟმა გადაწყვიტა, მოულოდნელობით ესარგებლა. ეს, ალბათ, ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა: უკანასკნელად პოლონეთის ისტორიაში გაისმა ბრძანება „Szable dlon! (იშიშვლეთ ხმლები!) და ჩამავალი მზის ფონზე ულანებმა უკანასკნელად შეუტიეს. მაგრამ ისინი უტევდნენ არა გერმანულ ტანკებს, როგორც ამას ლეგენდა გვამცნობს, არამედ თავზარდაცემულ ქვეითებს, რომლებიც პანიკაში ჩავარდნენ და გაიქცნენ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ტყეში იმყოფებოდა რამდენიმე ჯავშანმანქანა (და არა ტანკი), რომელიც პოლონელებმა თავიდან ვერ შეამჩნიეს, მათ ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გახსნეს; სროლა ერთმა გერმანულმა ქვემეხმაც დაიწყო. დაიღუპა 26 პოლონელი (მათ შორის — პოლკის მეთაური) დაიღუპა, 50-მდე — მძიმედ დაიჭრა. ულანები ბრძოლის ველს სასწრაფოდ გაეცალნენ. სულ ეს იყო; დოკუმენტები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ პოლონური კავალერიის არანაირ შეტევას ტანკებზე ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, ლეგენდებში ხშირად ისეთი რამ გვხვდება, რასაც ფსიქიკურად ჯანმრთელი მეთაური ბრძოლის ველზე არასოდეს გააკეთებს.

მეორე მითი, რომელიც კავალერიას უკავშირდება, ისაა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ომის წინ აქცენტს თითქოსდა კავალერიაზე და არა ტანკებზე აკეთებდა. ეს ზღაპარია — 1938 წელს წითელ არმიაში კავალერიის 32 დივიზია იყო, 1941 წლის დასაწყისში კი — მხოლოდ 13 დარჩა (სხვათა შორის, ამ დივიზიების შემადგენლობაში შედიოდა სატანკო პოლკი 64 მსუბუქი ტანკით — „БТ") . შეტევით ოპერაციებში საბჭოთა გენერალური შტაბი განიხილავდა კავალერიას, როგორც გარღვევის განვითარების ინსტრუმენტს, ხოლო თავდაცვითში, — როგორც ფრონტის მობილურ რეზერვს, რომელიც, როგორც წესი, კონტრდარტყმებისთვის გამოიყენებოდა. ამასთანავე, წითელი არმიის 1939 წლის საველე წესდებისა და სხვადასხვა ინსტრუქციების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ცხენი განიხილება როგორც სატრანსპორტო საშუალება, ხოლო უშუალოდ ბრძოლაში კავალერისტი ერთვება როგორც ქვეითი.

1941-ში კავალერიის კორპუსები წითელი არმიის ყველაზე მდგრადი შენაერთები აღმოჩნდა. მომარაგებას მოკლებული მექანიზირებული კორპუსებისგან განსხვავებით, მათ უკანდახევის დროს არა მხოლოდ გადარჩენა შეძლეს, არამედ სხვა ქვედანაყოფების დებლოკირებაში, მათი ფლანგების დაცვასა და კონტრდარტყმების განხორციელებაში უდიდესი როლი შეასრულეს, რაც განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებაზე გამოვლინდა. 1941 წლის ბოლოს და 1942 წლის დასაწყისში საბჭოთა ხელმძღვანელობამ მიიღო, ერთი შეხედვით, პარადოქსული გადაწყვეტილება და ცხენოსანთა რაოდენობა გაზარდა. ბრძოლაში მოსკოვთან ისინი ფართოდ გამოიყენებოდა და გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს; სხვა არჩევანი მაშინ არც იყო, რადგან სატანკო ჯარებში ყველაზე მსხვილი შენაერთი მაშინ, 1941 წლის ზაფხულის და შემოდგომის მარცხის შემდეგ, ბრიგადა იყო, რომლის შესაძლებლობათა მაქსიმუმი ქვეითების უშუალო მხარდაჭერა იყო.

1942 წლის ნოემბერში კავალერიის სამმა კორპუსმა გზა გადაუღობა გერმანელებს, რომლებიც სტალინგრადში ალყაშემორტყმული პაულუსის არმიის დებლოკირებას ცდილობდნენ. უმძიმესი დანაკარგების მიუხედავად, მათ თავისი ამოცანა პირნათლად შეასრულეს.

1943-44 წლებში კავალერია სატანკო და მექანიზებულ შენაერთებთან ერთ ჯგუფებში (ერთი სარდლობის ქვეშ) გამოიყენებოდა. იმ დროის შეტევითი ოპერაციების აუცილებელი პირობა (მაგალითად, ოპერაცია „ბაგრატიონი") შენაერთების მაღალი მობილურობა იყო, ხოლო კონკრეტული გეოგრაფიული პირობებიდან და ამინდიდან გამომდინარე, კავალერია ამ მხრივ ტექნიკას ხშირად სჯობდა. ამ პერიოდში მისი მთავარი ფუნქცია გარღვევის სიღრმის გაზრდა გახდა.

**კავალერიის გამოყენებაზე უარს არც ვერმახტი ამბობდა. ქვეითთა თითოეულ დივიზიაში იყო 310-კაციანი სადაზვერვო რაზმი, რომელშიც 216 ცხენოსანი ირიცხებოდა. მართალია, ომის დასაწყისში გერმანელებს ცხენოსანთა მხოლოდ ერთი დივიზია ჰყავდათ, მაგრამ 1942-ში მათ დამატებითი შენაერთების ფორმირება დაიწყეს. 1944-ში შეიქმნა კავალერიის კორპუსი „ფონ ჰარტენეკი", რომელიც ჯერ აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ კი უნგრეთში იბრძოდა. იქვე, ბალატონის ტბასთან, 1945-ში ბრძოლაში კავალერიის კიდევ ორი ახალი დივიზია ჩაება. საბოლოო ჯამში, ვერმახტმა II მსოფლიო ომი დაასრულა გაცილებით მეტი კავალერისტით, ვიდრე დასაწყისში ჰყავდა.**

როდესაც II მსოფლიო ომის კავალერიაზე ვსაუბრობთ, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, უარი უნდა ვთქვათ, იმ მითების განხილვაზე, რომელშიც ხმალამოღებული ცხენოსნები ტანკებს უტევენ, ხოლო ცხენი განვიხილოთ მხოლოდ როგორც გადაადგილების საშუალება, ტრანსპორტი; ამ კონტექსტში, კავალერისტი ერთგვარ „კვაზი-მოტომსროლელად" გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ გასული ომის 40-იან წლებში კავალერია ტექნიკური ჩამორჩენილობის სიმბოლოდ აღიქმებოდა, ომის პრაქტიკამ აჩვენა, რომ მის გამოყენებას სათანადო მომენტში ბევრი სარგებლის მოტანა შეეძლო.





## გაფრაზებული



**დიმიტრი მედვედევი, რფ-ის პრეზიდენტი:**

პრეზიდენტის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების სფეროში სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს და ამ სფეროს ინტერნეტიც განეკუთვნება. საუბარი არაა ამ სფეროზე აკრძალვის დაწესებაზე. როდესაც იწყებენ საუბარს ინტერნეტის რეგულირებაზე, ჩნდება შეგრძნება, რომ სახელმწიფოს სურს, დააწესოს შეზღუდვები, რომლებიც მხოლოდ სპეციფიურ ქვეყნებში არსებობს.

*rian.ru*



**ვლადიმერ პუტინი, რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

კვლევებმა დაადასტურა, უსაფრთხოების თვალსაზრისით რუსეთის ყველა ატომური ელექტროსადგური საიმედოა, მაგრამ ამ საკითხს მთავრობა გააკონტროლებს. მსოფლიოში ჩვენ უსაფრთხოების საუკეთესო მაჩვენებლები გვაქვს. მე შემიძლია ეს სიამაყითა და სრული პასუხისმგებლობით ვთქვა. რაც შეეხება ფუკუსიმა-1-ზე შექმნილ სიტუაციას, ეს უნიკალური შემთხვევა იყო. არ ვიცი რატომ, მაგრამ ისინი ატომურ ელექტროსადგურებს სეისმურად სახიფათო ზონებში აშენებენ, თუმცა იქ ყველგან სეისმური საფრთხეა.

*rian.ru*



**ბარაკ ობამა, აშშ-ის პრეზიდენტი:**

მოვუწოდებ კონგრესს, გავაუქმოთ საგადასახადო შეღავათები ნავთობისა და გაზის კომპანიებისათვის. ეს შეღავათები არაგონივრული და უსამართლოა, ამიტომ უნდა გაუქმდეს.

*rbc.ru*



**ალექსანდრე ლუკაშენკო, ბელორუსის პრეზიდენტი:**

ჩერნობილის კატასტროფის შედეგების დასაძლევად ევროკავშირისათვის დახმარების თხოვნას არ ვაპირებ. მათ ჩვენ დაბინძურებული მიწების აღსადგენად დახარჯული მთელი თანხის ნახევარი პროცენტი მოგვცეს. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგური ჩვენ არ აგვიფეთქებია, მაგრამ ეს ბელარუსის სადარელია. ჩვენ არავინ გვეხმარება, ჩვენით აღვადგინეთ ეს მხარე და მათ არაფერს ვთხოვთ, რადგან წესიერი ხალხი რომ ყოფილიყვნენ, დაგვეხმარებოდნენ. ევროკავშირს ჩვენი აღორძინება კი არა, აღსასრული სჭირდება, მაგრამ ვერ ეღირსება.

*rian.ru*

მემკვიდრეობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**1829 წლის 2 სექტემბერს ქ. ადრიანოპოლში თურქეთმა და რუსეთმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს. რუსეთს ერგო დუნაის კონცხი და კავკასიის სანაპირო ყუბანის კონცხიდან წმ. ნიკოლოზის პოსტამდე ფოთსა და ბათუმს შორის. თურქეთი დათანხმდა სრუტეების თავისუფლებაზე, რუსი ვაჭრების შეღავათებზე, საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, ერევნისა და ნახჭევნის რუსეთთან შეერთებაზე.**

მეცხრამეტე საუკუნეში დიდ სახელმწიფოთა ინტერესები ახალი ძალით დაუპირისპირდა ერთმანეთს. ამ დაპირისპირებაში ჩართული აღმოჩნდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, ავსტრია, ირან-თურქეთი და სხვა ქვეყნები, რომლებიც თავიანთი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის ახალი გზების ძიებას შეუდგნენ. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანი იყო 1826 წელს გაჩაღებული რუსეთ-ირანის ომი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების საქმეში.

ისტორიული ქართული ტერიტორიების შემოერთების პროცესი უშუალოდ უკავშირდება რუსეთსა და თურქეთს შორის 1806-1812 და 1828-1829 წლებში წარმოებულ საომარ ოპერაციებს. 1828 წელს ქართველთა ლაშქრის მონაწილეობით გათავისუფლდა ახალქალაქი, ახალციხე და, არსებითად, სამცხე-ჯავახეთი კვლავ საქართველოს ნაწილი გახდა. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დედასამშობლოსთვის ფოთის დაბრუნებას, რაც ქართველ და რუს მებრძოლთა თავგანწირული ბრძოლის შედეგად 1828 წლის 15 ივლისს გახდა შესაძლებელი.

რუსეთ-თურქეთს შორის ყირიმისა და კავკასიისთვის წარმოებულმა ომებმა უზრუნველყო 1878 წლის 13 ივლისის ბერლინის ტრაქტატის გაფორმება, რომლის ძალითაც აჭარა სამუდამოდ დაბრუნდა საქართველოს ისტორიულ საზღვრებში. ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი კმაყოფილებით შენიშნავდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, „ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.

სწორედ ასეთ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს ისტორიული ღირებულება. სხვა დანარჩენი კი, არსებითად, მეორეხარისხოვანია.

# სადავო ქართული მიწების შემოერთება 1828-1830 წლებში

**რუსეთთან ომში დამარცხების შემდეგ ირანი რევანშისთვის ემზადებოდა. ახალი ომისკენ ირანს ინგლისი აქეზებდა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა, რუსეთი ამიერკავკასიიდან გამოეძევებინა. 1826 წლის გაზაფხულზე დაიწყო რუსეთ-ირანის ახალი ომი. ამიერკავკასიაში მოულოდნელად შემოჭრილმა ირანელებმა დაიკავეს ყარაბაღი, განჯა, მიუახლოვდნენ ბაქოს და საშიშროება შეუქმნეს თბილისს.**

ამ ომში ქართველები რუსების მხარდამხარ იბრძოდნენ. ქართველმა ხალხმა საკუთარი ნებით რამდენიმე კვირაში შეკრიბა 6 ათასი მოხალისე. ქართული სახალხო ლაშქარი წარმატებულად იბრძოდა ომის სხვადასხვა ფრონტებზე. **ქართველებმა თავი გამოიჩინეს ერევნის გათავისუფლების დროს, 1827 წელს. იმავე წლის 13 ოქტომბერს რუსულმა ჯარებმა გენერალ გ. ერისთავის მეთაურობით დაიკავეს სამხრეთ აზერბაიჯანის მთავარი ქალაქი — თავრიზი.**

თავრიზის აღებამ დააჩქარა მშვიდობიანი ხელშეკრულების გაფორმება (1828 წ., 10 თებერვალი), რომლის მიხედვითაც რუსეთის ხელში გადმოდიოდა ერევნისა და ნახჭევნის სახანოები. ამ სახანოების სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა გათავისუფლდა ირანის ბარბაროსული ბატონობისგან.

ასევე მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა 1828 წლის რუსეთ-თურქეთის ომსაც.

**1806-1812 წლებში თურქეთთან ომში უშედეგოდ დასრულდა სადავო ქართული მიწების შემოერთების მცდელობა, თურქთა მიერ „ახალციხის საფაშოს“ სახელით მონათლული. თურქთა უღლის ქვეშ მგმინავი ქართველი ხალხი მოთმინებით ელოდა მათი მშობლიური მხარის დანარჩენ საქართველოსთან შეერთების მომენტს.**

**ახლა ქართველები თავგამოდებით იბრძოდნენ რუსულ ჯარებთან ერთად თავიანთი მიწების გასათავისუფლებლად.**

**ალექსანრე გრიბოედოვი**



რუსთა ჯარის მიერ ყარსის აღების შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებით. **1828 წლის ივლისში აიღეს ახალქალაქი, აგვისტოში ქართველთა ლაშქრების მონაწილეობით — ახალციხე.** ამის პარალელურად რუსმა ჯარებმა გენერალ ალ. ჭავჭავაძის მეთაურობით დაიკავეს ბაიაზეთის საფაშო.

საქართველო ზეიმით შეხვდა ამ სასიხარულო მოვლენებს. თანამედროვეთა ცნობით, **„მთელი მოსახლეობა სიხარულსა და აღფრთოვანებას მოეცვა“; „საქართველო ზეიმობდა დიდი ხნის დაკარგული ახალციხის მშობლიურ უბეში დაბრუნებას“.**

**1828 წლის 15 ივლისს ქართული ლაშქრის მონაწილეობით დაიბრუნეს ფოთი. ამის შემდეგ რუსულმა ჯარებმა გეზი ქობულეთისა და ბათუმისკენ აიღეს. მხოლოდ დასავლეთ საქართველოდან რუსებთან ერთად 6 ათასი ქართველი იბრძოდა.**

ქართველებმა არნახული გმირობა გამოამჟღავნეს ქობულეთთან ახლოს ლიმანისა და კინტრიშის აღებისას. მებრძოლმა ბეჟან ბოლქვაძემ, რომელიც მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების დასაზვერად იყო გაგზავნილი, გაუძლო უთანასწორო ბრძოლას რვა თურქ მეომართან. 1829 წლის აგვისტოში ქართულმა ჯარებმა მწარე მარცხი აგემეს თურქებს მუხაესტატესა და კინტრიშთან. ამასთან, მიუხედავად წარმატებული სამხედრო მოქმედებებისა, ამჯერად აჭარის გათავისუფლება არ მოხერხდა.

ჯარების რჩენა მთელი სიმძიმით ქართველ ხალხს დააწვა მხრებზე. **„თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა,** — წერდა რუსი პოეტი გრიბოედოვი, — **1826 წლიდან დღემდე (1828 წლის სექტემბრამდე) იმდენი პური, საქონელი და ა.შ. დახარჯა თავისი ქონებიდან, რაც თავისუფლად შეეძლო ერთ რუსეთის ყველაზე აყვავებულ ოლქს, რამდენადაც მოსახლეობითა და ტერიტორიის სიდიდით საქართველო რუსეთის გუბერნიების მხოლოდ სამი მაზრის ტოლია“.**

**1829 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რუსეთმა თურქეთს წაართვა უძველესი ქართული ქალაქები ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი; ათი რაიონი სამცხე-საათაბაგოში: ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ჩაჩარანის, ფოცხოვისა და ჩალდირის.**

ეს მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ უზარმაზარი ქართული ტერიტორიისა, რომელიც თურქეთმა მიითვისა XVI საუკუნეში.

1829 წლის მშვიდობიანმა ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის საქართველოში ბატონობა და საერთოდ, — მთელ ამიერკავკასიაში. თურქეთი საბოლოოდ გამოიდევნა ყუბანსა და ჩოლოქს შორის მდებარე ტერიტორიიდან.

# 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომი

**XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ბერძნები აუჯანყდნენ თურქ ოკუპანტებს. რუსეთმა გადაწყვიტა, დახმარებოდა ბერძნებს, ბალკანეთში რომ გამაგრებულიყვნენ. შეშფოთებულმა ინგლისმა რუსეთს ერთობლივად მოქმედება შესთავაზა. 1826 წლის მარტში შესაბამის ოქმს მოაწერეს ხელი. 1827 წლის 24 ივნისს რუსეთმა და ინგლისმა გააფორმეს კონვენცია საბერძნეთისთვის ავტონომიის მინიჭების შესახებ; თურქეთის მხრიდან უარის მიღების შემთხვევაში, მზად იყვნენ ომისთვის. ავტონომიაზე თურქეთმა უარი განაცხადა, ინგლისურ-ფრანგულ-რუსულმა ესკადრამ მოახდინა თურქული ფლოტის ბლოკირება ნოვოროსიისკში. თურქეთმა ორი ინგლისელი პარლამენტარი მოკლეს; მაშინ მოკავშირეებმა ბრძოლა დაიწყეს და გაიმარჯვეს. ბრძოლაში თავი გამოიჩინა რუსულმა ლინკორმა „აზოვმა“. მან პირველმა რუსულ ფლოტში მიიღო გეორგიევსკის დროშა და ვიმპელი.**

ნავარიის შემდეგ თურქებმა რუსეთის გემებს ყურე დაუკეტეს და თავიანთ სახელმწიფოში აკრძალეს რუსული ვაჭრობა. 1828 წლის 14 აპრილს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. რუსთა მთავარი ძალები ბალკანეთში მოქმედებდნენ, კავკასიის კორპუსის ნაწილი არზრუმისკენ მიდიოდა. შავი ზღვის ფლოტი და დუნაის ფლოტილია არმიას ეხმარებოდა. 1828 წლის აპრილში მაჩინთან ფლოტილიამ უზრუნველყო დუნაის ფორსირება რუსთა მთავარი ძალებით. 6 მაისს 7 ლინკორმა, 4 ფრეგატმა, 2 ბომბდამშენმა ტანკერმა, 11 პატარა გემმა, ორთქლმავალმა „მეტეორმა“ ა.ს. გრეიგის საერთო ხელმძღვანელობით ანაპასთან 2 კილომეტრის დაშორებით გადმოსხეს ხუთიათასიანი დესანტი ორი ქვეითთა პოლკიდან და ბატარეის ასეულიდან. ტამანიდან ზღვით შემოვიდა სახმელეთო ჯარების რაზმი. ჯარებს ხმელეთზე მეთაურობდა კონტრ-ადმირალი ალექსანდრე სერგის ძე მენშიკოვი (1787-1869 წწ.), ა. დ. მენშიკოვის შვილიშვილი.

**თურქები მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ, რუსებს კი არ შეეძლოთ ლინკორის იარაღის გამოყენება, რამდენადაც წყალმარჩხობა არ აძლევდათ ნაპირთან მიახლოების საშუალებას. სხვა გემები ანაპას ყოველდღიურად 3000-მდე ბომბს უშენდნენ. 12 ივნისს ანაპა დანებდა, რუსებმა 4 ათასი ტყვე აიყვანეს და 83 ქვემეხი ჩაიგდეს ხელთ. ანაპის აღებამ ყუბანი და ყირიმი დაიცვა კავკასიის მხრიდან. წარმატებული ოპერაციისთვის ა. ს. გრეისი ადმირალი გახდა, ა. ს. მენშიკოვი — ვიცე-ადმირალი და მთავარი საზღვაო შტაბის უფროსის თანამდებობა დაიკავა.**

დუნაიზე 28 მაისის ღამით ფლოტილიის ერთ-ერთი რაზმი თავს დაესხა 25 თურქულ ხომალდს და 20 მათგანი გაანადგურა. დღისით, 28 მაისს, 16 საბრძოლო ნავი პირველი რანგის კაპიტნის — ზავოდოვსკის მეთაურობით გავიდა ციხესიმაგრე ბრაილოვის ცეცხლის ქვეშ და შეუტია 23 თურქულ ხომალდს. ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ ორი მათგანი გაანადგურეს.

12 სხვადასხვა სახის ნავი ხელთ ჩაიგდეს. გრეიგის ესკადრა, დატოვა რა პატარა ხომალდები ანაპასთან, სევასტოპოლში დაბრუნდა. 8 ლინკორი, 3 ფრეგატი, ბრიგი, ლიუგერი, ხომალდი და 3 ბომბდამშენი 22 ივლისს მიადგა ვარნას. ერთი თვის შემდეგ გრეიგის ესკადრას შეუერთდა გალერი და 3 იოლი. ესკადრამ ზღვიდან დაბლოკა ვარნა. 25 სექტემბერს სახმელეთო ჯარებმა და ფლოტის დესანტმა ვარნას შეუტიეს. 29 სექტემბერს ვარნა აიღეს, ტყვედ აიყვანეს 9 ათასი კაცი და ხელთ ჩაიგდეს 291 ქვემეხი.

ვარნის ალყამდე, 28 ივნისს, ფრეგატმა „გოსპეშნიმ“, რომლის მეთაური იყო მეორე რანგის კაპიტანი ჩერნიკოვი, მიდიასთან ჩაძირა ერთი ხომალდი და მეორე ხელში ჩაიგდო; მოგვიანებით ინადის ციხესიმაგრესთან კიდევ ერთი ხომალდი წაართვა მოწინააღმდეგეს. 50-ხომალდიანი დუნაის ფლოტილია კონტრ-ადმირალ ი. ი. ზავოდოვსკის მეთაურობით 27 ივლისიდან 13 ნოემბრამდე იბრძოდა ციხესიმაგრე სილისტრიის ალყაში. 1829 წლის დასაწყისში შავი ზღვის ფლოტი ითვლიდა ორ 110-ქვემეხიან, ორ 84-ქვემეხიან, ერთ 80-ქვემეხიან და ერთ 36-ქვემეხიან ფრეგატს, შლიუპს, კორვეტს, 5 ბრიგს, ბრიგანტინს, ორ შხუნს, სამ ლიუგერს, ოთხ კატერს, 4 ბომბდამშენ ხომალდს, სამ იახტას, ორთქლმავალ „მეტეორს“ და ჰოსპიტალ-ხომალდს. ნოკოლაევში შენდებოდა 84-ქვემეხიანი ლინკორი, 2 ფრეგატი, 2 ბრიგი, 2 შხუნი და ორთქლმავალი „გრომონოსეცი“. 1829 წლის 15 თებერვალს 3 ლინკორი, 2 ფრეგატი და 3 პატარა ნავი კონტრ-ადმირალ მ. ნ. კუმანის მეთაურობით 1162-კაციანი დესანტით მიუახლოვდა ციხესიმაგრე სოზოპოლს; 16 თებერვალს გადმოსხეს დესანტი და უბრძოლველად ჩაიბარეს ციხესიმაგრეც და ქალაქიც.

11 მარტს კუმანის რაზმმა დაცხრილა ციხესიმაგრე ახიოლო. 25 აპრილს ფრეგატმა „შტანდარტმა“ და ბრიგმა „მინგრელიამ“ შილის უბეში თურქული ბატარეის ცეცხლის ქვეშ მოიგერია მტრის 9 ხომალდი, 7 გაანადგურა და 2 ხელში ჩაიგდო. 3 მაისს პირველი რანგის კაპიტნის ი. ს. სკალოვსკის რაზმმა ბაბას კონცხზე დაცხრილა თურქული ციხესიმაგრე. 4 მაისს კირპენთან 3 თურქული ხომალდი ხელთ იგდეს რუსებმა, მაგრამ მალე რუსებს ფორტუნამ ზურგი აქცია.

11 მაისს ფრეგატი „რაფაელი“ მეორე რანგის კაპიტნის — სტროიკოვის მეთაურობით სოზოპოლსა და ბოსფორს შორის გადააწყდა თურქულ ფლოტილიას და უბრძოლველად ჩაბარდა. გაიგო რა ამის შესახებ იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა, ბრძანება გასცა, ფრეგატის უკან დაბრუნების შემთხვევაში ცეცხლი წაეკიდებინათ მისთვის. 14 მაისს გმირული ბრძოლა გადაიტანა ბრიგმა „მერკურმა“ ა. ი. კაზარსკის მეთაურობით. ის მარტო დაუპირისპირდა მოწინააღმდეგის ორ ლინკორს. მან მეორემ რუსულ ფლოტში („აზოვის“ შემდეგ) გეორგიევსკის დროშა მიიღო.

დუნაის ფლოტილიის მთავარი ძალები კონტრ-ადმირალ პატონიოტის მეთაურობით 3 მაისიდან 20 ივნისამდე სილისტრიის ალყაში მონაწილეობდნენ, რის შედეგადაც ხელში ჩაიგდეს თურქთა 15 ხომალდი. იმავე დროს ფლოტილიის რაზმმა 9 მაისს კალარაშსთან დუნაიზე გადაიყვანა 1500 მეომარი; 9 ივლისს ორი ბომბდამშენის ხომალდი გრეიგის ესკადრონიდან ცეცხლს უშენდა ციხესიმაგრე მესემვრიას, 11 ივლისს ციხესიმაგრე დანებდა. იმავე დღეს ბრიგმა „ორფეოსმა“ უბრძოლველად აიღო ციხესიმაგრე ახიოლო, 21 ივლისს კაპიტან-ლეიტენანტ ნემტინოვის მეთაურობით რამდენიმე ხომალდმა დესანტი გადასხა და დაიპყრო ქალაქი ვასილიკო. 24 ივლისს მას მოჰყვა აგატოპოლი, 7 აგვისტოს — ინადა.

1829 წლის 13 აგვისტოს კონტრ-ადმირალ სტოჟევსკის რაზმმა დაცხრილა ციხესიმაგრე მიდია; 17 აგვისტოს ლეიტენანტ პანიუტინის რაზმმა მიდიაში დესანტი გადასხა და აიღო იგი. **2 სექტემბერს ქ. ადრიანოპოლში თურქეთმა და რუსეთმა სამშვიდობო ხელშეკრულება დადეს. რუსეთს ერგო დუნაის კონცხი და კავკასიის სანაპირო ყუბანის კონცხიდან წმ. ნიკოლოზის პოსტამდე ფოთსა და ბათუმს შორის. თურქეთი დათანხმდა სრუტეების თავისუფლებაზე, რუსი ვაჭრების შეღავათებზე, საქართველოს, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, ერევნისა და ნახჭევნის რუსეთთან შეერთებაზე.**

რუსეთმა მიიღო 1,5 მილიონი ჰოლანდიური გულდენი კონტრიბუციის სახით. სერბეთსა და საბერძნეთს მიეცათ ავტონომია, გაფართოვდა მოლდავეთისა და ვალახიის ავტონომია. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში შავი ზღვის ფლოტი ჩამოყალიბდა როგორც საბრძოლო შენაერთი. იგი ბალტიის ფლოტის ღირსეული ძმა გახდა.

**ვასილი პოტო**
**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**

მაგრამ ნიკოლოზი ცდებოდა. ინგლისმა თურქეთის იმპერიის „გადარჩენის“ მომიზეზებით რუსეთთან შეთანხმება არ მოინდომა. სინამდვილეში კი რუსეთის წინადადება მას თავისთვის საშიშად მოეჩვენა. მოლდავეთში, ვლახეთში, სერბეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში რუსეთის გავლენის განმტკიცების, მის ხელში სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკომპენსაციოდ ეგვიპტისა და კრეტას მიღება მეტად მცირედ ეჩვენებოდა.

მემკვიდრეობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# ყირიმის ომი

**ნიკოლოზ პირველმა გადაწყვიტა, საბოლოოდ მოეგვარებინა ე. წ. აღმოსავლეთის საკითხი. ამ დროისათვის რუსეთს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში რევოლუციების ჩახშობით საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა მოპოვებული. მეფეს მიაჩნდა, რომ ოსმალეთის მიმართ თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანისთვის ხელსაყრელი მომენტი იდგა. მართალია, 1829 წლის ადრიანოპოლის ზავმა რუსეთს გარკვეული უპირატესობა მიანიჭა, კერძოდ, გაიზარდა მისი გავლენა მოლდავეთსა და ვლახეთში და განმტკიცდა პოზიციები ამიერკავკასიაში, მაგრამ რუსეთი თავისი ზრახვების სისრულეში მოყვანისაგან — კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდებისაგან — ჯერ კიდევ შორს იყო.**



ფრანც რუბო — „ყირიმის ალყა“

1833 წელს უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულებით თურქეთი ვალდებული იყო, საჭიროების შემთხვევაში რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებისთვის ჩაეკეტა დარდანელის სრუტე. ამ ხელშეკრულებამ დიდად აღაშფოთა ევროპის სახელმწიფოები (ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია და პრუსია), რომლებიც აშკარად ხედავდნენ იმ საფრთხეს, რაც აღმოსავლეთში რუსეთის პოზიციების გაძლიერებასა და ხმელთაშუა ზღვისკენ მისთვის გზების გახსნას მოსდევდა. ინგლისი ადვილად ვერ შეურიგდებოდა აღმოსავლეთში რუსეთის მიერ ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას, ვინაიდან ეს გარემოება რუსეთს დიდ უპირატესობას ანიჭებდა ირან-ოსმალეთთან ვაჭრობაში.

**მართალია, რუსეთის სუსტ ბურჟუაზიას არ შესწევდა უნარი, სათანადო კონკურენცია გაეწია თურქეთ-ირანში ინგლისის ვაჭრობისთვის, რომელიც ტრაპიზონში სავაჭრო კამპანიის დაარსების შემდეგ განსაკუთრებით გაფართოვდა, მაგრამ პოლიტიკური ბატონობა რუსეთს ადრე თუ გვიან არამც თუ თურქეთ-ირანის ბაზრების, არამედ ინდოეთის მითვისების საშუალებასაც მისცემდა.**

მოლდავეთის, ვლახეთის, სერბეთის, გალიუპოლისა და კონსტანტინოპოლის რუსეთის ხელთ გადასვლა ავსტრიის იმპერიისათვის მარტო სავაჭრო ინტერესების შეზღუდვას კი არ ნიშნავდა, არამედ ეს გარემოება ამ უკანასკნელის დაშლას გამოიწვევდა, რასაც ჰაბსბურგთა დინასტია ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა. დაბოლოს, აღმოსავლეთში რუსეთის გაძლიერებასა და ხმელთაშუა ზღვაზე მის გამოჩენას არც საფრანგეთი შეხვდებოდა გულგრილად. ნიკოლოზი ყოველივე ამას კარგად ითვალისწინებდა, უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ 1840-1841 წლების კონვენციებით ოსმალეთზე „კოლექტიური პროტექტორატის“ დაწესებით კმაყოფილდებოდა და თავისი გეგმების განხორციელებას მომავლისათვის, ხელსაყრელი მომენტისათვის, სდებდა.

50-იანი წლების დასაწყისი ნიკოლოზმა სწორედ ასეთ მომენტად მიიჩნია. მისი წარმოდგენით, 1848-1849 წლების რევოლუციურმა ქარტეხილებმა, ინგლისის გარდა, ევროპის ყველა სახელმწიფოს დიდი ხნით გამოაცალა ძალა, ე.ი. საჭირო იქნებოდა მხოლოდ ინგლისთან მოლაპარაკება, მასთან თურქეთის სამფლობელოების წინასწარ განაწილება და სხვა მხრივ გზა გახსნილი იქნებოდა. ნიკოლოზმა, რომელიც თავისი მეფობის განმავლობაში აღმოსავლეთის საკითხში გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდა და ანგარიშს უწევდა ამ სამი სახელმწიფოს აშკარა თუ ფარულ წინააღმდეგობას; 1853 წლისათვის სავსებით შეგნებულად აღარ გაითვალისწინა საფრანგეთისა და ავსტრიის ინტერესები და პეტერბურგში მყოფ ინგლისის ელჩს, გამილტონ სეიმურს, არაოფიციალური მოლაპარაკების დროს აშკარად გაუმჟღავნა თავისი ზრახვები და თურქეთის სამფლობელოების განაწილება შესთავაზა.

ნიკოლოზი დუნაის სამთავროების, კონსტანტინოპოლისა და სრუტეების ხელში ჩაგდების ფასად ინგლისს, ეგვიპტესა და კუნძულ კრეტას „უთმობდა“. იგი დარწმუნებული იყო, რომ, თუ ინგლისი და რუსეთი შეთანხმდებოდნენ, მაშინ საფრანგეთი და ავსტრია ამ ყველაზე ძლიერი სახელმწიფოების კავშირის წინააღმდეგ ხმის ამოღებასაც ვერ გაბედავდნენ.

მაგრამ ნიკოლოზი ცდებოდა. ინგლისმა თურქეთის იმპერიის „გადარჩენის“ მომიზეზებით რუსეთთან შეთანხმება არ მოინდომა. სინამდვილეში კი რუსეთის წინადადება მას თავისთვის საშიშად მოეჩვენა. მოლდავეთში, ვლახეთში, სერბეთში, ბულგარეთსა და საბერძნეთში რუსეთის გავლენის განმტკიცების, მის ხელში სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის საკომპენსაციოდ ეგვიპტისა და კრეტას მიღება მეტად მცირედ ეჩვენებოდა, მითუმეტეს, რომ თურქეთის იმპერიის დაცემას, ადრე თუ გვიან, უნდა მოჰყოლოდა მცირე აზიის, მთლიანად თუ არა, ნაწილის მაინც რუსეთის ხელში გადასვლა. ინგლისმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.

მეორე, არანაკლებ დამღუპველი, შეცდომა შეეხებოდა მომავალ ომში საფრანგეთის პოზიციების გაუთვალისწინებლობას. ნიკოლოზი, ისევე, როგორც რუსეთის მმართველი წრეები, თვლიდა, რომ ნაპოლეონის იმპერიის დაცემის შემდეგ საფრანგეთის არც ერთი მთავრობა არ მოისურვებდა რუსეთის მიმართ აგრესიული პოლიტიკის წარმოებას, თუნდაც რომც მოესურვებია, საშინაო საქმეებით გართულსა და რევოლუციური ქარტეხილებით ძალაგამოცლილ იმპერატორს შორეული კონსტანტინეპოლისთვის ბრძოლის საშუალება არ ექნებოდა.

**ნიკოლოზს მხედველობიდან გამორჩა როგორც საფრანგეთის მსხვილი ბურჟუაზიის სავაჭრო და ფინანსური ინტერესები, ისე — ის გარემოება, რომ ნაპოლეონ III-ს დინასტიურ ინტერესებში შედიოდა საფრანგეთის ფართო მასების ყურადღება საშინაო საქმეების ნაცვლად საგარეო პოლიტიკისთვის მიეპყრო.**

ნიკოლოზი და მისი კანცლერი ნესელროდე თავს იმით იმშვიდებდნენ, რომ ნაპოლეონ III, თავისი ბიძის, ნაპოლეონ I-ის მოსისხლე მტერთან — ინგლისთან კავშირს არ დაამყარებდა. სინამდვილეში კი ინგლისიც და საფრანგეთიც, რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში, ერთმანეთთან კავშირს აუცილებლად მიიჩნევდნენ.

ასევე ცდებოდა ნიკოლოზი ავსტრიის მიმართაც, ინგლისის ელჩთან საუბარში იგი აშკარად აცხადებდა, რომ თურქეთის საკითხის განხილვისას ავსტრიას მხედველობაში არ იღებდა, რადგანაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები და მისი ფელდმარშალი კაბოგა ლამის ფეხებში უვარდებოდნენ ნიკოლოზსა და პასკევიჩს ხვეწნა-მუდარით — ეხსნათ ავსტრია საბოლოო დაღუპვისაგან — დახმარებოდნენ უნგრეთის რევოლუციის ჩახშობაში. ნიკოლოზი დარწმუნებული იყო, რომ ავსტრია თავისი კეთილისმყოფელი რუსეთის საწინააღმდეგოდ არაფერს მოიმოქმედებდა. ავსტრიის იმპერატორი კიდეც რომ უმადური გამომდგარიყო და რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა განეზრახა. უნგრეთის რევოლუციის ჩაშხობის შემდეგ მისი ჯარები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ იგი ამ განზრახვის შესრულებას ვერ გაბედავდა.

რუსეთმა აქაც ვერ გაითვალისწინა, რომ უკვე 1812 წ. თურქეთისაგან ბესარაბიის წართმევისა და 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის შემდეგ მოლდავეთსა და ვლახეთში რუსეთის გავლენის გაძლიერება ავსტრიას ძალიან აწუხებდა. ეს გარემოება მის სავაჭრო ინტერესებს აურაცხელ ზარალს აყენებდა. მოლდავეთის, ვლახეთის, სერბეთის, ბულგარეთის, გალიუპოლისა და კონსტანტინოპოლის რუსეთთან შეერთება კი ავსტრიის იმპერიას სამი მხრიდან რუსეთის ძალებით გარშემორტყმასა და საბოლოოდ დაშლას უქადდა. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ავსტრია ნეიტრალური ვერ დარჩებოდა. მითუმეტეს, რომ ნაპოლეონ III ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოკავშირეების მხარეზე ავსტრიის ომში ჩასაბმელად.

ასეთი, თავისთვის მეტისმეტად არახელსაყრელი, პირობების გაუთვალისწინებლად აპირებდა რუსეთი თურქეთთან ომის დაწყებას.

**ინგლისთან მოლაპარაკების წარუმატებლობის შემდეგ ნიკოლოზმა გადაწყვიტა, აშკარად ემოქმედა. მან „წმინდა ადგილების“ დაცვის მომიზეზებით თურქეთში გააგზავნა ელჩობა მენშიკოვის მეთაურობით, რომელსაც დავალებული ჰქონდა, თუ დიპლომატიური გზით ვერ მოახერხებდა თურქეთის იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანულ მოსახლეობაზე თურქეთს რუსეთის პროტექტორატი ეცნო, იმ შემთხვევაში აშკარა კონფლიქტი გამოეწვია. საფრანგეთისა და ინგლისის ელჩების მიერ დაიმედებულმა თურქეთის სულთანმა რუსეთის წინადადებანი არ მიიღო და 1853 წლის ნოემბერში თურქეთი რუსეთთან ომში ჩააბა.**

**ვასილი პოტო**
ხუთტომეული ნაშრომიდან
**„კავკასიის ომი“**

გაგრძელება
შემდეგ ნომერში



გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული
ჟურნალის
«ისტორიული
მემკვიდრეობა»
მეჩვიდმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95



**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო მიისწრაფვის, სარაკეტო დარტყმებისგან სამხედრო ობიექტების ტერიტორიები სწორედ პლაზმური ბადით დაიცვას. ეს მიზანი, ცხადია, HAARP-ის სისტემის საშუალებით უნდა განხორციელდეს. პლაზმურ ბადეში განადგურდება თვითმფრინავები და რაკეტები. ფაქტობრივად, ეს რაკეტსაწინააღმდეგო იარაღია, რომელიც ფიზიკის ახალ პრინციპებს ეფუძნება.**

# HAARP — კლიმატური იარაღი, ანუ ამინდის გამოყენება სამხედრო მიზნებისთვის

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10-14

**პირველად ამინდზე ხელოვნური ზემოქმედება 1946 წელს განხორციელდა. მაშინ ამერიკელმა ქიმიკოსმა ვინსტონ შატერმა თვითმფრინავიდან კილოგრამ-ნახევარი მშრალი ყინული გადმოყარა, რამაც თოვლის მოსვლა განაპირობა. ნალექების პროვოცირების მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ღრუბლებში თვითმფრინავის, რაკეტების ან ჭურვების საშუალებით იფანტება სპეციალური რეაგენტები — ვერცხლის, მშრალი ყინულის ან ჩვეულებრივი ცემენტის შენაერთები. ისინი იზიდავს სისველეს, რომელსაც ატმოსფერო შეიცავს, მძიმდება და შემდეგ წვიმის ან სველი თოვლის სახით მოდის. აშშ-ში 40-იანი წლების დასასრულს ნალექების ხელოვნურად გამოწვევის შესაძლებლობათა ნამდვილი ბუმი იყო. კომერციული ფირმები პირდაპირ სთავაზობდნენ ფერმერებს კლიმატურ მომსახურებას. ბუნებრივი სტიქიის კოლოსალური ძალა შეიძლებოდა მასობრივი განადგურების იარაღად ქცეულიყო.**



**დოქტორი აგნი ბრუქსი, გეოფიზიკოსი, ინჟინერი:**

— ყურადღება არავინ მიაქცია მნიშვნელოვან მომენტს, როდესაც ატმოსფეროში გაგზავნილი ენერგია მისი მიმართვის არეში მის მოლეკულებს ენერგიის შთანთქმას აიძულებს. სწორად შერჩეული ზემოქმედების სიხშირის შემთხვევაში, იონოსფეროდან ენერგია კვლავ დედამიწისაკენ გამოიტყორცნება. ეს ელვისაგან წარმოქმნილ ენერგიაზე ასჯერ უფრო ძლიერი ენერგია იქნება.



**დოქტორი ბერნარდ ისტლანდი, ფიზიკა-პლაზმის მკვლევარი:**

— ეს შესაძლებელია, რომ მძლავრი სხივის დახმარებით ატმოსფეროს რაღაც მონაკვეთი კოსმოსის სიღრმისკენ გადაადგილდეს.



**დოქტორი ნიკ ბეგიჩი, ავტორი წიგნისა „HAARP — არმაგედონის იარაღი“:**

— ამ ტექნოლოგიის დახმარებით, ატმოსფეროს ნაწილი შეიძლება მოიჭრას და კოსმოსურ სივრცეში მეტი სიღრმისკენ წანაცვლდეს. ამის შესახებ ამბობენ, რომ ეს დედამიწისთვის უსაფრთხო ხანმოკლე ზემოქმედებაა, მაგრამ სინამდვილეში, როდესაც ატმოსფეროს ნაწილი კოსმოსის სიღრმისკენაა წაწეული, წარმოქმნილი ხვრელი ატმოსფეროს ქვედა შრეებით ივსება და ეს დედამიწაზე ამინდის ცვალებადობას განაპირობებს.

**დოქტორი აგნი ბრუქსი:**

— ამ ანძების ურთიერთქმედების რთულ სისტემას დედამიწის ნებისმიერ წერტილში ამინდის ცვალებადობის გამოწვევა, თვითმფრინავებისა და თანამგზავრების მოძრაობის ტრაექტორიის სრული მოშლა, მასიური წყალდიდობების ან გვალვების წარმოქმნა შეუძლია. იონოსფეროს გახურების გზით შესაძლებელია პროვოცირებულ იქნას ქარიშხლები, შეიძლება წარმოიქმნას მაღალი წნევის ნაკადები, რომლებით ამ ქარიშხლების მოძრაობის ტრაექტორიებს შეცვლის. აშშ-ის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ HAARP-ი მხოლოდ ატმოსფეროს შესწავლის პროექტია, მაგრამ, იქნებ, ეს მხოლოდ დამთხვევა არაა, რომ უამრავი ექსპერტი სწორედ ამ პროექტის ამუშავების შემდეგ უცნაური კლიმატური ანომალიების, მაგალითად — მასიური წყალდიდობების, გვალვებისა და მიწისძვრების შესახებ იტყობინება.



**კონსტანტინ სივკოვი, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცეპრეზიდენტი:**

— გარდა სხვა ყველაფრისა, HAARP-ი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწისძვრის ეგრეთ წოდებული ინიცირების მიმართულებითაც. თუ ცნობილია დედამიწის ქერქზე წარმოქმნილი დაჭიმულობის წერტილები, სადაც არასტაბილურობის ზონებია წარმოქმნილი, იონოსფეროში გამოწვეული ტალღური პროცესი, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით, სავსებით შესაძლებელია განსაკუთრებული დაძაბულობის უბნებზე ამ დაძაბულობისგან განმუხტვის ინსპირირება. მაგალითად, ინდონეზიაში მომხდარი მიწისძვრა, რომელმაც 200 ათასამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რომლის შედეგადაც წარმოიქმნა გრანდიოზული ცუნამი, სწორედ HAARP-ის მოქმედებების შედეგი იყო. ეს სავსებით შესაძლებელია.



კომპლექსის შესაძლებლობებში შედის ეკოსისტემების განადგურება, კავშირგაბმულობის ელექტრონული საშუალებების, წყალქვეშა ნავებთან რადიოკავშირის ჩახშობა, პლაზმის ხელოვნური მონაკვეთების —პლაზმოიდების შექმნა იონოსფეროში, ელექტროენერგიის გადაცემა პლანეტის სხვადასხვა რეგიონში, ადამიანების ფსიქიკასა და ემოციურ სფეროზე ზეგავლენა, კლიმატის მართვა მთელი დედამიწის მასშტაბით.



**ლეონიდ ივაშოვი, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-პოლკოვნიკი:**

— ნორვეგიის დასახლებულ პუნქტში, ტრომსიოში, ამ ობიექტის ფილიალია შექმნილი, ასევე გრელანდიის ტერიტორიაზე განთავსებულია უმძლავრესი კომპლექსი, რომელიც ამავე სისტემას განეკუთვნება. დღეისათვის ეს აშშ-ის ყველაზე გასაიდუმლოებული ობიექტებია. ანკორიჯთან, ალიასკიდან დაახლოებით 500 კილომეტრის დაშორებით, ასევე შენდება უმძლავრესი ანძების მინდორი.



**რიჩ გარსია, ჰარპის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების დირექტორი:**

— HAARP-ი მსოფლიოში ერთადერთი ამ ტიპის სადგური არაა, მაგრამ ის უნიკალურია, ვინაიდან მას შეუძლია ტალღების გამოყენებადი სიხშირე და სხივთა ნაკადის მიმართულება ცვალოს. ამის საშუალებით ის მიზნობრივად მოქმედებს იონოსფეროს საჭირო მონაკვეთზე. HAARP-ი მსოფლიოში არსებულ მისსავე ანალოგებთან შედარებით ბევრად უფრო მძლავრი სადგურია.

არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ იონოსფერო თავისთავად სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონულად დამუხტული გარსი, რომელიც პლანეტას მაღალენერგეტიკული კოსმოსური ნაწილაკების შემოტევისაგან იცავს. ეს დენის გამტარი პლაზმის შრე, რომელიც დედამიწის მაგნიტური ველითაა ფორმირებული, კოსმოსურ ნაწილაკებს დედამიწის ირგვლივ ატრიალებს და მის ზედაპირამდე მიღწევის საშუალებას არ



აძლევს. თუ იონოსფეროს მდგომარეობა არეულია, ეს ატმოსფეროს ქვედა შრეებშიც არეულობას განაპირობებს.

დედამიწის იონოსფერო არის ატმოსფეროს ფენა, რომელიც, ჰერმეტული მემბრანის მქონე ბუშტის მსგავსად, ჩვენს პლანეტას მზის სხივების დამღუპველი რადიაციისგან იცავს. რომ არა იონოსფერო, დედამიწაზე მცხოვრები უკლებლივ ყველა ცოცხალი არსება დაიწვებოდა. ჩვენი მზე გიგანტური პლაზმური ბურთია, რომელიც კოსმოსში პლაზმის უზარმაზარ რაოდენობას გამოტყორცნის. რომ არა დედამიწის დამცავი გარსი — მაგნიტოსფერო და იონოსფერო — ეს ენერგია ყველაფერ ცოცხალს ბოლოს მოუღებდა. მზის პლაზმა დედამიწის იონოსფეროს გადასცემს ენერგიის ნაწილს, სწორედ ამიტომ წარმოიქმნება ჩრდილოეთი ნათება დედამიწის პოლუსებზე.




საერთოდ, იონოსფეროზე ზემოქმედების ორი პრინციპული საშუალება არსებობს. ერთი მათგანი ქიმიური რეაგენტების გაბნევაა, მეორე კი — შერჩეულ მონაკვეთებზე რადიოტალღების ფოკუსირებული ზემოქმედება. ამ გზით შეიძლება განხორციელდეს ზემოქმედება დამუხტული ნაწილაკების ავრალურ ნაკადებზე დედამიწის პოლუსებზე. ეს ნაკადები შემდეგ ნაწილდება დედამიწის მაგნიტურ ხაზებზე. შეიძლება შეიქმნას ლოკალური მაღალიონიზირებული არეები იონოსფეროში — პლაზმოიდები — რომელთა ზომებიც, როგორც წესი, რამდენიმე ათეულ კილომეტრს აღწევს. პრინციპში, პლაზმოიდები რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. ყოველდღიურად ატმოსფეროში რამდენიმე ასეთი ბუნებრივი წარმონაქმნი ჩნდება. მათ წარმოქმნას მზიური ქარი განაპირობებს და ისინი მალევე გაიწოვება. მაგრამ ხელოვნურად შექმნილ პლაზმოიდებს ერთი განმასხვავებელი თავისებურება ახასიათებთ: ვიდრე ზემოქმედება გრძელდება, ისინი სტაბილურობას ინარჩუნებენ. ხელოვნური პლაზმოიდები გამოიყენება რადიოკავშირის გაუმჯობესებისათვის, რადგან შესაბამისი ზემოქმედების პირობებში ისინი უზარმაზარ სარკეებად იქცევა და რადიოტალღებს აირეკლავს.

**კონსტანტინ სივკოვი:**

— ამ დროისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პლაზმოიდები, რომლებზეც ღირს ▶

**მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საჭირო ადგილზე განთავსების შემთხვევაში HAARP-ის ტიპის სადგური შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წყლის ორთქლის ნაკადების მიმართულების შესაცვლელად, რაც მოცემულ რეგიონში ამინდის ცვლილებას განაპირობებს. შესაძლებელია ამ ნაკადების დედამიწისკენ მომართვაც, რაც განწირულ რეგიონში ნამდვილ წარღვნას გამოიწვევს.**


# არსენალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95




ლაპარაკი და რომლებიც ადამიანის ქმედუნარიანობაზე ახდენს ზემოქმედებას, შესაძლებელია ფორმირებულ იქნეს HAARP-ის პროგრამის ფარგლებში შემავალი სისტემების მეშვეობით. მათ აქვთ შესაძლებლობა, წარმოქმნან საკმაოდ დიდი ზომის პლაზმოიდები იონოსფეროში, საუბარია რამდენიმეჰექტარიან ფართობზე. HAARP-მა შეიძლება შეასრულოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფუნქცია, ასევე შეუძლია მართოს ამინდი. სწორედ ამ მიზნებისთვის ფორმირდება აღნიშნული პლაზმოიდები. როგორც წესი, იონოსფეროში ეს პლაზმოიდები ფორმირდება 20-30 და მეტი კილომეტრის სიმაღლეზე.



სხვა ქვეყნების მხრიდან პლაზმური იარაღის ზემოქმედებისგან თავდაცვის საშუალებათა არარსებობის გამო HAARP-ი სახიფათოა არა მხოლოდ იმ ქვეყნისთვის, რომლისკენაც მიმართული იქნება მისი ზემოქმედება, არამედ — მთელი მსოფლიოსთვისაც. ხელოვნურ წრიულ ელვებზე ექსპერიმენტისას გაირკვა, რომ პლაზმოიდის შექმნაზე გახარჯული ენერგია რამდენიმე ათეულჯერ ნაკლებია ენერგიაზე, რომელიც მისი დაშლისგან სითბოს გამოყოფისას წარმოიქმნება. ამრიგად, პლაზმოიდის საშუალებით შესაძლებელი ხდება წვდომა მატერიის სტრუქტურიზაციის ახალ, აქამდე უცნობ მაღალენერგიულ შრეებთან. როგორც პენტაგონში განაცხადეს, პლაზმოიდი ღირებულებას წარმოადგენს იმის გამო, რომ სინათლის სიჩქარით მოძრაობისას ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას რაკეტსაწინააღმდეგო ტექნოლოგიებთან შედარებით. აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო მიისწრაფის, სარაკეტო დარტყმებისგან სამხედრო ობიექტების ტერიტორიები სწორედ პლაზმური ბადით დაიცვას. ეს მიზანი, ცხადია, HAARP-ის სისტემის საშუალებით უნდა განხორციელდეს. პლაზმურ ბადეში განადგურდება თვითმფრინავები და რაკეტები. ფაქტობრივად, ეს რაკეტსაწინააღმდეგო იარაღია, რომელიც ფიზიკის ახალ პრინციპებს ეფუძნება.

თავისი არსით HAARP-ი კოლოსალური მიკროტალღური ღუმელია, რომლის გამოსხივებაც შეიძლება დედამიწის ნებისმიერ წერტილზე ფოკუსირდეს.



**ჯეიმს ვენტურა, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი:**

— ისინი მას არაკლასიფიცირებული კვლევების ცენტრს უწოდებენ. რამდენიმეჯერ შევეცადე ამ ცენტრში შეღწევას როგორც პოლიტიკოსი და როგორც ადამიანი, რომელსაც პოლიტიკური საშვი აქვს უმაღლეს დონეზე გასაიდუმლოებული პროექტების მუშაობის გასაცნობად, მაგრამ — უშედეგოდ. და როგორ ფიქრობთ, ვინ აფინანსებს HAARP-ს? დარფა — პენტაგონის ყველაზე გასაიდუმლოებული განყოფილება, რომელიც წელიწადში 250 მილიონ დოლარს გამოყოფს.




როგორც ჩანს, ეს თანხა იმისათვის იხარჯება, რომ ჩრდილოეთის ნათების ფენომენი გამოიკვლიონ და შეისწავლონ, როგორც ამას ოფიციალურად აცხადებენ. აქ კიდევ ერთი საიდუმლო იმალება. გახსოვთ ცუნამი, რომელმაც ინდონეზია გაანადგურა? მაშინ საერთოდ არანაირი წინაპირობა და გაფრთხილება მოსალოდნელი მსგავსი კატასტროფის შესახებ არ ყოფილა. არადა, როგორც წესი, მიწისძვრების, ცუნამებისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების წინ მათი მოსალოდნელობის შესახებ გაფრთხილებებს აქვეყნებენ ხოლმე. სავსებით შესაძლებელია, რომ HAARP-ი ატარებდა თავის ერთ-ერთ საიდუმლო ექსპერიმენტს ან ტექნოლოგიურ გამოცდას, რომლის საბოლოო შედეგი სწორედ ინდონეზიის მოვლენები გახდა.



1993 წელს აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩენა გაკეთდა. ეს მეტეოროლოგიური ფენომენების კლასის აღმოჩენა იყო. აღმოჩნდა, რომ დედამიწის ატმოსფეროს ქვედა შრეებში წყლის ორთქლის მდინარეები მოძრაობს. ამ მდინარეების წყალუხვობის მასშტაბი ამაზონისას უტოლდება. ნესტის ეს ნაკადები არის ძირითადი მექანიზმი წყლის გადაადგილებისთვის ეკვატორიალური ოლქებიდან პოლუსებისკენ. წყლის ორთქლს შეუძლია წარმოქმნას შედარებით ვიწრო ზოლები, რომელთა სიგანე 700-800 კილომეტრია, სიგრძე კი — 8000 კილომეტრი. ეს ნაკადები დედამიწის ზედაპირიდან დაახლოებით სამი კილომეტრის სიმაღლეზე მიედინება და მათ მიერ გადატანილი წყლის მოცულობა წამში დაახლოებით 160 ათას ტონას შეადგენს. ამჟამად აღმოჩენილია ხუთი ატმოსფერული მდინარე ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ამდენივე — სამხრეთ ნახევარსფეროში. მათგან თითეულს თავისი განსაკუთრებული მახასიათებლები აქვს.



მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საჭირო ადგილზე განთავსების შემთხვევაში HAARP-ის ტიპის სადგური შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს წყლის ორთქლის ნაკადების მიმართულების შესაცვლელად, რაც მოცემულ რეგიონში ამინდის ცვლილებას განაპირობებს. შესაძლებელია ამ ნაკადების დედამიწისკენ მომართვაც, რაც განწირულ რეგიონში ნამდვილ წარღვნას გამოიწვევს.

არსებობს ექსპერიმენტული კამერა, რომლის ზედა ნაწილში მოთავსებულია ღრუბლის გენერატორი, რომელიც წარმოქმნის ორთქლის მიკრონაწილაკებს, როგორც ეს ცაში, ბუნებრივ ღრუბელშია. კამერა ნელ-ნელა წყლის ორთქლით ივსება და მისი მცირე რაოდენობა კამერის კედლებზე კონდენსირდება. კამერის ქვედა ნაწილში დამონტაჟებულია ტრანსფორმატორი. ეს ჰარპის მინიატურული ასლია. მასში სულ რაღაც 100 ვატი გამოიყენება, რაც აბსოლუტურად უსაფრთხოა. როდესაც დოქტორი აგნი ბრუკსი ტრანსფორმატორს რთავს, ტალღები შექმნილი ღრუბლისკენ მიემართება. ღრუბელი კამერის ზედა ნაწილისკენ იწყებს გადაადგილებას.

**დოქტორი აგნი ბრუკსი:**

— ამ ექსპერიმენტში დაახლოებით 100 ვატი გამოვიყენეთ. HAARP მილიონობით ვატს იყენებს. სულ რამდენიმე წამში პატარა ღრუბელი გადავაადგილეთ, მილიონობით ვატის საშუალებით კი ღრუბლები თავისუფლად შეიძლება გადაადგილდეს სასურველი მიმართულებით.




1985 წელს მეცნიერმა ბერნარდ ისტლანდმა მიიღო პატენტი, რომლის საშუალებითაც ტესლას იდეები რეალობად უნდა ქცეულიყო. მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ ეს ტექნოლოგიები HAARP-სადგურებში გამოყენების საიდუმლო საშუალებებად იქცა. ეს ეგრეთ წოდებული ტესლა-ფარია, რომელიც პლანეტის ირგვლივ წარმოიქმნება. ისტლანდის პატენტში წერია: გამოგონება უზრუნველყოფს ენერგიის წარმოუდგენელი მოცულობის წარმოქმნის შესაძლებლობას დედამიწის ატმოსფეროში, მის სტრატეგიულ წერტილებში. შეიძლება ატმოსფეროს დიდი ნაწილები დიდ სიმაღლეზე აიწიოს, ისე, რომ საბრძოლო ქობინი მოულოდნელ და წარმოუდგენელ შემაკავებელ ძალას გადააწყდება, რაც მის განადგურებას ან კურსიდან გადახვევას განაპირობებს.




**დოქტორი ბერნარდ ისტლანდი:**

**— ტექნოლოგია HAARP შეიძლება გამოყენებულ იქნეს რაკეტების გასანადგურებლად, საკომუნიკაციო სისტემების კონტროლირებისა და ამინდის მართვისთვის. HAARP-ის გამოყენების ერთ-ერთი მიმართულებაა ატმოსფეროს ზედა შრეების კოსმოსურ სივრცეებში გადაადგილება. ეს რაკეტების მოძრაობის ტრაექტორიას დაარღვევს. მე ავიღე ეგრეთ წოდებული საფაზო სხივური ანძა იმ ტალღების მართვისთვის, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს. წარმოიდგინეთ მიკროტალღური ღუმელი, რომელიც ხელში გიჭირავთ და რომელსაც კარი ღია აქვს. მოწყობილობა შეგიძლიათ მარჯვნივ და მარცხნივ გადააადგილოთ და მიკროტალღები სხვადასხვა მხარეს მიმართოთ. სწორედ ესაა იმ ანტენის მუშაობის პრინციპი, რომლის გამოყენებითაც შევძელი ტალღების სიმძლავრის ზუსტი კონტროლის მიღწევა. ამ სტილში მუშაობს ანტენა HAARP.**



**მე მაქვს უსადენო კაფსულა, რომელიც ავსებულია ატმოსფერული ჰაერით, დაახლოებით იმ შემადგენლობის ჰაერით, რომელიც დედამიწის თავზე აქვს ატმოსფეროს. ახლა ამ კაფსულას მიკროტალღურ ღუმელში მოვათავსებ. ღუმელი მას კვადრატულ სანტიმეტრზე ერთი ვატის სიმძლავრით დაასხივებს. მხოლოდ ამ სიმძლავრითაც შესაძლებელია ატმოსფეროს მოლეკულების დაშლის ეფექტის მიღწევა. ღუმელის ჩართვის შემდეგ კაფსულის შიგნით პლაზმის აქტიურ მოძრაობას დავინახავთ. ეს პროცესი იმის ზუსტი ანალოგია, რაც ატმოსფეროში მოხდება მსგავსი ტალღებით იონოსფეროს დასხივების შემთხვევაში. ამ ცდაში გამოიყენება მხოლოდ ერთი ვატის სიმძლავრის დასხივება კვადრატულ სანტიმეტრზე, HAARP კი 3,6 მილიონ ვატს იყენებს და მას წვრილ სხივებად წნეხავს. გიგავატი ენერგიის წვრილ სხივად შეკუმშვა და ამ სხივში უდიდესი სიმძლავრის ენერგიის გატარება დამიზნების შესაძლებლობით HAARP-ის მოქმედების პრინციპია.**



ამერიკის ექვსი შტატის მოსახლეობამ 15 აპრილს, ფაქტობრივად, სამყაროს აღსასრული საკუთარ თავზე გამოსცადა. ცაზე გადაიფრინა უზარმაზარმა ცეცხლოვანმა სფერომ, რომელმაც სერიოზულად შეაშინა მოვლენის თვითმხილველები. ბურთი იმდენად კაშკაშებდა, რომ მზეს თითქმის არაფრით ჩამოუვარდებოდა და ნელა გადაადგილდებოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. სამაშველო სამსახურების ტელეფონები ზარებს ვერ აუდიოდა, ვერც ოპერატორები — არმაგედონის დასაწყისის შესახებ შეტყობინებებს. თვითმხილველთა თქმით, ცეცხლოვანი ციური სხეული, ვიდრე ჰორიზონტს მიღმა მიიმალებოდა, ნაწილებად დაიშალა. ამას თან ახლდა დარტყმის ან შეჯახების დროს წარმოქმნილი ხმაურის მაგვარი მძლავრი ხმა, რომლისგანაც სახლებმა ზანზარი დაიწყო. სფერო ჩაბნელებულ ცაზე მოძრაობისას იმდენად ანათებდა ატმოსფეროს, რომ ღამე დღედ აქცია. ვიდეოჩანაწერებზე ჩანს, რომ თავად ამ სფეროს შიგნით აფეთქებების მსგავსი პროცესები მიმდინარეობს. ზოგიერთი თვითმხილველი ირწმუნება, რომ ცეცხლოვან ბურთს უკან ასეთივე ცეცხლოვანი კუდი მისდევდა. საბედნიეროდ, ციურმა სხეულმა მოსახლეობას რაიმე ზიანი არ მიაყენა.

მეცნიერები ამბობენ, რომ სავსებით შესაძლებელია, ეს სწორედ ტესლას ცდების გაგრძელება ყოფილიყო. ცხადია, ეს ექსპერიმენტები გრძელდება. მეორეს მხრივ კი, ჩვენი ატმოსფეროს იონოსფეროს საშუალებით ისეთი სასწაულების ჩადენა შეიძლება, ნებისმიერს გააოცებს.



**ანატოლი ანდრონოვი,** მფრინავი-გამომცდელი, რუსეთის გმირი:

**— კამჩატკიდან ავსტრალიაში მივფრინავდით. აბსოლუტურად დაშორებული ვიყავით ნებისმიერ მატერიკს, ჩვენ ქვემოთ წყნარი ოკეანე იყო. მარშრუტისთვის არ გადაგვიხვევია, მაგრამ ღამეში დავინახეთ რაღაც, საახალწლო ნაძვისხის მაგვარი, უზარმაზარი ცეცხლოვანი კონუსი, დიამეტრით, ალბათ, 50 კილომეტრი მაინც იქნებოდა, სიმაღლეში კი — 15 ათასი.**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

საზღვრების მოშლით ტრანსნაციონალური კორპორაციები სპეცსამსახურებთან ერთად მუშაობენ სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველმყოფელი და უდიდესი ფინანსური კაპიტალის მფლობელი საკმაოდ ვიწრო წრის წარმომადგენელთა პოზიციების გასამყარებლად.

# სპეცსამსახურები და აშშ-ის მსხვილი ბიზნესი

**თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებები სულ უფრო ხშირად ინაცვლებს პოლიტიკური სიბრტყიდან ეკონომიკურზე, უფრო ზუსტად კი — ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციისათვის ბრძოლის სფეროში. კორპორატიული პრეფერენციების უზრუნველსაყოფად საქმეში ერთვება უკლებლივ ყველა მეთოდი, რომლებიც შექმნილი მდგომარეობის, ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების, კონკურენტების წარმატებებისა თუ წარუმატებლობების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას უზრუნველყოფს. სამეწარმეო შპიონაჟისგან გამოწვეული წლიური დანაკარგები მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის ათი ათასებიდან მილიარდობით დოლარამდე თანხებს მოიცავს. გასაკვირი არაა, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ამერიკის სადაზვერვო სამსახურების წინაშე დადგა საკითხი, სპეცსამსახურებისთვის კერძო კორპორაციების ინტერესების სასარგებლოდ მუშაობის ნება დაერთოთ.**



ნიკოლაი სიომინი

ამერიკულ კორპორაციებს მსოფლიოში წამყვანი პოზიციები უკავია, მათი ნაციონალური ინტერესების გლობალური ხასიათი კი კერძო სექტორისა და სპეცსამსახურების ურთიერთთანამშრომლობისთვის სერიოზული სტიმულია. **გასული საუკუნის 80-90-იანი წლების მიჯნაზე ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე ცივი ომის პერიოდში ჰქონდა. აქტუალურად დადგა საკითხი ამერიკული კორპორაციებისთვის სადაზვერვო მონაცემების მიწოდების შესახებ, რისი მიზანიც მსოფლიო ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება გახდა. მასმედიაში პერიოდულად ჟონავს ინფორმაცია სამრეწველო ჯაშუშობასა და ამ ჯაშუშობასთან სპეცსამსახურების კავშირის თაობაზე, თუმცა მსხვილი ბიზნესის ინტერესების უზრუნველყოფის საქმეში სპეცსამსახურების როლის შესახებ საკითხი ამ დრომდე ღიად რჩება.**

პარადოქსალური კავშირი „ტრანსნაციონალური კორპორაციები და ნაციონალური სპეცსამსახურები“, სადაც პირველნი ნაციონალური საზღვრების მოშლის ტენდენციის მატარებელნი არიან, მეორენი კი — სწორედ ნაციონალური ინტერესების უზრუნველსაყოფად მომართულნი, ურთიერთსაპირისპირო მხოლოდ ერთი შეხედვითაა. **სახეზეა საყოველთაო ტენდენცია, გლობალური პროცესების გართულებასთან დაკავშირებით გაიზარდოს სპეცსამსახურების როლი თანამედროვე მსოფლიოში. რამდენადაც აშშ დღეისათვის გლობალური ინტერესების მატარებელი ერთადერთი ზესახელმწიფოა, მისი სპეცსამსახურებიც, შესაბამისად, ამ ტენდენციის ავანგარდში მოექცნენ. ამიტომ საზღვრების მოშლით ტრანსნაციონალური კორპორაციები სპეცსამსახურებთან ერთად მუშაობენ სახელმწიფოს ინტერესების უზრუნველმყოფელი და უდიდესი ფინანსური კაპიტალის მფლობელი საკმაოდ ვიწრო წრის წარმომადგენელთა პოზიციების გასამყარებლად.**

სახელმწიფო დაზვერვასა და ბიზნესს შორის ეკონომიკის, მაღალი ტექნოლოგიების, შეიარაღებისა და სხვა მსგავს საკითხებში ტრადიციული სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადანაწილება ობიექტური და კანონზომიერი პროცესია. **სპეცსამსახურებისთვის გაცილებით იოლია, თავიანთი სპეციფიური მეთოდებით გადაჭრან ზოგიერთი საკითხი, მათ იციან, როგორ აუარონ გვერდი ბიუროკრატიულ და ტექნოლოგიურ დაბრკოლებებს და ამით დრო დაზოგონ. აშშ-ისა და კიდევ სხვა ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურები დღეს მხოლოდ ხელისუფლების ინსტრუმენტებს აღარ წარმოადგენენ, ისინი დამოუკიდებელი მოთამაშენი ხდებიან მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ არენაზე.**

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების რეფორმირების პროცესში ამ საუკუნის დასაწყისში კანონმდებლობასა და სტრატეგიულ მიმართულებებში პრინციპული ცვლილებები განხორციელდა, რის საფუძველზეც საიდუმლო სამსახურებს ახალი ფუნქციები გაუჩნდა. **მათ წინაშე დადგა ამოცანები, რომელთაც მანამდე სპეცსამსახურები ოფიციალურად არ ასრულებდნენ: ამერიკული ბიზნესის პრიორიტეტული პოზიციების უზრუნველყოფა საერთაშორისო და შიდა ბაზრებზე, ქვეყანაში შემოდინებადი ფინანსური ნაკადების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, მსოფლიო ვაჭრობასა და ბიზნესში აშშ-ისთვის მომგებიანი წესების დამყარებისთვის ხელშეწყობა.**

სახელმწიფო სპეცსამსახურებსა და მსხვილი კორპორაციების უშიშროების სამსახურებს შორის ურთიერთქმედების პროცესი სულ უფრო ინტენსიური გახდა. მონაცემთა გაცვლისა და ერთობლივი ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების პროცესის დალაგება დიდწილად, მაგრამ არა სრულად, მომგებიანი იყო როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე კერძო კომპანიებისთვისაც. პირველი ზოგავს რესურსებს, „მალავს“ საკუთარ ინტერესებს „კერძო“ ინტერესების მიღმა და აქვს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში კერძო ინტერესებს დააკისროს პასუხისმგებლობა ჩავარდნებისა თუ კანონდარღვევებისა და ადამიანთა უფლებების შელახვისთვის; მეორე კი სახელმწიფოს მიერ დასახულ ამოცანებს ასრულებს საკუთარი კოლოსალური შესაძლებლობების გამოყენებითა და საკუთარი ბიზნესის ინტერესების გათვალისწინებით.

**«როდესაც კომპანიების ტოპ-მენეჯერები დასახმარებლად ცსს-ს მიმართავენ, ავიწყდებათ, რომ ეს უწყება ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველაზე უჩვეულო საშუალებებსა და მეთოდებს, მათ შორის ეთიკურად საეჭვოსაც, მიმართავს»**

აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების რეფორმები მისი ფუნქციების ნაწილის ეფექტური და ეკონომიკურად დაინტერესებული ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის გადაცემით ხასიათდებოდა. ერთ-ერთ შედეგად იქცა ბიზნესის არატრადიციული მეთოდებით წარმოება არა ჩვეულებრივ კონკურენციაზე, არამედ სპეცსამსახურების ძალებსა და საშულებებზე დაყრდნობით.

**სპეცსამსახურებისა და კერძო კომპანიების ურთიერთქმედება სხვადასხვა სქემის შესაბამისად ხორციელდება. მაგალითად, მსხვილ კომპანიას შეუძლია, გამოძიების ფედერალურ ბიუროს დახმარებისათვის მიმართოს სამრეწველო ჯაშუშობის აღსაკვეთად და აშშ-ში მომუშავე უცხოელი პარტნიორების შესახებ მონაცემთა მისაღებად, ასევე შეუძლია მიმართოს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს პოტენციური უცხოელი კონკურენტების შესახებ მონაცემთა გადასამოწმებლად. თავის მხრივ, ამერიკული დაზვერვა კერძო კომპანიებს იშველიებს სამხედრო და პოლიტიკური აქციების უზრუნველსაყოფად ერაყსა თუ ავღანეთში.**

აშშ-ში ამგვარი ურთიერთქმედება არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. დაზვერვაზე ტრადიციული სახელმწიფოებრივი შეხედულებების მიმდევარნი აღნიშნავენ, რომ ეს პროცესები ხშირად სპეცსამსახურების მუშაობაში ოპერატიული და ანალიტიკური მიმართულებების სიმტკიცეს აზარალებს. მაგრამ საკადრო მზვერავის პოზიცია, რომელიც ტრადიციულად დაზვერვის სამსახურის თანამშრომლისგან მხოლოდ სახელმწიფოსთვის, და არავითარ შემთხვევაში — კერძო ბიზნესისთვის, მსახურებას მოითხოვს, ახალ პირობებში მოძველებულად გამოიყურება. **ახალი საგარეოეკონომიკური და საგარეოპოლიტიკური რეალიები მოითხოვს არა მხოლოდ სპეცსამსახურების მთელი სახელმწიფო სისტემის ძალისხმევის გაერთიანებას, არამედ მის მჭიდრო ურთიერთქმედებას კერძო ბიზნესთან, რაზეც არაორაზროვნადაა საუბარი აშშ-ის 2009 წლის სადაზვერვო სტრატეგიაში.**

ცალკეულმა ექსპერტებმა მიიღეს თამაშის ახალი წესები, პრაგმატული პოზიცია დაიკავეს და თვლიან, რომ დროა, სახელმწიფო სპეცსამსახურების ბიზნესთან თანამშრომლობის ირგვლივ დისკუსიები ეთიკურიდან უტილიტარულ სიბრტყეში გადავიდეს. მაგალითად, ვაშინგტონის თავდაცვის ნაციონალური უნივერსიტეტის ინფორმაციული ოპერაციების სპეციალისტი დ. კუელი ამბობს: **„საკითხავია არა ის, რომ ამაში არის რაღაც ბოროტება ან რამდენად სწორია ეს მორალური თვალსაზრისით, არამედ ის, თუ რამდენად ეფექტურია ეს“.** სხვები, მაგალითად, ბიზნესდაზვერვის ცნობილი სპეციალისტი დ. პერი, პირიქით, ღელავს სახელმწიფო დაზვერვისა და ბიზნესის ესოდენ მჭიდრო კავშირის გამო და ამბობს: **„როდესაც კომპანიების ტოპ-მენეჯერები დასახმარებლად ცსს-ს მიმართავენ, ავიწყდებათ, რომ ეს უწყება ინფორმაციის მოსაპოვებლად ყველაზე უჩვეულო საშუალებებსა და მეთოდებს, მათ შორის ეთიკურად საეჭვოსაც, მიმართავს“.**

**ამერიკელი ანალიტიკოსი მაიკლ რუბინი ცსს-ს „პრივატიზაციის“ შესახებ საკუთარ სტატიაში წერს, რომ „სადაზვერვო სისტემას შეეძლო გაცილებით უფრო კონკურენტუნარიანი ყოფილიყო. იგი განმარტავს, რომ ჯონ ნეგროპონტემ, სახელმწიფო დეპარტამენტის ეროვნული დაზვერვის დირექტორის თანამდებობიდან წასვლამდე თავის ახალ აპარატში სამუშაოდ მიიღო დაზვერვის 1500 თანამშრომელი, რომლებიც ბიზნესსტრუქტურებთან იყვნენ დაახლოებული და ახლო აღმოსავლეთთან ჰქონდათ კავშირი.** ჯერ კიდევ რეიგანის, ბუშ-უფროსისა და კლინტონის პერიოდში დაწყებული საგარეო პოლიტიკასა და ეკონომიკაში სახელმწიფო ფუნქციების პრივატიზაციის პროცესები ბუშ-უმცროსის ეპოქაში ახალ დონეზე ავიდა: დაზვერვა ხორციელდება ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან მჭიდრო კავშირში, ▶



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

**მომდევნო წლებში ეკონომიკურ საქმეს სათავეში ხან ცსს ედგა და ხან — სახელმწიფო დეპარტამენტი. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა ეკონომიკის შესწავლა აშშ-ის ყველა სადაზვერვო სამსახურის მუშაობის მთავარი მიმართულება გახდა.**

◀ ხშირად მათი ძალებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით. ამ დროს ნეგროპონტეს მსგავსი მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკები თეთრი სახლის სახელით ამ ყველაფრის დაფარვას უწყობენ ხელს.

**უნდა აღინიშნოს, 2009 წელს ბარაკ ობამას მიერ როგორც თეთრ სახლში, ასევე დაზვერვის სამსახურებში განხორციელებულ საკადრო ცვლილებებს რაიმე პრინციპული ცვლილება არ მოჰყოლია და არც შეიძლებოდა მოჰყოლოდა. დაზვერვისა და ბიზნესის გაერთიანება ობიექტური პროცესია, რომლის შეჩერებაც არც ერთ ადმინისტრაციას არ ხელეწიფება. არც არავინ აპირებს, საკითხავი მხოლოდ ისაა, მოცემულ მომენტში ვის სასარგებლოდ მიმდინარეობს თამაში, ვინ ვის იყენებს და ვინ იღებს მეტ პრეფერენციებს. ამის გარკვევა დღეს სულ უფრო რთულდება.**

საუკუნის პირველ ათწლეულებში აშშ-ის ეკონომიკური უპირატესობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს მსხვილმა სამრეწველო კორპორაციებმა, პირველ რიგში კი — ფინანსურმა ჯგუფებმა და კერძო საინვესტიციო ფონდებმა, რომლებსაც ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებთან მჭიდრო კონტაქტი ჰქონდათ. **მხოლოდ 2006 წელს აშშ-ის კერძო საინვესტიციო ფონდებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით აქტივების შესაძენად 400 მილიარდი დოლარი დახარჯეს. მათ დირექტორთა საბჭოებში არიან უმაღლესი რანგის გადამდგარი პოლიტიკოსები, ყოფილი ტოპ-მენეჯერები, რომელთაც ბიზნეს-საზოგადოებაში გავლენა შეინარჩუნეს, მაღალი რანგის სამხედრო პირები, დიპლომატები და სპეცსამსახურების გადამდგარი თანამშრომლები. ეს ადამიანები ხშირად საკუთარი სახსრებით ყიდულობენ ათობით მილიარდის ღირებულების აქტივებს. საიდუმლო სამსახურებთან კავშირები საშუალებას აძლევს, უზრუნველყონ მთავარი: პოტენციური პარტნიორის შემოწმება, პრეზიდენტებთან მინისტრებსა და მსხვილ ბიზნესმენებთან კონტაქტების დამყარება, ნებისმიერ დონეზე კონფიდენციალური მოლაპარაკებების მოწყობა. ასე რომ, „თავისუფალი და კეთილსინდისიერი კონკურენციის“ დრო შორეულ წარსულში დარჩა, სპეცსამსახურების შესაძლებლობებით სარგებლობის გამო კორპორაციები წარმოუდგენელ კონკურენტულ უპირატესობებს ფლობენ.**

სახელმწიფო დაზვერვა, თავის მხრივ, კორპორაციების საშუალებებს სახელმწიფოს უშიშროების უზრუნველყოფისთვის იყენებს. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ამერიკის ჰეგემონია უზრუნველყოფილია მრავალმილიარდიანი კომერციული პროექტების წყალობით, რომლებშიც მოქმედებენ როგორც სახელმწიფო დაზვერვის ძალები, ასევე უშიშროების სამსახურების შესაძლებლობები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსები. **ნათელი მაგალითია ფინანსური ჯგუფი „კარლაილის“** მოღვაწეობა. ეს ჯგუფი **54,5 მილიარდი დოლარის აქტივებს მართავს. უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში მის ინტერესებს აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშუფროსი იცავს. უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ჯგუფის მიერ განხორციელდა ფინანსური შეღწევები მთელი რიგი ქვეყნების სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში. ცრუ კომპანიების რთული ქსელისა და მზვერავების შრომის გამოყენებით კომპანიამ კონტროლი დაამყარა დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვაზე. დიახ, სწორედ ასეა, არსებობს საფუძვლები, ვიფიქროთ, რომ ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვას ამერიკული ფინანსური სტრუქტურები აკონტროლებს. ამ კორპორაციის საიდუმლოებების გამომჟღავნებით ჟურნალისტმა დ. ბრაიოდიმ აჩვენა, თუ როგორ ხდება „ტერორიზმთან ბრძოლა“ და დაზვერვასთან საქმიანი კავშირები კოლოსალური შემოსავლების საფუძველი.**




**ამერიკის ჰეგემონია უზრუნველყოფილია მრავალმილიარდიანი კომერციული პროექტების წყალობით, რომლებშიც მოქმედებენ როგორც სახელმწიფო დაზვერვის ძალები, ასევე უშიშროების სამსახურების შესაძლებლობები და ტრანსნაციონალური კორპორაციების ფინანსები**

სახელმწიფო სპეცსამსახურებისა და ბიზნესის კავშირები 2009 წლამდე არ ფიქსირდებოდა აშშ-ის ხელისუფლების არც ერთ სახალხო დოკუმენტში. მიუხედავად ამისა, ამერიკის ეკონომიკური დაზვერვისა და სამრეწველო ჯაშუშობის ისტორია ყურადღებას იმსახურებს.

**ამჟამინდელ ეკონომიკურ დაზვერვას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში შეიქმნა კონტინენტალური კონგრესის საიდუმლო კორესპონდენციის კომიტეტი, რომლის ფუნქციებშიც შედიოდა როგორც სამხედრო დაზვერვა, ასევე ეკონომიკური მონაცემების შეგროვებაც.**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ამერიკის ხანგრძლივმა საგარეო პოლიტიკურმა იზოლაციონიზმმა აშშ-ში სპეციფიური სადაზვერვო უწყებების არარსებობა განაპირობა. აუცილებლობის შემთხვევაში სადაზვერვო მონაცემებს, მათ შორის ეკონომიკურსაც, ყველა პოლიტიკური დაწესებულება აგროვებდა. თუმცა, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის სახმელეთო ძალების სამხედრო დაზვერვის შემადგენლობაში გაჩნდა სპეციალური ქვეგანყოფილება ევროპის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოსაგროვებლად. **1934 წელს, პრეზიდენტ რუზველტის გადაწყვეტილებით, ჩამოყალიბდა ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტი, რომელსაც გერმანიის, იაპონიის, იტალიის, სსრკ-ისა და სხვა ქვეყნების მრეწველობის განვითარებასა და ფინანსურ პოტენციალზე ინფორმაციის შეგროვება ევალებოდა.**

მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-ში ეკონომიკური დაზვერვის მიმართ ყურადღება გამახვილდა და ეკონომიკური ომის კომიტეტიც შეიქმნა. პარალელურად იმავე მიზნებს ემსახურებოდა უ. დონოვანის სტრატეგიული სამსახურების სამმართველო, რომელიც აგროვებდა ინფორმაციას მეომარი ქვეყნების მიერ სტრატეგიული სამრეწველო პროდუქციის გამოშვებისა და სსრკ-ის ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივების შესახებ.

**1947 წელს, „ნაციონალური უშიშროების შესახებ“ კანონის თანახმად, შეიქმნა ცსს, რომელსაც დასაწყისში ფუნქციები მკაცრად ჰქონდა შეზღუდული. ოფიციალურად ცსს ეკონომიკურ დაზვერვაში 1949 წლიდან ჩაერთო. სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა სამმართველოში ცსს-ს დირექტორის მოადგილის, ა. დალესის რეკომენდაციით კვლევითი ანგარიშების მომზადების სამმართველო.** ორი წლის შემდეგ **აშშ-ის ნაციონალური უშიშროების საბჭომ გასცა დირექტივა, რომლის თანახმადაც ცსს-ს დაევალა, განესაზღვრა** სახელმწიფოს **მოთხოვნილებები ეკონომიკურ სადაზვერვო ინფორმაციასთან დაკავშირებით, მოეპოვებინა და გაეანალიზებინა ეს ინფორმაცია და სახელმწიფო სტრუქტურებისთვის მოემზადებინა მოხსენებები უცხოეთის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საკითხების შესახებ.**

მომდევნო წლებში ეკონომიკურ საქმეს სათავეში ხან ცსს ედგა და ხან — სახელმწიფო დეპარტამენტი. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა ეკონომიკის შესწავლა აშშ-ის ყველა სადაზვერვო სამსახურის მუშაობის მთავარი მიმართულება გახდა.

60-იანი წლებიდან სახელმწიფო დეპარტამენტის კვლევებისა და დაზვერვის ბიუროს ბიუჯეტები მკვეთრად შემცირდა, ამიტომ სადაზვერვო ანგარიშების მომზადება კვლავ ცსს-მ გადაიბარა. ის აკონტროლებდა სიტუაციას საერთაშორისო სავალუტო და სავაჭრო, განსაკუთრებით ნავთობის, ოქროს, ფერადი ლითონების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრებზე. **კვლევითი ანგარიშების მომზადების სამმართველო ეკონომიკური კვლევების სამმართველოდ გადაკეთდა. 70-იანი წლების ნავთობის ემბარგომ წარმოშვა სხვადასხვა ქვეყნის ენერგეტიკულ პოტენციალზე სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების საჭიროება. ნიქსონის დირექტივით 1972 წელს კოორდინირებული მუშაობისათვის შეიქმნა ეკონომიკური პოლიტიკის საბჭო, რომლისთვისაც მონაცემთა მთავარ წყაროდ ცსს იქცა. იმ დროიდან ეს ჯაჭვი აშშ-ის ნაციონალური უშიშროების განუყოფელი ნაწილია.**

**პრაქტიკულად სპეცსამსახურები არა მხოლოდ აგროვებდნენ და დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და კომპანიებს გადასცემდნენ ინფორმაციას, არამედ ცალკეული ქვეყნებისთვის სერიოზული შედეგებით დასრულებულ სპეცოპერაციებსაც ახორციელებდნენ. თითქმის ყოველთვის ეს კეთდებოდა არა მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო ინტერესების, არამედ იმ მსხვილი კომპანიების ინტერესების სასიკეთოდაც, რომელთა მოღვაწეობა სახელმწიფო პრიორიტეტებთან შესაბამისად ითვლებოდა.**

აშშ-ის მსხვილი ბიზნესის ინტერესებით დაზვერვის გაძლიერება სხვა სახელმწიფოების არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ახდენდა ზეგავლენას. **ჯერ კიდევ 1953 წელს საიდუმლო ოპერაციები ტარდებოდა 48 ქვეყანაში და არც თუ იშვიათად ეკონომიკური მიზნებით მოქმედი სპეცსამსახურების წყალობით ქვეყნებში პოლიტიკური რეჟიმებიც კი იცვლებოდა. სწორედ ასე მოხდა ირანში, გვატემალაში, საუდის არაბეთსა და კიდევ მრავალ ქვეყანაში.**

ცსს-ს ექსპერტმა ახლო აღმოსავლეთის განხრით, კერმიტ რუზველტმა 1953 წელს განახორციელა ირანის პრემიერის, მ. მოსადიკის ჩამოგდების ოპერაცია კოდური სახელწოდებით „აიაქსი“. მოსადიკმა ბრიტანული კომპანია „აინკის“ მიერ ექსპლოატირებადი ირანის ნავთობაქტივების ნაციონალიზაცია განახორციელა, ცსს-მ კი ტახტზე შაჰი დააბრუნა. გასაგებია, რომ აშშ ბრიტანული კომპანიის დახმარებით საკუთარ მიზნებს ახორციელებდა — ირანულ ნავთობზე საკუთარ კონტროლს ამყარებდა. საინტერესოა ისიც, რომ ცსს-ს მაშინდელი დირექტორი ა. დალესი ცსს-ში მუშაობის დაწყებამდე იურიდიულ ფირმაში მუშაობდა, რომელიც „აინკის“ საქმეებს უძღვებოდა.

1954 წელს ცსს-მ ნახევრადსამხედრო ოპერაცია ჩატარა გვატემალის პრეზიდენტის — ხ. არბენსის ჩამოსაგდებად.

საუდის არაბეთთან, ნავთობდოლარების სანაცვლოდ, ტექნიკური მხარდაჭერისა და სამხედრო მომარაგების შესახებ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად შეიქმნა ამერიკულ-არაბული ეკონომიკური კომისია. **საუდელების ფულით უნდა დაექირავებინათ ამერიკული ფირმები იმ ახალი ქვეყნის ასაშენებლად, რომელიც შემდეგ ახლო აღმოსავლეთში აშშ-ის საყრდენად იქცეოდა. პირობები ითვალისწინებდა, რომ ნავთობდოლარებით შეიძენდნენ აშშ-ის ფასიან ქაღალდებს, ამ ქაღალდებიდან მიღებულ პროცენტებს კი საუდის არაბეთის მოდერნიზაციისთვის დახარჯავდნენ. ამერიკული კომპანიები ამით ათწლეულების მანძილზე მოგებას გეგმავდნენ.**

**მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ამერიკული კორპორაციები ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მნიშვნელოვან დივიდენდებს იძენდნენ და მსოფლიოს ამ რეგიონებში მჭიდროდ იკიდებდნენ ფეხს.**

1980-იან წლებში ეკონომიკური დაზვერვის საქმეში ფედერალური სარეზერვო სისტემა და აშშ-ის ფინანსთა და ვაჭრობის სამინისტრო გააქტიურდა. ცსს-ს მონოპოლიამ ნგრევა დაიწყო. სსრკ-ის დაშლისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ კი ეკონომიკური დაზვერვის წარმოება ამერიკის სადაზვერვო სამსახურების უმთავრეს მიმართულებად იქცა. **1990 წელს უფროსმა ბუშმა ეკონომიკური დაზვერვა სპეცსამსახურების მოღვაწეობის პრიორიტეტად გამოაცხადა. კლინტონის ადმინისტრაცია ამ მიმართულებას მხარს უჭერდა. სწორედ კლინტონის დროს შეიქმნა ნაციონალური ეკონომიკური საბჭო — სამთავრობო ორგანო, რომელიც მთელს მსოფლიოში ამერიკის ეკონომიკური ინტერესების დაცვით დაკავებული ფედერალური ორგანოების მუშაობის კოორდინაციას ახორციელებდა. ცხადია, ამ ორგანოს მუშაობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდნენ როგორც ძველი (ცსს), ასევე ახალი სადაზვერვო სტრუქტურები. ამ უწყების შექმნით თეთრმა სახლმა, ამერიკული კომპანიების კონკურენტუნარიანობის მიზნით, ცალკეული განშტოებებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის განხორციელება დაიწყო.**




**მთელ რიგ სხვა ქვეყნებში ამერიკული კორპორაციები ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის მნიშვნელოვან დივიდენდებს იძენდნენ და მსოფლიოს ამ რეგიონებში მჭიდროდ იკიდებდნენ ფეხს**

**ნ. ლ. სიომინი,**
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აშშ-ისა და კანადის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სახელმწიფო აკადემიური უნივერსიტეტის დოცენტი

დასასრული შემდეგ ნომერში

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

## არაყი ტუბში

ბაზარზე გამოჩნდა არაყი ახალი შეფუთვით — სასმელი ტუბში ასხია. პროდუქტს „Go Wodka Extreme“ ჰქვია და უკვე მიიპყრო ყურადღება, რადგან პირველი ალკოჰოლური სასმელია, რომელიც ამგვარი შეფუთვით იყიდება. ჯერჯერობით მისი შეძენა მხოლოდ ავსტრიასა და გერმანიაშია შესაძლებელი.






# ყველაზე ახირებული ადამიანები

ყოველ წელს ოჰაიოს შტატის მცხოვრებნი — **რონი და ბეტი მანოლიოები** შეღებილი კვერცხების გამოფენას აწყობენ. ყველაფერი 1957 წელს დაიწყო, მაშინ რონის დედამ 750 ფერადი კვერცხი გაზონზე უზარმაზარი ჯვრის გამოსახულების შესაქმნელად გამოიყენა. შთამომავლებმა მისი მიღწევა ბევრად გააუმჯობესეს — შარშან გამოფენაზე მათ 40 ათასი ფერადი კვერცხი გამოიყენეს.













ბრიტანელი მხატვარი **ჟან პერკინსი** სათამაშოების, ღილებისა და სხვა ნივთების გამოყენებით ხატავს. ვიდრე ამ საქმიანობით დაკავდებოდა, 17 წლის მანძილზე ლონდონის ერთ-ერთ საავადმყოფოში ექთნად მუშაობდა, შემდეგ კი გადაწყვიტა, თავისი ნამუშევრები ფართო საზოგადოებისთვის წარედგინა და პოპულარულიც გახდა. მისი ერთ-ერთი ნახატი 3 250 დოლარად გაიყიდა.





ლიტვაში, პატარა ქალაქ შიაულიაიში, ერთ ადგილას ასი ათასამდე სხვადასხვაგვარი ჯვარია. ეს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ერთგვარი სიმბოლოა. მეორე მსოფლიო ომმა ამ ადგილს დიდი ზიანი მიაყენა, კომუნისტებმა მრავალი ჯვარი ამოიღეს და დაწვეს, მაგრამ მემორიალი მაინც გადაურჩა განადგურებას.









60 წლის **პამელა კოლე** კერამიკული კატების კოლექციას აგროვებს. ამჟამად მის კოლექციაში უკვე ორ ათასზე მეტი ეგზემპლარია.

ინგლისელი 80 წლის ფერმერი **ალეკ გარარდი** 30 წელი მუშაობდა, რათა შეექმნა ორი ათასი წლის წინათ რომაელების მიერ დანგრეული ჰეროდეს ბიბლიური ტაძრის მოდელი. ტაძრის ზუსტი ასლი აიგო მასშტაბით 1:100.











# ყველაზე პატარა ვიდეოკამერა

**ეს ფერადი კამერა სიგანეში ერთი მილიმეტრია. ავტორების ჩანაფიქრით, ის ტექნიკის სხვადასხვა დარგში გამოდგება, უპირველესად კი, — ენდოსკოპიაში.** სიახლე გერმანიის ფრანგჰოფერის ინსტიტუტის ინჟინრებმა შექმნეს. თვით კამერა, რომლის ყუთი ზომებით 1,2X1X1 მილიმეტრია, მიმაგრებულია ბრტყელი კაბელის ბოლოზე, 1,5 მილიმეტრის წრიულ „მოედანზე". სენსორის სრული სიმაღლე ლინზასთან და კაბელთან ერთად 1,5 მილიმეტრის ტოლია, კაბელის სისქე 65 მიკრომეტრს შეადგენს, სიგანე კი – 0,7 მილიმეტრს და ძალზე მოქნილია. აპარატს მაღალი გარჩევითობა აქვს (250x250 წერტილი) და იღებს ვიდეოს, წამში 44 კადრის სიხშირით. ავტორები მიკროსკოპული კამერის გასაყიდად გამოშვებას მომავალი წლისთვის ვარაუდობენ, მიკროენდოსკოპი კი ერთჯერადი გამოყენების იქნება და მხოლოდ რამდენიმე ევრო ეღირება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 34-32-95

# მოქსოვილი ფერარი

ქალაქ Bath-ის (დიდი ბრიტანეთი) სტუდენტმა ლაურენ პორტერმა ნატურალური ზომის ფერარი მოქსოვა. ამ საოცრების შესაქმნელად მას 9 თვის მანძილზე გულმოდგინე მუშაობა და 19 კილომეტრი საქსოვი ძაფი დასჭირდა.









# X FILE — საბჭოთა კავშირის ბიო-რობოტი

**1950 წელს საბჭოთა მეცნიერმა ვლადიმერ დემიხოვმა მსოფლიო გააკვირვა — მან ძაღლებზე ექსპერიმენტების შედეგად შეძლო, ერთი ძაღლისთვის მეორეს თავი გადაენერგა, თანაც ისე, რომ ძაღლი ორთავიანი გამოსულიყო. მეცნიერმა ოპერაცია წარმატებით განახორციელა, ძაღლმა კი 1 თვე იცოცხლა, რაც მართლა სენსაციის ტოლფასი იყო.**

ცივი ომის პირველ პერიოდში მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები უნივერსალური იარაღის შექმნისთვის გაერთიანდნენ. 1958 წელს დაიწყო იმ საიდუმლო პროექტის განხორციელება, რომლის მთავარი მიზანი რობოტი-კიბორგის შექმნა გახდა.

პროექტს ხელმძღვანელობდა ნობელის პრემიის ლაურეატი ვ. მანუილოვი, რომელთან ერთადაც კიბორგის აწყობის პროექტში ინჟინრები და მედიკები მონაწილეობდნენ. ექსპერიმენტისთვის თაგვებს, ვირთხებსა და ძაღლებს იყენებდნენ. საბოლოოდ მეცნიერებმა არჩევანი ძაღლზე შეაჩერეს, მისი დამჯერი და ადვილად გასაწვრთნელი ხასიათის გამო.

პროექტის კოდური სახელი იყო „კოლი". ის 10 წლის განმავლობაში გრძელდებოდა, 1996 წელს კი, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბრძანებით, პროექტი შეჩერდა და მას „გრიფით საიდუმლო" დაედო.













# «ხელოვნება მოქმედებაში»

**არტისტული ნიჭის, მუსიკისა და დიდი ენერგიის წყალობით, ბრაიან ოლსენი ქმნის დაუვიწყარ შოუს, სახელად „ხელოვნება მოქმედებაში". ამ სანახაობის მთავარი მიზანია შავი, სუფთა დაფა ხელოვნების ნიმუშად აქციოს....**

ბრაიანი ნიჭიერი მხატვრებისაგან იმით გამოირჩევა, რომ შესანიშნავი მსახიობიცაა. იგი არ ჰგავს მხატვრებს, რომლებიც საკუთარ მუზებს დახურულ ატელიებში განმარტოებული ელიან.

ბრაიანი, პირიქით — ფართო აუდიტორიის თვალწინ, ხმამაღალი მუსიკის ფონზე, ქმნის შესანიშნავ ნამუშევრებს... შოუს დასაწყისში მხატვარი მიდის შავ, კვადრატული ფორმის დაფასთან, რომელიც ცეკვის, პანტომიმისა და აკრობატიკის ილეთების შერწყმითა და შემოქმედის ხელის უსწრაფესი მოძრაობის შედეგად იქცევა ტილოდ, საიდანაც მაყურებელს ცნობილი სახე უმზერს.







# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## «ლაურენსია» — «თბილისი არტ ჰოლში»

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი (სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი) იწვევს მაყურებლებს „თბილისი არტ ჰოლში“ (ნაძალადევი, ცოტნე დადიანის ქ. №26).

**14 და 15 მაისს** წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე კრეინის ბალეტი „ლაურენსია“ (ლიბრეტო და ქორეოგრაფია ვახტანგ ჭაბუკიანისა; ნუკრი მაღალაშვილის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა).

მთავარ როლებს შეასრულებენ **ლალი კანდელაკი** (ლაურენსია) და **ვასილ ახმეტელი** (ფრონდოსო).

სპექტაკლების დასაწყისი:
14 მაისს — 18 საათზე,
15 მაისს — 14 საათზე.
**ეწვიეთ „თბილისი არტ ჰოლს“ და ისიამოვნეთ!**





# კადაფი ომს იტალიის ტერიტორიაზე აგრძელებს

**ლიბიის ლიდერის — მუამარ კადაფის განცხადებით, ლიბია იტალიასთან საომარ ვითარებაში იმყოფება.** სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ ლიბიელ ხალხს ომი სურს და ის ამას წინ ვერ აღუდგება. „იტალიასთან ჩვენ უკვე ვართ საომარ ვითარებაში, რადგან ისევე, როგორც 1911 წელს, 2011 წელსაც იტალიელები ჩვენს შვილებს კლავენ. ამიტომ არ შემიძლია ავუკრძალო ლიბიელებს საკუთარი სიცოცხლისა და მიწის დაცვა და არც ომის იტალიაში გაგრძელება“, — განაცხადა მან.



# ნატომ კადაფის ოჯახი ამოხოცა



**ნატოს შეიარაღებული ძალების ავიაიერიშს ლიბიის ლიდერ მუამარ კადაფის ვაჟი საიფ ალ-არაბი და სამი შვილიშვილი შეეწირა.** ამის შესახებ ლიბიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მუსა იბრაჰიმმა განაცხადა. მისი თქმით, დაბომბვის დროს მუამარ კადაფი და მისი მეუღლე თავიანთი 29 წლის ვაჟის საიფ ალ-არაბის სახლში იმყოფებოდნენ. შენობას სულ მცირე ნატოს ერთი რაკეტა დაეცა. ნატო ავიაიერიშის განხორციელებას ადასტურებს.


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

**საერთო მინერალიზაცია** შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.**
**890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**



# საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

საქინფორმი
www.saqinform.ge



pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო



# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





საქართველო და მსოფლიო
# ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net